# საქართველო და მსოფლიო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 1 ლარი

№5 (48)

10 - 16 თებერვალი, 2010

www.geworld.net

info@geworld.net


# ესეც «გაზპრომის» ბრალია?! ანუ «შეშლილი დიქტატორი»

## ვიდოდნენ ევროპისკენ და დარჩნენ უკრაინაში 16

## ერი და მერი, ანუ ტეფტის ფორმულა



## კარვის ქალებიდან კარის ქალებამდე



## რატომ არ ითვლება ვაშინგტონში ვოიაჟები ღალატად 10

## როგორ იწრთობოდა «ფქვილის პრინცესა»



## პარლამენტის «მკვდარ სულებს» კიდევ ერთი შეემატა



## უხარისხო საკვები პროდუქტები და უვარგისი სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## 100 ახალი ტყუილი 100 ახალ საავადმყოფოზე 18

## მაიორის გასაჭირი 19

## აეროპორტის საბაჟოზე სოდი თვითნებურად ხსნის ამანათებს 19

## ბალკანური ომები კარსაა მომდგარი 22

## ამერიკელები ყარაბაღისთვის ომს იწყებენ 28

## საშინელი აღიარება: იეზუიტები სოდომიტებად იქცნენ 29

## ვანოს ხელობა — ქაოსის სამეფო 6




# აბლაბუდა პუტინისთვის 12

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ერი და მერი, ანუ ტეფტის ფორმულა, ვასილიჩი და მატომე უგაკი

**საქართველო მორიგ პოლიტიკურ კრიზისს ისე მორჩილად უახლოვდება, როგორც სიკვდილმისჯილი — ეშაფოტს. გარკვეული შინაგანი შფოთვა, რაღა თქმა უნდა, არის, თუმცა საბედისწერო გეზის შეცვლის სურვილი და შესაძლებლობა ნამდვილად არ შეინიშნება. ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების განწყობა დღეს უკვე ცხადყოფს, რომ გაზაფხულზე მწვავე კონფრონტაციის გარდა ვერაფერს შემოგვთავაზებენ. არსებობს თუ არა შანსი, მოსალოდნელი კრიზისი განსაკუთრებით მძიმე შედეგების გარეშე დასრულდეს?**


ჯონ ტეფტი





რონალდ ასმუსი

## სიცრუის ფორმულა

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, 30 მაისის „ადგილობრივი არჩევნები მეტია, ვიდრე უბრალოდ არჩევნები". ისე, ამ ქვეყანაში „უბრალოდ არჩევნები", დიდი ხანია, აღარ ტარდება, სულ გადამწყვეტი ბრძოლა და ტიტანების შერკინებაა. მთავარი კითხვა კი საკმაოდ მარტივია: არის თუ არა რომელიმე (ან რამდენიმე) პოლიტიკური ძალა საკმარისად თავდაჯერებული იმისათვის, რომ ხელისუფლების შესაცვლელად რეალური ნაბიჯები გადადგას?

**„შტატების ელჩი ჯონ ტეფტი ეუბნებოდა საქართველოში პირველად ჩამოსულებს, რომ ქართველი პოლიტიკოსების უპირველესი წესი არის ყველაფრის გაზვიადება 25%-ით (თუ არა მეტით)"**, — ეს ციტატა რონალდ ასმუსის ახალი წიგნიდანაა **„პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო"**. მისი ხანგრძლივი და მტკივნეული ციტირება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ამჯერად, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ქართულ პოლიტიკაში ჭეშმარიტების დადგენისას, ალბათ, მართლაც აჯობებს **„ტეფტის ფორმულა"** (x=0,75y) გამოვიყენოთ.

სწორედ ეს 25%, სავარაუდოდ, ქმნის ერთგვარ სიცრუის ველს, რეალობის აღქმის მრუდე სარკეს, რომლის ტყვეობაში, უპირველესად, თავად პილიტიკოსები ექცევიან. ნებისმიერ სიტუაციაში, რომლის განვითარებიდან ლოგიკურად ერთი შედეგი უნდა დადგეს (მაგალითად 2+2=4), **„ასმუს-ტეფტის კოეფიციენტს"** სრული გაურკვევლობა შეაქვს; შედეგად ჯამში ხან 5-ს ვიღებთ, ხან — 7-ს, ხანაც (გამოთქმისთვის ბოდიში) 3,14-ს მზარდ პროგრესიაში.

ყოველივე ეს სახალისო იქნებოდა, რომ არა შედეგების სიმძიმე: **მაგალითად, რეალობიდან ერთ-ერთმა ბოლო აცდენამ 2008 წლის აგვისტოს ომი წარმოშვა — ეს აზრი რონალდ ასმუსის თხზულებას ერთგვარ რეფრენად გასდევს. ამერიკელი დიპლომატის წიგნი სულაც არ წარმოადგენს ჭეშმარიტებას ბოლო (გნებავთ ბოლოს წინა) ინსტანციაში, თუმცა მის მიერ შეგროვებული (რიგ შემთხვევაში, საკმაოდ ოსტატურად ინტერპრეტირებული) ფაქტები სავსებით საკმარისია, რომ მკითხველს საქართველოს ხელისუფლების მსუბუქი არაადეკვატურობის შთაბეჭდილება დარჩეს (აბსოლუტურის არა, ასე 25%-იანის).**

მასში კიდევ ერთი საინტერესო ქვეტექსტის დაჭერა შეიძლება. ამ მხრივ, წიგნი უცნაურად ჰგავს სულ სხვა ჟანრში და გაცილებით მაღალი ოსტატობით დაწერილ **ბარბარა ტაკმანის „აგვისტოს ზარბაზნებს"**, რომელიც I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე მოგვითხრობს. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, მეტიც, ღრმა შინაგანი რწმენა იმისა, რომ **დიდ ბრიტანეთს (ასმუსის შემთხვევაში — აშშ-ს) კრიზისის ფორმირებასა და ომის გაჩაღებაში განსაკუთრებული ბრალი არ მიუძღვის და იგი, უბრალოდ, გარემოებათა უიღბლო კომბინაციის მსხვერპლი გახდა. ამ აზრის თავს მოხვევა, ირიბად, მოვლენების თავბრუდამხვევი აღწერის მიღმა ხდება.**

თუმცა ეს ნიუანსებია. ისევ **„ტეფტის ფორმულას"** დავუბრუნდეთ: **სწორედ არაადეკვატურობის კოეფიციენტის წყალობით, გაზაფხულის მოსალოდნელმა კრიზისმა შეიძლება გამოიღოს შედეგი, რომელიც მოცემულობიდან ლოგიკურად არ გამომდინარეობს, ისეთი, როგორსაც საზოგადოება და საერთაშორისო მოთამაშეები ნაკლებად ელიან. ამას კიდევ ერთი ფაქტორი ემატება: გარე ძალების ჩარევა პროცესებში შედარებით შემცირებული იქნება. უკრაინის მაგალითი თვალწინ გვაქვს. გლობალური ბალანსის შეცვლის, რიგი სხვა გარემოებების გამო ვაშინგტონი იძულებულია, ნაწილობრივ მაინც, უარი თქვას უშუალო ჩარევაზე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საშინაო საქმეებში.** ამგვარად, რიგ შემთხვევებში ქართველ პოლიტიკოსებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ. კურატორების კონტროლის შესუსტება გარკვეულწილად უკვე დაეტყო ხელისუფლებას და იგი საკმაოდ მძიმე შეცდომებს უშვებს (მაგალითი: იგივე უკრაინის არჩევნებში ჩარევის მცდელობა. როგორაა, ნეტა, ვასილიჩი?).

ორიოდე სიტყვით ვასილიჩზე; როდესაც პარასკევს საღამოს უკრაინელმა ძალოვანებმა კიევის ცენტრში 1968 წელს დაბადებული, ტროტილითა და პისტოლეტით შეიარაღებული ქართველი მამაკაცის დაკავების შესახებ გვამცნეს, გულმა ავი მიგრძნო, ვასილიჩიც ხომ 68-შია დაბადებული, ხომ არ გაუდგა იგი იაპონელი ვიცე-ადმირალის**, მატომე უგაკის** გზას და მარცხის აღიარებას სამურაის ღირსება არჩია; უგულვებელყო რა ბრძანება კაპიტულაციის შესახებ და ერთგულ კამიკაძეებთან ერთად მაინც აიჭრა ცაში უკანასკნელ პაემანზე ამომავალ მზესთან. მშფოთვარე წარმოსახვა ხატავდა შარფებით შემოხვეულ გივი ვასილიჩს (კიევში ცივა), რომელიც მერყევი ნაბიჯებით (ტროტუარები მოყინულია) ხრეშჩატიკს მიუყვება. გაყინული თითები პისტოლეტს ებღაუჭებიან, ხოლო ტუჩები იმეორებენ: **„ნეტავ, დაეცე, სპეტაკი როგორც საკურას ყვავილი გაზაფხულზე"**... თუმცა მალე გაირკვა, რომ დაკავებული სულ სხვა პიროვნებაა, ხოლო ის, ▶

## მოკლედ



### კოსტა-რიკას პირველი ლედი

7 თებერვალს უკრაინის არჩევნების მეორე ტურის პარალელურად ქვეყნის პრეზიდენტს კოსტა-რიკაშიც ირჩევდნენ და, როგორც წინასწარი მონაცემებით გახდა ცნობილი, ქვეყნის ისტორიაში პირველად კოსტა-რიკას ქალი პრეზიდენტი ეყოლება. ლაურა ჩინჩილიას მოსახლეობის 47,6-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. მისმა კონკურენტებმა კი საპროტესტო მიტინგების გამართვისა და სასამართლოებისათვის მიმართვის ნაცვლად უკვე განაცხადეს, რომ თვალს უსწორებენ რეალობას და ჩინჩილიას გამარჯვებას აღიარებენ.



### გვინეას პრეზიდენტი გადარჩა

ეკვატორიული გვინეის ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურის ერთერთი ხელმძღვანელი, კაპიტანი ბიენვენიდო ესონო ენგონგა სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტის მკვლელობის მზადებაშია ეჭვმიტანილი. ესპანეთის ექსკოლონია ეკვატორული გვინეა აფრიკის რეგიონში ნავთობის ექსპორტის მხრივ მესამე ადგილზეა, ხალხი კი უკიდურეს სილატაკეში ცხოვრობს. ახლანდელი პრეზიდენტი ხელისუფლებაში ურიცხვი სახელმწიფო გადატრიალებებიდან ერთერთის დროს თავისი წინამორბედის, ალალი ბიძის გადაგდებით მოვიდა.



### პეილინს ირანთან ომი უნდა

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტობის ექს-კანდიდატმა სარა პეილინმა ობამას ურჩია, ირანს ომი გამოუცხადოს. მისი აზრით, პრეზიდენტი მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს საკუთარი პოზიციების გამყარებას და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოსახლეობის მხარდაჭერის გარანტირებას. გარდა ამისა, პეილინი თვლის, რომ ობამამ სრული მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს ისრაელს ისრაულ-არაბულ კონფლიქტში, რადგან მას მომავალ არჩევნებამდე მხოლოდ ძალისმიერი პოლიტიკა თუ გააძლებინებს.



### აშშ კვლავ შეშფოთებულია

საფრანგეთის მიერ რუსეთისათვის სადესანტო ვერტმფრენმზიდი „Mistral"-ის მიყიდვის გადაწყვეტილებამ აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი ისე შეაშფოთა, რომ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრ ერვე მორენას ამ შეშფოთების თაობაზე პირადად და „ძალიან გარკვევით" მოახსენა. მორენმა კი პასუხად შეახსენა, რომ ცივი ომი დიდი ხნის წინ დასრულდა და მოსკოვს გლობალური სტაბილურობის საკითხში პარტნიორად თუ განიხილავთ, ამ გარიგების წინააღმდეგნი არ უნდა იყოთო.




### მეგობრობა გრძელდება

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჯერ დასრულებული არ იყო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტელეკომპანია „უკრაინას" გადაცემა „Shuster Live"-ის პირდაპირ ეთერში ჩაერთო და ჩვეული პათოსით განაცხადა: „უკრაინაში დემოკრატიამ გაიმარჯვა! ბევრ ევროპულ ქვეყანას, შესაძლოა, შეშურდეს უკრაინაში გამართული არჩევნები!" უმრავლესობასთან შეხვედრისას კი დაგვამშვიდა, რომ „რაც არ უნდა მოხდეს უკრაინაში, იგი საქართველოს მეგობრად დარჩება".

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ რომ მატომე უგაკი და ვასილიჩი განსხვავებული მისწრაფებებისა და გაქანების ადამიანები გახლდნენ, იმთავითვე ცნობილი იყო.

### აბერ – შენ და აბერ – გერმანია

**ზოგადად, ქართული პოლიტიკის თანდათანობითი, თუნდაც იძულებითი, გამოსვლა ამერიკელთა კონტროლიდან მისასალმებელია, თუმცა ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მეზობელი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში წარმატებით კონტროლდებოდა ასათიანის ქუჩაზე თეთრხალათიანი პროფესიონალების მიერ, უცებ, სადარბაზოში შემოგვეფეთა. თითქოს ყველაფერი წესრიგშია, ადამიანი გამოწერეს, იგი იღიმის და კეთილგანწყობას აფრქვევს, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი არ მოტრიალდება და ზურგს უკან არ მოიქცევს, მითუმეტეს, რომ ჯიბიდან სამართებელი უჩანს.**

ცვლილებებს საერთაშორისო არენაზე, ქართველი პოლიტიკოსების რეპერტუარში საგულისხმო სერენადების გაჩენა მოჰყვა. ირაკლი ალასანია: **„ჩვენ რეალურად უნდა გავხსნათ სავაჭრო-ეკონომიკური და საკომუნიკაციო ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, დავიწყოთ სახალხო დიპლომატიის რესურსის ამოქმედება. თანაც ამ პროცესში უნდა ჩავრთოთ სერიოზული ევროპული ლიდერები. ეს შეიძლება იყოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა, რომელსაც წონა აქვს რუსეთის თვალში და შუამავლის როლს იკისრებს პოლიტიკური დიალოგის აღდგენის საქმეში“** (საინფორმაციო სააგენტო „პირველი“).

ნიშანდობლივი იყო ნინო ბურჯანაძის გამოსვლაც ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში (3 თებერვალი), როდესაც დავოსის სამიტზე (იქ სააკაშვილი არ მიუწვევიათ) გამართულ შეხვედრებზე საუბრისას, რამდენჯერმე, თითქმის ხაზგასმით, ახსენა აზრთა გაცვლა სწორედ გერმანიის წარმომადგენლებთან. მან, აგრეთვე, დაადასტურა მზადყოფნა კრემლთან მოლაპარაკებების გასამართად.

მოკლედ, მარლენ დიტრიხი რომ იტყოდა 1965-ში: “Berlin, Berlin, wenn deine Blumen spriessen...“ __ ლოგიკურია, პროცესებისგან აშშ-ს შემდგომი დისტანცირების ჭრილში კი, ალბათ, გარდაუვალიც. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, რაში სჭირდება ეს გერმანელებს? ამ კონტექსტში, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ბოდენისა და შტაინმაიერის სამშვიდობო გეგმების გახსენებაც, რომელთაგან უკანასკნელი, ფაქტობრივად, უშუალოდ ომის წინ მოწოდებულ, ერთგვარ სამაშველო რგოლს წარმოადგენდა. იდეალური ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა იმ მომენტში, ალბათ, ერთადერთი შესაძლებელი იყო. **ფაქტია, დღეს მსგავს გეგმას არავინ შემოგვთავაზებს. დღევანდელი გადასახედიდან, საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ გერმანელები კარგად ხედავდნენ მოსალოდნელ საფრთხეს და მისი განეიტრალებისთვის შეძლებისდაგვარად ნაბიჯიც (ამაო) გადადგეს.**

მიუნჰენის კონფერენციაზე (ამ ღონისძიებამაც რალაცნაირად სააკაშვილის გარეშე ჩაიარა) გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ შემდეგი პრიორიტეტები ჩამოთვალა: ევროკავშირის ჯარების შექმნა, გერმანიის ტერიტორიიდან აშშ-ის ბირთვული იარაღის გატანა, **„სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან ევრო-უსაფრთხოებისა და გლობალური პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფისთვის“.**

**ხატოვნად რომ ვთქვათ, ადრე მსგავსი განცხადებების შემდეგ, ვაშინგტონში მოითხოვდნენ ჭირვეული ბუნდეს-მინისტრის სკალპის ჩამოკიდებას თავისუფლების ქანდაკების ჩირაღდანზე, თუმცა, როგორც ჩანს, ტომოჰავკები დაუჟანგდათ ან ჩინგაჩგუკები დაუბერდათ.**

Tres bien, გერმანია და საფრანგეთი ეკონომიკური კრახის პირას მდგარი საბერძნეთის გადარჩენის ოპერაციას შეუდგნენ. ზოგადად, ამ ორი სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი პან-ევროპული სივრცის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში დღითიდღე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება;





# უკრაინულ ზამთარს ქართული გაზაფხული მოსდევს

**პასუხისმგებლობის არეალი ფართოვდება, აქედან გამომდინარე რუსეთთან თანამშრომლობაც ინტენსიურ ხასიათს იძენს. ეს რეალობაა — მოსწონს იგი ვინმეს თუ არა. საკუთრივ ამაში მდგომარეობს საერთაშორისო ურთიერთობების განსხვავება მწვავე შიზოფრენიისგან, რომლის ფარგლებში არასასურველი ფაქტორი შეიძლება არარსებულად გამოაცხადო.**

ამგვარად, ირაკლი ალასანიას ვარიაციები ევროპულ თემაზე (არადა, ამ პოლიტიკოსს საქართველოში ხშირად ვაშინგტონის კრეატურად აღიქვამენ) შემთხვევითი, ალბათ, არ არის. შესაძლოა, იგი უბრალოდ Zeitgeist-ს, დროის სულისკვეთებას გრძნობს. მოხერხდება თუ არა ჩვენი პრობლემების მოქცევა ევროპული უსაფრთხოების განახლებული მოდელის ფარგლებში (მთავარია, ტროას ცხენად არ ჩაგვთვალონ), მომავალი გვიჩვენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაციის განხილვა შარიკოვის პოზიციიდან: „пишут, пишут... конгресс, немцы какие-то... Голова пухнет. Взять всё, да и поделить...“, ალბათ, აღარ გამოგვივა.

### ერი და მერი

30 მაისის არჩევნების წინ ხელისუფლების ჩანაფიქრი ოპოზიციის კანდიდატებს შორის ხმების გაფანტვისა და ამის ხარჯზე საკუთარი ფავორიტის გაყვანის შესახებ მეტ-ნაკლებად ცხადი შეიქნა. თუმცა საინტერესოა იმის გარკვევა, შეუწყობს თუ არა იგი ხელს ერთ-ერთი კანდიდატის, ნავთობკორპორაციის ყოფილი თავმჯდომარის — გია ჭანტურიას მიერ მაქსიმალური შედეგის მიღწევას, რადგან ამ ნაბიჯით შეიძლება რამდენიმე არცთუ ურიგო სცენარი აამოქმედოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფიგურა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რიგითი ტექნიკური კანდიდატი, რომლის ერთადერთ ფუნქციას არასაპარლამენტო ოპოზიციის მთავარი ფალავნისთვის (ალასანია იქნება თუ სხვა) ხმების გარკვეული რაოდენობის წართმევა წარმოადგენს. **იდეაში, მას საკმარისი პოტენციალი (კავშირები, ბიოგრაფია, იმიჯი, რესურსები) გააჩნია იმისათვის, რომ სწორი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შემთხვევაში, საპრიზო ადგილი დაიკავოს, მეტიც, მისი, გასვლა (თუ გაყვანა?) მეორე ტურში შეიძლება სავსებით ბუნებრივად და ლოგიკურად წარმოჩინდეს.**

არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატის მდგომარეობა ფრიად გართულდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენება არა მეორე, არამედ მესამე დაკავებული ადგილიდან მოუწევს. ამასთანავე, ჭანტურიას წამოწევა „მთავარი კონკურენტის“ პოზიციაზე, ხელისუფლების კანდიდატის პოზიციონირებას მნიშვნელოვან წილად გააიოლებს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას ოპერატიული სითამამე ეყოფა და იგი სულ რამდენიმე თანაგუნდელის (თბილისთან დაკავშირებულ) ბიზნეს-ინტერესებზე მაღლა დადგება, ერთი სტრატეგიული კომბინაციის გათამაშებასაც შეძლებს: **იმ კანდიდატისთვის, რომელიც მისთვის უშუალო საფრთხეს არ წამოადგენს, პრინციპში, პოსტის დათმობაც შეიძლება. ეს მნიშვნელოვან წილად გაანეიტრალებს თბილისელთა 2/3-ის პროტესტს, რომელსაც მერის სავარძელში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ხილვა არ სურს. საერთაშორისო დამკვირვებლებსაც გაუჭირდებათ იმ არჩევნების გაკრიტიკება, რომელსაც ოპოზიციის წარმომადგენელი მოიგებს. ისინი ხომ, ისევე როგორც მათ უკან მდგომი ქვეყნები, ჩვენი საპროტესტო ელექტორატისგან განსხვავებით, ქართველი ქრისტიან-დემოკრატების ოპოზიციურობის ხარისხის დადგენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. შესაბამისად, მომხდარი მთლიანობაში, სავარაუდოდ, შეფასდება, როგორც დემოკრატიის დიდი გამარჯვება.** იმის გარანტია კი ხელისუფლებისთვის, რომ ახალი მერი მომავალში მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს, იქნება ქალაქის ბიუჯეტის ფორმირების წესი, ინიციატივების დაბლოკვისთვის საკმარისი წარმომადგენლობა საკრებულოში, სხვადასხვა ადმინისტრაციული ბერკეტები და ფიგურანტის მძიმე ურთიერთობები არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, რომელიც არჩევნების წინარე პერიოდში აუცილებლად ჩამოყალიბდება.

**თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდებია, გაცილებით დიდი ალბათობით, წინასაარჩევნო სიტუაცია უხეშ კონფრონტაციას წარმოშობს და ძალთა მკვეთრ პოლარიზებას გამოიწვევს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ისევ იქნება „მეტი, ვიდრე უბრალოდ არჩევნები“, შესაბამისად, მერისა და საკრებულოს არჩევის ნაცვლად, კვლავ ხელისუფლების საკითხის ყოვლისმომცველ გადაწყვეტასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.**

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ



### ტიმოშენკო სასამართლოში მიდის

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა და პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე განაცხადა, რომ არ აღიარებს ამ შედეგებს და თავის იურისტებს უბრძანა, სასამართლო სარჩელი მოამზადონ. ვიდრე ევროპარლამენტის თავმჯდომარე ეჟი ბუზეკი უკრაინელებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ულოცავდა, ტიმოშენკო იმუქრებოდა, „ასეთი არჩევნების პირობებში იანუკოვიჩის გამარჯვების ლეგიტიმურობას არასდროს ვაღიარებო“.



### რუსეთმა პარიზის ნაწილი იყიდა

რუსეთმა გაიმარჯვა კონკურსში და პარიზის ცენტრში, ეიფელის კოშკთან ახლოს 0,42 ჰექტარი მიწის ნაკვეთი იყიდა. ცნობილი გახდა, რომ „საფრანგეთმა ყველაზე ძვირადღირებული წინადადება აირჩია“, მაგრამ გარიგების ღირებულება არ ხმაურდება. სამაგიეროდ ცნობილია, რომ აღნიშნულ რაიონში კვადრატული მეტრი მიწა 6-დან 8 ათას ევრომდე ღირს, შესაბამისად, რუსეთის შენაძენი დაახლოებით 50 მილიონი ევრო ეღირებოდა. რუსეთი პარიზის ცენტრში ააშენებს სასულიერო და კულტურულ ცენტრს, რომელიც პატრიარქის ტაძარსა და მართლმადიდებლურ სემინარიასაც მოიცავს.



### ნატო რუსეთისთვის საფრთხეა

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ ნატო რუსეთისთვის საკმაოდ სერიოზული საფრთხეა. „მეტიც, ნატო ექაჩება სხვა სახელმწიფოებსაც — საქართველოს, უკრაინას... სწორედ ნატო აიარაღებდა საქართველოს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიისთვის ამზადებდა... საქართველოს შეიარაღება ამჟამადაც გრძელდება... „რისთვის ხდება ეს? მათ სურთ, კიდევ იყოს თავდასხმა? თუ ეს არ სურთ, შეიარაღებაც არ არის საჭირო — ჩვენ თავდასხმას არ ვაპირებთ“, — განაცხადა პატრუშევმა.



### ნატომ უარი მიიღო

ნატოს ოფიციალური პირების მიერ ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობისკენ მოწოდების პასუხად რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ რუსული მხარე ავღანეთის ოპერაციაში სამხედრო ძალების მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგია, ვინაიდან „ავღანეთის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები მშვიდობიან მოლაპარაკებებშია და არა — სამხედრო ოპერაციაში“. ერთადერთი, რითაც რუსეთი კოალიციას დაეხმარება, თავის ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთების გადაზიდვის შესაძლებლობის განხილვაა.




### რიტუალს სამი ადამიანი ემსხვერპლა

აშშ-ში გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის დააპატიმრეს პიროვნული განვითარების სპეციალისტი ჯეიმს არტურ რეი, რომლის მიერ ჩატარებულ რიტუალსაც სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 2009 წლის 8 ოქტომბერს არიზონაში პიროვნული შესაძლებლობების გახსნის პროგრამის 55-65 მონაწილე სეანსის ბოლო ეტაპზე ორი საათით „ოფლსადენ კარავში“ მოათავსეს. ორი მონაწილე ადგილზე გარდაიცვალა, მესამე — საავადმყოფოში, 19 დაზარალებულს ჰოსპიტალიზება დასჭირდა.

10 – 16 თებერვალი, 2010 წელი. №5 (48)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

რამაზ კლიმიაშვილი

# გაუპატიურებული კონსტიტუცია

**გასულ კვირას დასავლეთის ორმა მაღალი რანგის ჩინოვნიკმა „გვიკადრა“, თუმცა გაურკვეველია, რა აზრი ჰქონდა ამას. ორივეს ჩამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა სახელისუფლო ტელევიზიებში, მაგრამ იმავე საღამოს ასევე მოულოდნელად ჩაკვდა. საინტერესოა, რა მოხდა?**



ჯეიმს სტეინბერგი



ფილიპ გორდონი



ჯანი ბუკიკიო

დავიწყებ მეორის ქრონომეტრაჟით, რომ პირველიც გასაგები გახდეს: ჰილარი კლინტონის პირველი მოადგილე ჯეიმს სტეინბერგი, გზად უშიშროების საკითხებში მეორე დავოსად წოდებულ მიუნხენში სამხრეთ კავკასიის პრეზიდენტებს რომ შეხვდა, გასაგებია, ჩვენს რეგიონს ყველაზე „ასაფეთქებად“ თუ „ახალ ბალკანეთს“ რომ უწოდებენ. მაგრამ იყო ერთი „პიკანტური“ დეტალი, რაზეც ქვემოთ: **ერევანში ღამის გათევის შემდეგ სტეინბერგი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ევრაზიის ბიუროს დირექტორთან, ფილიპ გორდონთან ერთად დილის ცხრა საათზე თბილისის აეროპორტში ჩნდება, ხოლო ზუსტად სამი საათის შემდეგ კვლავ იმავე აეროპორტშია მინი პრეს-კონფერენციაზე (ილჰამ ალიევს იგი მიუნხენში ელაპარაკა, სადაც სააკაშვილი უკვე ზედიზედ მეორეჯერ აღარ მიიწვიეს, შარშანდელი ფიასკოს შემდეგ!). ამ დროს კი ჰილარის მოადგილემ მოასწრო ათიდან თერთმეტ საათამდე ოპოზიციას შეხვედროდა, შემდეგ დილომში ამერიკის საელჩოდან ავლაბარში მისულიყო, სააკაშვილს დალაპარაკებოდა (საინტერესოა, რაზე?) და თორმეტზე აეროპორტში აღმოჩენილიყო!**

ჯეიმს სტეინბერგს ოპოზიციის ოთხი წარმომადგენელი ესაუბრა – „შეურიგებელი“ ქ-ნი ნინო ბურჯანაძე, ალიანსის წარმომადგენელი დათო გამყრელიძე (მათი ლიდერი ალასანია მიუნჰენში იმყოფება), გაურკვეველი პოზიციის მქონე ოპოზიციის ყოფილი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე და ე. წ. პარლამენტიდან გიო თარგამაძე. ეს უკანასკნელი „ოპოზიციონერი“ ამ შეხვედრიდან იმით გამოირჩა, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილეს უამბო რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე და (როგორც ტელეარხებით გავიგეთ) გააქტიურებისაკენ მოუწოდა! **იმედია, ქ-ნი ჰილარი კლინტონი ასეთ რჩევებს განსაკუთრებით გაიზიარებს და ბ-ნ თარგამაძეს ვაშინგტონში ფასდაუდებელ მრჩევლად წაიყვანს, როგორც მანამდე ჰყავდათ იგი ბ-ნ ასლან აბაშიძესა და ბ-ნ ბადრი პატარკაციშვილს!**

ბ-მა სტეინბერგმა ადრე შეპირებული ერთი მილიარდი დოლარი ჩამოგვიტანა დევნილების დასახმარებლად, რომლისგანაც სამაჩაბლოდან დევნილები (აფხაზეთიდან დევნილები, აბა, ვის ახსოვს?!) ერთ ჭიქა ჩაისაც არ მიიღებენ! **ევრონიუსი** ამ დღეებში აჩვენებს აზერბაიჯანში ყარაბაღიდან ერთ მილიონ დევნილს, რომლებსაც დენი, გაზი და წყალი აზერბაიჯანის ხელისუფლებისა და გაეროს დევნილთა კომიტეტისაგან უფასოდ მიეწოდებათ! სამაჩაბლოდან დევნილებს კი წეროვანში დენი გათიშული აქვთ!

გუშინდელ „ნიუ იორკ ტაიმსში“ მივაკვლიე საინტერესო მასალას, რომელიც სახელისუფლო პროპაგანდას თავდაყირა აყენებს:

**2008 წლის „პატარა ჭუჭყიანი ომის“ („ნიუ იორკ ტაიმსის“ სიტყვები) შემდეგ „ამერიკამ მთლიანად შეწყვიტა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება, შეწყვიტა იარაღის მიწოდება და სპეცდანიშნულების რაზმების მომზადება, ასევე, გააუქმა ადრე ხელმოწერილი ხელშეკრულებები ანტისატანკო და საჰაერო დაცვით სისტემებზე“, როგორც სენატორ ლუგარის ოფისი იუწყება, რომელსაც სურდა, რომ სენატს შეეცვალა ეს გადაწყვეტილება. აქვე მოცემულია შემდეგი ციფრები: ამერიკა საქართველოს სამხედრო დახმარებისათვის აძლევდა 2006 წელს ათი მილიონ ხუთას ათას (10,500,000) დოლარს, 2007 წელს – ოცდახუთ (25) მილიონ დოლარს, 2008 წელს სამოცდათორმეტ (72,3) მილიონ დოლარს, ხოლო 2009 წელს – სრული ნული. და ეს მიუხედავად ბ-ნ ბარამიძის განცხადებისა, (ალბათ, რუსების გასაღიზიანებლად), რომ „ახლა უფრო მეტ შეიარაღებას ვიღებთ, ვიდრე აგვისტოს ომამდე გვქონდაო!“**

**გარდა ამისა, შარშან, აგვისტოში ხელი მოეწერა 730 ქართველი ჯარისკაცის მომზადებას ავღანეთში საომრად გასაგზავნად. აქ ხაზგასმულია, რომ მთელი ეს იარაღი და აღჭურვილობა მათ წვრთების დამთავრების შემდეგ უნდა დააბრუნონ. ე. ი. ავღანეთის მიწაზე ეს ბიჭები უბრალოდ საზარბაზნე ხორცია?!**

ამერიკის საელჩოდან გამოსვლისას ქ-ნმა ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საჭიროა ამერიკის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე კულუარულ ზეწოლას რაიმე შედეგი მოჰყვეს, რასაც პარლამენტიდან მათი გაუპარსავი „სპოუკსმენის“ – დარჩიაშვილის მწვავე რეაქცია მოჰყვა, ეს მხოლოდ რუსეთი ახდენდა ჩვენზე ზეწოლას, ამერიკა კი ამას როგორ იკადრებსო! როგორც იტყვიან, აღდგომა და ხვალეო!...

მანამდე კი ჩვენ ვენეციის კომისიის პრეზიდენტი თავის ჯგუფთან ერთად გვეწვია. ევროსაბჭოს დავალებით, ეს იურისტები ევროპის ქვეყნებში კონსტიტუციებსა და საარჩევნო კოდექსებს სწვლობენ. სამწუხაროდ, მათი რეკომენდაციები ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სავალდებულო არ არის.

საკონსტიტუციო კომისიას, რომელსაც ბ-ნი ავთო დემეტრაშვილი ხელმძღვანელობს, ვენეციის კომისიასთან უკვე ჰქონდა შეხვედრა თხუთმეტი წლის წინათ. მაშინ პირველი ქართული პარლამენტის მიერ დამტკიცებულმა საკონსტიტუციო კომისიამ ჩიკაგოში საექსპერტო განხილვის შემდეგ სწორედ ვენეციაში წარადგინა ეს მოდელი და უმაღლესი შეფასებაც მიიღო, როგორც „სტანდარტული ევროპული კონსტიტუცია“!

ამ პრინციპით იყო აგებული კონსტიტუციის ის მოდელი, რომელიც ქართულ პარლამენტს 1995 წლის ივლისში წარედგინა, მაგრამ ამ ქუჩიდან მოყვანილმა პარლამენტარებმა მას ვერაფერი გაუგეს. გავიხსენოთ შევარდნაძის სიტყვები, რაც ჩემი თანდასწრებით თქვა – მოდი, ვინც ქუჩაშია, იმელში დავსვათ!!! იმელი კი მაშინ, ვიდრე მას არაბები ასე დაამახინჯებდნენ, საქართველოს პარლამენტის რეზიდენცია იყო.

მაგრამ ქართველ პარლამენტარებს 1995 წლის ივლისის დასაწყისში სხვა მოსაზრება ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ მათ ბელადს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს სრულიად არ მოსწონდა იდეა, რომ პრეზიდენტს თავისი ძალაუფლება პარლანეტისათვის უნდა გაეზიარებინა. ამიტომ ვენეციის კომისიის მიერ მოწონებული კონსტიტუციის ეს მოდელი „ბრწყინვალე“ ქართულ პარლამენტში მაშინ ჩავარდა. წამოდგა გალის რაიკომის ყოფილი მდივანი, ამხანაგი გულუა და ბრძანა: „მოდი მივიღოთ ამერიკული კონსტიტუცია,“ რასაც მოჰყვა „ბურნიე აპლოდისმენტი პერეხოდიაშჩიე ვ ოვაციუ“ (მე იქ ვიყავი). ხოლო ის ფაქტი, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი ამერიკის გარეთ ყველა სხვა ქვეყანაში, როგორც წესი, ავტორიტარულ მმართველობაზე გადადის და ხშირად დიქტატურითაც მთავრდება, არავის გახსენებია!

და მართლაც, 1995 წლის აგვისტოში (ზუსტად სამ თვეში) დაიწერა საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციის შავი ვარიანტი! მაგრამ ის კონსტიტუცია, რომელიც შევარდნაძის ტანზე მორგებული კოსტიუმი იყო, რაღაც მინიმალურ დასავლურ სტანდარტებს მაინც ითვალისწინებდა; მაგრამ შემდეგ გადატრიალების გზით მოსულმა არალეგიტიმურმა სააკაშვილმა კონსტიტუციის ყოველდღიური გაუპატიურება დაიწყო!

სხვათაშორის, პირველი ქართული კონსტიტუციაც, რომელიც 1921 წელს იყო მიღებული, ასევე საპარლამენტო, ანუ ევროპული მოდელი იყო. რასაკვირველია, იქაც იყო სერიოზული ხარვეზები, თანაც პოპულიზმით გამოწვეული. მაგალითად, იქ მთავრობის მეთაურს, რომელიც ავტომატურად სახელმწიფოს მეთაურიც იყო, პარლამენტი ნებისმიერ დროს ჩამოაგდებდა, ანუ სახელმწიფო თავისი მეთაურის გარეშე დარჩებოდა. იგივე პრინციპი ჰქონდა 2008 წლის საპრეზიდენტო კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძეს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღო თბილისში (მისი თქმით, ექვს თვეში იგი პრეზიდენტის ინსტიტუტს გააუქმებდა). და ესეც აბსოლუტურად არასერიოზულია – სახელმწიფო შეუძლებელია, იყოს ოფიციალური სახელმწიფო მეთაურის გარეშე, რომელმაც, შიდა კონფლიქტის შემთხვევაში, არბიტრის როლი უნდა შეასრულოს.

საინტერესოა, გავიხსენოთ, რომ პირველ ქართულ კონსტიტუციაში, რომელიც 1921 წელს მიიღეს, ეწერა, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება! ხოლო ამერიკის კონსტიტუციაში ორას ორმოცდაათი წლის განმავლობაში სულ ოცდაორი ცვლილებაა შეტანილი!

და ამან ათქმევინა ვენეციის კომისიის პრეზიდენტს, ბ-ნ ჯანი ბუკიკიოს გამგზავრე-

## მოკლედ



### ტანგო თუ ლამბადა?

მიუნჰენის უსაფრთხოების 46-ე კონფერენციაზე დამსწრე 40 ქვეყნის წარმომადგენლობამ ევროპის უსაფრთხოების შესახებ რუსეთის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის გეგმა არც მოიწონა და არც დაიწუნა. ესეც პროგრესია, აქამდე ევროპა რუსეთის ინიციატივებს მოსმენამდე უარყოფდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით განაცხადა ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა: „ნატოში ამბობენ, რომ თანამშრომლობა ტანგოა, რომელსაც ორი ცეკვავს. ჩვენ ტანგოს ვთავაზობთ, ისინი კი ლამბადას გვთავაზობენ“.



### ვაშაძეს ტაში არ დაუკრეს

მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე დამსწრე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ დარბაზიდანვე მიმართა თავის რუს კოლეგას — სერგეი ლავროვს და უთხრა, რომ რუსეთი მიუნჰენში იზოლაციაშია სამხრეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის გამო. როგორც მასმედია და კონფერენციის დამსწრენი აღნიშნავენ, დარბაზის რეაქციის მიხედვით იზოლაციაში მყოფს საქართველო უფრო ჰგავდა. ეს ღონისძიების ერთადერთი დისონანსი იყო და ვაშაძისათვის ტაში არავის დაუკრავს.




### კიეველი ფემინისტები იხდიან

კიევში ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, სადაც ხმა უნდა მიეცა პრეზიდენტობის კანდიდატ ვიქტორ იანუკოვიჩსაც, ქალთა საზოგადოებრივმა მოძრაობა „ფემენმა“ „უკრაინაში დემოკრატიის საფუძვლების დარღვევის საწინააღმდეგო“ აქცია გამართა. აქციას ფრიად ორიგინალური ფორმა ჰქონდა — წელს ზემოთ შიშველი უკრაინელი ქალები ბოლო ხმაზე გაჰკიოდნენ „კმარა ქვეყნის გაუპატიურება!“. გადარჩა თუ არა უკრაინა გაუპატიურებას, უცნობია, მისი „მაშველები“ კი ნამდვილად ვერ გადაურჩნენ დაკავებას.



### 400 მილიონი გერმანიისთვის

გერმანიამ გადაწყვიტა იმ დისკის შეძენა, რომელიც შვეიცარიის ბანკში გერმანელთა ანგარიშებისა და გადასახადებისთვის თავის არიდების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს და რომელსაც ბანკის IT–ქვეგანყოფილების თანამშრომელი ერვე ფალჩიანი 2,5 მილიონ ევროდ ყიდის.

დისკზე მოთავსებული ინფორმაცია გერმანიის ბიუჯეტს 400 მილიონი ევროთი გაამდიდრებს. დამნაშავეები ან ყველაფერს აანაზღაურებენ, ან ათ წლამდე პატიმრობისთვის მოემზადებიან.



### პრეზიდენტის აღიარება

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა 67 წლის ჯეიკობ ზუმამ მას შემდეგ, რაც მისი პირადი ცხოვრებით მთელი ქვეყანა დაინტერესდა, აღიარა, რომ რამდენიმე თვის წინათ მას 39 წლის ქალთან 2009 წლის ოქტომბერში უკანონო შვილი შეეძინა; კანონიერად სამი ცოლი, მეოთხე საცოლე და 19 შვილი ჰყავს. უკანონო მეოცე შვილის სქესი ცნობილი არაა. ეს პრეზიდენტი, რომლის ქვეყანაში ყოველი მეათე მოქალაქე შიდსითაა დაავადებული, თავის ხალხს პარტნიორებისადმი ერთგულებისაკენ ლამის ყოველდღე მოუწოდებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბის წინ: „რა მოგივიდათ, დამოუკიდებლობის ოცი წლის განმავლობაში ნუთუ ერთი ნორმალური, გამართული კონსტიტუცია ვერ დაწერეთ?!“ მისი თქმით, კონსტიტუციაში იმდენი ხარვეზია, რომ ის ვერავითარ თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; განცვიფრება გამოთქვა, რომ, იმის მაგივრად, ნულიდან დაწყებულიყო ახალი კონსტიტუციის წერა, საკონსტიტუციო კომისია კოსმეტიკური რემონტითაა დაკავებული. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ, რომ მათ კონსტიტუციის ერთი თავი უკვე მოამზადეს (კონკრეტულად რეგიონალური თვითმმართველობის შესახებ), ითქვა, რომ კონსტიტუციაში ჯერ მთავარი, კარდინალური მომართულებები უნდა გააზრებულიყო და მხოლოდ მერე უნდა გადასულიყვნენ დეტალებზე. გარდა ამისა, თვით თავიც თვითმმართველობის შესახებ გაკრიტიკდა როგორც ზერელე.

**საქართველოს საკონსტიტუციო კომისიაში ვენეციის კომისიასთან შეხვედრაზე, რომელსაც პოლიტიკური ექსპერტებიც ვესწრებოდით, მე მათ ავუხსენი, თუ წამყვანი პოლიტიკური პარტიები რატომ არ აპირებენ თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილეობას. ამის შემდეგ კი სააკაშვილის რეჟიმის მთავარმა იდეოლოგმა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ დირექტორმა ლევან რამიშვილმა განაცხადა, რომ „ამ არჩევნების შემდეგ საქართველოში აბსოლუტურად არაფერი არ შეიცვლება!“ მეც, ბუნებრივია, მაშინვე მივმართე კითხვით ვენეციის კომისიის პრეზიდენტს – ღირს კი ისეთ არჩევნებზე წასვლა, რის შემდეგაც ქვეყანაში აბსოლუტურად არაფერი არ შეიცვლება? რაზეც პასუხი ვერ მივიღე.**

ძირითადი პრინციპი, რაზეც ყურადღება გამახვილდა, არის „საპრეზიდენტო“ მოდელი. ეს მოდელი შემუშავდა ამერიკაში XVIII საუკუნის ბოლოს და ფართოდ მოედო მსოფლიოს, ევროპის გარდა. მან არსად, ამერიკის გარდა, არ იმუშავა, როგორც კონკრეტულად დემოკრატიის საერთოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარემ. განსაკუთრებით ეს ეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც ამ ტიპის მმართველობა ყველგან ავტორიტარიზმში გადავიდა, ლამის სამუდამო პრეზიდენტობის სახით, როგორც თურქმენეთსა თუ ყაზახეთში, და რაზეც ასე ოცნებობს ჩვენი საყვარელი მიშიკო. დასავლეთ ევროპაში კი ყველგან საპარლამენტო მოდელია, სადაც არჩევნებში გამარჯვებული პარტია მარტო ან სხვა პარტიასთან ერთად ქმნის მთავრობას და პარლამენტის, და არა სახელმწიფოს მეთაურის, ვერდიქტს ექვემდებარება.

ყველაზე გახმაურებული მოვლენა, რაც საპარლამენტო მოდელს ეხება, ეს არის ის ფაქტი, როდესაც ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, რომელიც არასოდეს ერეოდა და არც ამჯერად ერევა ქვეყნის საქმეებში (იქ კონსტიტუციური მონარქიაა), მაშინ, როდესაც 1981 წელს სამხედროები შევარდნენ პარლამეტში და სააკაშვილივით მოინდომეს სახელმწიფო გადატრიალება, ხუან-კარლოსი უშიშრად მივიდა სამხედროებით ოკუპირებულ პარლამენტში და მათ (სამხედროებს) ყაზარმებში წასვლა უბრძანა და ისინიც... დამორჩილდნენ!

ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება კითხვა – რისთვის ჩამოდის ცივილიზირებული ევროპის მიერ არჩეული ვენეციის კომისია, თუ მის არც ერთ რეკომენდიციას არც აქამდე და არც შემდეგ არ გაითვალიწინებენ? ასეთ შემთხვევაში, როდესაც ანტიეროვნული თუ ანტიქართული ხელისუფლების პირობებში (როგორც გინდათ, ისე დაუძახეთ, შინაარსი არ შეიცვლება) ოპოზიციის გარკვეული ნაწილისაგან სულ უფრო გვესმის მოწოდება, გამოვიდეთ „კონსტიტუციის ჩარჩოებიდან“, ანუ სააკაშვილის მიერ მრავალჯერ გაუპატიურებული კონსტიტუციიდან! და ეს მაშინ, როდესაც კონსტიტუციის დარგში ევროპის უმაღლესი ორგანო არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ ქვეყნისა და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისა და ახლობლების გადასარჩენად ამ (საკონსტიტუციო) ჩარჩოებში, ანუ ციხის გისოსებში როდემდის უნდა დავრჩეთ?

# უკრაინული ენდშპილი სააკაშვილისთვის

**მოხდა ის, რასაც მთელი მსოფლიო ელოდა, სააკაშვილის გუნდის გარდა – უკრაინაში ახალი პრეზიდენტი მოვიდა, რომელიც, თავისი გენეტიკური ქართველობის(?!) მიუხედავად, მიშას ნათელ-მირონი მაინც არ იქნება! სააკაშვილმა კიდევ ერთხელ „ჩაისვარა“ თავის სამარცხვინო ტროცკისტ (რევოლუციების ექსპორტ) თარგამაძესთან ერთად, თან ბუშის იდეა „ფერად რევოლუციებზე“ საბოლოოდ დაასამარა! იწყება ახალი ერა, მაგრამ ეს სააკაშვილის გუნდმა ნუთუ გაიგო?**



პირველი, რაც დასავლეთისგან გავიგეთ ისაა, რომ, მიუხედავად ნეიტრალიზებაზე საჯარო განცხადებისა, ბოლო დღეებში ანგელა მერკელიც და სარკოზიც ღიად სწორედ იულია ტიმოშენკოს უჭერდნენ მხარს. ამიტომ **გასაკვირი გახდა „პროდასავლურად“ წოდებული უკრაინის პრეზიდენტისა და მიშიკოს ახლო მეგობრის, არჩევნების პირველ ტურში 5%-ით მოსული იუშჩენკოს მოულოდნელი ტრანსფორმაცია – ის იანუკოვიჩის მომხრეებს შორის აღმოჩნდა** და ამით საქართველოში არსებული „ექსპერტები“ გააწბილა, რომლებიც მას „დემოკრატობას“ სრულიად ტყუილად სწამებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მან არჩევნების პირველ ტურში სახელისუფლო რესურსი **ვერ** გამოიყენა! არადა, **სწორედ სააკაშვილმა ბრძანა პირველი ტურის შემდეგ, რომ, სამწუხაროდ, უკრაინაში ვერ შეიქმნა მძლავრი სახელისუფლო ვერტიკალი, რომელიც, ალბათ, მისი აზრით, არჩევნების გაყალბებას შეძლებდა! გასაგები ენით რომ ვთქვათ, სააკაშვილის ნათელ-მირონმა ევროპის ყველაზე დიდ ქვეყანაში ქვეყნის „ხერხემლის“ სახით უკრაინელი მერაბიშვილი ვერ იპოვა!**

მაგრამ ჯერჯერობით არაფერი არ დამთავრებულა, დასავლეთ უკრაინიდან ჩამოყვანილი იულიას ბოევიკები გაცოფებული არიან და ხელისუფლებას ასე ადვილად არ დათმობენ! თუმცა დონეცკის მეშახტეები და დნეპროპეტროვსკის მუშები რომ ლამაზ ცხოვრებასა და ნატოზე ოცნების ზღაპრებს აღარ ჩაყლაპავენ – ესეც ცხადია! და უკრაინა გახლეჩვის პირასაა, რომელიც ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა – ვიქტორ იუნოკოვიჩმა უნდა გადაარჩინოს.

მკითხველს ორი სიტყვით კიდევ ერთხელ გავახსენებ – ათიოდე საუკუნის წინათ ვიკინგებმა კიევში შექმნეს ახალი სახელმწიფო სახელწოდებით „კიევსკაია რუს“, თავიანთი რიურიკების დინასტიით (ოლეგი და ოლგა). მონღოლთა შემოსევის შემდეგ ისინი მოსკოვის სათავადოს გადაბარგდნენ, ხოლო ეს ტერიტორია პოლონელებს დარჩათ. დნეპრის სათავეებთან ბატონყმობას გამოქცეული ხალხი დასახლდა „კაზაკების“ სახელით და მალე, ანუ სამას ორმოცდაათი წლის წინათ, მათმა გეტმანმა (არჩეულმა მთავარმა) ბოგდან ხმელნიცკიმ დნეპრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი რუსეთს მიუერთა.

ამავე დროს ყირიმის ნახევარკუნძული, რომელიც მის ჩრდილოეთ მიწებთან ერთად „ყირიმის სახანოდ“ იყო ცნობილი, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ის თათრებით იყო დასახლებული და 1783 წელს ეკატერინე მეორის ჯარებმა დაიპყრეს და რუსეთის იმპერიას შეუერთეს. ეს სტრატეგიული ნახევარკუნძული, რომელიც შავ ზღვას აკონტროლებს, რასაკვირველია, არ დარჩა დასავლეთის მხედველობის გარეთ და მას ოსმალებთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის შუაგულში ინგლისმა და საფრაგეთმაც შეუტიეს, მაგრამ ორწლიანი „ყირიმის ომის“ შემდეგ ეს ტერიტორია რუსეთს დაუტოვეს.

როდესაც 1941 წელს ყირიმი გერმანელმა ნაცისტებმა დაიკავეს, მათ ბოლშევიკების მიერ ბახჩისარაიში აფეთქებული მთავარი მეჩეთის აღდგენა დაიწყეს და თათრების გული მოიგეს. სამაგიეროდ, 1944 წელს საბჭოთა ჯარებმა ყველა თათარი (ჩეჩნებთან და ინგუშებთან ერთად) შუა აზიაში გაასახლეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), რომელშიც საბჭოთა კავშირს მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდა. მაშინ სტალინმა „მოისაზრა“ ორი ახალი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო – უკრაინა და ბელორუსია, მისცა რა მათ პოლონეთის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი (თვითონ აღმოსავლეთ პრუსია დაიტოვა კალინგრადის ოლქის სახით, პოლონეთს კი საკომპენსაციოდ დასავლეთ პრუსია მისცა). უკრაინისათვის ეს საკმარისი არ იყო და მას რუმინეთისაგან წართმეული ჩრდილო ბუკოვინა უბოძა, დღეს ჩერნოვეცის ოლქად წოდებული, ასევე კარპატების ოლქი. დღევანდელი უკრაინის შექმნა კი აღმოსავლეთ უკრაინაში დაბადებულმა ღორების მწყემსმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დაასრულა ცეკას მდივნობისთანავე – მან 1954 წელს ყირიმის ავტონომია უკრაინას „უსახსოვრა“!..

დღეს შუა აზიაში გადასახლებული თათრები ყირიმში დაბრუნდნენ, რის გამოც მათში სეპარატიზმის მუხტი ძალიან მაღალია. მხოლოდ კიევის გარშემო მცხოვრები ინტელექტუალები არიან ისინი, ვინც თავს ნამდვილ უკრაინელებად თვლის. აი, უკრაინის დანარჩენ ნაწილებში კი სერიოზული პრობლემებია იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, და განსაკუთრებით ეს ეხება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას.

**როგორც ცნობილია, იუშჩენკო მოითხოვდა უკრაინის ნატოში აუცილებელ გაწევრიანებას, რაზეც, საქართველოს ზომბირებული ხალხისაგან განსხვავებით, უკრაინის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები უჭერდა მას მხარს. და ეს გახდა ქვეყნის თითქმის ოფიციალური გახლეჩის მიზეზი, რაც შეიძლება სწორედ ახალმა პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა გადაარჩინოს; ის ღიად ამბობს უარს ნატოზე, სამაგიეროდ, კვლავ მოითხოვს უკრაინის ევროკავშირში შესვლას, რაც, ჩემი აზრით, სრული უტოპიაა.**

მაგრამ დღეს ყველაფერი დამოკიდებულია ტიმოშემკოს ბოევიკებზე, დაანგრევენ თუ არა ისინი ქვეყანას საკუთარი ტყავის გადასარჩენად. **სააკაშვილმა უკვე თქვა თავისი სიტყვა – უკრაინაში ორი ათასზე მეტი ბოევიკის გაგზავნით ის უკრაინის დანგრევას უჭერს მხარს. თუმცა მისმა ნათელ-მირონმა ბოლო დღეებში თავის პოლიტიკურ მტერს – ვიქტორ იანუკოვიჩს ღიად დაუჭირა მხარი.**

გაიგებს კი საქართველოს ჯერ კიდევ პრეზიდენტი ახლად წარმოქმნილ რეალობას? თუ გაიგებს და მალე მიატოვებს მისთვის შეუფერებელ თანამდებობას, ხომ კარგი! თუ არადა, ამას ქართველი ხალხი მას მკაცრად აუხსნის!!!

**რამაზ კლიმიაშვილი**

## მოკლედ



## ევროკავშირს ჩინეთი უჩივის

1996 წელს ჩინური და ვიეტნამური ფეხსაცმლისათვის 9,7-დან 16,5-პროცენტამდე დაწესებული ბაჟის მოქმედების ვადა ევროკავშირმა გასული წლის დეკემბერში კიდევ ერთხელ, ამჯერად 15 თვით, გაახანგრძლივა. ჩინეთს მოთმინების ძაფი გაუწყდა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შესჩივლა.

საჩივარს რეაგირება არ მოჰყოლია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ ევროკავშირს ამგვარი ზომები არ შველის და მისი ფეხსაცმლის ბაზარზე 30% მაინც ჩინურ და ვიეტნამურ ნაწარმს ეკუთვნის.



## სტროს-კანს პრეზიდენტობა უნდა

მსოფლიო სავალუტო ფონდის დირექტორი დომინიკ სტროს-კანი თანამდებობიდან გადადგომასა და საფრანგეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს.

წარსულში ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი ახლა იმდენად პოპულარულია, რომ მოსახლეობა სასურველ პრეზიდენტად ყველაზე ხშირად მას ასახელებს. მეორე მხრივ, სოციალისტები, რომელთა წარმომადგენელიცაა სტროს-კანი, კარგა ხანია, სარკოზის დამარცხებისათვის სათანადო კანდიდატს ეძებენ.



## აშშ ისევ სესხულობს

აშშ-ის კონგრესმა ქვეყნის სახელმწიფო ვალის 1,9 ტრილიონი დოლარით გაზრდაზე თანხმობა განაცხადა. შედეგად, აშშ-ის სახელმწიფო ვალი რეკორდულ 14,3 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება და ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უცხოელი ინვესტორებისათვის დაახლოებით 46 ათასი დოლარი ექნება გადასახდელი. ეს კანონპროექტი ამერიკისთვის დეფოლტის თავიდან აცილების ერთადერთი გზა აღმოჩნდა. ვიდრე ახალ პროექტს ბარაკ ობამა მოაწერს ხელს, აშშ-ის ვალი საერთო შიდა პროდუქტის 88%-ს — 12,37 ტრილიონ დოლარს შეადგენს.




## გერმანია ისლამისტებს დაერია

გერმანიის პოლიციის 300-კაციანმა რაზმმა 43 ბინა გაჩხრიკა და შეამოწმა 24-დან 59-წლამდე ასაკის 39 მამაკაცი, რომლებიც, პროკურატურის მონაცემებით, ტერორისტული ორგანიზაციისათვის ახალი წევრების გადაბირებითა და „ასზე მეტი ადამიანის ისლამიზაციასა და რადიკალიზაციაში“ იყვნენ ეჭვმიტანილნი. შვიდ მათგანს ახლა ორგანიზებულ დამნაშავეობაში ედება ბრალი. სპეცსამსახურების მონაცემებით, მხოლოდ ბერლინში ძალადობრივი ქმედებისათვის მზად მყოფი 430 ისლამისტი ცხოვრობს.



## კუბა ვენესუელას ეხმარება

ვენესუელის პრეზეიდენტი უგო ჩავესი ენერგოკრიზისთან დაკავშირებით კუბელ სპეციალისტებს ესაუბრა და თვლის, რომ მათი რჩევები, სინათლეზე გრაფიკის დაწესებისაგან განსხვავებით, პრობლემის დაძლევაში დაეხმარება. ვენესუელა ამ ფაქტმა ძალიან გააბრაზა, ქვეყნის პრობლემებს ჩვენი მთავრობა უნდა აგვარებდეს და არა — კუბის ვიცეპრეზიდენტიო, მით უფრო, რომ კუბას თავადაც ანალოგიური პრობლემები აქვს და, თუ რამე იცის, თავს მიხედოსო. ვენესუელაში ენერგოკრიზისის მთავარ მიზეზად გვალვა იქცა.

# ვანოს ხელობა — ქაოსის სამეფო, ანუ რით ერთობიან მერაბიშვილის ბიჭები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერებისას, მისამართზე http://www.police.ge/index.php?m=448 წავაწყდი შემდეგი შინაარსის განცხადებას:**
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაგეგმილი აქვს 3D კომპიუტერული თამაშის შექმნა.**
**აღნიშნული პროექტის შესაქმნელად გვესაჭიროება:**
**1. გეიმ დიზაინერები;**
**2. 3D გრაფიკასთან მომუშავე პროგრამისტები (სასურველია, თამაშის ძრავებთან მუშაობის გამოცდილებით);**
**3. 3D/2D გრაფიკის სპეციალისტები. ...**
**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: 899 482333, ელ-ფოსტა: gio@security.gov.ge**
**გასაუბრებაზე სასურველია ნამუშევრების პორტფოლიოს წარმოდგენა.**




ამ განცხადებამ მეც ისევე გამაოცა, როგორც — თქვენ.

მეც თქვენსავით გამიჩნდა კითხვა — სად 3D თამაში და სად შინაგან საქმეთა სამინისტრო?!

როგორც ჩანს, მერაბიშვილი და მისი ხელქვეითები თვლიან, რომ ქვეყანაში საქმე ისე კარგად არის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, კომპიუტერული თამაშების შექმნის გარდა, სხვა საზრუნავი აღარაფერი დარჩენია...

არადა, ყველამ ვიცით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დღეს ქვეყნის მთავარი პროპაგანდისტია და მედიასაშუალებების, ანუ აგიტატორთა დიდი ნაწილი სწორედ ვანოს კანტორიდან იმართება. გამომდინარე აქედან ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ ეს თამაშიც პროპაგანდას ემსახურება და რევანშის სურვილით არის ნაკარნახევი.

ცნობილია, რომ აგვისტოს ომის შემდეგ არაერთი თამაში შეიქმნა, რომლითაც გაშარჟებულია სააკაშვილის მიერ ჰალსტუხის ღეჭვა და გორში მიწაზე მისი ფორთხვა.

როგორც ჩანს, ეს თამაშები მერაბიშვილის კანტორაში საინფორმაციო ომის ნაწილად მიიჩნიეს და კონტრზომების მიღება გადაწყვიტეს.

თუ განცხადებაში მითითებულ მოთხოვნებს **(3D გრაფიკასთან მომუშავე პროგრამისტები, თამაშის ძრავებთან მუშაობის გამოცდილება**) გავითვალისწინებთ ცხადია რომ შსს-ს სურს, შექმნას სამგანზომილებიანი თამაში-სტრატეგია.

ფორუმებზე უკვე საუბრობენ, რომ ეს თამაში მიეძღვნება აგვისტოს ომს, რაც ლოგიკურიც არის, რადგან სააკაშვილის იმიჯისათვის ჰალსტუხის ღეჭვითა და მიწაზე ფორთხვით მიყენებულ ზიანს მხოლოდ ენდი გარსიას მონაწილეობით გადაღებული ფილმი ვერ აღადგენს.

თანაც სადმე, თუნდაც კომპიუტერულ თამაშში, თუნდაც ვირტუალურად მაინც ხომ უნდა იყოს მთავარსარდალი გამარჯვებული, რომელმაც რეალურ ომში თავი მხოლოდ ჰალსტუხის ღეჭვითა და მიწაზე ფორთხვით ისახელა!

ქვეყანაში, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპიუტერული თამაშების შექმნაზეა გადასული, ყველაფერი რიგზე რომ არ არის, ალბათ, დამეთანხმებით.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარი ირონიის გარეშე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვთავაზობთ სიუჟეტს ახალი თამაშისთვის.

ყველა გეიმერმა იცის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში **Warcraft - Reign of Chaos** (ომის ხელობა – ქაოსის სამეფო. ინგ.) დახვეწილი სიუჟეტით, გამოსვლის პერიოდისათვის არცთუ ურიგო ძრავით და, რაც მთავარია, დაუვიწყარი, ჰარიზმატული პერსონაჟები – პრინცი არტასი, ღამის ელფების თავკაცი ილიდანი, ოქროსწვერა დვარფი, ჯადოქარი ნეკროსი, ფარიონ მძვინვარე, შავბნელი მაგი კელტუზანი, სულებთან მოსაუბრე კლერიკალი და სხვ.

და, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრო შექმნის ახალ თამაშს **wanocraft— Reign of Chaos** (ვანოს ხელობა – ქაოსის სამეფო), მას, სულ ცოტა, პერსონაჟებსა და დახვეწილ სიუჟეტზე არ მოუწევს ფიქრი, ერთადერთი ორიგინალი **warkraft**-ის პერსონაჟებისათვის **wanocraft**-ში რეალური პროტოტიპების შერჩევა მოუწევს (მაგალითად, სულებთან მოსაუბრე — ნათელმხილველი ლელა კაკულია, ფარიონ მძვინვარე – მიხეილ სააკაშვილი, ოქროსწვერა დვარფი – თემურ იაკობაშვილი და ა.შ).

თანაც ორიგინალ warkraft — Reign of Chaos-ს აქვს გაგრძელება frozen tron (გაყინული ტახტი), თუ გავითვალისწინებთ, რომ ვანოსა და მიშას მიერ საქართველოში შექმნილი ქაოსის გამო, რახანია, გაიყინა არათუ ნატოში მიღების, არამედ სააკაშვილის მიერ ტახტის 2013 წლამდე შენარჩუნების პერსპექტივა, ცხადია, რომ ასეთი გაგრძელება, ანუ „გაყინული ტახტი“ ქართულ **Wanocraft**-საც მოუხდება.

როგორც ხედავთ, ირონიის გარეშე შს სამინისტროსთვის იდეის შეთავაზება გამიჭირდა, ამიტომ მინდა ვთხოვო გეიმერებს, **warcraft**-ის ქართველ ფანებს, რომ მისამართზე info@geworld.net მოგვაწოდონ იდეები ორიგინალი **Warcraft**-ის პერსონაჟთა **Wanocraft** — ისეულ პროტოტიპებზე, თამაშის სიუჟეტზე... ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხეირიანი პროპაგანდისტული თამაშის შექმნაში დაეხმარება, რათა ჩვენმა სახელოვანმა მთავარსარდალმა ვირტუალურ სამყაროში მაინც დაიმკვიდროს მძვინვარე მეომრის სახელი...

ირონიას ისევ ვერ გავექეცი, ამიტომ სერიოზულად გადავწყვიტე შსს განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე (899 482333) პატივცემულ გიორგი ლუაშვილთან დარეკვა და გარკვევა, ვანოს კანტორა მართლა აპირებდა ამ თამაშის შექმნას, თუ ეს რომელიმე ოპოზიციონერი „ჩაინიკის“ ბოროტი ხუმრობა იყო.


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მთავარი | სამინისტრო | სამსახურები | სტატისტიკა | დაგვიკავშირდით | განცხადებები | საიტის რუქა

ძებნა საიტზე | Ok

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საჭირო ინფორმაცია

შსს სამინისტროს დანაყოფები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაგეგმილი აქვს 3D კომპიუტერული თამაშის შექმნა.

აღნიშნული პროექტის შესასრულებლად გვესაჭიროება:

1. გეიმ დიზაინერები
2. 3D გრაფიკასთან მომუშავე პროგრამისტები (სასურველია თამაშის ძრავებთან მუშაობის გამოცდილება)
3. 3D/2D გრაფიკის სპეციალისტები ...

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: 899 482333 , ელ-ფოსტა: gio@security.gov.ge

გასაუბრებაზე სასურველია ნამუშევრების პორტფოლიოს წარმოდგენა.

მთავარი | სიახლე | კონტაქტი

დავრეკე და... თუმცა რაღა გავაგრძელო, წაიკითხეთ ამ საუბრის ჩანაწერი და დასკვნებიც გამოიტანეთ:

**— ალო, განცხადების თაობაზე, თამაშის თაობაზე გირეკავთ; მაინტერესებს, რა ჟანრის თამაშის შექმნას გეგმავთ.**

— ეს იქნება დაახლოებით ედენჯერი ქვესტი.

**— უკვე შემოტანილია განცხადებები თუ კიდევ გჭირდებათ?**

— გასაუბრება იქნება 11-ში.

**— დაახლოებით ანაზღაურება როგორი იქნება, ღირს მუშაობა?**

— ანაზღაურებაზეა, კი. თქვენი სპეციალობა?

**— მე 3D გრაფიკაზე ვმუშაობ: Maya, 3D max**.

— მობრძანდით, გვანახეთ ნამუშევრები.

**— რამდენხნიანი სამუშაო იქნება?**

— სტაბილური იქნება სამუშაო.

**— ესე იგი ამ ერთი შეკვეთის შემდეგ კიდევ იქნება ხომ?**

— კი, იქნება.

**— მითხარით, ეს ბოროტი ხუმრობაა თუ მართლა შსს აპირებს ამ თამაშის შექმნას?**

— დიახ, შსს ქმნის...

**— შეგიძლიათ, მითხრათ ამ თამაშის შინაარსი?**

— ეს იქნება ერთი პოლიციელის თავგადასავლის სიმულატორი.

**— უშუალოდ პოლიციელებს შეეხება?**

— მთავარი პერსონაჟი პოლიციელი იქნება.

**— თამაშის შექმნის მიზანი რა არის?**

— აიპი-ტექნოლოგიების განვითარება საქართველოში.

**— შსს რატომ აკეთებს, მის ფუნქციებში აიპი-ტექნოლოგიების განვითარებაც შედის?**

— შსს-ს ინიციატივაა, რომ შეიქმნას ქართული თამაში...

**— ალბათ, ამ თამაშის შინაარსიც მისაღები იქნება შსს-სთვის...**

— როგორც გითხარით, ეს იქნება ერთი პოლიციელის ისტორია.

**— ამ სცენარს ვინ დაწერს?**

— ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ. თქვენ კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

**— გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციიდან ვრეკავ, ამ თამაშის შესახებ მასალას ვამზადებთ.**

— კი, ბატონო.

**— სცენარს შსს პრესსამსახური აკეთებს თუ ვინმეს უკვეთავთ?**

— არა, შეკვეთები არ იქნება. ეს არ იქნება უაზრო სროლები. პერსონაჟი-პოლიციელი გაივლის სხვადასხვა საფეხურებს — დაიწყებს ყველაზე დაბალი საფეხურიდან, შემდეგ საფეხურებზე დაწინაურდება, წოდებები მოემატება, ასე ვთქვათ, თანამდებობრივად ამაღლდება. თამაში მოიცავს სამინისტროს ყველა დეპარტამენტს. ახლა მე მიახლოებით გეუბნებით, ცოტა რთულია თამაშის შექმნა, ზოგადად კი ასეთი შინაარსი იქნება.

**— გიორგი, ამ თამაშში კონკრეტული, უკვე მომხდარი ისტორიები იქნება თუ გამოგონილი?**

— ზოგი ფაქტი, ალბათ, გამოგონილი იქნება, მაგრამ ზოგი ნამდვილიც იქნება (რაც მოხდა) და მისი გამოძიება ჩატარდება. ეს ყველაფერი, ვინც ითამაშებს, იმან უნდა გააკეთოს, გამოიძიოს და ა.შ.

**— წეღან მითხარით, რომ თამაში ყველა დეპარტამენტს მოიცავსო, ე.ი. ეს პოლიციელი პატრულშიც მუშაობს, სოდშიც, კუდშიც?**

— დიახ, ზუსტად ასე იქნება.

**— შეგიძლია მითხრა, ვის ეკუთვნის ეს ინიციატივა?**

— (იცინის) შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**— სამინისტროს როგორ? ალბათ, კონკრეტულ ადამიანს — მინისტრს?**

— არა, ვერ გეტყვით.

**— გასაგებია, მივხვდი, საიდან შეიძლება წამოსულიყო ეს იდეა... უკვე მუშაობთ ამ თამაშის შექმნაზე?**

— ჯერ არა, ჯერჯერობით კასტინგია, ჯერ იმ ხალხის შერჩევა ხდება, ვინც თამაშის შექმნაზე იმუშავებს, რადგან ძალიან შრომატევადი საქმეა. ესენია დიზაინერები, თამაშის დამპროექტებლები, პროგრამისტები...

**— ამ ამბებს ვინ მოგცემთ, ნამდვილ ამბებს ვგულისხმობ?**

— ჩვენი სამსახურები, სავარაუდოდ, ანალიტიკური დეპარტამენტი მოგვაწვდის.

**— აჰა, შოთა უტიაშვილის ინიციატივა ყოფილა.**

— ვერ გეტყვით, ვისი ინიციატივაა, ნამდვილად არ ვიცი.

**— შსს პრესსამსახური ჩართულია ამ საქმეში?**

— კი, პრესსამსახურიც მონაწილეობს. ამ თამაშის შექმნა დაევალა კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების მთავარ სამმართველოს, აიპი მთავარ სამმართველოს. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოა.

**— ტექსტებს, ალბათ, უტიაშვილის დეპარტამენტი მოგაწვდით...**

— ვერ გეტყვით. მარტო მოწოდებული ტექსტებიც არ იქნება საკმარისი. თამაშისთვის, ალბათ, გადაკეთება გახდება საჭირო. ამასაც ის ხალხი გააკეთებს, ვისაც თამაშის შექმნა დაევალება — დიზაინი, მულტიპლიკაცია, გახმოვანება. ალბათ, ეს ჯგუფი გააკეთებს. ანალიტიკური სამსახური უბრალოდ ვერ შეძლებს თამაშისთვის ტექსტების შექმნას.

**— მხოლოდ ერთი თამაში შეიქმნება თუ კიდევ აპირებთ სხვა თამაშების გაკეთებასაც?**

— თუ ეს თამაში გამოგვივიდა და ნამდვილად უნდა გამოგვივიდეს, ალბათ, შემდეგი თამაშებიც იქნება — უფრო მასშტაბური.

**— გათვლები უფრო პროპაგანდაზე კეთდება თუ კომერციული მხარეც არის გათვალისწინებული?**

— ეს არ არის კომერციული პროექტი. ეს თუნდაც იმიტომ კეთდება, რომ აიპი ტექნოლოგიებით საქართველო ჩვენს მეზობლებს ძალიან ჩამოვრჩებით.

**— პროექტს მთლიანად შსს აფინანსებს?**

— ნამდვილად არ ვიცი. ინიციატივა კი იყო ჩვენი, მაგრამ ფინანსების ამბავი არ ვიცი. ჩემი საქმე ამ თამაშის შესაქმნელად ხალხის შერჩევაა. ამას მთლიანად ქართველები გააკეთებენ. არ დავიქირავებთ უცხოელებს და არ ჩამოვიყვანთ.

**— პოლიტიკური დატვირთვა თუ ექნება ამ თამაშს?**

— არავითარი პოლიტიკური დატვირთვა, მხოლოდ გასართობი და შემეცნებითი თამაში იქნება. შეიძლება ჩაიდოს რაღაც ელემენტები. ჯერჯერობით სცენარი მთავარი არ არის, რადენადაც მნიშვნელოვანია გზა, რაზეც თამაში უნდა შეიქმნას და იმ ხალხის შერჩევა, ვინც ეს თამაში უნდა შექმნას.

**— ტექნიკური ბაზა, ალბათ, უკვე გაქვთ.**

— კი, რამდენიმე ვარიანტია და ერთ-ერთ საუკეთესოს შევარჩევთ.

**— თქვენ რომელ სამსახურში მუშაობთ?**

— ინფორმაციული ტექნოლოგიების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვარ.

**ლაშა გიორგიძე**

# პატარა ომი, რომელსაც უნდა შეეძრა მსოფლიო

# რატომ არ ითვლება ვაშინგტონში ვოიაჟები ღალატად

**საკვირველი ის კი არ არის, რომ ამ ბოლო დროს ქართულ სინამდვილეში აშკარად იკვეთებიან პრორუსული ორიენტაციის პარტიები თუ ცალკეული პოლიტიკოსები, არამედ ის, რომ აქამდე ვერავინ ბედავდა ხმამაღლა და გამჭვირვალედ საკუთარი პოლიტიკური ორიენტაციის დაფიქსირებას, ზურაბ ნოღაიდელის სკანდალური ვიზიტებისა თუ განცხადებების შემდეგ კი მოსკოვში წასვლის მსურველთა რიგი დადგა!**




საქართველოში, რომელიც 200 წლის მანძილზე რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო (აღარაფერს ვიტყვი ქართულ-რუსულ კულტურულ ურთიერთობასა და ერთმორწმუნეობაზე), თუნდაც მხოლოდ ამიტომ ბუნებრივი და ობიექტური არ არის პრორუსული პოლიტიკური ძალების არსებობა?

**თუმცა ისიც საკითხავია, რამდენად გულწრფელნი არიან ნოღაიდელი თუ მის ფარვატერში ჩამდგარი კახა კუკავა, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და ნინო ბურჯანაძე რუსეთთან ახალი პოლიტიკის კეთების სურვილში? ესენი ის ხალხი არაა, გუშინდლამდე ამერიკა რომ აბოდებდა და „ნატო-ნატოს" ძახილში ნაცებსაც არ უდებდა ტოლს?**

ერთი სიტყვით, კითხვები საკმარისზე მეტია, უკვე დასმულიც და დასასმელიც, რაც ბუნებრივად გაჩნდება წერილის სათაურში გამოტანილი მთავარი კითხვის პასუხის ძებნისას, რასაც მკითხველთან ერთად ქვემოთ შევეცდები. მაშ, ასე, ვნახოთ, რა გამოვა.

### რას ნიშნავს პრორუსულობა ან პროამერიკელობა?

**უფრო სწორად, თავსართ „პრო"-ში რა იგულისხმება? გააჩნია, ვის როგორ ესმის ამის დეფინიცია. არსებობს ორი გაგება ამ სიტყვისა და ორივე პრაგმატული, მაგრამ ერთი პრაგმატულობა შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს და მეორე მხოლოდ ვიწროპარტიული, გნებავთ, მერკანტილური ინტერესებიდან მოდის, ანუ, უპირველესად, ქართველი უნდა იყო, ანუ პროქართველი პოლიტიკოსი და აქედან გამომდინარე შენი პრორუსულობა თუ პროამერიკულობა განიხილება როგორც შენი ქვეყნისთვის ჩიხიდან გამოსასვლელი გზების ძიება. რა არის ამაში სათაკილო თუ სამარცხვინო, მითუმეტეს აგენტის იარლიყის მიწებების საფუძველი?**

მეორეც — თუ პროქართველი არ ხარ, მაშინ გინდა პროდასავლელი იყავი და გინდა პროპაკისტანელი. ყველა შემთხვევაში, მერკანტილიზმის, „ვიგოდნიკობის" სუნი ასდის ასეთ პრაგმატიზმს და სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როცა ზემოთ მავანთა გულწრფელობის შესახებ დავსვი კითხვა. თუმცა ვერც ასეთ შემთხვევაში ვიქნები აგენტის იარლიყების მიწებების მომხრე!

**არ ვიცი, რუსეთს რა გათვლები აქვს ზურაბ ნოღაიდელთან დაკავშირებით ან რა გათვლებს გააკეთებენ მოსკოვში ჩასვლის ზემოთ ჩამოთვლილი (და არ ჩამოთვლილი) ან სხვა მსურველების მიმართ, მაგრამ ერთი კი რუსებისგანაც საკვირველია — არ იციან მოსკოვში იმის შესახებ, რომ ნოღაიდელი იქნება თუ ბურჯანაძე, კუკავა თუ ძიძიგურ-დავითაშვილი, ნაციონალების გაგრძელებები არიან და მათაც მიუძღვით არც თუ უმნიშვნელო წვლილი ანტირუსული რიტორიკის დამკვიდრებაში?**

შარშან, გაზაფხულზე, საპროტესტო აქციების პიკის დროსაც კი, როცა მშვიდობიან მომიტინგეებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ადამიანებს ციხეში ყრიდნენ; 26 მაისის შემდეგაც, როცა სტადიონი გაივსო რეჟიმით უკმაყოფილო ქართველებით, დასავლეთიდან მხოლოდ ის მესიჯი მოდიოდა, რომ მხარს უჭერდნენ „დემოკრატიულად" არჩეულ სააკაშვილის ხელისუფლებას. ამით, პიტერ სემნევი იქნებოდა თუ ჯოზეფ ბაიდენი, საფრანგეთის ელჩი თუ პოლიტიკურ მოუსავლეთში მიმავალი ჯორჯ ბუში, შეურაცხყოფას აყენებდნენ ქართველ საზოგადოებას, მაგრამ მაშინაც ოპოზიციის ლიდერთაგან (გოგა ხაინდრავას გარდა)

### ვერავინ გაბედა, რომ დასავლეთის „დემოკრატიული" მესიჯებისთვის ადეკვატური შეფასებები მიეცა; ყველანი მზად იყვნენ მათი „დემოკრატიული ბაშმაკების" ასალოკად.

დღეს, როდესაც რუსეთის თემისა თუ რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკის მარგინალიზაცია ხელისუფლების პროპაგანდის მთავარი მიმართულებაა, უსამართლობა იქნება ზურაბ ნოღაიდელის გამბედაობის იგნორირება, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძველი აქვს მის პრაგმატიზმს. მთავარია, რომ ნავსი გატყდა და ღიად დაიწყო საუბარი რუსეთთან ახალი ურთიერთობების დალაგების აუცილებლობის შესახებ. ამ პროცესს უკვე ველარაფერი გააჩერებს.

**საბოლოოდ დაიმსხვრა სტერეოტიპი იმისა, რომ, თუ ვაშინგტონში მიღებული ხარ, მაშინ პატრიოტი, საქვეყნო საქმის მკეთებელიც ხარ; თუ რუსეთს ახსენებ, კრემლის ემისარი და მოღალატე გქვია! ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, როცა რუსეთისკენ მზირალი ხალხის გულწრფელობას ეჭვით ვუყურებ. ასეც რომ იყოს, გამოჩნდებიან ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც დაიკავებენ იმ ნიშს, რომელიც ნოღაიდელს პრივატიზებული ჰგონია!**

თუნდაც ის, რომ რუსეთთან ერთად ორი საუკუნე ვიცხოვრეთ, საკმარისი საფუძველია საქართველოში პრორუსული განწყობის არსებობისათვის. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ამერიკანიზმმა, რომელიც უაღრესად პოპულარული იყო, სრული კრახი განიცადა სწორედ აშშ-ის მიერ „დასმული" ნაცების გამო, რასაც ხელი შეუწყო და საბოლოოდ ძირს დასცა შარშანდელმა აგვისტოს ომმა, ჰამპერსებით დატვირთული გემები რომ შემოვიდა ბათუმში.

პოლიტიკოსებს თავი დავანებოთ და, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზოგადოების უმრავლეს ნაწილშიც შეიცვალა აშშ-სადმი, ზოგადად, დასავლეთისადმი დამოკიდებულება რუსეთის სასარგებლოდ! ეს კარგად უწყიან ხელისუფლებაშიც და, ალბათ, ამ განწყობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული ვახო სანაიას ბოლო გადაცემაც, რომელიც კიდევ ერთი „დემოკრატი" ვიგინდარას, რონალდ რასმუსენის წიგნის მიხედვით იყო აწყობილი, რომლის სათაურიც ასე ჟღერს — „პატარა ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა".

ვინც ეს გადაცემა ნახა, დამეთანხმება, რომ იმ წიგნს უფრო ასეთი სათაური შეეფერება, რასაც წერილის ქვესათაურად გთავაზობთ.

### პატარა ომი, რომელსაც უნდა შეეძრა მსოფლიო, მაგრამ...

**დიახ, უნდა შეეძრა, მაგრამ არ შეძრა, რადგანაც საქართველო და ქართველი ხალხი ყველას ფეხზე ჰკიდია! თავი დავანებოთ იმ წიგნის მიხედვით რეკონსტრუირებულ მომენტებს, სადაც დაბლიუ ბუში ტელეფონში ეხვეწება მიშას, ნუ მიყვირი, რამდენიმე საათი კიდევ მომეცი, რაღაცას მოვიფიქრებ, გიშველიო! ეს ვახო სანაიასა და რონალდ ასმუსის სინდისზე იყოს.**

ვახო სანაიას მთავარი მიზანი რუსეთის გაშავება იყო ამერიკის სასარგებლოდ, რაც მოაზროვნე მაყურებლის თვალში ნამდვილად ვერ მოახერხა, რადგანაც ყველაფერი აშკარად თეთრი ძაფით იყო დალამბული. ერთი რამ ცხადია — ქართველები ობოლი, უნათესავო ერი ვართ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს. არც რუსეთს ვეხატებით გულზე, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მაინც რუსეთისკენ იხრება, რადგანაც ვნახეთ, „ნატოს" ისტერიულმა ყვირილმა რა ჩიტიც დაგვაჭერინა!

**ნურც ნოღაიდელს დავუჯერებთ მაინცდამაინც, რომ რუსები ხონჩით მოგვართმევენ აფხაზეთ-სამაჩაბლოს, ოღონდაც ნატოზე უარი თქვითო.** ჯერ ერთი, ეს ადრე უნდა გვეთქვა, როცა ჩვენს ნათქვამს ფასი ჰქონდა და არა ახლა, როდესაც საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხი პრაქტიკულად მოხსნილია (და სამუდამოდაც) დღის წესრიგიდან.

**უფრო მეტსაც ვიტყვი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იმ სახით, როგორც იყო, აღარასოდეს აღდგება და ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ან ბრიყვია, ან — შეგნებული დემაგოგი. ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი ცხინვალ-სოხუმთან კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნაა და ისიც შორეულ პერსპექტივაში და ისიც უკეთეს შემთხვევაში.**

მაშ, რა აზრი აქვს რუსეთთან დაახლოებას? ის, რომ შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველ ლხინს, ანუ რუსეთთან ლაპარაკი 200 წლის მანძილზე ვისწავლეთ, განსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ჩვენს კულტურას, თვითმყოფადობას, მართლმადიდებლობას, ქართველობას პრაქტიკულად აღარაფერი ემუქრებოდა. ამას დაუმატეთ მილიონზე მეტი ქართველი, ვინც რუსეთში ცხოვრობს და პრაქტიკულად ყველა სახელისუფლო თუ ბიზნეს დონეზე მოღვაწეობს, რომ არაფერი ვთქვათ კულტურასა თუ ერთმორწმუნეობაზე. გამოდის, რომ ჩვენი ადგილი პოსტსაბჭოთა სივრცეში უფროა, ვიდრე, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი მენტალიტეტისთვის მიუღებელი იდეოლოგიის მქადაგებელ დასავლეთში.

არ ვიცი, იქნებ, ბევრი რამ საკამათო და მავანთათვის მიუღებელი ვთქვი, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ! თუმცა არა, სხვა გზაც არსებობს, რომელიც ჩვენმა ბედნიერმა პრეზიდენტმა გვიჩვენა, ამას წინათ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ვიზიტისას — დათვი რომ მოგერევა ბაბაია კი არ უნდა დაუძახო, როგორც ეს ერთ უტვინო ანდაზაშიაო, არამედ ჯოხი უნდა ჩაარტყა თავშიო!

**ხომ წარმოგიდგენიათ, რუსულ დათვს ტყეში რომ შეხვდე და ჯოხი ჩაარტყა, რას გიზამს? — გამოგენთება და რითაც მოგწვდება, იმით დაგტორავს! არა, ძმაო, ეს კაცი კიდევ რაღაცას აპირებს, მგონი, და, ღმერთო, შენ გვიშველე!**

**დავით მხეიძე**

## მოკლედ



### ორლეანს თეთრი მერი ჰყავს

ახალ ორლეანს ბოლო 30 წლის მანძილზე პირველად თეთრკანიანი მერი ეღირსა. 49 წლის დემოკრატ მიტჩ ლანდრეს მოსახლეობის 67 პროცენტმა დაუჭირა მხარი, მის კონკურენტს, ასევე დემოკრატს, მაგრამ აფროამერიკელ ტროია გენრის კი — მხოლოდ 13-მა. ახალ ორლეანს, სადაც მოსახლეობის უმეტესობა შავკანიანია, უკანასკნელად თეთრკანიანი მერი 30 წლის წინათ ჰყავდა და იგი მიტჩ ლანდრეს მამა მუნ ლანდრე გახლდათ. მერმა ლანდრე უმცროსმა პირველი შეცდომა უკვე დაუშვა და ქალაქს ძველი ეკონომიკური დონის დაბრუნებას დაჰპირდა.



### ამერიკელი ოფიცრების შეცდომა

ოთხი თვის წინათ ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში, „ISAF"-ის ბლოკპოსტზე თალიბების თავდასხმა, რომლის შედეგადაც რვა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, სამხედრო მეთაურების სერიოზული შეცდომების შედეგია. სწორედ ასე წერია ინციდენტთან დაკავშირებული გამოძიების შედეგების დასკვნაში. როგორც დადგინდა, მაშინ ორმა ოფიცერმა თავდაცვის სათანადო ზომები არ მიიღო და ვერც ბლოკპოსტის დაუცველობის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა აიცილა თავიდან.



### ობამას ძეგლი მოგზაურობს

ახლახან ჯაკარტას ერთ-ერთ ცენტრალურ პარკში ზარზეიმით გახსნილი 10 წლის ობამას ძეგლი ნაკლებად ხალხმრავალ ადგილას უნდა გადაიტანონ. 56,5 ათასმა ინდონეზიელმა ამის სურვილი „Facebook"-ში დააფიქსირა.

პეპელასათვის მომღიმარ ობამას ძეგლს ქვეყანამ, რომელშიც სიღატაკის დონე ჯერ კიდევ ძალიან მაღალია, 10 ათასი დოლარი დაახარჯა. 2010 წლის მარტისთვის დაგეგმილი ვიზიტისას ობამას ეს ძეგლი თავისი ბავშვობის ქალაქის ცენტრში აღარ დახვდება.




### „Bank of America"-ს უჩივლეს

მომჩივანია ნიუ იორკის შტატის გენერალური პროკურატურა, რომელიც ბანკსაც, მის ყოფილ აღმასრულებელ დირექტორ კენეტ ლევისსაც და ყოფილ ფინანსურ დირექტორ ჯოზეფ პრაისსაც კრიზისისგან სერიოზულად დაზარალებული „Merrill Lynch"-ის გარიგებამდე აქციონერთა მოტყუებასა და მათთვის რეალობის დამალვაში ადანაშაულებს. მიიღო რა სახელმწიფოსგან 25-მილიარდიანი დახმარება, მან არა მხოლოდ 50 მილიარდი დახარჯა „Merrill Lynch"-ის შესყიდვაზე, არამედ ბანკის ხელმძღვანელობას 5,8-მილიარდიანი ბონუსებიც გადაუხადა.




### აშშ საკრედიტო „Aaa" რეიტინგს დაკარგავს

სააგენტო „Moody's"-მა განაცხადა, რომ, თუ ამერიკის ეკონომიკა მისივე ადმინისტრაციის მიერ დაპირებული ტემპები არ გაიზრდება, ქვეყანა საკრედიტო „Aaa" რეიტინგს დაკარგავს. საუბარია საერთო შიდა პროდუქტის წლევანდელი 2,7%-დან მომავლი წლის 3,8%-მდე ზრდაზე. ამის გათვალისწინებით აშშ-ის ვალი 2010-2011 წლებში საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას გადააჭარბებს, რაც უკიდურესად სახიფათო შეფარდებად ითვლება. რეიტინგის შემცირება კი ამერიკისთვის კრედიტების გაძვირებას ნიშნავს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ესეც «გაზპრომის» ბრალია?!

## ანუ «შეშლილი დიქტატორი»

**არა, მაინც ვინ ექაჩებოდა ენაზე?
ჯერ სიტუაციაში გარკვეულიც არ იყო და პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრესსპიკერის საშუალებით გვამცნო, „პირველი კავკასიური“ არხის თანამშრომლებს სოლიდარობას ვუცხადებო. იქვე მკვახე-მკვახეებიც არ დაიშურა. მანანა მანჯგალაძეს რას ვერჩით, ალბათ, საგანგებოდ ჩაანიშნინა, ასე თქვი, რომ არხის გათიშვას „საერთაშორისო პოლიტიკური ცენზურის საშიშ პრეცედენტად“ ვაფასებო.
მანანამაც თქვა, რა ექნა — ჩასძახეს და ამოიძახა, ამოიკვნესა, თუ გნებავთ, ამოშაქრა.
თქვენ შეაფასეთ, ასე კი იყო და...**




იცის სააკაშვილმა, რას ნიშნავს პოლიტიკური ცენზურა და ამ მხრივ დაეჯერება კიდეც. ეს მისი საყვარელი სფეროა, უყვარს ყველაფერი ნულოვანი, მაგრამ აზროვნებაც?

ჯერ მანანას მოვუსმინოთ:

**„პრეზიდენტის შეფასებით, ეს იგივეა, რაც სატელიტიდან BBC-ის ან რომელიმე სხვა სერიოზული არხის გათიშვა“.**

ოო, „პირველი კავკასიური“ „იგივე“ BBC ყოფილა, სერიოზული...

დაიცადეთ, რა გაცინებთ, ჯერ არ დაუმთავრებია მანანას, მანჯგალაძეს:

**„მიხეილ სააკაშვილი სოლიდარობას უცხადებს არხის თანამშრომლებს და მათ დამოუკიდებლობის და პროფესიულ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიას აძლევს “.**

შენი სულისა... ძლივს არ ამოისუნთქეს „პირველი კავკასიურის“ ბიბისელებმა?

ვის სჯერა ახლა ეს იწილობიწილო?

ვის სჯერა, ჩემო შრომშანოგვრიტინო, და სჯერათ „პირველი არხის“, „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ თანამშრომლებს, რომელთაც მიხეილ სააკაშვილმა ასევე მისცა **„დამოუკიდებლობისა და პროფესიულ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტია“.**

მისცა მან მათ ის — **გარანტია.**

მაგრამ მოვიდნენ ცუდი ბიძიები და წაართვეს.

წაართვეს ამათ იმათ ის — **გარანტია.**

იმათ ხმა არ ამოუღიათ. ამათ რა ათქმევინებდათ, წავართვითო.

აბა, პრეზიდენტის დავალებას შესრულება არ უნდოდა?

არ შეასრულებდნენ და წაართმევდა ეს ამათ იმას — **თანამდებობას, თავისუფლებას, ქონებას.**

ასე მივიღეთ პოლიციურ-პროპაგანდისტული სახელმწიფო (თუ რაც ჰქვია იმას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ).

ახლა კი სხვა ვითარებაა —

### „პირველი კავკასიური“ გათიშეს და „პრეზიდენტი რუსულ პოლიტიკურ ზეწოლაზეც საუბრობს“.

ეს უკვე მანანამ თქვა და დასძინა **„გაზპრომს“ არაერთი ტელეკომპანია გაუკონტროლებია, თუმცა ახლა თავისუფალი არხის დაბლოკვა რუსეთის ფარგლებს გარეთაც ხდება“.**

აი, სად იმალება თურმე ეშმაკი. თქვენ კი გეგონათ, რომ „დეტალებშია“.

მაინც რა მოხდა?

**„პირველი კავკასიური“, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს და გია ჭანტურიას ისეთივე ქვემდებარეა, როგორც „საზოგადოებრივ მაუწყებლად“ წოდებული „პირველი არხი“, თანამგზავრიდან გაუთიშია ფრანგულ კომპანიას.**

ჩვენ არ გვიმხელენ, თორემ, თურმე საცდელ მაუწყებლობაზე, ე. წ. ტესტურ რეჟიმზე ჰქონიათ ხელშეკრულება გაფორმებული და ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ „ეუტელსატს“ გამოურთავს.

გამორთვა ეგრე არ უნდაო და, ამ ჩვენმა ჭყინტმა მერდოკებმა ხელშეკრულების გაფორმებაზე კი არ იზრუნეს, გააფიჩინეს ფეხები, „გაზპრომი“ გვჩაგრავსო.

ატყდა აურზაური — ფრანგული „ფიგარო“ და „მონდი“, ამერიკული „ვაშინგტონ ტაიმსი“ და „უოლ სტრიტ ჯორნალი“... (სამამულო წარმოების მედიაზე ალარაფერს ვამბობ) დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ამ **„ცენზურის საშიშ პრეცედენტს“.**

და გაირკვა, რომ

### ორკვირიანი საცდელი მაუწყებლობის შემდეგ სრულიად ბუნებრივი იყო არხის თანამგზავრიდან გამორთვა.

მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ძუძუდან მოსხლეტილი მშიერი გოჭივით აჭყივლდა — „გაზპრომმა“ გაგვიჩალიჩაო.

„ფიგაროს“ თუ დავუჯერებთ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსული ტელეარხების საპირწონედ ამ არხის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და დამფუძნებლებიც აცხადებდნენ, რომ მათი მთავარი მიზანია **„სიმართლის მიტანა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებამდე, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მოსახლეობამდე, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებამდე კავკასიაში, რომლებიც ახლაც აწარმოებენ საომარ მოქმედებებს კრემლის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ“.**

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ დამფუძნებელთა მიზნები და დარწმუნდებით, რომ

### თუკი „ეუტელსატმა“ მართლაც „გაზპრომის“ შეკვეთა შეასრულა, ამით მთელი საქართველო (ანუ ის, რაც სააკაშვილის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ დაგვრჩა!) გადაარჩინა უცილობელ უბედურებას.

**თუ არ გჯერათ, გაიხსენეთ, — ბელგრადის დაბომბვისას პირველ სამიზნედ რომელი ობიექტი ამოირჩიეს ვითომ ნატოს, სინამდვილეში კი აშშ-ის საჰაერო ძალებმა; დიახ, ბელგრადის ტელევიზიის შენობა.**

სხვათაშორის, „გაზპრომისკენ“ ხელის გაშვერის დროს იმის გათვალისწინებაც მართებთ ჩვენს ტელემამებს, რომ ფრანგულმა კომპანიამ რამდენიმე სიხშირე გრძელვადიანი იჯარით „გაზპრომმედიას“ გადასცა. ახლა „ეუტელსატი“ ხალხებამდე სიმართლის მიტანაში დახელოვნებულ მაუწყებლებს სხვა სიხშირეს სთავაზობს, მაგრამ ესენი უარზე არიან, ძველი გვირჩევნია, ახლით ევროპისა და ყოფილა საბჭოთა კავშირის დაფარვას ვერ შევძლებთო.

თან თანამგზავრს ითხოვენ, თან ბრალდებებს ისვრიან. აქამდე არ ვიცოდი და **„ვაშინგტონ თაიმსიდან“ შევიტყვე, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს უფროსი მრჩეველიც ჰყოლია — რაფაელ გლუკსმანი.** ამ მრჩეველს უთქვამს **„ეუტელსატი“ „გაზპრომ-მედიას“ და „ინტერსპუტნიკს“ რუსეთის ტერიტორიაზე თანამგზავრული ანტენებით მაუწყებლობის მონოპოლიას აძლევს და ამით კრემლის ცენზურის იარაღად იქცევაო“.**

გლუკსმანს „ეუტელსატმა“ მოჰკითხოს. ჩვენ კი ის ვიკითხოთ,

### სადაური წესია, ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩემ წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების კიდევ უფრო ასამხედრებლად ჩემივე სიხშირე დაგითმო?

მაგრამ მიშას და მის მაუწყებელ კომპანიას სულაც არ ადარდებს ლოგიკა. მათთვის მთავარია, რა სურთ.

ზემოთ უკვე ვთქვი, თუ მართლა „გაზპრომია“ ამ საქმეში გარეული, ძალიან დიდი ხიფათი აგვაცილა-მეთქი.

მაგრამ, რასაც ახლა გეტყვით, სრული მოულოდნელობა იქნება მკითხველისთვის. **არსებობს ინფორმაცია, რომ „გაზპრომი“ აქტიურად აკონტროლებს არამარტო ევროპულ, არამედ ქართულ მედიასივრცესაც.**

მაგალითებსაც ახლავე მოგახსენებთ:

**2007 წლის 7 ნოემბერს „ტელეიმედის“ დარბევა სააკაშვილის ხელისუფლების შიზოფრენიის კულმინაცია კი არა, სწორედ „გაზპრომის“ პროვოცირებული იყო.** მართალია, რამდენიმე დღეში საერთაშორისო ძალისხმევით მაუწყებლობა აღდგა, მაგრამ „გაზპრომმა“ ფარხმალი არ დაყარა და 26 დეკემბერს, მიუხედავად არხის მფლობელის — ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგობისა, შეძლო ტელევიზიის მენეჯმენტის გადაბირება და 26 დეკემბერს მაუწყებლობა მაინც შეაჩერა. ხოლო პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ **„გაზპრომის“ ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ მოძებნეს ვინმე ჯოზეფ ქეი** და ეს ტელევიზია მას ჩააბარეს. ეს ქეი რომ „პოდსტავნოი“ იყო, იმითაც გამოჩნდა, როგორ გადააფორმა და გაასუხარა „იმედი“ ვითომ „რაკიინ დეველოპმენტზე“. **ახლა კი არხს გიორგი არველაძე ხელმძღვანელობს. ესეც „გაზპრომის“ კადრია.** ოღონდ ჯერჯერობით დაუდგენელია „გაზისა“ თუ „პრომის“ სფეროში. სხვათაშორის, „გაზპრომის“ გრძელი საცეცები სულ ახლახან კიდევ ერთხელ მისწვდა პრეზიდენტ სააკაშვილს, როცა სათაო ოფისის ორგანიზებით მომზადდა სიუჟეტი „სააკაშვილის ეპოქა“. ამ სიუჟეტმა სააკაშვილის „ისედაც მზარდ“ რეიტინგს წირვა გამოუყვანა. „იმედი“ რომ ტრადიციული ღირებულებების სრულ ნიველირებას ცდილობს, საერთოდ არაფერ შუაშია ხელისუფლება და მისი იდეოლოგები, ისინი, უბრალოდ, **„გაზპრომის“ დავალებას ასრულებენ!**

**„გაზპრომმა“ „ტელეიმედამდეც“ გამოაჩინა ბრჭყალები. მისი გადაწყვეტილება იყო პოლიტიკური რეიტინგული „თოკშოუების“ დახურვა ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში. „მეცხრე არხი“ ბიძინა ივანიშვილის საკუთრება რომ გვეგონა, მან კი არ დახურა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის მარტში, სინამდვილეში „გაზპრომის“ გადაწყვეტილებით დაიხურა.**

**აი, რაც შეეხება „იბერიას“, აქ ცოტა მძიმედ განვითარდა მოვლენები.** თვით „გაზპრომის“ გამოცდილმა პიარმენეჯერებმაც ვერ გაითვალისწინეს, რომ ტელევიზიაში ყალბი აქციზური მარკების დასაბეჭდი მატრიცების დამალვა არ უნდა მოემიზეზებინათ. შედი რა პირდაპირ, ნიღბებით, დუბინკებით, ავტომატებით... რა საჭიროა რაღაც სულელური მიზეზების მოგონება? **ასე მიახურა „გაზპრომმა“ „იბერია“!** გაითვალისწინეს ეს შეცდომა და ამიტომაც **„იმედი“ უფრო კვალიფიციურად დაამუშავეს.**

**სულ სხვაა „რუსთავი 2“-ის ისტორია.** მისმა მფლობელმა ქიბარ ხალვაშმა ეს ტელევიზია პრეზიდენტ სააკაშვილის თხოვნით კი არ შეიძინა ერასტი კიწმარიშვილისგან და შემდეგ თვით პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი არ აიძულა ტელევიზიის საწესდებო წილის 78%-ის მისთვის უცნობი პირისთვის გადაცემა, არამედ **„გაზპრომმა“ გადაწყვიტა ასე.** რა ექნა ხალვაშს, დაყაბულდა და სულ ტყუილად იშვერს ხელს ამ საქმეში უმწიკვლო პრეზიდენტისკენ. **ახლა რომ აცხადებს ხალვაში, გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე გიგი უგულავას, გიორგი არველაძისა და გიგა ბოკერიას მოთხოვნით გავათავისუფლეო, ესეც ტყუილია.** განა ამ პატივცემულ გვამებს, რამე ეტყობათ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაცხადებულ **„დამოუკიდებლობისა და პროფესიულ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიას“** გადაუხვევდნენ?

**ეჰ, ქიბარ, ქიბარ, რად გინდა ეს ტყუილები? თქვი რა, პირდაპირ, რომ „გაზპრომიდან“ დაგავალეს!**

**სულ ტყუილია ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ბრალდებები,** რომ ტელეკომპანია „ობიექტივი 2“-ის 100%-ის მფლობელმა ქეთევან ასათიანმა საწესდებო კაპიტალის წილის 51% უსასყიდლოდ დაუთმო დავით კაკაურიძეს, ამ უკანასკნელმა კი აჩუქა ნოდარ ჭარხალაშვილს, რომელმაც უშურველ...







ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი მეხუთე წელია „TV-ობიექტივის“ დაბრუნებისთვის იბრძვის

ლად გადასცა გურამ კვირიკაშვილს. და რომ **ამ ყველაფრის ავან-ჩავანი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი იყო, რომელიც, თავის მხრივ, ლეგენდარული ვასილიჩის მითითებას ასრულებდა.**

**კარგით, რა, არ მოგბეზრდათ ამდენი ტყუილი? ეს ყველაფერი ხომ „გაზპრომის" შეკვეთით გაკეთდა და რა შუაშია ეს პატიოსანი ხალხი?**

## განა დასაჯერებელია, რომ 2004-2008 წლებში ტელესიხშირე 14-ზე მეტ კანონიერ მფლობელს ჩამოართვეს და ეს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინიციატივით ან თუნდაც პრეზიდენტ სააკაშვილის „პატრონაჟით" მოხდა? არა, აქაც „გაზპრომის" ხელი ერია!

ახლა შეიძლება იუაროს და ხელებიც გაასავსავოს, მაგრამ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახლანდელი გენერალური დირექტორის — **გია ჭანტურიას** (მაშინ გენდირექტორ ყუბანეიშვილის მოადგილე იყო) **„ქართულ ანიმაციურ სტუდიას" 400000 ლარზე სახელმწიფო შესყიდვა სწორედ „გაზპრომის" ლობირებით გაუფორმეს და საერთოდაც, ახლა რომ გენდირექტორის სავარძელში ნებივრობს, ამასაც „გაზპრომს" უნდა უმადლოდეს.**

**აი, ასეთია სიმართლე და, ვისაც არ სჯერა, გადაამოწმოს საქართველოს პრეზიდენტის უფროს მრჩეველ რაფაელ გლუკსმანთან.**

ეს გლუკსმანი ისეთი შებერტყილი ვინმეა, მაშინვე ხელებს მაღლა აღაპყრობს და „რას ამბობ, დაგენაცვლე, არ დაიჯეროო", შესძახებს (ნეტა, ამ „დაგენაცვლეს" როგორ წარმოთქვამს ფრანგულად?!).

ამგვარ ინფორმაციაზე ყოველთვის ასე ემართება. ასე იყო ორიოდ დღის წინათაც, როცა სააკაშვილმა აჭარაში ციტრუსის სეზონის შედეგები წარმატებულად შეაფასა.

გლუკსმანს წარმომავლობა ანგარიშიანობას ავალდებულებს და, როცა სააკაშვილმა თავი მოიწონა, აჭარლებმა 80 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი გაყიდეს და 100 მილიონი ლარი მიიღესო, ჯერ გაოცდა: „რას ამბობ, დაგენაცვლეო" და მერე ჩაილუღლუღა: „არ დაიჯეროო".

ჯერ ეს ვერ მოუნელებია და უფროს მრჩეველს სხვა მონაცემებმა მოსჭრა გახედნილი ყური.

**პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი საქართველოში 2004 წელს 890 დოლარი იყო, ხოლო უკრაინაში ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტი იყო. დღეს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 2930 დოლარია, ხოლო უკრაინაში — 2700 დოლარი. პრეზიდენტმა ისიც თქვა, საქართველო უკრაინასთან შედარებით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია ბიზნესის კეთების, დაბალი გადასახადების, კორუფციის დონისა და სხვა მაჩვენებლების თვალსაზრისითო.**

უსმენდა უფროსი მრჩეველი გლუკსმანი და „რას ამბობ, დაგენაცვლე?" ძლივს დამარცვლა, შემდეგ კი — „მეც დავიჯერო?"

მერე თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა უფროსი მრჩეველი. ერთი პირობა გაუელვა, ალბათ, მომესმაო პრეზიდენტის სიტყვები — **„ჩვენი გამოსავალი და გზა აღებული კურსისა და საქართველოს განსაკუთრებულობის შენარჩუნებაა. ვინც არ უნდა წკავწკავებდეს და ყიყინებდეს, ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეებს ბოლომდე მივიყვანთ".**

არ მოესმა, ზუსტად ასე თქვა.

„შენ კი ხარ განსაკუთრებული და ისიც ვიცი, ეგ კურსი სადაც მიგიყვანს, მაგრამ... რამდენჯერ ვურჩიე, აღარ თქვა **„წკავწკავი"** და **„ყიყინი"**, ეს რა პრეზიდენტის საკადრისი ლექსიკაა, თუ მაინცდამაინც ვერ იშლი, თქვი რა, **„ღავღავი"** და **„ყროყინი"!** ბოლოსდაბოლოს, რეალობასთან უფრო ახლოს იქნება!" — მრჩეველს ალმური მოედო და, ის-ის იყო დარბაზიდან გასვლა დააპირა, პრეზიდენტის სიტყვები წამოეწია: **„სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით, საქართველო, დიდი ხანია, ყოფილი საბჭოთა ქვეყანა აღარ არის".**

გლუკსმანს შეამცივნა, **„მართალია, რას ერჩი, ნამდვილად არ არის საქართველო ყოფილი საბჭოთა ქვეყანა, მაგრამ, რასაც მე ვხედავ, ეს საერთოდ რა არის? არის კი ქვეყანა? არა, სასწრაფოდ უნდა დავუკავშირდე „გაზპრომის" სათაო ოფისს — გადამიყვანონ აქედან, მეტი აღარ შემიძლია..."**

პრეზიდენტის მრჩეველ რაფაელ გლუკსმანს მეტი აღარ შეუძლია, რადგან აღარ სჯერა, რომ სააკაშვილს სააქაო პირი უჩანს და ისევ „ესაუბრება თავისუფლებაზე".

პრეზიდენტის მრჩეველ დენიელ კუნინსაც მეტი აღარ შეეძლო, აღარ სჯეროდა და აიბარგა. არაო, ჩვენ რო ვიცით, იმ მანანამ, არსად წასულაო, მაგრამ ამათ რამე დაეჯერებათ?

მეც არ მჯერა, რომ ესენი თავისი ნებით მიდიან. აქ რაღაც სხვა ამბავია, — ნამდვილად „გაზპრომის" ხელი ურევია. ასევე, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ **„გაზპრომის" მიზეზით მოვხვდით არშემდგარი სახელმწიფოების სიაში სუდანის, ბირმისა და სიერა-ლეონეს გვერდით. „გაზპრომმა" გაარიცხინა ჩვენი სამშობლო არჩევითი დემოკრატიის ქვეყნების სიიდან, თორემ პრეზიდენტ სააკაშვილს ცდა არ დაუკლია „განსაკუთრებულობის შესანარჩუნებლად".**

არ იკითხავთ, რატომ გავხდი ასეთი ურწმუნო?

ვეჭვობ, თუმცა ჯერ ვერ დავამტკიცებ და მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, — ეს **„გაზპრომი" კოსმოსსაც რომ აკონტროლებს, ამხელა პრეზიდენტ კაცს აპამპულებს, ევროპულ პრესაში იქაურ ჟურნალისტებს „პატარა ქვეყნის ჭკუიდან შეშლილ დიქტატორს" აძახებინებს,** მე რაღას მიზამს?..

**ბონდო მქინარაშვილი**

# ან დენი დაგარტყამს, ანდა - მანქანა

## გიგა ბათიაშვილი:

## ბეტონის სრული გაშრობისთვის 24 დღეა საჭირო, ჩაბეტონებული საყრდენები საიმედო რომ იქნეს

**დედაქალაქში მიწისზედა გადასასვლელი ხიდების ბუმია. შარშან თბილისში 20 ხიდი აშენდა, წლეულსაც ამდენივეს აშენებას გეგმავენ. ქალაქის მერის მტკიცებით, ეს ხიდები, მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების გარანტი იქნება, თუმცა არც ისეა საქმე, როგორც ბატონი მერი გვარწმუნებს. რეალურად რამდენად უსაფრთხოა ეს ხიდები, აკმაყოფილებს თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს — ამაზე სიმართლეს სპეციალისტები გვეტყვიან; მაგრამ, თუ ეს გიგი უგულავას მორიგი პიარ-აქციაა, მაშინ გადამწყვეტ სიტყვას საზოგადოება მერის არჩევისას იტყვის.**



ერთი კვირაა, რაც სახელისუფლო არხების მეშვეობით ამ ხიდების უსაფრთხოებაზე საუბრობენ. ცხადია, ხელისუფლებისა და მისი „ჯიბის" არასამთავრობო ორგანიზაციების ამდენი ტყუილი „უგულავას ხიდების" გაპიარებას ემსახურება.

28 იანვარს თურქეთში რკინის კონსტრუქციით აწყობილ მსგავს ხიდს მანქანა, რომელსაც საბარგული აეხადა, გამოედო, რის შედეგადაც კონსტრუქცია ჩამოიშალა და ადამიანები ქვეშ მოიყოლა. ამ შემთხვევის შემდეგ თბილისში მითქმა-მოთქმა ატყდა, რომ უგულავას ხიდებიც ისეთივე უხარისხოა, არ შეესაბამება სტანდარტებს,

### ამ ხიდების მშენებლობა თბილისის მერის არჩევნებს უკავშირდება და გიგი უგულავას პიარის ერთ-ერთი ნაწილიაო.

ვიდეო მასალის (რომელზეც თურქეთში ხიდის ჩამოშლის კადრები ჩანს) გავრცელებიდან მეორე დღეს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეობიდან ასოციაციაში „დაცული მოძრაობა" გადაბარგებულმა დავით მესხიშვილმა ბრიფინგი გამართა და მოსახლეობას ამცნო: **„წლის ბოლომდე დედაქალაქში კიდევ 20-მდე გადასასვლელი ხიდი დამონტაჟდება, რომლებიც ეფექტური და უსაფრთხო საშუალება იქნება ფეხით მოსიარულეებისთვის გზის გადაკვეთისას. ახალი ხიდები, რომლებიც თბილისში საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მონტაჟდება, უბედური შემთხვევების რაოდენობას შეამცირებს".**

ხელისუფლებამ მესხიშვილი რუპორად გამოიყვანა და საინფორმაციო საშუალებები მთელი დღის განმავლობაში პირველ ნიუსად მესხიშვილის ამ განცხადებას უშვებდნენ.

პეკინისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების გადაკვეთაზე მიწისზედა გადასასვლელი ხიდი სულ ახლახან რამდენიმე დღეში დამონტაჟდა. გზაჯვარედინზე შუქნიშანიც არის, ამიტომ უსაფრთხოდ ქუჩის გადაკვეთა ისედაც სავსებით შესაძლებელი იყო. რაც შეეხება ხიდს, იგი საკმაოდ მაღალია და მასზე ასვლა, მერწმუნეთ, ხანში შესული ადამიანებისთვის არც თუ ისე მოსახერხებელია. ამასთან, ამ ხიდზე გადასვლისას ფეხი ელექტროსადენს უნდა გადააბიჯო, რომელიც რატომღაც აქ არ დაუფლიათ და ძალიან სახიფათოა.

**რა გამოდის? — ან გზაზე დაგარტყამს მანქანა, ან ხიდზე — დენი!**

პირველი ასეთი გადასასვლელი თბილისში მარშალ გელოვანის გამზირზე 2008 წელს აიგო. თითო ხიდის დამონტაჟება დედაქალაქის მერიას 150 000 ლარი უჯდება. ამდენად, ამ ხიდების მშენებლობაში გასულ წელს მერიამ 4 მილიონი ლარი დახარჯა და წელსაც ამდენივეს დახარჯვას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხიდების მოუხერხებლობაზე მოსახლეობა უკვე ბევრს საუბრობს.

**„საქართველო და მსოფლიო" არქიტექტორ გიგა ბათიაშვილს დაუკავშირდა, რათა კომპეტენტური აზრი მოესმინა იმის გასარკვევად, რამდენად აკმაყოფილებს ეს ხიდები საერთაშორისო სტანდარტებს და არის თუ არა უსაფრთხო.** აი, რა გვითხრა მან:



**„როცა ქალაქი გადატვირთულია ტრანსპორტით, მიწისქვეშა ან მიწისზედა გადასასვლელების აშენება-დამონტაჟება აუცილებელია, მაგრამ ეს ყველაფერი შესაბამისი სტანდარტების დაცვით უნდა მოხდეს. მიწისზედა გადასასვლელი ხიდების დამონტაჟებისას დაცული უნდა იქნას მისი სიმაღლის ნორმა — ოთხ-ნახევარი მეტრი.**

### ასეთი ხიდები აუცილებლად უნდა იყოს მექანიზირებული და კომფორტული უნარშეზღუდული ადამიანებისთვისაც.

**თუკი ხიდი 4 მეტრზე მაღალია, მასზე ასვლა ასაკოვან ადამიანებს და, მითუმეტეს, ინვალიდებს, უჭირთ ან არ შეუძლიათ. ეს ხიდები ყველა აუცილებელ პირობას ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც, როგორც ხედავთ, მათით ხალხი ნაკლებად სარგებლობს. რამდენადაც ვიცი, სიმაღლის სტანდარტი დაცულია, ხოლო რკინის კონსტრუქციის აწყობაც რამდენიმე დღეშია შესაძლებელი. რაც შეეხება საყრდენებს, ისინი აუცილებლად უნდა ჩაბეტონდეს, ბეტონის სრული გაშრობისთვის კი 24 დღეა საჭირო, ჩაბეტონებული საყრდენები საიმედო რომ იქნეს".**

მერიასთან, შარტავას ქუჩაზე, ასეთი ხიდი დაახლოებით 4 დღეში აიწყო; ისე, რომ მიწაში რკინის ბოძები არ ჩაუბეტონებიათ. ხიდს კიბეც გაუკეთეს, მაგრამ... მხოლოდ ერთი მხრიდან...

წერეთლის გამზირზე კი ჯერ მთავარი ბოძები ჩაიყარა და ჩაბეტონდა, შემდეგ — კიბის ბოძები და მხოლოდ ამის მერე გაიდო ხიდი, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ორ ბოძზე გადებული ხიდი მთლად საიმედო იყოს. ხან ისე ააშენო, ხან ასე, ნდობის გარანტად ნამდვილად ვერ გამოდგება, მთავარი წესის დაცვაა.

როგორც ხედავთ, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით ქალაქის მერიას თავი არ მოუკლავს. ოთხ დღეში ან თუნდაც ერთ კვირაში დამონტაჟებული რკინის კონსტრუქცია, გამოცდილი არქიტექტორის კომენტარის შემდეგ, საიმედოდ ნამდვილად არ მიგვაჩნია.

დედაქალაქის მერის მტკიცებით კი, ეს ხიდები უფრო კომფორტულია და მიწისქვეშა გადასასვლელებთან შედარებით მათი მშენებლობაც გაცილებით იაფი ჯდება.

სიმართლე რომ ვთქვათ, უგულავას ხიდები კი არა, უგულავასა და მისნაირების ყოფნაა სახიფათო ხელისუფლებაში.

### მიდიხარ შენთვის წყნარად ხიდზე და, უცებ, ქვემოთ ვიღაცის მანქანას საბარგული რომ აეხადოს, რას წარმოიდგენ, თუ ხიდიანად თავზე დაეცემი?!

საბარგულმა ხიდი როგორ უნდა ჩამონანგრიოს?! ღმერთმა არ ქნას, მსგავსი რამ ჩვენთანაც განმეორდეს.

იყო დრო, ნინო ბურჯანაძე და გიგი უგულავა ერთად იკეთებდნენ პიარს ახალი ხიდების გახსნით




როგორც ბატონი მერი აცხადებს, მერია ინვალიდებზეც ზრუნავს. სულ მალე ტენდერი ჩატარდება და გამარჯვებული კომპანია ახალ ხიდებთან სპეციალურ ლიფტებს დაამონტაჟებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ფასიანი იქნება.

ზრუნვაც ასეთი უნდა...

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უხარისხო საკვები პროდუქტები და უვარგისი სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**საქართველოში დღემდე ერთ-ერთ აქტუალურ და გადაუჭრელ პრობლემად უხარისხო პროდუქცია რჩება. მაღაზიებში თუ ბაზრობებზე სხვადასხვა სახის ვადაგასული საკვები პროდუქტები თავისუფლად იყიდება. ასეთი საკვები ჩვენს ჯანმრთელობას აზიანებს. უვარგისი პროდუქციით მიღებული შხამები ნელ-ნელა ილექება ჩვენს ორგანიზმში, ეს კი სხვადასხვა პათოლოგიის განვითარებას უწყობს ხელს.**
**მართალია, სოფლის მეუნეობის სამინისტროში სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სპეციალური სამსახური არსებობს, მაგრამ იგი თავის ფუნქციას ნაკლებად ასრულებს. მას 2010 წლამდე მონიტორინგი ჰქონდა გამოცხადებული, თუმცა მას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. გაუგებარია, აქამდე რატომ არ გამკაცრდა კვების პროდუქტებზე კონტროლი და რა მიზეზით გადმოსწიეს ამ პრობლემის მოგვარება 2010 წლამდე. წლეულს მთავრობამ, როგორც იქნა, თავი შეიწუხა და ამ საკითხთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შეიტანა. იგი შეეხება საქართველოში არსებულ ყველა მსხვილ საწარმოს, რომელიც ხორცს, თევზს, პურს, სასმელსა და სხვა პროდუქტებს აწარმოებს. სოფლის მეურნეობის მინისტრის — ბაკურ კვეზერელის თქმით, სურსათის გაკონტროლება ეტაპობრივად მოხდება. პირველ ეტაპზე საწარმოები დარეგისტრირდებიან, 2011 წლიდან კი მონიტორინგი დახლზე არსებულ ყველა პროდუქტზე დაწესდება. გამოდის, რომ 2011 წლამდე უხარისხო საკვები უნდა მივიღოთ ან ჭამას გადავეჩვიოთ.**
**ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავჯდომარე მადონა კოიძეს ესაუბრა.**


მადონა კოიძე

— საქართველოში უხარისხო პროდუქციის მოხმარების პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ერთადერთი იმედისმომცემი ის არის, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურმა საჯარო რეესტრში იმ საწარმოების რეგისტრაცია დაიწყო, რომლებიც საკვებ პროდუქტებს აწარმოებენ. დღემდე ეს საწარმოები არ გვქონდა აღრიცხული. ეს კარგია, ვინაიდან მეწარმე პასუხისმგებლობასაც იგრძნობს და ამდენად, დიდი შანსია, რომ პროდუქციის ხარისხს უფრო ყურადღებით მოეკიდება.

**— სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მდგომარეობა საგანგაშოა...**

— რა თქმა უნდა, საგანგაშოა. წარმოიდგინეთ, საქართველოში მხოლოდ ხუთი სახის საკვებდანამატები, ემულგატორები თუ კონსერვანტები არის აკრძალული, მაშინ, როდესაც მეზობელ ქვეყნებში ეს აკრძალვა ასობით და ათასობით დანამატებს ეხება. ზოგი პროდუქტი კარცენოგენს შეიცავს, ზოგი კიდევ ალერგიის გამომწვევია. საქართველოში მომხმარებელმა, სამწუხაროდ, ეს არ იცის. არც აკრძალვა არსებობს ამგვარ დანამატებზე და აქედან გამომდინარე, პროდუქცია როდესაც შემოდის, მომხმარებელი უკვე საფრთხის წინაშე დგება. 2009 წლის ბოლოს ჩვენმა ორგანიზაციამ მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგები გამოაქვეყნა. სურსათის უვნებლობის სამსახურმაც ჩვენ მიერ ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგი დაადასტურა. ანალოგიური მონიტორინგი მათაც ჩაატარეს. ამ კვლევების მიხედვით აღმოჩნდა, რომ შესწავლილი ყოველი მეექვსე პროდუქტი მოხმარებისთვის უვარგისია, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

**— ამოიღეს თუ არა რეალიზაციიდან თქვენ მიერ აღმოჩენილი უხარისხო პროდუქტები?**

— რა თქმა უნდა, ამოიღეს. ჩვენს ყველა ქმედებას შედეგი მოჰყვება. მომხმარებელს ვაწვდით ინფორმაციას, თუ რომელი პროდუქტია ჯანმრთელობისთვის მავნე და ისიც ერიდება ამ პროდუქტების შეძენას. გასულ ზაფხულს აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში ოქროსფერი სტაფილოკოკით დაბინძურებული ნაყინის ძალიან დიდი პარტია შემოიტანეს, რომელსაც ვიზუალური მხარე ძალიან მიმზიდველი და მაცდუნებელი ჰქონდა. ჩვენ მიერ დაწყებული კვლევა სურსათის უვნებლობის სამსახურმა განაგრძო და ზემოხსენებილი პროდუქტი რეალიზაციიდან ამოიღო.

**— რამდენად კარგად იყიდება ვადაგასული პროდუქცია, რომელიც არც თუ ისე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სავაჭრო ქსელში?**

— ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვადაგასული პროდუქცია იყიდება. საბედნიეროდ, მომხმარებელს აქვს საშუალება, პროდუქციის ეტიკეტზე ვარგისიანობის ვადა წაიკითხოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინოს. ჩვენს ქვეყანაში სამომხმარებლო განათლების დაბალი დონეა.

**— თუმცა ეტიკეტზე მითითებული ვადა ყოველთვის სანდო როდია. არც ისაა გამორიცხული, რომ ინფორმაციაც პროდუქციის შემადგენლობის თაობაზე გაყალბებული იყოს...**

— ეს უკვე მეორე საკითხია. ჩვენმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ხშირად ეტიკეტზე მითითებული ინფორმაცია არ შეესაბამება პროდუქციის შიგთავსს. რაც შეეხება ეტიკეტზე ინფორმაციის არარსებობას, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მეექვსე მუხლში წერია, რომ პროდუქციის ეტიკეტზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მისი შემადგენლობა და ვადები, რათა მომხმარებელმა არჩევანი სწორად გააკეთოს. მისი უგულვებელყოფისათვის მეწარმე კანონით უნდა დაისაჯოს.

**— რამდენადაც ვიცი, პროდუქტებს შენახვისა და რეალიზაციის მკაცრად განსაზღვრული წესები აქვს. რამდენად იცავენ მას გარემოვაჭრეები?**

— ამ სფეროში კიდევ ერთი მტკივნეული და მოუგვარებელი პრობლემა გარევაჭრობაა. ანტისანიტარულ პირობებში, ყველანაირი შენახვის პირობების დარღვევით ისეთი მალფუჭებადი პროდუქტები იყიდება, როგორიცაა ხორცეული, რძის ნაწარმი და სხვ. როდესაც მომხმარებელი პროდუქტს ყიდულობს, ის უკვე დიდი რისკის ქვეშ აყენებს თავის ჯანმრთელობას. გაიარეთ ყოფილი დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე და ნახავთ, თუ რა პირობებში იყიდება სურსათი.

ბევრ პროდუქტს შემოწმების გარეშეც, ერთი შეხედვით ეტყობა, რომ საკვებად უვარგისია. მაგ., შებოლილი ხამსა. გაურკვეველია, როდის არის გამოშვებული, და საერთოდ, რამდენად დაცულია ტექნოლოგიური ციკლი და რამდენი ხანი აქვს ამ პროდუქტს შენახვის ვადა. უმეტეს შემთხვევაში ეს ინფორმაცია გამყიდველისათვისაც კი მიუწვდომელია, არათუ მყიდველისთვის.

**— რაც შეეხება ყავას. მას ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს. როგორ ყავას სვამენ დღეს საქართველოში?**

— ყავაში კოფეინის ყველაზე დაბალი დასაშვები შემცველობა ასეთია — 100 გრამში 0,7%. თუ ამაზე დაბალია, მაშინ ფალსიფიცირებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ მიერ შემოწმებული 12 დასახელების დაფასოებული, დაფქვილი ყავიდან („ძველი გემო“, „რიო გრანდე“, „ვერმუკ სელექს გრუპ“, „როიალ არმენია“, „როიალ ბრაზილიერო“, „არაბიკა“, „პრინც ლებო“, „არარატი“, „სტიმულვეი“, „ელიტგოლდი“, „რეალი“, „ბერნუკი“) სტანდარტული მოთხოვნები მხოლოდ 5 დააკმაყოფილა, ესენია: „ბრაზილიერო“, „რიო გრანდე“, „სტიმულვეი“, „როიალ არმენია“, „როიალ ბრაზილია“, დანარჩენში კოფეინის შემცველობა მხოლოდ 0,2% იყო.

**— ხომ არ აჯობებს, მარცვლოვანი ყავა შევიძინოთ და თავად დავფქვათ?**

— რა თქმა უნდა, იგი შედარებით ხარისხიანია, მაგრამ მასშიც არის რაღაც დარღვევები. ჯერჯერობით ის კვლევის სტადიაშია და ამაზე ახლო მომავალში აუცილებლად მოგაწვდით ინფორმაციას.

**— ზოგიერთ მომხმარებელს უცხოური პროდუქციის ყიდვა ურჩევნია, ვიდრე ქართულის. მათი თქმით, თუ პროდუქცია ქართულია, ე.ი. უხარისხოა.**

— ეს არასწორი მიდგომაა. პირიქით, ჩვენმა ბოლო კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქტების მიმართ მომხმარებლის ნდობა გაიზარდა. ჩვენს ქვეყანაში ხარისხიანი პროდუქციაც შემოდის და უხარისხოც. ანალოგიურად, საქართველოში წარმოებული პროდუქციაც არის ხარისხიანი და უხარისხო. შედარებას, რომელი უფრო უკეთესია, ნამდვილად ვერ გავაკეთებ. საქართველოში არსებობს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემო, როგორც შემოტანილი პროდუქციისთვის, ასევე ადგილობრივი ნაწარმისთვის.

**— სად უფრო უსაფრთხოა პროდუქციის ყიდვა: ბაზარში თუ სუპერმარკეტში?**

— მე პირადად იქ ვყიდულობ პროდუქტს, სადაც გამყიდველს შეუძლია მომაწოდოს ინფორმაცია, ესა თუ ის პროდუქტი ვის მიერ არის წარმოებული. თუკი გამყიდველი დაინტერესებულია ხარისხიანი პროდუქციის მიღებითა და რეალიზაციით, მაშინ მომხმარებელი დაცულია. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია, მიმწოდებელმა უხარისხო პროდუქცია შემოიტანოს ბაზრობაზეც და სუპერმარკეტშიც.

ამდენად, მომხმარებელი ყურადღებით უნდა იყოს პროდუქციის შეძენისას, თუკი რამე არ მოეწონება, ჩვენ მოგვმართოს.

ესაუბრა
**ალექსანდრე აკობია**

# სინათლის ქალაქის ძვირი ყოველდღიურობა

**საერთაშორისო ორგანიზაცია ECA INTERNACIONAL-ის მიერ ჩატარებული კვლევებით, კოპენჰაგენი, ოსლო, ჟენევა, ციურიხი და ბაზელი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ქალაქებია. მათ უსწრებენ ანგოლის დედაქალაქი ლუანდა და იაპონიის ქალაქები: ტოკიო, ნაგოია, იოკოჰამა და კობე. ძვირადღირებული ქალაქების „ტოპ ოცეულში“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ბაქო აღმოჩნდა. ოცეულს მიღმა დარჩა თბილისი. აქედან გამომდინარე, ძვირადღირებული ქალაქის სტატუსი ოფიციალურად არ ეკუთვნის, თუმცა მის „მოსაპოვებლად“ თბილისს ყველა საჭირო პირობა აქვს; უპირველესად, სამომხმარებლო ფასების მაღალი მაჩვენებელი, რითაც ამა თუ იმ ქალაქის სიძვირე განისაზღვრება.**



რაც უნდა გასაკვირი იყოს, სამომხმარებლო ფასების მიხედვით, საქართველო აშშ-საც კი ბევრად უსწრებს. მაგალითად, 2009 წლის მონაცემებით, 100 კვტ/სთ ელექტროენერგიის საფასური საქართველოში 16 ლარია, აშშ-ში — 22,5 თეთრი; 1 ლიტრი ბენზინი 1,77 ლარი ღირს, აშშ-ში — 1.26 ლარი; ქართულ ბაზარზე 1 კგ ფრინველის ხორცი 6,5 ლარად ფასობს, ამერიკაში — 4,76 ლარად. ჩვენთან 10 კვერცხის ფასი 2,53 ლარს შეადგენს, ამერიკაში — 2,32 ლარია.

საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში 560 ლარია (ასეთია ოფიციალური მაჩვენებელი. სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო კი, შეიძლება ითქვას, ეს მხოლოდ მშრალი სტატისტიკაა), ამერიკაში კი — 5500 ლარი. ექსპერტების განმარტებით, სიძვირე თბილისს ტრადიციულად მოსდგამს და ნებისმიერ დროს დედაქალაქში ცხოვრება გაცილებით ძვირი იყო, ვიდრე რეგიონებში. ეს სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული.

თბილისი მსოფლიოს ძვირადღირებული ქალაქების კრიტერიუმებს აბსოლუტურად აკმაყოფილებს:

„მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლების, მომსახურებისა და პირველადი მოხმარების საგნების, თუნდაც ფუფუნების საგნების (რომლებიც, ბუნებრივია ნორმალური ცხოვრებისთვის) ღირებულების ფარდობითი მაჩვენებლებით თბილისი ერთ-ერთი უძვირესი ქალაქია, — **განაცხადა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძემ,** — მოქალაქეთა უმრავლესობის ასეთი დაბალი შემოსავლები და ასეთი მაღალი სამომხმარებლო ფასები იმაზე მიუთითებს, რომ თბილისი კონკურენციას გაუწევდა ყველაზე ძვირ ქალაქებსაც კი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი ყოველთვის ძვირი ქალაქი იყო. უბრალოდ, დღეს ეს სიძვირე ჩაგრავს დედაქალაქის მცხოვრებთ, რასაც ისინი ღიად გამოხატავენ“.

**— ეკონომიკური თვალსაზრისით, სიძვირე ქალაქისთვის დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი?**

— მომსახურებისა და საქონლის სიიაფე არ არის პროგრესის მაჩვენებელი. მაღალი ფასები სულაც არ ნიშნავს მახრჩობელა ბიზნესის არსებობას. ჩვენთან დარღვეულია პროპორცია. შემოსავლების არარსებობა განაპირობებს იმას, რომ ფასები მახრჩობელა ხდება. მთავარია, ადამიანმა თავისი შემოსავლით შეძლოს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების გადაფარვა. მთავარია დასაქმება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და არა — ფასების შემცირება. თუ მოქალაქეებს ექნებათ სტაბილური შემოსავალი და დანაზოგის გაკეთების საშუალება, მაშინ სიძვირე ასე თვალში საცემი აღარ იქნება. შეერთებულ შტატებზე თუ ვსაუბრობთ, ის ფანტასტიკური მოხმარების ქვეყანაა. ასეთი სხვაობა ღარიბ და მდიდარ მოსახლეობას შორის, როგორც ჩვენთან არის, არა მარტო აშშ-ში, არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არაა. ამას ხელისუფლებები არც დაუშვებენ.

**— რამდენად მართებულად ხდება საქართველოში პროდუქტსა და სამომხმარებლო ნივთებზე ფასწარმოქმნა?**

— საქართველოში პროდუქტზე ფასწარმოქმნის პროცესის მართებულობაზე საუბარი შეუძლებელია. ფასები მიშვებულია. მას ხელისუფლება და მთავრობა არც აკონტროლებს და არც იცავს. ცივილიზებულ სამყაროში კი ამის დამცავი მექანიზმები არსებობს (მაგალითად, ანტიმონოპოლიური ორგანიზაციები, რომლებიც თავისთავად გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ამ პროცესზე). დასავლეთში არავინ დაუშვებს ფართო მოხმარების საგნებზე მონოპოლიას. ჩვენ კი ფსევდო ლიბერალურ რეფორმებს ამოვეფარეთ და, ფაქტობრივად, რეფორმები იმ მიმართულებით გატარდა, რომ ე. წ. რეფორმის მამებმა გააუქმეს ყველაფერი, რაც საკუთარ ბიზნესში უშლიდათ ხელს. დღეს საქართველოში ყველაფერი თავდაყირა დგას და ამიტომაც არის, რომ ფასწარმოქმნას ძლიერი ჯგუფები განაგებენ. მთავრობა კი ამაზე არაფერს ამბობს იმ მოტივით, რომ ის არაფერში ერევა. ეს კი ჩვენს რეალობაში სასაცილოა.

**— სახეზეა ლარის კურსის ინფლაცია, რასაც შესაბამისად პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვა...**

— ფასწარმოქმნის პროცესში ლარის კურსის ცვალებადობა ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგრამ დღეს არსებული ლარის ინფლაციაც ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. ეროვნულ ბანკს ჰქონდა რესურსი, ზედმეტი ინტერვენცია განეხორციელებინა დოლარებში და კურსიც არ შეცვლილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვილაცის ინტერესებში შედიოდა.

**— ვის ინტერესებში?**

— გვარსა და სახელს ნამდვილად ვერ გეტყვით; უბრალოდ, ამ პროცესის ანალიზიდან გამომდინარე, მე ასეთი შთაბეჭდილება მექმნება.

ესაუბრა
**ნანა ლაღაძიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პარლამენტის «მკვდარ სულებს» კიდევ ერთი შეემატა



კადრი ფილმიდან „მიმინო“



ზვიად კუკავა

**ნაციონალი ზვიად კუკავა მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი 2009 წლის 20 ოქტომბერს გახდა.**
**მან საკანონმდებლო ორგანოში მირზა დავითაია შეცვალა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთი უსიტყვო და ცხვარივით მორჩილი დეპუტატი მეორე ასეთივე დეპუტატმა ჩაანაცვლა.**
**საქართველოს პარლამენტს, რომელიც, კარგა ხანია, ცოცხალი მიცვალებულების სამყოფელს უფრო ჰგავს, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს, სადაც ახალი ინიციატივების განხილვისას მწვავე დებატები და დისკუსიები უნდა მიმდინარეობდეს, არც მირზა დავითაიას წასვლით დაჰკლებია და არც ზვიად კუკავას შესვლით შემატებია რამე.**

ახლადგამომცხვარი პარლამენტარი ქ. ზუგდიდში 1978 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა. დაოჯახებულია. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. კვალიფიკაციით იურისტია. შრომითი საქმიანობა 2003 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წამყვან სპეციალისტად დაიწყო. 2004 წელს კი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინარული სამართალწარმოების განყოფილების გამგე გახდა. 2005 წელს დაწინაურდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინარული სამართალწარმოების სამმართველოს უფროსად დაინიშნა. 2006 წელს გენერალურ პროკურატურაში გადავიდა სამუშაოდ. გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორი გახდა. ზვიად კუკავამ პროკურორად სულ რაღაც სამი თვე იმუშავა. ის მალევე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საპარლამენტო მდივნის სამსახურის კანონშემოქმედებითი და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ კონსულტანტად გადავიდა. ერთი წლის შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული სამსახურის მრჩეველი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახდა. 2009 წელს კი საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სავარძელი დაიკავა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბატონი ზვიადი ძალიან ხშირად იცვლიდა თანამდებობებს და ყველაზე ხანგრძლივი დრო (17 თვე) იუსტიციის სამინისტროში დაჰყო.

ზვიად კუკავას პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ არაფრისმთქმელ და საკმაოდ მოსაწყენ ბიოგრაფიულ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ის მთელი თავისი კარიერის მანძილზე ყოველთვის საჯარო მოხელე გახლდათ და პარტიული საქმიანობით არასდროს ყოფილა დაკავებული. ამის მიუხედავად, მან ქვეყნის პირველი პირის ნდობა დაიმსახურა და საზოგადოებისთვის უცნობი, გამოუცდელი და ახალბედა პოლიტიკოსისთვის პარლამენტის კარი ფართოდ გაიღო. თავის დროზე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი გახდა. ზვიად კუკავა ამჟამად იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის — პავლე კუბლაშვილის ხელმძღვანელობით „ნაციონალი“ პოლიტიკოსისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს ითვისებს და რომ არა ე. წ. ზარი კრემლიდან, ის მასმედიის ყურადღების ცენტრში არასდროს მოექცეოდა.

**მკითხველს შევახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინათ ჯონდი ბაღათურიას, გიორგი თარგამაძეს და ზვიად კუკავას პარლამენტში კრემლიდან დაურეკეს და ბარსელონაში ფეხბურთის მატჩზე დასასწრები ბილეთები შესთავაზეს. ვინც დეპუტატებთან გახუმრება გადაწყვიტა, შესაძლოა, არც იცოდა, რა სამსახური გაუწია ზვიად კუკავას. მან „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს პირველი ინტერვიუ მისცა, თუმცა ბატონი დეპუტატი თავდაჯერებულად ვერ გამოიყურებოდა და დანაშაულზე წასწრებულ ბავშვს უფრო ჰგავდა.**

31 წლის ზვიად კუკავა, სულ რაღაც სამი თვეა, პარლამენტის წევრია და მის კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით არანაიარი ინფორმაცია არ დევს პარლამენტის ოფიციალურ საიტზე. ამდენად, ძნელი სათქმელია, რამდენად ჩართულია ახალი კანონპროექტების განხილვის პროცესში, ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში გამოთქვამს თუ არა მოსაზრებებს და ა.შ. თუმცა ერთი რამ ფაქტია, ზვიად კუკავა მე-7 მოწვევის პარლამენტის სახე ნამდვილად არ არის და არც ხალხის მიერ არჩეული დეპუტატია.

სამომავლოდ, ალბათ, აუცილებლად გაითვალისწინებს მიშას შეგონებებს და პულტზე თითის დაჭერაში ისეთივე ყოჩაღი იქნება, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის დანარჩენი წევრები არიან.

შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად იცნობს საზოგადოება პარლამენტის ახალბედა წევრს და რამდენიმე ცნობილ პიროვნებას მივმართეთ კითხვით: **იციან თუ არა, ვინ არის ზვიად კუკავა?**

**რესპუბლიკური პარტიის წევრმა და ყოფილმა დეპუტატმა ირაკლი ბათიაშვილმა გვითხრა:**

— ასეთ პიროვნებას არ ვიცნობ. ტელევიზიითაც კი არ მომიკრავს თვალი. საერთოდ, ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატს საზოგადოებისა და მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდა იცნობდეს. როცა საზოგადოება პოლიტიკურ მოღვაწეს არ იცნობს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ დეპუტატი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.

**გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი:**

— ზვიად კუკავა? არ ვიცი, ვინ არის...

**— ის საქართველოს პარლამენტის წევრია, თქვენი აზრით, რატომ არ იცნობს მას საზოგადოება?**

— პარლამენტის წევრებად ისეთ ადამიანებს ეძებენ, რომლებსაც საკუთარი აზრი არ გააჩნიათ...

**— როგორ ფიქრობთ, აუცილებელია პარლამენტის წევრი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი იყოს?**

— ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პარლამენტს თუ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაშინ ის გამორჩენილი პიროვნებებით უნდა დაკომპლექტდეს და არა ისეთი ადამიანებით, რომლებიც თითის დაქნევით მორჩილად ასრულებენ დაკვეთას. საუბედუროდ, დღევანდელ პარლამენტში ყველა საკითხზე ერთხმად იღებენ გადაწყვეტილებას და, ვინაიდან მაინცდამაინც ვერ ვხედავ, რომ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება პარლამენტში და რა აზრს გამოთქვამს.

**ნათია ქადაგიშვილი**

**კლასიკური გაგებით, პრივატიზაცია კერძო საკუთრების გაფართოებასა და საერთო დოვლათის წარმოებაში დამოუკიდებელ მოღვაწეობას გულისხმობს, ე.ი. ქონების განსახელმწიფოებრიობას წარმოადგენს და არა — გასხვისებას. როგორც ირკვევა, პრივატიზაციის კლასიკური გაგება სულაც არ ნიშნავს ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფის მიერ სახელმწიფო ქონების მითვისებას და შემდეგ გაყიდვას ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებზე. სამწუხაროდ, საქართველოში პრივატიზაცია სწორედ ასე აღიქმება.**

# გაყიდვა მოსწრებაზე

## რატომ ვერ მოხვდა სინდის-ნამუსი საპრივატიზაციო ნუსხაში

საბჭოთა კოლექტივიზაციის შემდეგ ქართულ ეკონომიკაში პრივატიზაციის სახით ახალი დემოკრატიული ეპოქა დაიწყო. მისმა პირველმა ტალღამ 1992-1995 წლებში გადაიარა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც ტალღის სიდიდეს გასცდა და ცუნამს გაუტოლდა. ექსპერტების შეფასებით, ეს იყო ახალი ე. წ. „აგრესიული პრივატიზაცია“, რომელსაც ეკონომისტები „კაბინეტურ პრივატიზაციასაც“ უწოდებენ. ახალმა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და საკუთრების სრული ლიბერალიზაცია განახორციელა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სოციალურად გაუმართლებელი იყო და მთავარი აქცენტი ბიუჯეტში თანხების მოზიდვაზე იყო გაკეთებული. ინვესტორები კი იმ დარგებით დაინტერესდნენ, რომლებიც ეკონომიკაში განიხილება როგორც ბუნებრივი მონოპოლიები. ასეთი იყო „თბილგაზი“, „თელასი“, „თბილწყალკანალი“, „საქართველოს ენერგო სადისტრიბუციო კომპანია“ და სხვ.

მასშტაბურ პრივატიზაციას მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე ხელმძღვანელობდა, რომლის დევიზი იყო „არ არსებობს სტრატეგიული ობიექტი“, ანუ იყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდა. **ნამუსი იმიტომ ვერ მოხვდა საპრივატიზაციო ობიექტებში, რომ თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში იგი, უბრალოდ, არ არსებობს.** სააკაშვილის ხელისუფლებამ ეროვნული ქონების უდიდესი ნაწილი გაყიდა იმ ქვეყნის ინვესტორებზე, რომელიც, ფაქტობრივად, მუდმივად ომის მდგომარეობაშია საქართველოსთან; უმცირესი ნაწილი კი ნახევარსაუკუნოვანი და ბურუსით მოცული იჯარით გასცა. ისიც ხშირად ხდებოდა, რომ საეჭვო წარმომავლობის ინვესტორის უკან ქართველი ჩინოვნიკები იდგნენ. პრივატიზაციის თერაპიამ განკურნა საქართველოს ბიუჯეტი ქრონიკული სეკვესტრისაგან, მაგრამ ობივატელის თვალიც კი შეამჩნევს იმას, რომ პრივატიზაციიდან შემოსული ფულით შევსებული ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკას ვერ აამაღლებს.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მრავალწლიანი პრივატიზაციის შემდეგ, საწყალ სახელმწიფოს, რომელიც მავანთათვის მეწველ ძროხად ქცეულა, კიდევ შერჩენია ქონება. დღის წესრიგში ახლა სწორედ ამ ქონების საკითხი დგას. ეკონომიკის სამინისტრომ უკვე გამოაქვეყნა იმ ობიექტების სია, რომლის განსახელმწიფოებრიობა მიმდინარე წელს უნდა მოხდეს. სიაში 90 ობიექტია. მათ შორისაა ყოფილი ფინანსთა სამინისტროს შენობა ვაკეში, რესპუბლიკური საავადმყოფოს, სპორტისა და ფიზიკური კულტურის აკადემიის შენობები. ბიუჯეტის მესვეურნი ფიქრობენ, რომ ამჯერად პრივატიზაციით 250 მილიონ ლარს მიიღებენ.




კლასიკურ პრივატიზაციას მეორე მხარეც აქვს: უკანონოდ ნაყიდი ან შეძენილი ქონება დაბრუნებას ექვემდებარება, კანონდამრღვევი — დასჯას. ქართულ პრივატიზაციას კი კლასიკურთან საერთო თითქმის არაფერი აქვს, აქედან გამომდინარე, მეორე მხარე არ არსებობს. ამის მაგალითად „ბლოკ ჯორჯიაც“ კმარა, რომელსაც თავის დროზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა საავადმყოფოები ისე გადასცა, თითქოს წინაპრებისგან ნაბოძები მზითევი ყოფილიყოს. ხელისუფლებამ აღიარა, რომ ეს ნაბიჯი არასწორი იყო, თუმცა არც საავადმყოფოები დაუბრუნდა ხალხს და არც კანონდამრღვევი დასჯილა.

მოკლედ, გაყიდვა მოსწრებაზეა. მთავარია, ბიუჯეტში ფული შევიდეს. შედეგებზე ხელისუფლება პასუხს არ აგებს. პრივატიზაციით ქვეყანამ ბევრი ვერაფერი მოიგო, მოიგეს მხოლოდ ჩინოვნიკებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი ხელისუფლების უდიდესი ნაწილი პრივატიზაციის პირველი ეტაპის დროსაც ხელისუფლებაში იყო. თუ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ საქართველოსა და ქართველი ერის ქონება სულ რამდენიმე ოჯახმა დაისაკუთრა. ამ მიტაცებას კი პრივატიზება დაერქვა.

**ეროვნული ქონება მხოლოდ პათეტიკური ფრაზა არ არის, ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე (ამჟამად სხვა ქვეყნებისთვის თავშეფარებული) მცხოვრები მოსახლეობის მიერ შექმნილი პროდუქცია თავის შენობებიანად, ხიდებიანად, სააკაშვილის რეზიდენციანად, ბიუჯეტიანად, პორტებიანად და საავადმყოფოებიანად. მოკლედ, ყველაფერი, რაც ქართველებმა შექმნეს „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვან“ მხარეში.**

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# აბლაბუდა პუტინისთვის

2009 წლის 9 სექტემბერს გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“ გამოქვეყნდა რუსეთის ხელმძღვანელობისადმი მიმართული პუბლიკაცია „მოდი, ერთმანეთს სიტყვა მივცეთ!“ (http://geworld.net/ru/politics/427.html), რომელშიც ვაკრიტიკებდი რუსულ ბიუროკრატიას: ჩინოვნიკებს, პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებსა და ექსპერტებს, რომელთა მოქმედებამ თუ უმოქმედობამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მომხდარ კატასტროფას; აგრეთვე, შემოთავაზებული იყო ამ სიტუაციიდან გამოსვლის გზები.



19 დღის შემდეგ — 2009 წლის 28 სექტემბერს **რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან უცხო ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების სამმართველოს უფროსის ს. ვინოკუროვის** წერილი მივიღე, რომელშიც ნათქვამია:

**„პატივცემულო ბატონო არნო!**

**თქვენი მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისადმი ყურადღებით განვიხილეთ. გულითად მადლობას გიხდით თქვენი იმ ურთულესი პრობლემებით დაინტერესების გამო, რომელიც დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებობს.**

**თქვენი კონკრეტული წინადადებები ორმხრივი კავშირების ნორმალიზაციის თაობაზე დამუშავების პროცესშია. სავსებით ვიზიარებთ თქვენს შეშფოთებასა და ტკივილს იმის გამო, რაც ამ ურთიერთობაში ხდება, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში. ვიმედოვნებთ, რომ ორივე მხარის საზოგადოებრივი ძალისხმევა ნაყოფს გამოიღებს და ჩვენს სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება აღდგება. ამისკენაა მიმართული ჩვენი მუშაობაც.**

**პატივისცემით,**
**სამმართველოს უფროსი**
**ს. ვინოკუროვი“**

დღეს, 6 თვის თავზე, ოფიციალური მოსკოვის ზოგიერთი კონტრპროდუქტიული მოქმედება მაშფოთებს და მაიძულებს, კვლავაც მივუბრუნდე ამ თემას, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ის სავალალო შეცდომები, რომლებიც წარსულში დავუშვით. თუმცა, თუ ზემომოყვანილ პუბლიკაციაში მარტოდენ ზოგადი ნეგატიური ტენდენციები და საქართველოს მიმართ რუსეთის ბიუროკრატიაში ჩამოყალიბებული გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მიღების ბიწიერი პრაქტიკა იყო აღნიშნული, ახლა უკვე ***„კონკრეტულად დავასახელებ სახელებს, პაროლებს, საიდუმლო შეხვედრების ადგილებს“*** (ამ პუბლიკაციის ერთ-ერთი მთავარი გმირის, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის **ვ. პუტინის** ცნობილი ფრაზა!). მაშ, ასე:

### ოთხი მაგალითი უახლესი ისტორიიდან:

**1) 1995 წელი, საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები:** მიუხედავად იმისა, რომ უპარტიო კანდიდატი **ჯუმბერ პატიაშვილი** თავისი პროგრამის ქვაკუთხედად რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას ასახელებს (რაც საშუალებას აძლევს **შევარდნაძის გუნდს, პატიაშვილი** და მისი წინასაარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **ალექსანდრე ჭაჭია** რუსეთის ემისრებად მონათლოს და რუსეთიდან მალულ დაფინანსებაში დაადანაშაულოს), წინასაარჩევნოდ რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი — პრეზიდენტი **ბ. ელცინი,** პრემიერ-მინისტრი **ვ. ჩერნომირდინი,** საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. კოზირევი,** თავდაცვის მინისტრი **პ. გრაჩოვი** — ერთსულოვნად უჭერენ მხარს **ედუარდ შევარდნაძეს**, თანაც ამ აბსოლუტურ მხარდაჭერას ცენტრალური ტელევიზიით გამოხატავენ!

**შედეგად**: მათი უპრეცედენტო მხარდაჭერით შთაგონებული **შევარდნაძის გუნდი** თამამად აყალბებს არჩევნების შედეგებს (რომელზეც რეალურად იმარჯვებდა **პატიაშვილი!**) და საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის მოწინააღმდეგე **შევარდნაძე** ხდება...

**ვის აძლევდა ეს ხელს? რუსეთს — აშკარად არა;** ხელისუფლების სათავეში **შევარდნაძეს** მოჰყავს პროამერიკული ახალგაზრდობა — **სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე, ნოღაიდელი,** რომლებიც მის მეგობრებთან — **ბუშუფროსთან, ბეიკერთან, კოლსა და შულცთან** ერთად საქართველოს პირით დასავლეთისკენ, ხოლო ზურგით რუსეთისკენ აბრუნებენ, ფართოდ ულებენ კარს სპეციფიკურ საერთაშორისო ინსტიტუტებს (აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს), ფონდებს (სოროსის ფონდს) და შესაბამისად — უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს. სწორედ **შევარდნაძის** მმართველობის წლებში საქართველო ნატოსთან სამხედრო თანამშრომლობის პროგრამის *„პარტნიორობა მშვიდობისათვის“* წევრი ხდება და პირველად აცხადებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილს.

**ვინ მოიგო ამით? ცხადია, საქართველომ — არა:** ქართველი ხალხი სიღატაკის ზღვარს დაბლა აღმოჩნდა, ქვეყნის ბიუჯეტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, ხელისუფლებაში კორუფცია და ნეპოტიზმი ჰყვაოდა, ქვეყანაში ჯერ უკანონო ბანდფორმირებების, შემდეგ კი ძალოვანი სტრუქტურების თვითნებობა სუფევდა, რამდენიმე წლით ადრე დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა არ აღმდგარა, 300 ათასი ლტოლვილი აფხაზეთში ვერ დაბრუნდა (თუ არ ჩავთვლით **ვ. პუტინის** გადაწყვეტილებას, რომელმაც 60.000 ქართველი ლტოლვილი გალის რაიონში დააბრუნა).

**2) 2003 წელი, საქართველო, „ვარდების რევოლუცია“:** პრეზიდენტ **ვ. პუტინის** დავალებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იგორ ივანოვმა** ხელისუფლების სათავეში **სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას** „რევოლუციური სამეულის“ უსისხლო მოსვლა უზრუნველყო.

**შედეგად: სააკაშვილმა** რუსეთის მხარდაჭერა გამოიყენა, მაგრამ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ „გადააგდო“ (**ვ. პუტინის** გამოთქმით) და საქართველო დასავლეთისკენ, ნატოში გაწევრიანებისა და აშშ-სთან პარტნიორობის კურსით წაიყვანა, რომელიც **შევარდნაძის** დროს შენიღბულ, „მცოცავ“ ხასიათს ატარებდა.

**ვის აძლევდა ეს ხელს? ცხადია, რუსეთს — არა:** გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მეზობელთან (რუსეთთან 900 კმ-იანი საერთო საზღვრის მქონე, მათ შორის, გამუდმებით ლოკალურ ომში მყოფ ჩრდილოეთ კავკასიასთან მომიჯნავე) სამხრეთ კავკასიის საკვანძო სახელმწიფოსთან გაწყვეტილი სახელმწიფო ურთიერთობანი; თავის სამხრეთ საზღვრებზე ნატოს ბაზისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მიღების პერსპექტივა; მის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესანახად მილიარდობით დოტაციების საჭიროება: სატრანსპორტო-ლოგისტიკური პრობლემები სტრატეგიულ მოკავშირე სომხეთთან, სადაც ძლიერი რუსული სამხედრო ბაზაა დისლოცირებული; ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან — მართლმადიდებელ საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული კავშირების გადაფასება, რომლის შვილები რუსების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში.

**ვინ მოიგო ამით? ცხადია, საქართველომ — არა**: ტერიტორიის 20 პროცენტისა და თავისი მოქალაქეების — აფხაზებისა და ოსების კიდევ უფრო გაუცხოება; ცხინვალის რეგიონიდან ათეულ ათასობით ახალი ლტოლვილი; რუსეთში მცხოვრები მილიონზე მეტი ქართველი, რომლებიც მკაცრი სავიზო რეჟიმისა და პირდაპირი ავიარეისის უქონლობის გამო ნათესავების მოსანახულებას ვერ ახერხებენ ***(სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი არ მოქმედებს — პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა მათ ქვეყანაში დაუბრკოლებლად შემოსვლის ნება დართო!);*** დაკარგულია ძირითადი — რუსეთის ბაზარი ქართული ღვინის, კონიაკის, მინერალური წყლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის.

**თუმცა, ყველაზე საშინელი ისაა, რომ რუსეთშიც და საქართველოშიც იზრდება ახალგაზრდობა, რომელმაც ასაკისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო არაფერი იცის ჩვენი ძველი მეგობრობის შესახებ და ერთმანეთს დაუძინებელ მტრებად აღიქვამენ!**

(*მინდა მივმართო საქართველოს განათლების მინისტრს, ბატონ* ***შაშკინს*** : — **ბატონო დიმიტრი!**

თქვენ უთუოდ განათლებული კაცი ბრძანდებით, თქვენი მშობლები კი თბილისში ერთობ პატივსაცემი ადამიანები არიან. რით ხელმძღვანელობდით, როცა რამდენიმე დღის წინათ ყველა სკოლაში გამოაცხადეთ კონკურსი თემაზე: **„რუსეთი — აგრესორი და ოკუპანტი!“(?).** ამასთან, დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა, რომლებმაც ჯერ წერა-კითხვა არ იციან, ეს თემა თავიანთ ბავშვურ ნახატებში უნდა ასახონ... რატომ რევთ ბავშვებს პოლიტიკაში და ტრავმას აყენებთ მათ ფსიქიკას? რატომ თესავთ ნაციონალურ შუღლს?! თქვენ ხომ წარმოშობით რუსი ბრძანდებით, განა საქართველოში ამის გამო ოდესმე შეგავიწროვეს, განა რამდენიმე მინისტრის პორტფელი არ გამოიცვალეთ?! დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვები თქვენთვის ეგზომ საძულველი რუსეთის ფედერეციის დღევანდელ ხელისუფლებასა და რუს ხალხს ერთმანეთისგან ასხვავებენ?! გესიამოვნებათ, მომავალში თქვენს შვილებს, მათი რუსული გვარის გამო, საზოგადოებაში ოკუპანტები და აგრესორები რომ უწოდონ?! განა ტოლერანტობას არ ასწავლიან აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში, რომლის ქართული განყოფილების ხელმძღვანელიც ბრძანდებით?!)

3) 2004 წელი, აფხაზეთი, საპრეზიდენტო არჩევნები: არჩევნებამდე ერთი თვით ადრე რფ-ის პრეზიდენტი **ვ. პუტინი** დაგომისში **რაულ ხაჯიმბას** შეხვდა, რის შემდეგ ყველამ დაასკვნა: რუსეთი ფსონს **ხაჯიმბაზე** დებს! აფხაზეთში არჩევნების წინ ხაჯიმბას მხარდასაჭერად რუსეთიდან სახელმწიფო დუმის დეპუტატები და საესტრადო მომღერლებიც ჩამოვიდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, არჩევნებში მისმა მეტოქემ — **სერგეი ბაღაფშმა** გაიმარჯვა, რომელიც ხალხის უფრო დიდი მხარდაჭერით სარგებლობს (რაც მორიგ ჯერზეც დაადასტურა 2009 წლის დეკემბერში იქ ჩატარებულმა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა).

**შედეგად:** აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა და რუსეთს ხელახლა ჩარევა მოუხდა, მაგრამ უკვე იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარეთა შორის კომპრომისი მიღწეულიყო და განმეორებითი არჩევნების შემდეგ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად **ბაღაფში,** ხოლო ვიცე-პრეზიდენტად **ხაჯიმბა** არჩეულიყო.

**ვის აძლევდა ეს ხელს? ცხადია, რუსეთს — არა:** მისი პრეზიდენტი **ვ. პუტინი** ორჯერ ჩააგდეს უხერხულ მდგომარეობაში: დეზინფორმირებულს, ჯერ ნაკლებ პოპულარული კანდიდატის მხარდაჭერა ურჩიეს (და ეს იმის გამო, რომ **ბაღაფში** საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილად მიიჩნეოდა, თბილისში ნამუშევარი იყო ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ქართველი ცოლი ჰყავს და ბევრი ქართველი მეგობარიც!), შემდეგ აიძულეს, სამხედრო დაპირისპირების შეჩერების პასუხისმგებლობა ეტვირთა და ნაციონალური თანხმობის გარანტად ქცეულიყო (შუამავლების: ფრაქცია „როდინადან“ რფ-ის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერის **სერგეი ბაბურინისა** და რუსეთის გენერალური პროკურორის **ვლადიმერ კოლესნიკოვის** სახით).

**ვინ მოიგო ამით? ცხადია, საქართველომ — არა:** თუ მანამდე ბაღაფში კიდეც აპირებდა ოფიციალურ თბილისთან ურთიერთობის დარეგულირებას, მომხდარის შემდეგ, კომპრომისის სახით საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი გამარჯვების ლეგიტიმურობის საყოველთაოდ აღიარების სანაცვლოდ, იძულებული შეიქნა, ამ განზრახვაზე ხელი აეღო!

**4) 2004 წელი, უკრაინა, საპრეზიდენტო არჩევნები:** რფ-ის პრეზიდენტი **ვ. პუტინი** არჩევნებამდე ორჯერ ესტუმრა უკრაინას **ვიქტორ იანუკოვიჩისთვის** თავისი მხარდაჭერის გამოსახატავად და ოფიციალურ შედეგებამდე ორჯერ მიულოცა მტკიცე გამარჯვება არჩევნებში. თუმცა რუსეთის ფავორიტის სახით, **იანუკოვიჩის** ასეთმა აშკარა პრეზენტაციამ უკუშედეგი გამოიწვია: **იანუკოვიჩის** პოლიტიკურმა მეტოქემ და სეხნიამ **ვიქტორ იუშჩენკომ** და ასევე ბევრმა უცხოელმა დამკვირვებელმა საჯაროდ განაცხადეს არჩევნების მიმდინარეობისას მასშტაბური ფალსიფიკაციების შესახებ, რამაც *„ნარინჯისფერ რევოლუციად“* მონათლული სერიოზული პოლიტიკური კრიზისი და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მასობრივი აქციები გამოიწვია.

**შედეგად:** უკრაინა სამოქალქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა და უკრაინის უმაღლესმა სასამართლომ არჩევნების მე-2 ტურის შედეგების ანულირების შემდეგ უკრაინის ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების დადგენილება მიიღო, რომლის შედეგადაც გაიმარჯვა **იუშჩენკომ!**

**ვის აძლევდა ეს ხელს? ცხადია, რუსეთს — არა:** პრეზიდენტი პუტინი არცთუ სახარბიელოდ წარმოჩინდა (ის უკრაინაში საარჩევნო პროცესში ჩარევასა და პოლიტიკურ სიბეცეში დაადანაშაულეს), რუსეთმა ვერ შეძლო თავისი კანდიდატის გაყვანა და მთელი 5 წლის განმავლობაში გამუდმებით აწყდებოდა უკრაინის გაუცხოების, დასავლეთისა და ნატოსადმი მისი მისწრაფების მცდელობებსა და კონფლიქტი ჰქონდა მასთან სევასტოპოლისა და გაზის ტრანზიტის დავალიანების გამო.

**ვინ მოიგო ამით? ცხადია, უკრაინამ — არა**: მთელი ამ წლების განმავლობაში ის პერმანენტულ პოლიტიკურ კრიზისში იმყოფებოდა — ვერც კი დაითვლი, რამდენჯერ მოიწვიეს და დაითხოვეს იქ უმაღლესი რადა და მინისტრთა კაბინეტი, რამდენჯერ გამოსულა ხალხი მიტინგზე, რამდენჯერ შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია მადამ **ტიმოშენკომ...**

**ახლა კი დღევანდელ საქართველოს დავუბრუნდეთ**: ვის, პრეზიდენტ **მ. სააკაშვილის** ალტერნატიულ რომელ პოლიტიკურ ფიგურებს, გვთავაზობს კრემლი? **„შაქრის კარიერების გენერალს“ ძასოხოვსა და კრიმინალურ ავტორიტეტ ალექსანდრე ებრალიძეს, რომელიც გაურკვეველი „რელიგიის“ მქადაგებელმა რელიგიამცოდნე შევჩენკომ სოჭში პუტინის მეგობრად გამოაცხადა?! ულვაშა და ექსცენტრიკული, თითქოსდა სულაკაურის გაცოცხლებულ კარიკატურა ხომერიკსა და უულვაშო, სამაგიეროდ დელის რაჯასავით მდიდარ, ზურაბ ნოღაიდელს, რომელიც თავად პუტინმა მიიღო?!**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მე **ნოღაიდელის** სულიერი მოძღვარი არ ვარ, მაგრამ განა ქართველ ხალხს, მის პოლიტიკურ ფიგურად აღიარებამდე, უფლება არ აქვს, მისგან გულწრფელი მონანიება მოისმინოს ყველა იმ ნამოქმედარის გამო, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტ **შევარდნაძის** დროიდან ჩაიდინა? იმის შესახებ, თუ როგორ იშოვა ასობით მილიონი დოლარი სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას — ფინანსთა მინისტრობისა და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობისას?! სხვათაშორის, **ნოღაიდელი** მაშინაც წამდაუწუმ დაფრინავდა შეხვედრებზე, მაგრამ არა მოსკოვში, არამედ — ლონდონში და რა საქმეებს აკვარახჭინებდა იქ ჩვენი „ფისკალი“, ცალკე „მხიარული“ საუბრის თემაა... ოღონდ საქართველოს პრეზიდენტი გახდეს და **ნოღაიდელი** მზადაა, საქართველოს ნებისმიერ დანაწევრებას მოაწეროს ხელი (ტყუილად ხომ არაა ფიზიკოსი!), მაგრამ შემდეგ, როცა უბრძანებენ, თავის წინამორბედზე მარდად „გადააგდებს“ რუსეთს...

**იცის კი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, რომ საქართველოში** (იმისდა მიუხედავად, თუ როგორ არიან განწყობილი მისდამი — უკიდურესად უარყოფითად თუ დადებითად) **ყველას უკვირს, როგორ შეეძლო პუტინის რანგის სახელმწიფო მოღვაწესა და პოლიტიკოსს, რომელმაც „ფორბსის“ 2009 წლის ვერსიით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანთა რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა, ნოღაიდელთან ერთად მისჯდომოდა მოლაპარაკებების მაგიდას?! თქმა იმისა, რომ ამ ქობულეთელ „ფენომენს“ (შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილისა და მათი პარტიის — „მოქალაქეთა კავშირი“-„გაერთიანებული დემოკრატები“-„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ მთავარ მოლარეს) ქართველ საზოგადოებაში უაღრესად დაბალი რეიტინგი აქვს, ნიშნავს — არაფერიც არ თქვა...** ნუთუ პუტინმა ეს არ იცის? ნუთუ მას სათანადო ინფორმაციებს კვლავაც არ აწვდიან?!

**მაშ, ვინ ქსოვს „აბლაბუდას“ პუტინისთვის? ვის აძლევს ხელს, რომ მან კონტრპროდუქტიული გადაწყვეტილებები მიიღოს? ვინ მოიგებს იმით, რომ რუსეთისა და საქართველოს პატრიოტული, ეროვნულად ორიენტირებული ძალები ერთმანეთს მხარს არ დაუჭერენ და ვერ მოილაპარაკებენ?! ვის სურს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დარეგულირების იდეის საბოლოო დისკრედიტაცია? ნოღაიდელი&პანოპტიკუმის გამარჯვებით ხომ რუსეთი ისევე წააგებს, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ შემთხვევაში!**

რა ხდება, ბატონებო?! ნუთუ გაუგებარია, რომ რუსეთსა და საქართველოს საერთო ხვედრი, მეგობრები და მტრები ჰყავთ?! რუსეთისა და საქართველოს საერთო მტერი ნარკოტრაფიკი და ტერორისტები როდია: **ჩვენი საერთო მტერი რუსეთშიცაა და საქართველოშიც და მათგან ადმინისტრაციული კი არა, ზნეობრივი საზღვარი გვმიჯნავს!**

ვინ არიან ისინი რუსეთში, ამაზე დაე, კრემლში იფიქრონ, პატარა საქართველოში კი, დიდი ხანია, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის...

# მესხეთის «გაქართველება» — ქართველობის გადასარჩენად

**სამი ათეული წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცეკას მაღალ ეშელონებში დაისვა ჯავახეთის გადარჩენის საკითხი. საქმე ისაა, რომ იმ დროს ჯავახეთს სტუმრობდნენ საქართველოს სრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, მაგრამ ისინი ჯავახეთში ვერ იცნეს, რის გამოც მათ არ მოუწყვეს „სათანადო დახვედრა“. ამან ძალიან გაანაწყენა საქართველოს მთავრობის მაშინდელი წევრები და ცხელ გულზე ჯავახეთის გაქართველების გადაწყვეტილება მიიღეს. მთავრობამ დასახმარებლად ქართულ ინტელიგენციას მიმართა და სთხოვა, ჯავახეთის გადარჩენის კონკრეტული გეგმა წარმოედგინა.**

ინტელიგენციამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და სულ მალე საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალქალაქის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევასა და რეგიონში დაახლოებით 10000 ფერეიდნელი ქართველის კომპაქტურად ჩასახლებას. კერძოდ, თბილისიდან ახალქალაქში (თავიანთი „მრევლითა და ინფრასტრუქტურით“) უნდა გადაეტანათ უმაღლესი სასწავლებლები (ზოოვეტი, სასოფლო სამეურნეო, პედაგოგიური, უცხო ენათა და სამედიცინო ინსტიტუტები), ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს იქ ფილიალები უნდა გაეხსნათ. რაც იმას ნიშნავდა, რომ ახალქალაქში მუდმივად უნდა ეცხოვრათ სულ მცირე 7-8 ათას ქართველ სტუდენტსა და 500-მდე პროფესორ-მასწავლებელს. მოგეხსენებათ, თითოეული პროფესორ-მასწავლებლის უკან 3-4 სულიანი ოჯახი იდგა და შესაბამისად, ახალქალაქში სტუდქალაქის შექმნით დაახლოებით ათი ათასამდე ქართველი ჩასახლდებოდა (ეს იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არც ერთი სტუდენტი არ დარჩებოდა ახალქალაქში საცხოვრებლად).

„სტუდქალაქად გადაკეთების“ შემთხვევაში ახალქალაქში დღის წესრიგში დადგებოდა დიდი აღმშენებლობითი საქმიანობის წარმართვა, რადგან ამ დიდი გეგმის განსახორციელებლად სულ მცირე 7-8 ათეულზე მეტი ახალი ნაგებობა (სასწავლებლების კორპუსები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საერთო საცხოვრებლები, კინოთეატრები, მილიციის განყოფილებები, პოლიკლინიკები, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები) უნდა აშენებულიყო, რაც, ბუნებრივია, მოითხოვდა საქართველოს სხვა ქალაქებიდან სულ მცირე 500 მშენებლის, მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ახალქალაქში გადასახლებას. როდესაც ქალაქის მოსახლეობა ორმაგდება, წესისამებრ, საჭირო ხდება სამართალდამცავი კონტიგენტის (მილიციის, პროკურატურის, უშიშროების, სასამართლოს თანამშრომელთა) მნიშვნელოვნად გაზრდა, ანუ ამისათვის ახალქალაქში დაახლოებით 400 სამართალდამცავის გადასახლება გახდებოდა საჭირო. თუ მათ ოჯახის წევრებსაც მივუმატებთ, 1200-1300 კაცს მივიღებთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალქალაქს დამატებით დასჭირდებოდა ექიმები, მასწავლებლები, სასადილოების, კაფე-ბარების, საპარიკმახეროების, კინოთეატრების, სავაჭრო ობიექტების მომსახურე პერსონალი, დაახლოებით 1000-1200 ადამიანი, მათ უკან მდგომ ოჯახის წევრებსაც თუ გავითვალისწინებთ, ეს ციფრი გასამმაგდება.

ერთი სიტყვით, ახალქალაქის სტუდენტურ ქალაქად გადაქცევა (თავისი დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარების ჩათვლით) თეორიულად ნიშნავდა სულ მცირე 15-17 ათასი ქართველის ჩასახლებას (მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად) რეგიონში, სადაც სულ 90 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 17000 ქართველის ჩასახლებით მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა დემოგრაფიული ვითარება. პერსპექტივაში ისიც გათვალისწინებული იყო, რომ ქართველი სტუდენტები ოჯახებს შექმნიდნენ და ჯავახეთში სამუდამოდ დასახლდებოდნენ, რაც რეგიონის „გაქართველების“ პროცესს დააჩქარებდა.

ეს რაც შეეხება ახალქალაქს. ბოგდანოვკასთან დაკავშირებით კი ქართველ ინტელიგენციას სხვა გეგმა ჰქონდა. მოგეხსენებათ, სამი ათეული წლის წინათ ირანს მართავდა თბილისში დაბადებული და გაზრდილი შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, რომელსაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა მთავრობასთან. ამით ისარგებლეს ფერეიდნელმა ქართველებმა და მოითხოვეს საქართველოში გადმოსახლება — „დედა სამშობლოში დაბრუნება“. დაახლოებით 3000-მდე ოჯახმა გამოთქვა დაბრუნების სურვილი, მაგრამ დაშვებულ იქნა გაუგონარი შეცდომა — საქართველოში ჩამოსახლებული ფერეიდნელები ცალ-ცალკე მიმოფანტეს. რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელი აღმოჩნდა ფერეიდნელთათვის. მათ არ სურდათ, რომ ერთ ძმას ლაგოდეხში ეცხოვრა, მეორეს — ცხინვალში, მესამეს კი — ახალციხეში. მათ უნდოდათ, რომ საქართველოში კომპაქტურად დასახლებულიყვნენ, რათა ძმებს, დებს, ნათესავებს, მეზობლებს ერთად ეცხოვრათ და გადაეტანათ ის გაჭირვება, რომელიც ყოველთვის თან სდევს, მართალია ისტორიულ სამშობლოში, მაგრამ მაინც უცხო ქვეყანაში გადასახლებას. **ქართულმა ინტელიგენციამ კარგად უწყოდა ეს ამბავი და ხელისუფლებას სთხოვა, რომ ფერეიდნელი ქართველები კომპაქტურად ბოგდანოვკის (ახლა მას ნინოწმინდა ჰქვია) რაიონში დაესახლებინა. ისიც გაითვალისწინეს, რომ სომეხი მოსახლეობა არ გაყიდდა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს, ამიტომ ფერეიდნელ ქართველთა ჩასახლება სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების კუთვნილ მიწებზე უნდა მომხდარიყო. მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა.** თანხის გამო არ შეუკავებიათ თავი. მაშინდელი საქართველოს ბიუჯეტი 4-5 მილიარდი მანეთი იყო, თანაც მაშინ მოსკოვიდან დამატებით 3-4 მილიარდი მანეთის სუბსიდიის მიღება პრობლემას არ წარმოადგენდა (რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა ზემოხსენებული ორივე პროექტის განსახორციელებლად). უბრალოდ, საქართველოს მაშინდელ ცეკაში „შიშობდნენ“, რომ ჯავახეთში კომპაქტურად ჩასახლებული ფერეიდნელი ქართველები თავიანთ ქართველობას დაკარგავდნენ. ამ აბსურდის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ფერეიდნელმა ქართველმა სტუდენტმა რეზო მიქელაძემ: „ოთხი საუკუნე სპარსეთში გამიძლია, ქართული ენა შემინარჩუნებია, მუსლიმანი კაცი, პურს რომ ვაცხობ, მასზე ჯვარს გამოვსახავ და ახლა საქართველოში ჩამოსახლებული გადავგვარდები?“



სხვათაშორის, ფერეიდნელ ქართველებს არც ჯავახეთის სუსხიანი კლიმატი და უნაყოფო მიწები აშინებდათ. ანალოგიური კლიმატი და გამოფიტული მიწებია ფერეიდანშიც, მაგრამ ქართველი კაცის მარჯვენამ ეს რეგიონი წალკოტად აქცია. ასე რომ, 10000 ფერეიდნელი ქართველის ჩასახლება ჯავახეთს აალორძინებდა.

**მაგრამ, საუბედუროდ, მაშინდელმა მთავრობამ არავის მოუსმინა და ფერეიდნელთა გაფანტვით ჩასახლება გააგრძელა. სამწუხაროდ, ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამ ვერ იგუა „თათრების“ გამეზობლება და ამან ის შედეგი მოიტანა, რომ გულნატკენმა ფერეიდნელებმა უარი თქვეს საქართველოში დაბრუნებაზე: „სჯობს ირანში ვიყოთ და გურჯები გვერქვას, ვიდრე საქართველოში ვცხოვრობდეთ და თათრებად მოგვიხსენიონ“.**

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯავახეთში ქართველ სტუდენტთა და ფერეიდნელთა ჩასახლების წინააღმდეგი წასულა სომხეთის მაშინდელი მთავრობა და გრეგორიანული ეკლესია. მათ ადვილად გადაიბირეს მოსკოვის ხელისუფლება და ქართველთათვის სავალალოდ გადაწყდა კიდეც ჯავახეთის ბედი. საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უკან დაიხია და უარი თქვა ზემოხსენებულ გეგმებზე. უფრო მეტიც, იმ მიზეზით, რომ მესხეთ-ჯავახეთი ესაზღვრებოდა თურქეთს, გამკაცრდა სასაზღვრო რეჟიმი და შეიზღუდა ყველა იმ ქართველთა გადაადგილებაც კი, რომლებიც არ ცხოვრობდნენ ამ რეგიონში. ბუნებრივია, ამ ფონზე რაიმე კომპაქტურ ჩასახლებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ასე დასამარდა დიდი ეროვნული პროექტი.

გადის თითქმის ორმოცი წელი და ისევ დაისვა თბილისის ცენტრიდან უმაღლესი სასწავლებლების გადატანის საკითხი. საუბარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებზე. კიდევ გვეძლევა შანსი იმისა, რომ ისევ ავაღორძინოთ მესხეთი. კარგად გვესმის, რომ ამჟამად ჯავახეთში უმაღლესი სასწავლებლების გადატანა კიდევ უფრო დაძაბავს პოლიტიკურ ვითარებას, მაგრამ სავსებით რეალურია მათი ახალციხეში ან ადიგენში განთავსება. უმაღლესი სასწავლებლების რეგიონში გადატანა პოზიტიურად აისახება როგორც თბილისის, ასევე პროვინციის ყოფა-ცხოვრებაზე. მოგეხსენებათ ადიგენისა და ახალციხის რაიონები დაცლილია ახალგაზრდობისგან და მათი სტუდქალაქად გადაკეთება იხსნის მესხეთს სრული გაუკაცრიელებისგან. თავის მხრივ, თავკომბალად ქცეული დედაქალაქიც განიტვირთება ჭარბი მოსახლეობისგან, რაც მრავალ ყოფით პრობლემას მოუგვარებს თბილისს.

**როსტომ დვალი**

# საგადასახადო კოდექსის ახალ ცვლილებებს მეწარმე გაკოტრებამდე მიჰყავს

**საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ მეწარმეებს — გადასახადის გადამხდელებს პირველი თებერვლიდან მორიგი „სიურპრიზი“ შესთავაზა, რომელიც საწარმოების დაკეტვას ან მათ გაკოტრებას მოასწავებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე და 143-ე მუხლებში ცვლილებები შევიდა.**

კერძოდ: საგადასახადო პასუხისმგებლობა დაწესდა სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისთვის. საგადასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა. თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს, მეწარმეები ჯარიმდებიან, მაგრამ მითითებული არ არის ჯარიმის ოდენობა. თუმცა პირველი შემთხვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში ქმედების ხელმეორედ ჩადენისას მეწარმეები 5000 ლარით დაჯარიმდებიან, შემდგომი გამოვლენისას 10000 ლარით და ა.შ. ხოლო თუ საქონლის საბაზრო ღირებულება აღემატება 10000 ლარს, ზედნადების არ ქონის შემთხვევაში მეწარმის მიმართ ვრცელდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასეთია მეწარმის დასჯის ახალი მეთოდები. ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, ეს შესრულებადი მოთხოვნებია, მეწარმეები კი ასე არ ფიქრობენ. ამიტომაც ზუგდიდელმა მეწარმეებმა გამართეს გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია. ისინი სოლიდარობას უცხადებენ დედაქალაქელ მეწარმეებს, რათა ერთობლივი ძალისხევით უარი ათქმევინონ ხელისუფლებას მის მიერ შემუშავებულ ახალ ცვლილებებზე.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ იწრთობოდა «ფქვილის პრინცესა»

**ორი ათეული წელია, რაც საქართველოში პოლიტიკოსები ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის ერთმანეთს სახელისუფლო სკამებისთვის ებრძვიან. მათი ბრძოლის შედეგი კი ყოველთვის საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფით მთავრდება, უბრალო ხალხი კი პირში ჩალაგამოვლებული რჩება. ცოტა ხანში კი ქართულ ეკონომიკაში დაწყებული „დიდი არაბობის“ გამო ჩალაც აღარ დარჩებათ.**



პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა, ბრძოლა წესებით თუ წესების გარეშე, კომპრომატებით, შავი პიარითა და ერთმანეთის ლანძღვა-გინებით. ისიც ხშირად ხდება, რომ წარსულ წყენასა და შეურაცხყოფას ადვილად ივიწყებენ და ერთ დროს დაუძინებელი მტრები ერთ ბანაკში აღმოჩნდებიან; ან ერთი იდეალებისთვის თუ ხელისუფლებისთვის მხარდამხარ მებრძოლნი სხვადასხვა ფლანგზე აღმოჩნდებიან ხოლმე. შეიძლება ითქვას, პოლიტიკაში ყველაზე ხშირად ხდება პრინციპებისა და შეხედულებების ცვალებადობა. **ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ რიგიანად „მოქალაქეთა კავშირის“ პირმშოს სირცხვილის ჩამორეცხვა ვერ მოასწრო, რომ უკვე ნაციონალობა გახდა ჩამოსარეცხი. პოლიტიკურ მეხსიერებას თუ დავძაბავთ, ამის ბევრ თვალსაჩინო მაგალითს გავიხსენებთ. ამჯერად ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ ფერიცვალებას გადავავლოთ თვალი.**

ქალბატონი ბურჯანაძე ოპონენტების წინააღმდეგ მკვეთრად შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას არ იყენებდა და მის პოლიტიკურ ლექსიკონში ხშირად იკვეთებოდა სიტყვა „კონსტრუქციული“, თუმცა მას შემდეგ, რაც თვითონ გახდა ხელისუფლების ოპონენტი, კონსტრუქციულობა პოლიტიკურ სეკვესტრში მოხვდა, მისი განცხადებები კი რადიკალურად შეიცვალა.

**ნინო ბურჯანაძე ყელზე დაკიდებული ძვირფასი მარგალიტების მსგავსად, ვერ იცილებს კორუმპირებული ოჯახისშვილობას. „ფქვილის პრინცესას“ იარლიყი მამამ — ანზორ ბურჯანაძემ შვილს 90-იანი წლების დასაწყისში მიაწება. შემდეგ იყო ავადსახსენებელი მოქალაქეთა კავშირი, ახლა კი ნაციონალობისგან განწმენდას ცდილობს.**

ბურჯანაძის განცხადებით, „დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, მედია საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს და მაქსიმალურად აკონტროლოს. აღნიშნულის დასტურად ისიც კმარა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელად საკუთარი გუნდის წევრი, ყოფილი მინისტრი დანიშნა, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად — ასევე ხელისუფლების დირექტივების უსიტყვო შემსრულებელი“.

უცნაურია, რომ **ბურჯანაძეს მედიის გაკონტროლების მცდელობად არ შეუფასებია 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები, როდესაც ათეულობით ათასი ადამიანი ტელეკომპანია „იმედის“ დამოუკიდებლობას იცავდა. საზოგადოების ვნებათაღელვის იგნორირებისთვის „ფქვილის პრინცესას“ ყველაზე მაგარი „ფოლადის ლედის“ სტატუსი მიანიჭეს და ერთ ლარად წყნეთის აგარაკიც აჩუქეს, რომლის რეალური ღირებულება მილიონებს აჭარბებდა.**

მაშინდელი დუმილისთვის ხალხის წინაშე ბოდიში საჯაროდ მოიხადა და თავისი საქციელი მარტივად ასე ახსნა:

„ორი წლის წინაც იდგა უსამართლო სასამართლოს პრობლემა, ქონების ჩამორთმევის, ადამიანის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრების პრობლემა, მაგრამ ეს არ იყო იმდენად ღრმად წასული, როგორც დღეს. მე ვიყავი იქ, სადაც ვიყავი. პარლამენტის თავმჯდომარის ადგილზე ამ ტიპის განცხადებები არ კეთდება. ელემენტარული პოლიტიკური ცოდნაა საჭირო, რომ ადამიანებმა სწორი დასკვნა გააკეთონ. არ შეიძლება ადამიანი ერთნაირად ლაპარაკობდე მაშინ, როცა ხარ პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი და როცა ხარ ოპოზიციაში“.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან რეალურად ხელისუფლებაში ყოფნისას ის ასე საუბრობდა:

„სახელისუფლო გუნდი ბევრს ესაუბრება ხალხს, იცის ადამიანების განწყობა, მათი პრობლემები და, რაც მთავარია, იცის, როგორ მოაგვაროს ეს პრობლემები“.

**2008 წლის იანვარში კი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, როდესაც მეორე ვადით არჩეულ სააკაშვილს, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა საკუთარი უფლებები გადააბარა, აღნიშნა:**

**„ჩვენ დავანახეთ მსოფლიოს, რომ საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, სადაც რთულ ვითარებაშიც კი ხალხს აქვს გონიერება, რომ სწორი ნაბიჯი გადადგას სწორი მომავლისთვის. საქართველოს აქვს სურვილი და მოთხოვნილება, რომ დემოკრატიულად განვითარდეს. ხელისუფლება კი სწორედ ამ მიმართულებით მიდის“.**

**დღეს კი ხელისუფლების ქმედებებში დემოკრატიის სიოსაც ვერ გრძნობს:**

**„ჩემთვის სიურპრიზია, რომ სააკაშვილი ევროპელ დიპლომატებთან დემოკრატიის მეორე ტალღაზე ლაპარაკობს მაშინ, როდესაც საზოგადოება დემოკრატიული რეფორმების არა თუ ტალღას, არამედ სიოსაც ვერ გრძნობს“.**

„დღეს საქართველოში იწყება ომი იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენთვის ძვირფასია, იწყება სერიოზული ბრძოლა ოპოზიციის, განსხვავებული აზრის წინააღმდეგ. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ პროცესს, რომელიც ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს. დღევანდელი ხელისუფლების უუნარობა და კორუმპირებულობა უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას“, — ეს განცხადება კი ოპოზიციურ არენაზე გამოსვლის პირველ დღეებში გააკეთა. **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქალბატონი ნინო იყო თანაავტორი იმ გრძელვადიანი პოლიტიკისა, რომელსაც ხელისუფლება მიჰყვება და რომელიც ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხვას უქადის, ეს აშკარად არაკორექტული გამოსვლაა. ეს არაკორექტულობა კი მას წყნეთის აგარაკის დაკარგვად დაუჯდა.**

პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე მოკალათებული „ფოლადის ლედი“ ყოველთვის მზად იყო ოპოზიციასთან დიალოგისთვის:

„როდესაც, ერთის მხრივ, შეთანხმებისკენ მოუწოდებ და, მეორეს მხრივ, უკიდეგანო ლანძღვა-გინება და გაკეთებულის იგნორირება გესმის, ამ დროს მეორე მხრიდან კვლავ კორექტული ნაბიჯებისა და კომპრომისების მოთხოვნა არაკორექტულია. მე ჩემს ოპონენტებს მოვუწოდებ, რომ გვერდზე გადადონ პირადი ამბიციები და იმ საკითხებზე ვისაუბროთ, რაც მართლა საქმესთან არის დაკავშირებული. მე კონკრეტული პირობები არასდროს წამიყენებია, ყოველთვის ვაცხადებდი, რომ მზად ვარ დიალოგისთვის“.

**დღეს კი რადიკალური შეხედულება აქვს დიალოგზე და პრეზიდენტის გასამართლებას ითხოვს:**

„ჩვენ შეურიგებელ პოზიციაზე ვდგავართ. ერთხელ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ვთქვი, რაც ამ ქვეყანას სააკაშვილმა დამართა, მის ჩამოხრჩობას უნდა ვითხოვდეთ, ჩვენ კი მის გადადგომას ვითხოვთ. ჩვენი ყველა ქმედება რადიკალური რომ იყოს, ბუნებრივია, სხვა რეალობა გვექნებოდა.“

„ბევრი რამ შეიძლება აპატიო ადამიანს, მაგრამ ვერ აპატიებ ტყუილს ხელისუფლების მხრიდან, რაც იყო აგვისტოს მოვლენებამდე და დღემდე გრძელდება. Eეს უსინდისო ტყუილებია, რომლითაც ეს ადამიანები კვებავენ საქართველოს მოსახლეობას მათ მიერ კონტროლირებადი მედიის საშუალებებით“.

„მე ადრეც ვაფრთხილებდი ხელისუფლებას, რომ ასეთი ქმედებებით კატასტროფამდე მივიდოდა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი ქმედებები არ შერჩება და ყველა აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის. სააკაშვილს აუცილებლად მოუწევს პასუხისგება. პრეზიდენტი მართლმსაჯულების წინაშე იმიტომ უნდა წარსდგეს, რომ მან შეცვალა ქვეყნის რუკა, პოლიტიკურ რეპრესიებს კი სულ უფრო მასშტაბურად ახორციელებს“.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ კი განაცხადა:

„ჩვენ ვისაუბრეთ იმ საფრთხეებზე, რომელიც ემუქრება საქართველოს იმ პრეზიდენტის ხელში, რომელიც აცხადებს, რომ დღესაც იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რაც შარშან ომის დაწყებასთან დაკავშირებით მიიღო. მიხეილ სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს ომის დაწყებისთვის, რაც ქვეყანას მისმა გადაწყვეტილებებმა მოუტანა.“

**ნანა ლალაძიშვილი**

## ნინო ბურჯანაძე: რაც ამ ქვეყანას სააკაშვილმა დამართა, მის ჩამოხრჩობას უნდა ვითხოვდეთ

# ახალგაზრდების თვალით დანახული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

**ქართველი ახალგაზრდების თვალით დანახული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იყო მთავარი თემა ზუგდიდში გამართული შეხვედრისა, სადაც აფხაზეთიდან დევნილი, როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები სტუდია „რეს” ხელმძღვანელსა და სოხუმელ მწერალ გურამ ოდიშარიას შეხვდნენ. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი — „ნების არ ქონა”.**

„შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება”, „ღირდა კი ომის დაწყება”, „ვის მიუძღვის ბრალი ომის დაწყებაში”, „რას ვერ იყოფდნენ ქართველები და აფხაზები” და სხვა კითხვები იყო დასმული ამ დოკუმენტურ ფილმში ახალგაზრდების მიერ, რომლებიც ომის დაწყებისას 3-5 წლისანი იყვნენ.

დასკვნებიც თვითონვე გამოაქვთ. ანუ ომის გაჩაღებაში და კონფლიქტის მშვიდობიან მოუგვარებლობაში გარკვეული დანაშაული მიუძღვით საქართველოს მაშინდელ და ამჟამინდელ ხელისუფლებას, არ შეიძლება ყველაფრის რუსებზე გადაბრალება, რადგან საკუთარი ძალებითაც შესაძლებელი იყო ყოველივე თავიდან აგვეცილებინა.

ფილმის რეჟისორის მამუკა ყუფარაძის განმარტებით, ფილმის სულისკვეთება არ მოსწონს საქართველოს ხელისუფლებას. ამიტომაც აკრძალულია ამ ფილმის ჩვენება ჩვენი ტელევიზიებით. სამაგიეროდ, ფილმი ნახეს აფხაზებმა, რამაც ისინი დადებითად განაწყო.

ეს ფილმი შეხვედრის მონაწილეებსაც მოეწონა. თუმცა ერთ-ერთმა ქალბატონმა, ტყვარჩელის მკვიდრმა, აფხაზის მეუღლემ და აფხაზი შვილების დედამ – ციური ბუავამ გამოთქვა წუხილი მხოლოდ ქართველების დადანაშაულების გამო.

„არ შეიძლება ამ კონფლიქტში მხოლოდ ქართველები დავადანაშაულოთ, აფხაზებსაც მიუძღვით უდიდესი წვლილი ამ კონფლიქტის გაღვივებაში და გაჩაღებაში. მე როდესაც ტყვარჩელში ვცხოვრობდი, მათ პირდაპირ ვეუბნებოდი ამის შესახებ. ამიტომაც აუცილებელია ანალოგიური ფილმების გადაღება, სადაც ნაჩვენები იქნება ის ბრალეულობანი, რომლებიც აფხაზებმა ჩაიდინეს”, – აღნიშნა ქალბატონმა ციურიმ, რომელიც ამჟამად ზუგდიდში ცხოვრობს, ხოლო მეუღლე და შვილი კი ტყვარჩელში, მაგრამ ხშირად გადადის აფხაზეთის ტერიტორიაზე მეუღლისა და შვილის სანახავად (ერთი შვილი თავისთან არის).

მამუკა ყუფარაძემ არ გამორიცხა ასეთი ფილმების გადაღების შესაძლებლობაც. ისე მართლაც საინტერესო იქნება აფხაზი ახალგაზრდების თვალით დანახული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.

ამ შეხვედრაზე ითქვა იმ უდიდეს როლზე ქართველი და აფხაზი ახალგაზრდებისა, რომელთაც არანაკლებ ძველი თაობის წარმომადგენლებისა, შეუძლიათ ლომის წილის შეტანა ამ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარებაში.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

# «წლის მინისტრი» გოგა ხაჩიძე თავის მოღვაწეობის გზაზე ტოვებს კნინობითი სულიერების შემზარავ სურათს

**ფსიქოლოგია მდუმარე გამოცანათა ასახსნელი მეცნიერებაა. ადამიანის სულიერება გაცილებით უფრო ღრმა და მასშტაბურია, ვიდრე გარეგნულად ვლინდება. ორგანიზმი ბიოქიმიური მანქანაა — ტრილიონობით უჯრედის აგრეგატი ჩვენგან დამოუკიდებლად მუშაობს და ჩვენი ნებით არც ჩერდება. სულიერება სხეულში ჩამწყვდეული უზარმაზარი და ბუნდოვანი სფეროა. ვინ მოთვლის რამხელა გრძნობა, რამდენი ეჭვი, იდეა და დასადგენი აზრი თვლემს ჩვენს არსებაში. ჩვენ ვარსებობთ და ამავე დროს წარსულის ექოც ვართ და მომავლის ესკიზიც. მთავარია, გვქონდეს „სულსა შიგან" ჰარმონია, ვიცოდეთ ფასეულობათა სისტემა, ორიენტაცია და მნიშვნელობა, ნებელობითი კონტროლის საზღვრები. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე გვესაუბრება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ გოგა ხაჩიძის ფსიქოპორტრეტის ძირითად მახასიათებლებზე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ბატონ გოგა ხაჩიძის სულიერ ფასეულობებზე; ფლობს საზოგადოებისთვის სასარგებლო უნარებს, ემორჩილება საღ აზრსა და ლოგიკურობას?**

— ბიბლიური სიბრძნე ამბობს: „სარდლებად ბიჭბუჭებს დავუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ მათზე, დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი — მოყვასს, ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, ულირსი — პატივცემულს". ეს სიტყვები ესაია წინასწარმეტყველს ეკუთვნის და ეს კარგად იცოდნენ ქვეყნის მოთხრის მოწადინე, მტრულად განწყობილმა ძალებმა. გამოუცდელი, პიროვნულ სიმწიფეს მოკლებული ბიჭბუჭების საპასუხისმგებლო პოსტებზე დანიშვნა, ცხადია, არც ქვეყანასა და არც ხალხს კარგს არ მოუტანდა და მათთვის ძალაუფლების მიცემა ხალხისთვის ავბედით ხასიათს მიიღებდა. ბატონი გოგა ხაჩიძეც იმ ბიჭბუჭა მინისტრებს ეკუთვნის, რომლებზეც ჭკვიან ებრაელს უთქვამს: „შენი არ იცოდე და სხვისი არ გესმოდესო".

გოგა ხაჩიძე საღი აზრისა და ლოგიკურობის მატარებელი რომ იყოს, სახელმწიფო საპასუხისმგებლო თანამდებობას თავისთვის აკრძალულ ზონად მიიჩნევდა და შეთავაზებულ ადგილს არ დათანხმდებოდა. მართალია, განათლებით ბიოლოგია და სპეციალობით მცენარეთა ფიზიოლოგი, მაგრამ ისე გახდა ამ დარგის მინისტრი, სპეციალობით არასოდეს უმუშავია. მას მეორე სპეციალობა — ჟურნალისტობა უფრო იზიდავდა. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის პირველ და მეორე არხებზე, ტელეკომპანია „იბერვიზიაში", „რუსთავი 2"-ში, „202"-ში, თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში, რადიო „105"-სა და რადიო „რეზონანსში", გაზეთ „რეზონანსში". 2002 წელს ის პოლიტიკაში წავიდა და დააარსა პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატები" ხაშურში; 2003-04 წლებში ის უკვე ხაშურის რაიონის გამგებლის მოადგილეა. 2005 წელს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულია, ხოლო 2008 წელს გარემოს დაცვის მინისტრად გვევლინება. **სამუშაო ადგილის ქრონიკული მონაცვლეობა, დროის მცირე ინტერვალით, გვიჩვენებს, რომ ის მხოლოდ პარტიული მითითებებით მოქმედებს, იმპულსურად და გაუცნობიერებლად, შინაგანი მოწოდების გარეშე; საშიშ ხაზამდე აქვს დაქვეითებული ნებელობა, თვითაქტუალიზაცია. ის უკვე მარიონეტია. ამ მდგომარეობამდე კი მიიყვანა უზომო პატივმოყვარეობამ, ეგოცენტრიზმმა, ამპარტავნული თავმოწონებისა და თავის გამოჩენის დაუოკებელმა ვნებამ.** ამ მიზნით ჩაერთო ოპერატიულად „ვარდების რევოლუციაში" და მიზნად საკუთარი „მე"-ს უზრუნველყოფა დაისახა. უარყო დროით განმტკიცებული სულიერი ფასეულობები სუსტი ნებელობითა და განუსჯელობას დაქვემდებარებული გონებრივი უნარებით, მიაძინა სულში სინდისის ხმა. **მან ვერ მიაღწია პიროვნულ სიმწიფეს, რადგან არ გააჩნია ფასეულობათა სისტემა და ორიენტაცია**. მასში ფასეულობები ჯერ კიდევ არ ქცეულა მნიშვნელოვნად, ვერ ფლობს ქცევის შეგნებულ-ნებელობით კონტროლს, რის გამოც უმწიფარი და საეჭვო პიროვნებაა. გოგა ხაჩიძისნაირი სუბიექტისათვის ხშირად ყველაფერი „სულ ერთია.

**— ბატონო ზურაბ, რა კრიტერიუმებით შეირჩა გოგა ხაჩიძე მინისტრად, რით დაიმსახურა ესოდენ მნიშვნელოვანი თანამდებობა?**

— მისი ფსიქიკის წამყვანი ცენტრალური შტრიხი მლიქვნელობა, ფარისევლობა და პირმოთნეობაა, რომლის ჯადოსნური შესაძლებლობები ყველა დროის „სამეფო კარის" ჯოკერია. გოგა ხაჩიძის ცნობილი ჰიტი „მიშა მაგარია" ამის დადასტურებაა. თუ ამ სიმღერას დაუკვირდებით, ყურადღებას მიაპყრობთ მის ტემპსა და მისამღერს, „ალილუიასავითა" და „ოსანასავით" ხშირად მეორდება „მიშა მაგარია!", შეიცავს ლოცვის სტრუქტურას, რითაც ავტორი ცდილობს, ჰიპნოზური გავლენა მოახდინოს მსმენელზე. ეს გვიჩვენებს, რომ ბატონ გოგას ქვეცნობიერში ღრმად აქვს ჩალექილი „მონური კომპლექსი", რომელიც დროდადრო ცნობიერებაში გადმოსვლით იღვიძებს. ის ხოტბას ასხამს უზურპატორ პრეზიდენტს.

**ფსიქოანალიზით, ფარისეველი მეხოტბე ხაჩიძე, რომელიც ქებათა-ქებას უძღვნის ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველს, შინაგანი სულიერებით სადისტი და ტირანია, თანაც მხდალი, გულნამცეცა და მშიშარა. მას თრგუნავს მდგომარეობის სიმძაფრე და ამიტომ იწყებს „ლაქუცს". მთელი სიცოცხლე ეძებს გზებს და ქვეცნობიერში ნატრობს, მიაღწიოს უმაღლეს მდგომარეობასა და შეუზღუდავ ძალაუფლებას...**

**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ბატონ გოგა ხაჩიძეზე, როგორც ხელმძღვანელზე?**

— ყველა ვხედავთ, თუ რა დღეშია საქართველოს ბუნება და ეკოლოგია. ნადგურდება, იჩეხება და იყიდება ტყეები, მდინარეთა კალაპოტები, მწვანე ზოლები. ტყეების მონოპოლისტ მეპატრონეებად კი ვანო მერაბიშვილი, კახა ბენდუქიძე და მიხეილ სააკაშვილი სახელდებიან. პრემიერი გეგა მგალობლიშვილიც ტყეების საქმეს შეეწირა. ინფორმაციის თანახმად, გეგამ ჩაშალა მცხეთა-მთიანეთის ტყეების შესყიდვაზე დანიშნული ტენდერი, რითაც მთავრობის მაღალი ეშელონები ფრიად გაანაწყენა. მწვანეთა ლიდერის გია გაჩეჩილაძის ინფორმაციით, შირაქის ველი არაბებზე გაიყიდა, ხოლო ახმეტის ტყეები — ჩინელებზე. გარემოს დაცვის სამინისტრო კი პირში წყალჩაგუბებული ხვდება ბუნებრივი რესურსების განიავება-გაყიდვას. გოგა ხაჩიძის უწყების თანამშრომლები, როდესაც კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობისთვის დააკავეს, მინისტრი ამ ამბავს ასე გამოეხმაურა: „მსგავსი ფაქტები მოხშირდა და ეს იმითაც არის განპირობებული, რომ არის დაბალი ხელფასები". მინისტრს ავიწყდება, რომ საქართველოში უმუშევრობა ცხოვრების წესად იქცა. იმასაც მოჩვენებითი გულწრფელობით ამბობს, რომ „საქართველოში, სამწუხაროდ, გარემოს დაცვის კულტურა არ შეესაბამება ცივილური სამყაროს ნორმებს... ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმულ ნაბიჯს არ ექნება აზრი, თუ არ მოვუვლით ბუნებას, მასზე უნდა აიგოს ჩვენი ქვეყნის მომავალი სტრატეგია. საზოგადოებამ თავად უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, რადგან, თვალს თუ დავუხუჭავთ, მარტო კანონი ვერ გვიშველის". ეს ორი ფრაგმენტი გვიჩვენებს, რომ გოგა ხაჩიძე თითს საზოგადოებისკენ იშვერს, ხოლო საკუთარი უწყების თანამშრომლების საქციელს მცირე ხელფასების გამო თავისებურ ახსნას უძებნის. ესაა საზოგადოებისთვის საჭირო მინისტრი?!

აგვისტოს ომის დროს ტყეთა დიდი საფარი განადგურდა. მინისტრის განაცხადი ამ საკითხზე საოცრად პარადოქსულია: „დამწვარი ხეების ფესვთა სისტემით ეკოსისტემის აღდგენის პროცესი რთული იქნება, რადგან მთლიანად მოშლილი და დარღვეულია ფლორა-ფაუნის ბალანსი, კლიმატი შეცვლილია. საბედნიეროდ, კატასტროფამ ხეობის მასშტაბი არ მიიღო და არც მინერალურ წყლებს ემუქრება საფრთხე". ერთი მხრივ, „მთლიანად მოშლილია და დარღვეულია" და შემდეგ საბედნიეროდაც გვაქვს საქმე. ფსიქოჭრილში მას ქვეცნობიერიდან სათქმელი გამოეპარა, როგორც ხალხი ამბობს, წამოსცდა! იგრძნო და... მყისვე გამოასწორა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ

**სათქმელს უპასუხისმგებლოდ ეკიდება, უჭირს კონცენტრაციის შენარჩუნება შეგრძნებასა და სათქმელს შორის. მხოლოდ მაშინ კონცენტრირდება მისი გონება სათქმელთან, თუ საქმეში პრეზიდენტი ან მისი უახლოესი გარემოცვა ფიგურირებს.**

ასე მოხდა მაშინ, როდესაც სააკაშვილმა ბათუმში ორი ქედის მოჭრა ბრძანა. ერთის სიგრძე 65 კმ-ია, ხოლო სიგანე 2800 მეტრი, მეორისა — სიგრძე 60 კმ-ია, სიმაღლე 2600 მეტრი. რომ იტყვიან, სააკაშვილმა დაიჟინა: „აქეთ გორას წიხლსა ვკრავ, იქით გორას ძვრას ვუზამ", მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გარემოს დაცვის მინისტრი კი დუმდა...

ეკოლოგებმა აღიარეს, რომ თბილისი ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია ევროპაში. სპეციალისტებმა ონკოლოგიური დაავადებების მომატების ერთ-ერთ მიზეზად ქალაქის დაბინძურება დაასახელეს. გოგა ხაჩიძე აცხადებს, რომ „თბილისი არც ისე დაბინძურებული ქალაქია, თბილისში მუშაობს სამი სადგური და სამჯერ მოწმდება ჰაერის დაბინძურების მონაცემები". არასამთავრობო ორგანიზაციებმა მინისტრის ნათქვამი გადაამოწმეს და იგი ტყუილში დაადანაშაულეს. ასე რომ, მინისტრი გოგა ხაჩიძე არაკომპეტენტურობასთან ერთად მატყუარაცაა.

„მწვანე ალტერნატივის" მოპოვებული სამხილებით შემოტანილი საწვავი ტყვიის შემცველია, ხოლო ტრანსპორტის გამონაბოლქვი — ყველაზე საშიში წყარო ჰაერის დაბინძურებისა. მინისტრი ამ საკითხებზე გასაგები მიზეზით დუმილს არჩევს. ცნობილი ნავთობკომპანიები: „ვისოლი", „კანარგო", „სოკარი" და „ლუკოილი" ხომ პრეზიდენტის ოჯახის, მისი ძმების საკუთრებაა.

ქალაქში გაცხოველებულ მშენებლობებს ეწირება მწვანე ნარგავები, ბაღები, პარკები და მწვანე ზოლები. თბილისში მწვანე ტერიტორიების გამალებული შესყიდვა მიმდინარეობს და თანაც მიტინგების მოწყობა მხოლოდ ბაღებსა და სკვერებშია შესაძლებელი.

**გოგა ხაჩიძე არ არის ის პიროვნება, რომელიც დედაბუნებას უპატრონებს და „ხმალამოღებული" დაიცავს მას განადგურებისაგან.**

***— აბა, რატომ დასახელდა მედიაპროექტ „სახე(ლ)ების" ნომინაციაში წლის მინისტრად?***

— განა მარტო დასახელდა, მას ოქროს პრიზიც გადაეცა. გახსოვთ, კარვების აშლის შემდეგ, მთავრობამ მოაწყო საჩვენებელი გამოფენა — ანგარიში ხალხს. მაშინ გოგა ხაჩიძემ გადარჩენილი ენდემური ხის ჯიშების ექსპონატები წარმოადგინა პროექტით „ტყე შეუნახე შვილებსა". ეს იყო მთავრობისა და მინისტრის მხრიდან ცინიზმი და მათი უმაქნისობის მაჩვენებელი. იქნებ, ამიტომ გახდა „წლის მინისტრი" გოგა ხაჩიძე?! დღეს ეკობალანსი ქვეყანაში იმ დონეზეა დარღვეული, რომ თბილისშიც კი გამოჩნდნენ მგლები, ხოლო სამთაწყაროში მტაცებელმა 5 წლის ბავშვი დაკბინა. ბუნების გაჩანაგება ყოველთვის იწვევს საშიშ კატაკლიზმებს. ყველა ეს „სიკეთე" კი სათავეს იქიდან იღებს, რომ

**თავხედნი და უმეცარნი მთელი ძალისხმევით ცდილობენ თვითდამკვიდრებას, რადგან მეჯღანუაშვილის კომპლექსით მარტო მოხვეჭასა და განდიდებაზე ფიქრობენ.**

ბატონი ხაჩიძე ასეთი გზით გახდა კერპთაყვანისმცემელი და ვანდალი. ოპოზიცია მას ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ხარების ეკლესიის დარბევაში ადანაშაულებს. არსებულ ვიდეომასალაში ჩანს, როგორ ამტვრევს ეკლესიის კარს გარემოს დაცვის მინისტრი. მისი შეზღუდული აზროვნება ასეთია: „მიზანი ამართლებს საშუალებას" და რომ „ფული ჯოჯოხეთს ანათებს".

**ასე რომ, ოქროს პრიზით დაჯილდოებული „წლის მინისტრი" თავის მოღვაწეობის გზაზე ტოვებს კნინობითი სულიერების დემონსტრირების შემზარავ სურათს.**

ესაუბრა
**ლალი ზაზიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვიდოდნენ ევროპისკენ

**თუ ვინმეს პრეტენზია აქვს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ, — საქართველოში აქვს ფართო საზოგადოებრიობას, რაც არა ერთხელ გამოთქმულა საჯაროდ და რაზეც დამაჯერებელი პასუხი დღემდე არ გაუცია ნინო ბურჯანაძეს: რასაც იგი გვეუბნება, თავის მართლება უფროა, რაიც, როგორც წესი, ადასტურებს დაშვებულ შეცდომებს, ვიდრე აბათილებს მათ. შეცდომები კი მძიმეა.**



### სააკაშვილის „გრძელი ხელები“ თუ იუშჩენკოს „ოხრანკა“?

ქალბატონი ნინო თავის მართლების რეჟიმში ურთიერთობს საზოგადოებრიობასთან.

ეს მისი „მეორედ მოსვლის“ ერთი მხარეა.

მეორე. იგი ისე გაბედულად და უკომპრომისოდ უტევს მიხეილ სააკაშვილს. პარლამენტის თავმჯდომარეობისას ამის ნახევარი რომ მოეხმარა ზღვარსგადასული თავდაჯერებულობისთვის ლაგამის ამოსადებად, საქართველოს პარაზიტების უღელი, ეგებ, ასე უპირობოდ არ დაედო ნაჯაფარ ქედზე.

მაგრამ თვითონ იმ ტალღაზე მოვიდა ხელისუფლების სათავეში და თავის პოზიციას ხელისუფლების განსამტკიცებელი მოღვაწეობით იმაგრებდა. **იგი მიხეილ სააკაშვილის დამკვიდრებისთვის მებრძოლ ამორძალად უფრო მოგვევლინა, ვიდრე ხალხისთვის თავგადადებულ მაია წყნეთელად.**

წყნეთი — მინიშნების გარეშე!

დღეს ამბობს, რომ სააკაშვილის გუნდში არასოდეს „მოიაზრებდა თავს“, მაგრამ გარედან პირიქით ჩანდა.

თუმცა, ისიც არის, რომ კაბინეტური დაპირისპირებანი ან, როგორც ამბობენ, „ხალიჩისქვეშა ბრძოლები“ ყოველთვის დაფარულია და საჯაროდ არასოდეს არ არის გამოტანილი.

მოკლედ, **ნინო ბურჯანაძე უნდა მიიღო ისეთად, როგორიც არის ან არ მიიღო საერთოდ.**

პოლიტიკური გემოვნების საქმეა.

### ვიღაცას ნოემბრის დარბევების მისეული გამართლება არ ავიწყდება. სხვას ქალაქის პოლიციის მისადგომებთან აბობოქრებული ხალხის წინამძღოლად წარმოუდგება იგი — უშიშარი პასიონარია.

დღეს ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეა, მამაკაც ოპოზიციონერებზე უფრო შეურიგებელ პოზიციაზე დგას.

**რეჟიმიც ებრძვის მას, ეგებ, სხვებზე უფრო დაუნდობლად. ისეთი მონდომებით და ისეთი მობილიზებით, რისი საფანელიც შიში შეიძლება იყოს, მოწინააღმდეგის მიერ იმისი ცოდნა, რაიც საჯაროდ არა და არ უნდა გამჟღავნდეს.** ან სხვა რამ.

ყოველ შემთხვევაში, ბურჯანაძეს ისე უთვალთვალებენ, როგორც ბენ ლადენს ან ტერორისტების სხვა ვინმე ბელადს. მაგრამ ბენ ლადენი მიუწვდომელია, ქალბატონი ნინო კი აქვეა — ან საქართველოში, ან — მეგობარი უკრაინის დედაქალაქ კიევში, სადაც სპეცსამსახურების გარე თვალთვალის დანაყოფის თანამშრომლები ისეთი მონდომებით დასდევენ, თითქოს, უშუალოდ პრეზიდენტისგან ჰქონდეთ დავალება მიღებული.



იყვნენ თანაგუნდელი მეგობრები და გახდნენ დაუძინებელი მტრები

ასე კი ჩანს, მაგრამ რით დაამტკიცებ?

ამიტომ, მოდით, იმ მასალებში ჩავიხედოთ, რომლებიც ახლახან ჩვენი გაზეთისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

### „ობიექტი მაშა“, რომელიც გაქრა

„ობიექტი მაშა“ — ასე ფიგურირებს ნინო ბურჯანაძე უკრაინის უშიშროების სამსახურის მის სათვალთვალოდ სპეციალურად გამოყოფილი მუშაკების პატაკებში.

მასალები, რომლებსაც ვეყრდნობით, სარწმუნო წყაროდან მოდის. პირველობას არ ვიჩემებთ, რადგან ისინი უკვე გააანალიზეს სპეციალისტებმა და გამოაქვეყნეს კიდეც თავიანთი დასკვნა, რომლის პათოსი ასეთია: **იუშჩენკოს ჯიბის „დაცვა“** (როგორებადაც ჩამოყალიბდა უკრაინის ზოგიერთი სპეცსამსახური) **მზადაა, აღასრულოს ვიქტორ ანდრეევიჩის ნებისმიერი ბრძანება და ჭირვეული განკარგულება, მათ შორის, მისი უცხოელი მეგობრების პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული სპეცდავალებები.**

### უკრაინელი ექსპერტები პირდაპირ გვეუბნებიან, რომ უკრაინის კონტრდაზვერვას არა ერთხელ განუხორციელებია თვალთვალი ქართველ ოპოზიციონერებზე, რომლებიც კიევში ჩასულან.

რა გასაკვირია, რომ მათ შორის აღმოჩენილიყო „ობიექტი მაშა“, ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძეც.

ცოტა ღიმილის მომგვრელია ის პატაკები, რომლებშიც „მეთვალყურეთა“ მუშაობის შედეგია ასახული, იმას ჰგავს, „შუა ქალაქის“ ორი გმირი სხვა ორს კვალში რომ ჩაუდგება: „იქ მივიდა, ცხვირსახოცი ამოიღო“ და ა.შ., მაგრამ ხომ მოცდა ხალხი და ხომ იშრომა კეთილსინდისიერად?

მე მგონი, გარე თვალთვალის თანამშრომლები თავიანთ უფროსებს აბითურებდნენ, ასეთ პრიმიტივიზმებს რომ წერდნენ ბურჯანაძის კიევში გადაადგილების შესახებ (ექსთავმჯდომარე შარშან კიევში სამჯერ ჩასულა — 28-30 ივლისს, 18-28 აგვისტოს და 17-27 სექტემბერს): **„ცხოვრობდა სასტუმრო „პრემიერპალასში“ (ტ. შევჩენკოს ბულვარი, 5-7), სასტუმრო „ჰაიატში“ (ა. ტარასოვის ქ. 5); 28.07.09 წ. გადაადგილდებოდა ა/მ აა 33-93 კა, „ფოლკსვაგენით“. კონტრაქტი: ქალი, რომელიც შევიდა მისამართზე: რახმანინოვის ქ., 30/15, ბინა 71.“**

ადგილები, სადაც მივიდა: **„ოშჩადბანკი (ჰოსპიტალნაიას 12); ოშჩადბანკი (ვოლოდიმირსკაია, 27); უკრაინის მინისტრთა კაბინეტი“.**

მეორდება ოშჩადბანკი, მინისტრთა საბჭო, ემატება პრივატბანკი, იცვლება მანქანების მარკები. ესაა და ეს. თუმცა **„დაკვირვებულ თვალს“ არ გამოჰპარვია, რომ 18 აგვისტოს შვილთან ერთად ჩასულა კიევში და რესტორანში უსადილია, მაღაზიაშიც კი ყოფილა კვლავ შვილთან ერთად, თანაც — ტაქსით, შავი ფერის ბეემვეთი № ბ 010001 მისულა.**

**იქვე ჩნდება სხვა დაშიფრული ობიექტი — „გრუზ“.** ძნელია გაარკვიო, „ტვირთს“ ნიშნავს თუ შემოკლებულად „ქართველს“ — „გრუზინს“.

**ობიექტი „გრუზი“ რამდენიმეა: „გრუზ-1“, „გრუზ-2“ და „გრუზ-3“.**

ერთ-ერთ „გრუზს“ 28 აგვისტოს შეხვედრია „ობიექტი მაშა“ და ა/მ აა 00-92 კმ-ით ბორისპოლის აეროპორტში წასულა.

ხომ ასე აბითურებენ დავალების მიმცემთ მოთვალთვალინი, მაგრამ 26 აგვისტოს, 17 და 24 სექტემბერს მთლად მასხრად იგდებენ:

**„26.08.09 წ. ობიექტი არ ფიქსირდება.**

**17.09.09 წ. ობიექტი არ ფიქსირდება.**

**24.09.09 წ. ობიექტი არ ფიქსირდება“.**

გამქრალა „ობიექტი მაშა“, ფაფუ!

ქალბატონი ნინო, ერთი ხანია, დაბეჯითებით თხოვს ხელისუფლებას, დაუმტკიცონ, რომ რუსეთის აგენტია.

სარჩელიც აქვს შეტანილი.

აქვს და დევს, სადაც შეიტანა — სასამართლოში, რომელიც მის განხილვას არც აპირებს. მაგრამ, რაც უკრაინაში მოიმოქმედეს, განა აგენტობის „დამამტკიცებელი“ ირიბი დადასტურება არ არის?

არის, რადგან ასე ფეხდაფეხ აგენტობაში ეჭვმიტანილებს დასდევენ.

თქვენ კი სასამართლოს რაღაც განაჩენს მოითხოვთ!

### „ყვავილების რევოლუციის“ დემოკრატია

უკრაინულ პრესაში შეკითხვების მთელი წყება გაჩნდა: **„რის საფუძველზე უთვალთვალებდნენ ნინო ბურჯანაძეს, მის თანამებრძოლებსა და მათ უკრაინელ პარტნიორებს? დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი? ან, იქნებ, ხელისუფლებას შეეშინდა, რომ ბურჯანაძე კიევში ტერაქტის მოსახდენად იყო ჩასული? ნინო ბურჯანაძე... უკრაინის სახელმწიფოებრიობას საფრთხეს არ შეუქმნიდა. სხვა საქმეა — სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მისი ბრძოლა“.**

უკრაინელი ჟურნალისტები ოპოზიციის შესაძლო დაფინანსების უკრაინულ წყაროებზეც ალაპარაკდნენ, კერძოდ, იქაური საბანკო სისტემიდან ოპოზიციონერებისთვის ფულის შემოდინებაზე. შემთხვევითი არ უნდა იყოსო, რომ გარე თვალთვალის სამსახური ბურჯანაძის ხალხის ბანკებში ხშირ სტუმრობას აფიქსირებს.

მაგრამ ბანკში მისვლა მაინც და მაინც ასეთი ფინანსური ოპერაციების ჩატარებას არ ნიშნავს. ესეც ხაზგასასმელია.

აქ სხვა მომენტია უფრო ნიშანდობლივი: **„ყვავილების რევოლუციის“ ორი ქვეყნის სათავეში მოსული ხელმძღვანელობა პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ისეთ სადამსჯელო ოპერაციას განახორციელებს, როგორიცაა სპეცსამსახურების გავლენის სივრცეში არასასურველი მოღვაწეების მოქცევა.**

საეჭვო ხდება ამ ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები.

ერთი ლიდერის თხოვნით, მეორე ლიდერი თვალთვალს აწესებინებს „სხვაგვარად მოაზროვნეებზე“. აქედან პოლიტიკურ ტერორამდე ერთი ნაბიჯია.

დემოკრატია?

**„მზე ჩაესვენა, ვინ მიმშუქაროს?“**

კიდევ ერთი გახმაურებული და გაშიფრული თბილისური „ინიციატივა“ (2011 „დამკვირვებლის“ მივლინებასთან ერთად), რომელმაც ჩვენთანაც და უკრაინაშიც დაასამარა მითი გამარჯვებული დემოკრატიის შესახებ.

**„ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება ვივარაუდოთ, —** მიიჩნევენ უკრაინელი ექსპერტები, **— რომ უკრაინაში ბურჯანაძის ყოფნის შესახებ ცნობები მხოლოდ უკრაინის სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა მაგიდაზე არ დაიდო** (კონკრეტიკაზე თავს იკავებენ გასაგები მიზეზების გამო. — ა.ს.), **არამედ — ბ-ნ სააკაშვილის მაგიდაზეც. ამ უკანასკნელისთვის, უეჭველია, ინტერესმოკლებული არ არის, უკრაინელი პოლიტიკოსებიდან ვინაა დაკავშირებული ქართულ ოპოზიციასთან და შიდაუკრაინული პოლიტიკური ძალების განლაგება პრეზიდენტის შეცვლის წინა დღეს...**

### ხომ ნათელია, რომ იმაზე, თუ როგორი იქნება უკრაინის საგარეო პოლიტიკური კურსი, როგორი იქნება საქართველოსთან ურთიერთობა თბილისის დღევანდელი რეჟიმისადმი, დიდადაა დამოკიდებული თვით სააკაშვილის მომავალიც“.

სააკაშვილის მომავალიცო! მიაქციეთ ამას ყურადღება.

პრესა უკვე ყოფილ პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს ბრალს სდებს იმაში, რომ მან სპეცსამსახურები რეჟიმის პოლიტიკურ „ოხრანკად“ აქცია. საქართველოში ეს არავის გაუკვირდება, რადგან, როგორც წესი, ამგვარი სიახლეები დემოკრატიის ორივე ბასტიონში „პარალელურ რეჟიმში“ ინერგებოდა და ვითარდებოდა.

მაგრამ გარკვეული განსხვავება მაინც იყო. მაგალითად, პრეზიდენტობის პირველი წლის დასასრულს, იუშჩენკო, რომელსაც რადას დეპუტატებმა წაუყენეს პრეტენზია, რომ ირღვეოდა მათი კონსტიტუციური უფლებები, ხალხის რჩეულებს სისტემატურად უთვალთვალებდნენ, უსმენდნენ მათ სატელეფონო საუბრებს და ა.შ., იძულებული შეიქმნა ეღიარებინა, რომ მხოლოდ ერთი, **2005 წლის განმავლობაში დაფიქსირებული იყო პოლიტიკური მიყურადების 20 ათასი შემთხვევა.**

„7,5 ათას ადამიანს ფარულად უსმენს მილიცია, 3 ათასზე მეტს — უკრაინის უშიშროების სამსახური. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ევროპის ათობით ქვეყანაში ერთად აღებული. მტკიცებულებათა დონეზე გამოიყენებენ მხოლოდ 2-4 პროცენტს. მიყურადების 96 პროცენტი განა პოლიტიკური დევნა არ არის?!“ — განაცხადა 2005 წლის 8 ნოემბერს ქვეყნის იმდროინდელმა პრეზიდენტმა.

გსმენიათ მსგავსი რამ საქართველოს პრეზიდენტისგან?

არა.

# და დარჩნენ უკრაინაში

არ გაიხსენოთ ახლა, რომ უკანონო მიყურადღებისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს უშიშროების მინისტრი კვირაია. ეს, აუ, როდის იყო — შევარდნაძის პრეზიდენტობისას.

დღეს მიყურადება, ფარული მოსმენა საქართველოში საგანგებოდ მიღებული კანონითაა დაშვებული.

ამბობენ, ვიქტორ იუშჩენკომ ზემოთ მოხმობილი მაგალითი თავისი აღშფოთების საჩვენებელი დემონსტრირების გამოსახატად გააჟღერაო. თორემ სპეცსამსახურებმა არათუ შეწყვიტეს, არამედ გააძლიერეს პოლიტიკური დევნა.

გააფართოვეს „მოღვაწეობის“ არეალი და სხვა ქვეყნის ოპოზიციონერებს დაუწყეს თვალთვალი, თუ ასეთი რამ ქვეყნის ხელისუფლების „ინტერესებში იყო“.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვიქტორ ანდრეევიჩი ოპოზიციაში იყო და პრეზიდენტობისთვის იბრძოდა, იგი აცხადებდა, რომ თვალთვალი, რომელიც მას დაუწესეს ტოტალიტარული რეჟიმისა და აბსოლუტური უკანონობის გამოვლენაა.

უსაზღვრო იყო მისი აღშფოთება.

ამიტომ დაიფიცა, რომ შეწყვეტდა უკრაინაში ადამიანებზე თვალთვალის პრაქტიკას: „ვფიცავ, ძალას არ დავიშურებ, უკრაინაში ადამიანის უფლებები და კანონიერება რომ არ დაირღვეს“.

მამალმა გასცა სიცრუე ფიცის, რადგან ბოლო ვერა და ვერ დაუმალეს.

ნინო ბურჯანაძის შემთხვევა კიდევ ერთი მაგალითია, რამაც საზოგადოებრიობას გაკვირვების უფლება მისცა.

თუმცა საქართველოში უკვე აღარაფერი უკვირთ და არაფერი აოცებთ.

### შარო, საიდან მოდიხარო...

ეს ერთი ხანია, ყველა შარი და თავსლაფდასხმა უკრაინიდან მოდის.

საქართველოს ხელისუფლების თავგამოდებით უკრაინაში გაგზავნილ ცრუდამკვირვებლებთან დაკავშირებული სკანდალი ფართოდ რომ გახმაურდა და საერთაშორისო რეზონანსი რომ ჰქონდა, ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია.

ისიც ცნობილია, რომ ხელისუფლება დაუყოვნებლივ გაემიჯნა ამ „აქციას“ და **დეპუტატ დარჩიაშვილის** (შემოდგომის მინდორივით აჭრელებული წვეროსნის) პირით განაცხადა, რომ მართალია, დონეცკში დარბოდნენ ვიღაც ქართველები და არჩევნების ჩაშლას ცდილობდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ წარმოშობით იყვნენ ქართველები, თორემ მოქალაქეობა უკრაინისა ჰქონდათო. თანაც, 2011 კი არა, სამასამდე დამკვირვებელი ჩავედითო უკრაინაში.

დარჩიაშვილი სიცრუის დიდოსტატია.

საოცარი ის არის, რომ მის განცხადებას გამოწერილივით დაემთხვა სააგენტო „ინტერფაქსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია კიევის ცენტრში, დამოუკიდებლობის მოედანზე მამაკაცის დაკავების შესახებ, რომელიც ხალხმრავალ ადგილზე აფეთქების მოწყობას აპირებდა.

უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა **ვალენტინ ნალივაიჩენკომ** ტელეკომპანია „ინტერის“ ეთერში განაცხადა, რომ **დაკავებული არის საქართველოს მოქალაქე, 1968 წელს დაბადებული ვინმე გ.რ. მის წინააღმდეგ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე:** „ვამუშავებთ ვერსიას, რომ **საქართველოს მოქალაქე** მასობრივი აქციების ადგილზე დანაშაულის ჩადენას ან აფეთქებას გეგმავდა“.

მიაქციეთ ყურადღება: ნალივაიჩენკო ხაზს უსვამს დაკავებულის საქართველოს მოქალაქეობას. ხოლო იმავე წყაროს ცნობით: „ამასთან, **უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო და კიევის პროკურატურა ადგენენ, როგორ აიღო საქართველოს მოქალაქემ უკრაინის პასპორტი“.**

ხომ არ ჰქონდათ „აღებული უკრაინის პასპორტები“ იმ ქართველებსაც, რომლებიც, დარჩიაშვილის განცხადებით, დონეცკში არჩევნების არევას ცდილობდნენ?

საეჭვო დამთხვევაა.

იმავე დონეცკში უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „ქართული დესანტის“ წევრების წინააღმდეგ. ადგილობრივ პროკურატურაში განაცხადეს, რომ მათ მიერ წარდგენილი ცნობები, თითქოს ისინი დამკვირვებლები და ჟურნალისტები იყვნენ, ყალბი აღმოჩნდა.

არჩევნების მეორე ტურის კვირაძალს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი — ტიმოშენკო და იანუკოვიჩი სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით საქართველოდან, პოლონეთიდან და ლიტვიდან „დამკვირვებლების“ მოწვევას აპირებდნენ. 7 თებერვალს ორგანიზაცია „ავტონომიური წინააღმდეგობის“ აქტივისტებმა კიევის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის კარი ჯერ დაბლოკეს, შემდეგ კი კვამლის კოჭები დააყარეს. ეს ორგანიზაცია ორივე კანდიდატის წინააღმდეგ გამოდის. ივანო-ფრანკოვის ოლქის გორდენკის რაიონში საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი მოკლული იპოვეს...

დონეცკში მეორე ტურის მოლოდინში საქართველოს 500-მდე მოქალაქე რჩებოდა, ხოლო არჩევნების წინა დღეს, 6 საათსა და 30 წუთზე ხარკოვის გამშვებ პუნქტზე მესაზღვრეებმა დააკავეს რუსეთიდან შემოსული ორი ავტობუსი 90 საერთაშორისო დამკვირვებლით. ყველა მათგანი უკრაინის ცესკოს მიერ იყო რეგისტრირებული. ჯგუფი დონბასში მიემგზავრებოდა.

**იულია ტიმოშენკომ აღიარა, რომ სატელეფონო საუბარი მასა და სააკაშვილს შორის ნამდვილად შედგა,** და „დუმილის დღეს“ უკრაინის ფოლკლორული ანსამბლების კონცერტს დაესწრო.

ვიქტორ იანუკოვიჩი კი გრანდიოზულ გალაკონცერტს ესწრებოდა.

ჭეშმარიტად: გემოვნებაზე არ დაობენ.

### მოქმედმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ 7 თებერვალს, ხმის მიცემის შემდეგ, განაცხადა: „უკრაინელებს შერცხვებათ თავიანთი არჩევანის, მაგრამ დემოკრატია ეს არის... უკრაინამ უნდა ისწავლოს წესიერი, კანონიერი არჩევნების ჩატარება“. გაიმეორებს ოდესმე იგივეს პატივცემული მიხეილ სააკაშვილი?



უკრაინის ახალი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი

### ჟირინოვსკი: „დამშვიდდი, იულია“!

დრომ ჩამოყარა დღეების კრიალოსანი (რა ბევრი იყო?!) და 7 თებერვალი, ანუ მეორე ტურის გამართვის დღეც ისტორიაში ჩაიწერა.

არჩევნებმა კი ჩაიარა, მაგრამ ვერავინ — დაპირისპირებული ბანაკებიდან ვერავინ ამბობს, რომ დაწყნარდა უკრაინა.

ექსცენტრიულმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმაც კი დაშოშმინებისკენ მოუწოდა იულია ტიმოშენკოს — ყველა მარცხის პოლიტიკური კარიერის სასიკეთოდ შემობრუნება შეიძლებაო, „თუ, რა თქმა უნდა, არ აჰყვებით პოლიტიკურ ნერვიულობას, რომელსაც ავისმდომნი აუცილებლად ისტერიკასა და გაუწონასწორებლობას დაარქმევენ“.

ძნელი წარმოსადგენია, რომ მადამ იულია დაშოშმინებულიყო ასეთი, აშკარად დამცინავი, დარიგების შემდეგ.

არც დამშვიდებულა.

გაზეთ „უკრაინსკაია პრავდას“ თუ ვენდობით, ტიმოშენკო არ აღიარებს მეტოქის გამარჯვებას და თავისი საპარლამენტო ფრაქციის დახურულ სხდომაზე აცხადებს, რომ აუცილებლად გააპროტესტებს არჩევნების შედეგებს.

ეს მომხდარა 8 თებერვლის გვიან საღამოს.

9 თებერვალს კი ბლოკ „იულია ტიმოშენკოს“ ფრაქციის ლიდერის მოადგილემ ელენა შუსტიკმა უკვე საჯაროდ გამოაცხადა, რომ, თუ სასამართლო დაადასტურებს ფალსიფიცირების ფაქტებს რიგ რეგიონებში, წაგებული კანდიდატის მხარე გააპროტესტებს 7 თებერვლის შედეგებს.

ამ განცხადებას არ აუნერვიულებია ვიქტორ იანუკოვიჩის მომხრეები. მათი მტკიცებით, იულია „ტიმოშენკოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ორიოდ კვირით თუ გადაწევს სახელმწიფოს ახალი მეთაურის ინაუგურაციას“. ესაა და ესო.

მეორე ტურის წინა დღეებში უკრაინელი პოლიტოლოგები დარწმუნებით ამბობდნენ, რომ მხოლოდ სასწაული გაამარჯვებინებდა ქალბატონ იულიას.

სასწაული არ მოხდა.

**უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის 9 თებერვლის მონაცემებით, დამუშავებული იყო ამომრჩეველთა ბიულეტენების 99,91 პროცენტი. რეგიონების პარტიის ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა არჩევნებში მონაწილე უკრაინის მოქალაქეთა ხმების 48,95 პროცენტი დააგროვა, პრემიერ-მინისტრს იულია ტიმოშენკოს კი ხმა მისცა 45,48 პროცენტმა. ბიულეტენების 1,19 პროცენტი სხვადასხვა მიზეზით ბათილად იქნა ცნობილი. ელექტორატის 4,37 პროცენტმა ხმა მისცა ორივე კანდიდატის წინააღმდეგ.**

**9 თებერვლისთვის უკრაინის ცესკოს დასათვლელი დარჩა ბიულეტენების 0,6 პროცენტი, რაც არა თუ არ იმოქმედებს საერთო შედეგზე, არამედ სერიოზულად ვერ დააჩნდება.**

ამიტომ სრული სურათის წარმოსაჩენად უპრიანი იქნება ამ პროცენტული მონაცემების აბსოლუტურ რიცხვებში გამოსახვა: **იულია ტიმოშენკოს ხმა მისცა 11 მილიონ 562 ათას 112-მა ამომრჩეველმა; ვიქტორ იანუკოვიჩს — 12 მილიონ 372 ათას 737-მა ამომრჩეველმა.**

**სხვაობა 810 625.**

აი ეს რაოდენობაა ის დაგრეხილი თოკი, ბაწარი, რომელმაც შეიძლება ამოიყვანოს ტიმოშენკო იმ მდინარიდან, რომელსაც იანუკოვიჩი თავისუფლად გადაევლო.

ექსპერტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ თუ სხვაობა ერთ მილიონზე მეტია, რევანშზე ლაპარაკი არც ღირს, სხვა შემთხვევაში — ცდა ბედის მონახევრეა.

დაბეჯითებით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება, იურისტებისა და პოლიტოლოგების აზრით, ზოგიერთ ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმების შემთხვევაშიც კი, საეჭვოა, დაინიშნოს „მესამე ტური“, როგორც ეს 2004 წელს მოხდა. მაშინ უკრაინის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფალსიფიცირების მრავალრიცხოვანი ფაქტის გამოვლენის გამო მეორე ტურის შედეგები გაუქმდა და ამომრჩევლები კვლავ ურნებთან მიიპატიჟეს. შედეგად, პრეზიდენტად ვიქტორ იუშჩენკო აირჩიეს. ვიქტორ იანუკოვიჩი დამარცხდა.

მაგრამ მესამე ტური კანონით გათვალისწინებული არ არის, თუმცა არც 2004 წელს იყო გათვალისწინებული.

უკრაინის გენერალური პროკურატურამ განაცხადა, რომ არ დაუფიქსირებია არცერთი ისეთი დარღვევა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეუთოს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის და დსთ პარლამენტთაშორისი ასამბლეის დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს არჩევნების მიმდინარეობა.

მოკლედ: უკრაინის ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას 17 თებერვლისთვის გვპირდება. ან — უფრო ადრე.

თუ მშვიდობა იქნა, იანუკოვიჩის პრეზიდენტად კურთხევის ცერემონია მარტში გაიმართება.

არმაზ სანებლიძე



აფეთქებიდან გამარჯვებამდე: ტრიუმფის გრძელი გზა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# 100 ახალი ტყუილი ახალ საავადმყოფოზე

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საქართველოს ხელისუფლებამ ჯანდაცვის სფეროში ჰოსპიტალური სექტორისა და სადაზღვევო სფეროს რეფორმირების მიზნით მორიგი აფიორა წამოიწყო, რომელიც პროექტის „100 ახალი საავადმყოფო“ სახეცვლილი ვარიანტია.**



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, „ასი ახალი საავადმყოფოს“ პროექტში ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე ცვლილებები შედის. ცვლილებების თანახმად, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის სადაზღვევო კომპანიები საქართველოს რაიონებსა და რეგიონებში 15, 20 და 25-საწლიან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კლინიკებს ააშენებენ. რეგიონებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციისთვის კი ამავე პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული ამბულატორიების რეაბილიტაცია. გარდა ამისა, **2010 წლის პირველი სექტემბრიდან ყოველ ახალ დაზღვეულს სახელმწიფო განსხვავებულ პაკეტს შესთავაზებს, რომელშიც წამლების თანადაფინანსებაც შევა. კონკრეტული მედიკამენტების ნუსხა ნაწილობრივ ცნობილია, ესაა: პარაცეტამოლი, ვალიდოლი, ნიტროგლიცერინი, ფურასემიდი და სხვ.**

სადაზღვევო კომპანიები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ხელისუფლების ახალ ინიციატივას. ისეთი მსხვილი სადაზღვევო კომპანიები („ალდაგი ბისიაი“, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ და სულ ახლახან შექმნილი „ალფა“) მზად არიან რეგიონულ კლინიკებში ინვესტიციები განახორციელონ.

რაც შეეხება პროექტის იმ ნაწილს, რომელიც ჰოსპიტალური სექტორის განვითარებას ეხება,

**ამ დრომდე გაურკვეველია, რა ბედი ელის მთელი საქართველოს მასშტაბით 100-მდე სამედიცინო დაწესებულების მფლობელ შპს „ბლოკ ჯორჯიას“. ხომ არ დარჩება ის თამაშგარე მდგომარეობაში?**

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს პრესცენტრში აცხადებენ, მათთვის კონკრეტული დეტალები ამ დრომდე უცნობია. არადა, **დიდი ალბათობაა, რომ შპს „ბლოკ ჯორჯიამ“, რომელსაც საკმაოდ სერიოზული ლობისტები ჰყავს როგორც მთავრობაში, ასევე საკანონმდებლო ორგანოში, მშვიდად გააგრძელოს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც საავადმყოფოების ქონების გაყიდვა-გასხვისებაში, მედპერსონალის შემცირებასა და სამედიცინო მომსახურების ფასების კატასტროფულად გაზრდაში გამოიხატება.**

ხელისუფლების ახალი ინიციატივა, რომელიც, პრეზიდენტის განცხადებით, ერთჯერადი დეკლარაციის დონეზე არ უნდა დარჩეს, სამედიცინო მომსახურება ხარისხიანი და ამავე დროს ხელმისაწვდომი გახადოს, მმართველი გუნდის შორსგამიზნული გეგმის მხოლოდ ერთი ნაწილია და ჯანდაცვის ობიექტების 90 პროცენტით გასხვისებას ისახავს მიზნად. ეს საკმაოდ დიდი ქონებაა, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობებს თავისი ინფრასტრუქტურითა და მიმდებარე მიწის ნაკვეთებით. სახელმწიფოს საკუთრებაში მხოლოდ ფსიქიატრიული კლინიკა, ტუბდისპანსერი და შიდსის ცენტრი დარჩება. უახლოეს მომავალში ხელისუფლება თბილისის პირველადი ჯანდაცვის ობიექტების სადაზღვევო კომპანიებისთვის გადაცემასაც აპირებს. აღნიშნული ინფორმაცია რამდენიმე თვის წინათ თბილისის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ გააჟღერა, თუმცა მალევე უარყო. **როგორც ჩანს, ხელისუფლება წინასაარჩევნოდ მოერიდა ამომრჩევლის გაღიზიანებას და ჯანდაცვის სფეროში მორიგი ექსპერიმენტის ჩატარება ამ ეტაპზე რეგიონებში გადაწყვიტა, სადაც ამომრჩეველი პოლიტიკურად ნაკლებ აქტიურია და პირველადი ჯანდაცვის ობიექტების სადაზღვევო კომპანიებისთვის გადაცემის გამო ღია პროტესტს არ გამოხატავს.**

## იაფი დაზღვევა ბლეფია

ცნობისათვის, საქართველოში სულ 616 პირველადი ჯანდაცვის ობიექტია, მათ შორის თბილისში — 155. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში 10 869 ექიმი და 7 877 საშუალო მედპერსონალია დასაქმებული. პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებს, როგორც დღესდღეობით ყველაზე იაფ და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ სამედიცინო დაწესებულებებს (თერაპევტის კონსულტაცია სულ რაღაც 10 ლარი ღირს, როცა იგივე მომსახურება საავადმყოფოებში 20-30 ლარი ჯდება. რენდგენის სურათი 10 ლარი ღირს, საავადმყოფოებში კი — 20-25 ლარი და ა.შ.) 8 345 307 ადამიანმა მიმართა დახმარებისთვის, მათ შორის ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიც სიმსივნე და ფსიქიური დაავადებებია. პირველადი ჯანდაცვის ობიექტებს მკურნალობისთვის ყველაზე ხშირად 15 წლამდე ასაკის მოზარდები მიმართავენ. ეს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის სამსახურის 2008 წლის ოფიციალური მონაცემებია. ამ მონაცემების მიხედვით, ნათელია, მოსახლეობისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირველადი ჯანდაცვის ობიექტების ამ სახით შენარჩუნებას.

არადა, რევოლუციის შემდეგ გამუდმებით საუბრობდნენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული პირველადი ჯანდაცვის ობიექტების ოპტიმიზაციაზე. ამ მიზნით, ხელისუფლება თავდაპირველად პოლიკლინიკების რაოდენობის განახევრებას ფიქრობდა, რაც ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკების გაერთიანების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. დიდი ალბათობაა, რომ **აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების სადაზღვევო კომპანიების ხელში გადასვლის შემდეგ ახალმა მფლობელებმა აღარ მოისურვონ არსებული სახით მათი შენარჩუნება და პოლიკლინიკების ნაწილი გააუქმონ; შენობა-ნაგებობები სხვა დანიშნულებით გამოიყენონ ან, სულაც, გაასხვისონ, რაც თავისთავად მედპერსონალის უმუშევრად დატოვებას გამოიწვევს.**

საგულისხმოა ისიც, რომ სადაზღვევო კომპანიები, რომლებმაც საქართველოს რეგიონებსა და რაიონებში მშენებლობის ბუმი უნდა გააჩაღონ, 15-25-საწლიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკები ააშენონ და ამავე დროს მოახდინონ არსებული საავადმყოფოების რეაბილიტაცია, ვერ შეძლებენ შეინარჩუნონ არსებული ფასები; გაორმაგდება და გასამმაგდება სამედიცინო მომსახურება. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც, შესაძლოა, სიღატაკის ზღვარს მიღმა არ იმყოფება, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში კატასტროფული ფინანსური რისკების წინაშე დგება, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ (მაგრამ საკმაოდ ძვირადღირებულ) კერძო კლინიკათა ქსელში მკურნალობას ვერ შეძლებს, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ქვეყანაში ისედაც მძიმე სოციალურ ფონს. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩება.

**ხელისუფლების ინიციატივით გაკეთებული იაფი დაზღვევა რომ ბლეფია, ამაზე საუბარი აღარც ღირს. ის ადამიანები, რომლებმაც ირწმუნეს პირველი პირის მიერ მოყოლილი ლამაზი ზღაპარი იაფი დაზღვევის თაობაზე და ჩაერთნენ აღნიშნულ პროგრამაში, ვერ ახერხებენ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების მიღებას.**

ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პირველი ორი ეტაპის სრული კრახის შემდეგ საზოგადოება ელოდა, რომ სახელმწიფო 1500 დოლარად გასხვისებულ სამედიცინო დაწესებულებებს უკან დაიბრუნებდა და ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის საპრივატიზაციო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს საჯარიმო სანქციებს დააკისრებდა. ამის ნაცვლად ხელისუფლებამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ რაიონებსა და რეგიონებში ახალი სამედიცინო ობიექტები გაამზადა სადაზღვევო კომპანიებისთვის გადასაცემად. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვისთვის და რატომ იქნება მომგებიანი 100 საავადმყოფოს სახეცვლილი პროექტი — ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისა თუ მოსახლეობისათვის?

**ცხადია, ჯანდაცვის სფეროს სადაზღვევო სისტემაზე გადასვლის შემდეგ სახელისუფლო წრეებთან დაახლოებული კომპანიები შენობა-ნაგებობებს თავისი ინფრასტრუქტურითა და მიმდებარე მიწის ნაკვეთებით მიიღებენ, რაც საკმაოდ დიდი ქონებაა. ეს გარიგება დიდ თანხასთანაა დაკავშირებული და ხელისუფლებისთვისაც მომგებიანი იქნება — მორიგი არჩევნების წინ ვიღაც-ვიღაცები ჯიბეს გაისქელებენ. მოსახლეობისთვის კი სამედიცინო მომსახურება რომ ერთიორად გაძვირდება, ფაქტია და ამას ექსპერტებიც ადასტურებენ. ისინი ასევე თვლიან, რომ**

**რეგიონებში არსებული საავადმყოფოების სადაზღვევო კომპანიებისთვის გადაცემა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს.**

ამრიგად, ხელისუფლების მიერ **პარაცეტამოლისა** და **ვალიდოლის** ფონზე გაჟღერებული ჯანდაცვის ახალი რეფორმის შედეგად მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობა დაზარალდება.

**ნათია ქადაგიშვილი**

# ხელისუფლებამ ანაკლიელებს სახნავ-სათესი მიწები არა თუ დაუკანონა, დაკანონებულიც წაართვა

**კერძო საკუთრების ხელყოფა, რომელიც საქართველოში „ვარდების რევოლუციიდან“ დაიწყო და შემდეგ რამდენიმე ხნით მინელდა, ისევ განახლდა. ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა სოფელ ანაკლიის მცხოვრებლებს ხელისუფლებამ ჯერ სახნავ-სათესი ფართობები წაართვა, რომლითაც ისინი 30-40 წელი სარგებლობდნენ; მერე ესეც არ აკმარა და საკარმიდამო მიწებზე გადავიდა.**

ანაკლიელთა აწიოკება მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ანაკლიის ინფრასტრუქტურის შეცვლა და იქ საკურორტო მშენებლობის დაწყება გადაწყვიტა. მიწების უკანონოდ გაყიდვისა და კერძო საკუთრებაში არასწორად გაფორმება-გატარების მოტივით დააკავეს ანაკლიის ყოფილი გამგებელი თემურ ეფენია, რომელიც დაკავების პერიოდში ზუგდიდის სამხედრო კომისრად მუშაობდა. თანამდებობიდან გათავისუფლდნენ საჯარო რეესტრის ხელმძღვანელები.

ანაკლიელებმა რატომღაც დახმარებისთვის საქართველოს „რესპუბლიკურ პარტიას“ მიმართეს. პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ანაკლიელებს ზუგდიდში შეხვდნენ და მათი გასაჭირო მოისმინეს. **„ანაკლიელთა უმრავლესობა საშინელ დღეში ჩავვარდით. ხელისუფლება საკუთრებაში არსებულ მიწებს გვართმევს, გვეუბნებიან თქვენი იყო, ახლა ჩვენიაო. სანაპიროდან ნახევარი კმ-ის დაშორებით 1700 კვ.მ მიწის ნაკვეთი გამაჩნდა, რომელიც, 20 წელია, ჩემი საკუთრებაა. საკუთრების დამადასტურებელი ყველანაირი საბუთი მაქვს. 2008 წლის მარტში საჯარო რეესტრში გავატარე. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ეს მიწა ჩემთვის ჩამოურთმევიათ, როდესაც მივაკითხე საჯარო რეესტრს და ამონაწერი მოვითხოვე, მითხრეს მიწა არასწორად იყო გატარებული და ამიტომაც ჩამოგერთვათო,“** — აღნიშნა ანაკლიის მკვიდრმა ქალბატონმა ეკა გვილიამ.

ანალოგიურ დღეშია მრავალი ანაკლიელი. ისინი ანაკლიის აღმშენებლობის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მათი კუთვნილი ქონების ხელყოფის ხარჯზე.

„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა დახმარება და თანადგომა აღუთქვა ანაკლიელებს. „წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე ხელისუფლებამ ისევ დაიწყო მოსახლეობის დაწიოკება — ჯერ სავარგულები წაართვეს, ახლა საკარმიდამო მიწებს მიადგნენ. არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი, რომ ანაკლია კეთილმოეწყოს, მაგრამ არა — ძალადობრივი გზით, არამედ — კანონიერი მეთოდებით. ყოველნაირად შევეცდებით, დავიცვათ ანაკლიელთა უფლებები,“ — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ხელისუფლება წართმეული მიწების სანაცვლოდ არაფერს არ სთავაზობს მოსახლეობას — არც ფულად კომპენსაციას და არც მიწების გადაცვლას. „მიწები გერგებათ, მაგრამ არ გერგებათ!“ — ცინიკურად აღიზიანებენ მოსახლეობას. ასე რომ, **ხელისუფლებამ ანაკლიელებს, რომლებიც ადრე მათთვის სავარგულებისა და სახნავ-სათესი მიწების (რომლითაც ისინი წლობით სარგებლობდნენ) დაკანონებას ითხოვდნენ, ის მიწებიც წაართვა, რომლებიც დაკანონებული ჰქონდათ. ასეთია რეალობა იმ ქვეყნისა, რომელსაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების პრეტენზია აქვს.**

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აეროპორტის საბაჟოზე სოდი თვითნებურად ხსნის ამანათებს

**ქართველთა დიდი ნაწილი სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად პლანეტის სხვადასხვა ადგილებშია მიმობნეული და სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს წვალების, შეურაცხყოფისა და ათასი სხვა უბედურების ფასად ნაშოვნი გროშების მინიმუმს უგზავნის, რითაც საბანკო სექტორიც ხეირობს და უმუშევრად დარჩენილი საკუთარი სისხლი და ხორციც თავს ირჩენს! საქართველოს ხელისუფლებამ ამ ბოლო დროს ბიუჯეტის შევსების კიდევ ერთ სამარცხვინო და უკანონო გზას მიმართა. კერძოდ კი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების მიერ გამოგზავნილ ამანათებზე ბეგარა დააწესა და მათ ნათესავებს ნებისმიერი გზით აიძულებს „კანონის ფარგლებში“ მიიღონ ის, რაც ისედაც მათია.**





## ბიუჯეტის შევსების კიდევ ერთი სამარცხვინო და უკანონო გზა

ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უფულობას არ უჩივის და გასართობ „პაეზდკებში“ უზარმაზარ თანხებს ხარჯავს არახალია, მაგრამ მკითხველის ყურადღებას ამჯერად არა დახარჯულ მილიონებზე, არამედ ამ მილიონების მომპოვებელ „პატარა საამქროზე“ მივაპყრობთ და დარწმუნდებით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული (სააკაშვილის ნაკარნახევი) კიდევ ერთი უკანონობის წყალობით ფული უცხოეთიდანაც უხვად მოედინება მათკენ.

**გარდა ფულადი გზავნილებისა, „XXI საუკუნის მონები“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საფოსტო ამანათებსაც აგზავნიან, სადაც, ძირითადად, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ძვირადღირებული მედიკამენტები და ათასი სხვა წვრილმან-მსხვილმანია.**

### აეროპორტის საბაჟო განყოფილებაში უამრავი ასეთი ამანათია, მაგრამ ყოვლისშემძლე სოდს ნებისმიერი მათგანის გახსნა უპრობლემოდ შეუძლია და თან ისე, რომ ამანათის მიმღები პირის თანდასწრება სრულებითაც არ სჭირდება!

ანუ გახსნის და საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედებს (ჩადებს ნარკოტიკს, ამოიღებს, „რაც სჭირდება“), დაგლიჯავს, დახევს ყველაფერს და, როგორც იტყვიან, „ფეხებსაც ვერავინ მოსჭამს“.

ამასწინათ ჩემს მეგობარს ვახლდი ამანათის მისაღებად. ამანათი გახსნილი დაგვხვდა და მასზე ჩვეულებრივ დაწებებულ თეთრ ქაღალდზე (ანუ სპეციალური ბლანკის მაგივრად) წარწერა იყო: „გახსნილია **სოდის** მიერ!“. მინდა მოგახსენოთ, რომ ფაქტის გაპროტესტება, საკუთარი უფლებების დაცვა და ა.შ. სრულიად უადგილოა, რადგან ვინმე ზურა (საბაჟოს თანამშრომელი) მაშინვე იქ გაჩნდება და, თუკი ბევრს „იხტუნავებ“ (ეს მისი სიტყვებია) ყველაფერს დაკარგავ, მათ შორის ჯანმრთელობასაც კი!

აეროპორტის საბაჟო განყოფილებაში, რა თქმა უნდა, ჰყავთ „ექსპერტებიც“, რომლებიც ამანათის შიგთავსს აფასებენ, ნუსხავენ და შემდეგ სპეციალური საბაჟო ბლანკის შევსებასაც „მოკრძალებულად“ გთხოვენ, რადგან, თუკი ამანათში 300 ლარის ზემოთ შეფასებული ნივთებია, ბაჟი უნდა გადაიხადო და თანაც აუცილებლად 25%. მაგრამ, თუ ვთქვათ, „ექსპერტებმა“ ამანათი 310 ლარად შეაფასეს, მიმღები მას არა ამ 10 ლარის 25%-ის გადახდის შემდეგ იღებს, არამედ იხდის სრული 310 ლარის პროცენტს, მიუხედავად იმისა, რომ 300 ლარის ღირებულების შიგთავსი არ იბეგრება! აბსოლუტურად გაურკვეველი და აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ საბაჟო დეკლარაციის შესავსები ბლანკის ღირებულება 15 ლარია; საინტერესოა, რა კრიტერიუმებით განსაზღვრა პარლამენტმა და საბაჟო დეპარტამენტმა ერთი ფარატინა ქაღალდის ესოდენ დიდი საფასური.

აღარაფერს ვამბობთ, მთლიანად ამ სტრუქტურის (საბაჟოს) უმეცარ თანამშრომლებზე, რომლებიც

### ოღონდ რაიმე წაგგლიჯონ, ოღონდ მშობლიური ხელისუფლება და საკუთარი ოჯახების დაუოკებელი მადა რამენაირად დააკმაყოფილონ და არაფერზე დაიხევენ უკან!

ჩემი მეგობრის ამანათში საახალწლო საჩუქრები ეწყო და, როცა მათი „შეფასება“ საბაჟო „ექსპერტმა“ თავისებურად დაიწყო, ინიციატივით გამოვედი და მეგობარს ჩვენ მიერ დაქირავებული ექსპერტის მიყვანა შევთავაზე, რადგან თანხა ნელ-ნელა 1000 ლარამდე ადიოდა!

„თქვენი ექსპერტის მოყვანა არ შეიძლება! დაცვა, დაუძახე ზურას!“ — გასცა განკარგულება „ექსპერტმა“ გოგონამ და რამდენიმე წუთში ყოვლისშემძლე ზურაც ადგილზე გაჩნდა!

„წერე და იკითხე, ვის აშინებ. აქ ჩემი საკუთარი კანტორა კი არ მაქვს, პარლამენტის დადგენილებასა და კანონს ვიცავ; წადი და იმათთან იბლატავე, თუ მაგარი ხარ,“ — მიპასუხა ზურამ და „ექსპერტ“ გოგონას მიუბრუნდა, „კლაოზნიკების“ გამოხტომებს თვითონ გაეცი პასუხი, კანონის ფარგლებშიო!

საბაჟო დეკლარაციის ფურცლის გადასახადი გადავიხადეთ, თუმცა ამანათზე სპეციალურ ბლანკზე შიგთავსის ჩამონათვალი იმავე ქვეყნის სახელმწიფო ენაზე გარკვევით ჩანდა. გამომგზავნს გადახდილი ჰქონდა ბაჟიც, წონისა და ამანათის შიგთავსის საფასურიც, იქაურ ფოსტამდე მისასვლელი ფულიც და ა.შ., რატომ უნდა გადაიხადონ ამანათის ადრესატებმა საჩუქრების საფასური ხელმეორედ, აბსოლუტურად გაუგებარია.

როგორც ვინმე ზურამ განგვიმარტა, აღნიშნული უკანონობა ხალხის მიერ არჩეული საქართველოს პარლამენტის დამსახურებაა და 3 თვეა, ეს კანონი ძალაშია. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ამ ანტიხალხურ კანონზე ვინმეს პარლამენტში პროტესტის გრძნობა არ გასჩენია? არავის უფიქრია იმაზე, რომ იქ, უცხოეთში „სეილზე“ (ხშირად ნაჩუქარი) ნაყიდი შარვალი, სვიტერი, ფეხსაცმელი და ა.შ. არ უნდა იბეგრებოდეს და თანაც 20 უფასო კილოგრამის შემთხვევაში?

**რამ გამოიწვია საქართველოს პარლამენტის მიერ ასეთი დრაკონული კანონის მიღება? კომენტარი დეპუტატ გია ცაგარეიშვილს ვთხოვეთ:**

— როგორც წესი, ასეთ უმსგავსობას ხმას არასოდეს ვაძლევ, მითუმეტეს მაშინ, როცა ბედოვლათი ხელისუფლების მიერ საბაჟო, საგადასახადო და სხვა ამგვარ სტრუქტურებში რაიმე ნოვაციას აქვს ხოლმე ადგილი! მე ამ პასუხისმგებლობას უმრავლესობასთან ერთად ვერასოდეს გავიზიარებ და არც არასოდეს გამიზიარებია, არც წინა მოწვევის პარლამენტში და არც დღევანდელში! მას შემდეგ, რაც ეს ვაიმთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა, მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება — როგორმე გადაფარონ ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკური, ფინანსური აქტივობა, დაბეგრონ ყველა არსებული შემოსავალი, გადაახდევინონ სრულიად მიუღებელი ოდენობის ბაჟი, არ მისცენ ადამიანებს ეკონომიურად სულ ოდნავ მომძლავრების საშუალება და ეს ყველაფერი მოაქციონ სახელისუფლო მარწუხებში! ამანათები, როგორც ცნობილია, ბევრი შემოდის ქვეყანაში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ხელს უშლის მსხვილ იმპორტიორებს, რომლებსაც ტონობით სხვადასხვა სახის ნაწარმი „ფუთებით“ შემოაქვთ და, თქვენი აზრით, სჭირდებათ კონკურენტი? რამდენიმე დღის წინ მითხრეს, რომ ტონობით ტვირთს ჯერ ჩინეთიდან აზერბაიჯანში აგზავნიან, სადაც ბაჟდება და „დაფასოების“ შემდეგ ხელისუფლებასთან დაახლოებული 3-4 ბიზნესჯგუფი საქართველოში აგზავნის!

**— რატომ იგზავნება აზერბაიჯანში და არა პირდაპირ საქართველოში?**

— იმიტომ, რომ ჩვენ აზერბაიჯანთან ტვირთების თავისუფალი მიმოქცევა გვაქვს, არ იბეგრება და თავად განსაჯეთ, რა ფულს აკეთებს რამდენიმე ბიზნესჯგუფი, რომელიც ხელისუფლებასთანაა დაახლოებული! მესამე ქვეყნიდან შემოტანილი ტვირთები — ეს არის მრავალმილიარდიანი, უკვე კარგად აპრობირებული „ბიზნესი“, რომელიც საქართველოშიც წარმატებით ხორციელდება! რაც შეეხება თქვენს კითხვას, რამდენად აქვს უფლება **სოდს,** გახსნას ამანათი, მოგახსენებთ, რომ ეს არის კანონის უხეში დარღვევა და, ჩვენთან რომ სასამართლო ხელისუფლება არსებობდეს, ასეთ უკანონობას, ამანათის მიმღების საჩივრის შემთხვევაში, მიმღების სასარგებლოდ გადაწყვეტდა. მაგრამ

### ხომ არ გავიწყდებათ, რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ?

ჯერ ერთი, უნდა შედგეს ოქმი, უნდა არსებობდეს მოწმეები, ამანათის მიმღებიც იქვე უნდა იყოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამანათის გახსნა!

### დავუშვათ სოდმა ჰეროინი ჩამიდო ამანათში, მე ჩემი უდანაშაულობა როგორ უნდა დავამტკიცო?

საბაჟო დეკლარაციის შესავსებ ბლანკზე და მის ფასზე ის შემიძლია გითხრათ, რომ ამ ტარიფებს პარლამენტის გვერდის ავლით ადგენს საბაჟო დეპარტამენტი შემოსავლების სამსახურთან ერთად! იცით, რა? სამწუხარო პრაქტიკაა, მაგრამ, რომ არ ვთქვა, არ შემიძლია:

### ისეთ კანონებს იღებენ, დეპუტატების დიდ ნაწილს წაკითხულიც კი არ აქვთ ან ხმას ვერ იღებენ შიშით!

ასე რომ, საფოსტო გზავნილების დაბეგვრა და მასთან დაკავშირებული უსიამოვნო ფაქტებიც ამ ხელისუფლების პირობებში ნურავის გაუკვირდება!

**ირინე გოგოხაშვილი**

# მაიორის გასაჭირი

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის მკვიდრ მაიორ ქებურიას არც წინა ხელისუფლება სწყალობდა და არც ამჟამინდელი. შვიდი წელია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან დახმარებას ითხოვს, ამაგრამ ამაოდ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გადაამისამართა, მიწების განკარგვის უუფლებობის მოტივით. სამინისტროში კი მას განუცხადეს, რომ ზუგდიდის რაიონში მიწების არ არსებობის გამო შეუძლიათ ოდიშელ კაცს მიწის ფართობი მისცენ ახმეტის ან ლაგოდეხის რაიონებში.**

ამდენ ხვეწნა-მუდარასა და სიარულში, რაც თანხა გააჩნდა, ისიც შემოეხარჯა მაიორ ქებურიას და ახლა მისი იმედი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია.

არადა, ქებურიას ექვსსულიანი (აქედან ოთხი ინვალიდია) ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, ამიტომაც მან წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

**„ბატონო პრეზიდენტო, მერამდენედ მიხდება თქვენი შეწუხება და თქვენთან განცხადების გამოგზავნა, ვინაიდან ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები არანაირ ყურადღებას არ მაქცევენ, სწორედ ამის გამო დღემდე ვრჩები გამოუვალ მდგომარეობაში. ვარ 71 წლის, შრომის ვეტერანი. ვცხოვრობ სოფელ ოდიშში იმ ადგილას, სადაც ნიადაგი გადაადგილდება.**

**ამის გამო საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები ისე დაზიანდა, რომ იქ ცხოვრება სახიფათოც და შეუძლებელიც გახდა. არსებობს სპეციალისტების დასკვნა, რომ ამ სახლის აღდგენა და შეკეთება შეუძლებელია. საჭირო გახდა ახალი საცხოვრებელი ადგილის შერჩევა და ახალი შენობის აშენება.**

**აქედან დაიწყო ჩემი ტანჯვა, მივმართე ადგილობრივ და ზემდგომ ორგანოებს, თანამდებობის პირებს, მაგრამ უშედეგოდ.**

**როგორც იქნა 2009 წელს სოფელ ოდიშში სხვა ადგილი გამომიყვეს საცხოვრებლად, მაგრამ მიწის ის ნაკვეთი, რომელიც მომცეს, სხვისი აღმოჩნდა და მისმა პატრონმა მასში 1500 დოლარი მომთხოვა. ამის შესაძლებლობა რომ მქონოდა, სხვებს არც შევაწუხებდი.**

**გარდა მიწის ნაკვეთისა, საჭირო იყო სამშენებლო მასალა, გამგეობამ 100 ცალი შიფერი, 5 ფანჯარა და 22 ცალი „დსპ“ მომცა, მაგრამ რად გინდა! შიფერი დაბზარული და გამოუსადეგარია, ხოლო ხუთი ფანჯარა სად გამოვიყენო, სხვის სახლში ხომ არ ჩავდგამ?!**

**ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ, დაავალოთ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ყურადღება მომაქციოს და სათანადოდ დამეხმაროს,“** — ნათქვამია წერილში.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კარვის ქალებიდან კარის ქალებამდე

**ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიზეზი ქალი ყოფილა, თუნდაც არაპოლიტიკოსი; და რომ ქალ პოლიტიკოსებს გაცილებით კარგი ინტუიცია აქვთ — უფრო სწორად უკეთ აფასებენ მოვლენებს და შედარებით უკეთესი დიპლომატებიც არიან. ჩვენც გადავწყვიტეთ, ქართულ პოლიტიკურ პარნასზე „მოღვაწე“ ქალბატონებზე გიამბოთ. მაშ ასე —„მიშას კარის ქალები“ — ვინ არიან ისინი?**


ალანა გაგლოევა და მარიკა ვერულაშვილი


ეკა შარაშიძე

პრეზიდენტის რეზიდენციაში თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქალბატონია. ადმინისტრაციის უფროსი ქალია **(ეკატერინე შარაშიძე)**, პრესსპიკერიც **(მანანა მანჯგალაძე)** მისი დაქვემდებარებული პრესსამსახურებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსიც **(მარიკა ვერულაშვილი)**, აღარაფერს ვამბობთ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ქალბატონ წარმომადგენლებზე.

მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე დაიწყო მისი კრიტიკა, როგორც სუსტი სქესისადმი განსაკუთრებულად განწყობილი ადამიანისა.

არა ერთხელ გვინახავს კონცერტებზე მონაწილე ქალბატონებს ქვეყნის პირველი პირი ხელში ბურთივით როგორ აიტაცებდა **(ნინო ანანიაშვილი, ნინო სუხიშვილი და სხვ).** ყველას ახსოვს, ალბათ, თავისუფლების მოედანზე უკრაინელი **რუსლანას** კონცერტი, რომელიც მილიონობით დოლარი დაჯდა. კონცერტის შემდეგ მალე გაირკვა, რომ რუსლანა პრეზიდენტის ფავორიტი მომღერალი ყოფილა და ამიტომაც შეირჩა სოლო კონცერტისთვის. მიხეილ სააკაშვილის სტუმრები არა ერთხელ ყოფილან უკრაინელი ქალბატონები, ზოგი „მასაჟისტისა“ და ზოგიც მომღერლის სტატუსით.

პრეზიდენტის „კარზე“ იყვნენ ისეთი ქალბატონებიც, ვის სიტყვასაც “განსაკუთრებული” მნიშვნელობა ჰქონდა მიხეილ სააკაშვილისთვის და ხშირად მათ აზრს ითვალისწინებდა.

ერთ-ერთი მათგანი ჟურნალისტი **ლალი მოროშკინაა.**

მოროშკინა თავის წიგნში **„მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“** ერთ ასეთ ეპიზოდს იხსენებს:

**„გიორგიმ (იგულისხმება გიორგი კანდელაკი) „ისტორიული გადაწყვეტილება“ მიიღო — „მოქალაქეთა კავშირის“ სიით კენჭი ეყარა.**

**გიორგი სულ უფრო ხშირად სტუმრობდა კანცელარიას. ჩემი ყოველი ნაბიჯი კი „ნაციონალური მოძრაობის“ პიარად აღიქმებოდა. ჩვენ, ფაქტობრივად, სხვადასხვა ბანაკში აღმოვჩნდით.**

**ერთ დღესაც კი სამსახურში მომაკითხა და მისი პირველი სიტყვები იყო:**

**— მიჭირენ, ლალი.**

**— კი მაგრამ, რაზე? — დავსვი ლოგიკური შეკითხვა.**

**— შენ არ იცი, ადრე მე და ჩემს სიმამრს მილების ბიზნესი გვქონდა გორსა და კასპში, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მიძინებული საქმეა, ახლა კი თავიდან ჩიჩქნიან, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.**

**— მერე გორელი არა ხარ? ვერაფერს შვრები? — ვკითხე განცვიფრებულმა.**

**— ვერა, პირდაპირ სააკაშვილის ინტერესიაო. გადამარჩინე, დაურეკე.**

**— შენც და შენი სიმამრიც? — სარკასტულად ვიკითხე მე. გიორგი კარგად ხვდებოდა ამ შეკითხვის არსს.**

**— დაურეკე შენს მეგობარს! — კატეგორიულად მოითხოვდა გიორგი.**

**— კარგი, ახლავე დავურეკავ, შენს თვალწინ, — და ტელეფონში მიშას აბდაუბდა ტელეფონის ნომრის ძებნა დავიწყე.**

**— არ მითხრა ახლა, რომ მაგ სპორტსმენზე მირეკავ, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.**

**— ვა, როგორ მიხვდი?**

**— რა მიხვედრა უნდა, ტელევიზორს არ უყურებ? დღეს გორში მაგის რობოტებმა ოქრუაშვილს სცემეს; ჰოდა, ჩასხდებიან ეგეც და მაგის სიმამრიც კარგა ხნით.**

**— მიშ, მომისმინე, მოდი, ეს ამბავი გავაჰეფიენდოთ, ამ ერთხელაც დამიჯერე, — ვთხოვდი მე, მაგრამ, როგორც ჩანს, მიშა რადიკალურად იყო განწყობილი, — კარგი, ახლა ლოგიკურად ვიმსჯელოთ, — გადავედი მე ქალურ თვალთმაქცობაზე, — შენ ახალგაზრდა, პერსპექტიული, მომავალი პრეზიდენტი და ისინი, ორი გორელი, თანაც ერთი სპორტსმენი, თუმც საკმაოდ წარმატებული, აბა, რა შენი საქმეა კრიჭაში ჩადგომა?**



**— შენ არ გესმის, რას გეუბნები? ოქრუაშვილს დაარტყეს მაგისმა მოსწავლეებმა, თანაც მთელი გორის დასანახავად, ჩვენ კი არჩევნები გვაქვს მოსაგები, ქართლელებს ნაცემები არ ევასებათ, მებრძოლი ხალხია. ირაკლიმ, მეც ბოლომდე დავდგებიო, ჰოდა, სამართლებრივად გახეხავენ ციხეს, იქ ჩამოაყალიბოს მერე კრივის კლუბი! რას გადაეკიდე, გამაგებინე, ეგზოტიკა დაგაკლდა ცხოვრებაში? — არ ცხრებოდა მიშა.**

**— მიშ, ჩემი ხათრით, — დავადაბლე ხმა და ყველაზე მტკივნეულზე მივაწექი, — ხომ იცი, ამ ეროვნულ უმცირესობებს მაინცდამაინც გულზე არ ეხატები,**


ლალი მოროშკინა

**გიორგის კი მოსწავლეები, ძირითადად, ოსები ჰყავს, და საერთოდ, მთელი ქართლი შერეული ქართულ-ოსური ოჯახებია, რაში გაწყობს დაპირისპირება? — დუმილი ყურმილის მეორე მხარეს თანხმობის ნიშანი იყო. დამიჯერა.**

**— კარგი, მოიყვანე, ოღონდ ამის მერე თუ კიდევ რამე მოხდა, იცოდე, შენ აგებ პასუხს და არ მაინტერესებს ჩვენი მეგობრობა, — ტონი საკმაოდ მკაცრი, თუმც საგრძნობლად მორბილებული იყო.**

**მე და გიორგი სამინისტროდან ფეხით საკრებულოში გადავედით.**

**— გიორგი, ყველაფერზე დაეთანხმე, თუ თავისუფლება გინდა შენთვის და შენი სიმამრისათვის, — ვარიგებდი მე. გიორგი მორჩილად თავდახრილი მომდევდა.**

**მიშას მდივანმა ცაცამ უკვე იცოდა, რომ უნდა მივსულიყავით.**

**— ლალი, სულ 10 წუთი დაელოდე, „გრაციიდან“ ბიფშტექსი დააგვიანეს და უდროო სადილი გამოუვიდა. ხომ იცი, რამდენს მუშაობს და, რომ არ იკვებოს, მოკვდება, — ქოთქოთებდა ცაცა.**

**უდროო ტრაპეზი დასრულდა. მე და გიორგიმ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის ზღურბლი გადავკვეთეთ.**

**— რა იყო, ბიჭო, ძალა გერჩის? — ჰკითხა მიშამ, მაგრამ ტონი საკმაოდ რბილი და კეთილგანწყობილი ჰქონდა.**

**— რა ვიცი, რა...**

**— მოკლედ, ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი. აგერ, ლალი თავდებად დაგვიდგება და არანაირი ხელის შეშლა, ეს უკვე გადაწყვეტილია, ირაკლიმ მილიონები დახარჯა, არჩევნები უნდა მოიგოს! თუ არა და, მერე შენს თავს დააბრალე და ლალიც ველარ გიშველის! — ეს უკვე შეპარული მუქარა იყო.**

**გიორგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.**

**— ლალი, შენ დარჩი, — მომესმა კართან მისულს.**

**— იმედია, კმაყოფილი ხარ? — მკითხა მიშამ.**

**— კი, მაგრამ, მგონი, ჯობს ვარიანში წამოხვიდეთ შენ, ვანო და ირაკლი. რინგზე ხელი ჩამოართვათ ერთმანეთს და ჩათვალე, რომ ინციდენტი ამოწურულია, თანაც შენი უპირატესობით, თანაც ვისთან? მსოფლიო ჩემპიონთან, და ჰაიდა, ქართლელების გულის დასაპყრობად, you are the best! — ვუთხარი მე და თან ველოდებოდი ცუნამის, წარღვნასა და ქარიშხალს ერთდროულად.**

**— რატომაც არა? ესე იგი ხვალ, გამთენიას ვარიანში გავდივართ მე, ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ბარამიძე და იცოდე, არანაირი „შანელის“ კოსტიუმი. ეს სოფელია, სოფელი! — მიშას უეცარი, პიარისათვის ასე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთ წამში მიღება მე პირადად ყოველთვის სასიამოვნოდ მაცვიფრებდა“.**

სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე არაერთი ვიდეომასალაა გავრცელებული, სადაც მიხეილ სააკაშვილი ქერათმიან ქალბატონებთან არასამუშაო ვითარებაში (კლუბებსა და რესტორნებში) ერთობა.

პრეზიდენტის კარზე გასული ექვსი წლის განმავლობაში სუსტი სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობით არაერთი სკანდალი მომხდარა, მათი უმრავლესობა გახმაურებულია. გაგლოევას, მოროშკინასა და უკრაინელი ლამაზმანების გარდა პრეზიდენტის კარზე კიდევ ერთი ლამაზმანი „მსახურობდა“, გიგი უგულავას ამჟამინდელი მეუღლე, თბილისის პირველი ლედი — **ლელა კილაძე.**

კილაძე წლების განმავლობაში ითვლებოდა ადმინისტრაციის უფროსის მრჩევლად და კულტურულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად, მას შესაბამისად „ბინაც“ (სამუშაო ოფისი) პრეზიდენტის რეზიდენციაში ჰქონდა, თუმცა, ყველას გასაკვირად, კილაძის ვითომდა მუშაობის ოთხი წლის თავზე ჟურნალისტებს გამოგვიცხადეს, რომ ქალბატონ ლელას თურმე არანაირი სტატუსი არ ჰქონია. პრეზიდენტს განსაკუთრებით უცხოელ ჟურნალისტებთან (მდედრობითი სქესის) ურთიერთობა მოსწონს. სხვადასხვა წამყვანი მედიასაშუალების წარმომადგენლებს პრეზიდენტი უპატივცემულოდ არ უშვებს და ქვეყნისა და მისი რეზიდენციის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებინებს. მექალთანე პრეზიდენტის სახელი უცხოეთშიც ცნობილია, ამიტომ ჟურნალისტები მასთან ხანგრძლივი, თუნდაც სამუშაო ურთიერთობისგან თავს იკავებენ.

იყო შემთხვევა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის რეპუტაციას საგარეო ურთიერთობებში საფრთხე დაემუქრა. პრესაში დაიწერა მისი არაკორექტული მოქცევის თაობაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტის მეუღლის — **მეჰრიბან ალიევას** მიმართ.

მიხეილ სააკაშვილთან ახლაც ბევრი ქალბატონი მუშაობს, ზოგი სტატუსით და ზოგიც უსტატუსოდ, თუმცა როგორ დასრულდება მათი მოღვაწეობა პრეზიდენტის კარზე, უცნობია. ასევე უცნობია, გარდაისახებიან თუ არა კარის ქალები კარვის ქალებად, როდესაც საზოგადოებისაგან, რომელსაც მოთმინების ფიალა დღითიდღე ევსება, სააკაშვილის რეჟიმს ინტენსიური და დინამიური დაცვა დასჭირდება, კარვის ქალობა ხომ გაცილებით მძიმე ხვედრია, ვიდრე პრესსპიკერისა თუ სხვა ხელოვნური სტატუსით საჯარო განცხადებების გაკეთება და რეზიდენციაში ნებივრობა?!

**შორენა გოგოლაძე**

# მორჩილების შესახებ



**უფალი ამბობს: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვეთ განსუნებაი სულთა თქვენთაი“. თუ მის სიტყვებს სათანადოდ გავიაზრებთ და ღრმად ჩავწვდებით, გამოდის, რომ სულის სიმშვიდე თავმდაბლობას მოაქვს.**

**აბბა დოროთე** ამბობს: „როცა ადამიანი უფალს შესთხოვს, მიანიჭოს თავმდაბლობის უნარი, უნდა მოემზადოს იმისთვის, რომ უფალი მოუვლენს ვინმეს, ვინც ხშირად დაამცირებს“.

რატომ? იმიტომ, რომ თანდათან გამოუმუშავდეს თავმდაბლობის გრძნობა. ვინც შეურაცხყოფას ითმენს, შინაგანად იწრთობა და თანდათან ჩვევაში გადადის. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სიმშვიდის მოპოვება, ადამიანმა უნდა გამოწრთოს თავისი სული.

თავმდაბლობის ყველაზე დიდი მტერი სიამაყეა. იგი გულში იხვევს ვნებებს, ჟინს, თავმდაბლობა კი სიამაყის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია.

ამაყი ადამიანისთვის დამახასიათებელია: გაღიზიანება, კამათი, მრისხანება, ბუტიაობა; იოანე ოქროპირის თქმით, ვინც ამას დაუშვებს, ჭკუანაკლულია.

მორწმუნემ მტკიცე ხასიათი უნდა გამოიმუშაოს, რათა არავის ეკამათოს, არ გაბრაზდეს, არ გაღიზიანდეს და ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოს.

**ნათქვამია: რასაც მოითმენ, იმას მოიგებ! შეეცადე, ადამიანებთან ურთიერთობაში გამოიწრთო და მორჩილების უნარი გამოიმუშაო.**

# როდის გადმოვიდა პირველად ზეციური ცეცხლი იერუსალიმის აღდგომის ტაძარში

**გადმოცემის თანახმად, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ზეციური ცეცხლი პირველად III საუკუნეში გადმოსულა. სააღდგომო ლიტანობაზე თურმე კანდელებში ზეთი შემოაკლდათ. პატრიარქმა ნარცისმა კურთხევა გასცა, შიგ სილოამის, ემბაზის წყალი ჩაესხათ. როცა მისი კურთხევა შეასრულეს, ზეციდან ცეცხლი გადმოვიდა და კანდელები აანთო. ზეციური ცეცხლი ლიტანობის დასრულებამდე არ ჩამქრალა. მას შემდეგ, ყოველ აღდგომას, იგი სასწაულებრივ აღმოცენდება ხოლმე მაცხოვრის საფლავიდან.**



ალსანიშნავია, რომ ზეციურ ცეცხლს მართლმადიდებელი პატრიარქი იღებს. იგი აღდგომის ტაძარში, მაცხოვრის საფლავზე აგებულ, დალუქულ სამლოცველოში შესვლამდე განიმოსება და კვართითღა რჩება. როცა პატრიარქი ტაძარში წმიდა ცეცხლით შემოდის, მას პატივს სცემენ სირიელი, კოპტი და სომეხი მღვდელმსახურები ნიშნად იმისა, რომ ზეციური ცეცხლი მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქისგან შეუძლიათ მიიღონ.



ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს ხელში უჭირავთ 33 სანთელი, რაც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების სიმბოლოა. მაცხოვრის საფლავიდან აღმოცენებული ცეცხლი თბილი და საამოა, რაც მის ღვთაებრივობას და ჩვენდამი დიდ სიყვარულს ადასტურებს.

ქრისტე სინანულისკენ მოგვიწოდებს ყველას. წმიდა ცეცხლს მლოცველები თავსა და სახეზე იტარებენ. იგი არ წვავს და ამ თვისებას 10-15 წუთის განმავლობაში ინარჩუნებს.

## სულისთვის სასარგებლო რჩევები



● სირცხვილია სხვისი ზვაობა (თავის მოწონება), უგუნურებაა ღვთის ნიჭითა და მადლით ამპარტავნება. იამაყე იმით, რაც შობამდე გქონია, რადგან გაჩენის მერე მოგებული მადლი ღვთისგანაა ბოძებული. რომელი სათნოება გიქნია გონების გარეშე? ის გონებაც ხომ ღვთისგანაა ბოძებული. რომელი მოღვაწეობა მიქმნია თვინიერ ხორცისა? ის ხორციც ხომ არ არის შენი, ღვთის მიერაა ბოძებული. ნუ აიმაღლებ თავს თიხაო და მიწაო, რადგან მრავალი უხორცო და უნივთო გარდამოცვივა ზეცით.

● საკვების სიჭარბემ ურჩობა დაბადა, სასატკბილობამ კი ადამიანი სამოთხიდან გამოაძევა. ძვირფასი საჭმელი პირს ატკბობს, მაგრამ ავხორცობის დაუძინებელ მატლსაც კვებავს.

● არაფერი ისე არ აახლოვებს ერთმანეთთან ადამიანებს, როგორც სიყვარული და წმიდა ცხოვრება. უფალი მოგვიწოდებს: „იყუარებდით ურთიერთის, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქვენ“.

● ნაყოფიერების დასაწყისი ყვავილია, ხოლო ღვაწლმოსილი ცხოვრების — თავშეკავება.

● ღვთისადმი ურყევი ყურადღება მადლმოსილია, ხოლო ჩვენი ყურადღება — იძულებითი, მაგრამ ასეთი გონივრული ლოცვა თანდათან გადაიზრდება შინაგან გულისხმიერ ლოცვაში, თუ გამოცდილი მოძღვარი გეყოლებათ.

## კითხვა-პასუხი

**რას გვეტყვით საერთო სამსჯავლოს შესახებ?**

— ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ შედგება საერთო სამსჯავრო, სადაც თითოეული ადამიანის სულს უფალი ხელახლა გაასამართლებს ყველას თანდასწრებით და უკვე სამუდამო ადგილსამყოფელს მიუჩენს. იმის მიხედვით, თუ როგორ ზრუნავდნენ მისი უკვდავი სულისთვის გარდაცვლილის ახლობლები, როგორ ლოცულობდა დედაეკლესია, შეიძლება სული ჯოჯოხეთიდან სამოთხეშიც იქნეს აყვანილი. განსაკუთრებული ძალა აქვს დედის ლოცვას. ასე რომ, ახლობელ ადამიანს დროებით ვშორდებით, რათა მერე სამუდამოდ შევეყაროთ.

**რომელია 7 მომაკვდინებელი ცოდვა?**

— 7 მომაკვდინებელ ცოდვაში შედის: ამპარტავნება, ანგარება, სიძვა, მრისხანება, ნაყროვანება, შური და მიმომწვილველობა. მათი წამალია 7 სათნოება: სიმდაბლე, მოწყალება, უმანკოება, სიმშვიდე, მარხულობა, სიყვარული და სასოება.

**როდის არის ხსნილი ოთხშაბათი და პარასკევი?**

— შობიდან ნათლისღებამდე (7 იანვრიდან 19 იანვრამდე), მეზვრისა და ფარისევლის შვიდეულებში (21 თებერვლიდან 28 თებერვლამდე), ყველიერის შვიდეულში (7 მარტიდან 14 მარტამდე), ბრწყინვალე შვიდეულში (1 მაისიდან 8 მაისამდე) და სულთმოფენობის შვიდეულში (20 ივნისიდან 27 ივნისამდე).

**როდის აღინიშნება წმიდათა მამათა კვირა?**

— წმიდათა მამათა კვირა აღინიშნება ქრისტეშობის წინა კვირადღეს, რითაც ეკლესია პატივს მიაგებს ძველი აღთქმის მამამთავრებს, ადამიდან დაწყებული იოსებ დამწინდველამდე; მათთან ერთად წინასწარმეტყველებს: სამუელიდან დაწყებული ზაქარიასა და იოანე ნათლისმცემლამდე.

**იესო ქრისტე იყო თუ არა წინადაცვეთილი ებრაელთა წესისამებრ?**

— შობიდან მერვე დღეს წინადაცვითა იესოც, რითაც გაცხადდა, რომ ჭეშმარიტად შეისხა ხორცი და განკაცდა. ამ წესის აღსრულების დროს დაერქვა მას იესო, სახელი, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს აუწყა მთავარანგელოზმა გაბრიელმა. იესო მაცხოვარს ნიშნავს და სამყაროს გამოსახსნელად განკაცებულზე მიანიშნებს. წინადაცვეთა ახალ აღთქმაში ნათლობის საიდუმლომ შეცვალა.

გვერდი მოამზადა ნინო ბოქიაშვილმა

# გელა ყელბერაშვილი: ნარკომანია არის მოკლე გზა ჯოჯოხეთისკენ

**გელა ყელბერაშვილი ქუჩის ბიჭებმა ჩაითრიეს თავიანთ წრეში და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლად აქციეს. თავიდან არ ეგონა, რომ მათზე დამოკიდებული გახდებოდა, იფიქრა, გავსინჯავო, მაგრამ, როცა გონს მოეგო, უკვე გვიან იყო... საბედნიეროდ, ღვთის ნებითა და შეწევნით მან მოახერხა, უარი ეთქვა ჯოჯოხეთისკენ მიმავალ მოკლე გზაზე და უფლისკენ შემობრუნდა.**



**— გელა, რას ურჩევთ მათ, ვინც ჯერ კიდევ ნარკოტიკების ტყვეა?**

— ჩემი მხრიდან ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა შედეგი მოსდევს ამ მავნე ჩვევას, უფრო სწორად ავადმყოფობას, ფსიქიკური, ზნეობრივი და ფიზიკური თვალსაზრისით, ამიტომ ყველას მოვუწოდებ, გონს მოეგონ!..

**— როგორი უნდა იყოს ქრისტიანის პოზიცია ნარკომანიასთან მიმართებაში?**

— ნარკომანია ძალიან ახლოსაა საზარელ ცოდვასთან — თვითმკვლელობასთან. გარდა ამისა, როგორც მოძღვარმა ამიხსნა, ჯადოქრები ამ ბანგს ხმარობენ თავიანთ „ღმერთებთან“, ანუ ეშმაკებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

**— რატომ დაიწყეთ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება?**

— ფეხის ხმას ავყევი, სამწუხაროდ!.. ეშმაკს შეუძლია იოლად გვაცდუნოს, ის ტკბილი ტყუილით გვთავაზობს შხამიან ნაყოფს ნუგბარის სახით. უწმინდურმა შემიქცია და დამოუკიდებელი პიროვნებიდან ნარკოტიკის დანამატად მაქცია. ჩემს ცხოვრებას მხოლოდ ერთი მიზანიღა ჰქონდა — „ვარდისფერი ნისლით“ მოსილ, არარსებულ სამყაროში აღმოვჩენილიყავი, მაგრამ დემონებმა ეს ნუგეშიც წამართვეს — დოზები იზრდებოდა, ნარკოტიკის გარეშე გაძლება აღარ შემეძლო, სამყარო ჩემთვის წყვდიადმა მოიცვა და „ვარდისფერი ნისლის“ მიღმა ეშმაკის მახინჯი, საშინელი სახე დავინახე.

**— როგორც ვიცი, თავის მოკვლაც სცადეთ...**

— როცა მივხვდი, რომ ეშმაკი აღარ მეპირფერებოდა და უხეშად დამცინოდა, უმოწყალოდ მთელავდა, თავის მოკვლის სურვილი გამიჩნდა, ვცადე კიდეც, მაგრამ მეგობარმა მომისწრო და გადამარჩინა... საბედნიეროდ, გავაცნობიერე, რომ სიცოცხლესთან გამოსალმების სურვილიც ეშმაკმა შთამაგონა, რათა სამუდამოდ დაპატრონებოდა ჩემს სულს.

**— ვინ არის ის მეგობარი, ვინც მძიმე წუთებში გვერდით დაგიდგათ და არ მიგატოვათ?**

— ამირანი ჩემი თანაკლასელია, ერთად გავიზარდეთ. სპორტსმენია, კარგად ჭიდაობს, არ სვამს, სიგარეტსაც კი არ ეწევა. მან მიმიყვანა თავის მოძღვართან და ყველაფერი გააკეთა, რათა კვლავ ღმერთისკენ შემოვბრუნებულიყავი.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ადამიანი ნარკომანი?**

— როცა ადამიანი ბავშვობიდანვე სცოდავს, შორსაა ეკლესიისგან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრისტეს უარყოფას აწყდება, უთუოდ მძიმე შინაგანი კრიზისის წინაშე დგება. სულს ლოდივით აწევს მოუნანიებელი ცოდვები, მაგრამ რწმენა და რელიგიური ცოდნა არ ჰყოფნის, ვერ მიმხვდარა, რომ ღმერთს უნდა სთხოვოს შველა, როცა ჩიხში მოექცევა, ილოცოს და სინანულში ეძებოს ცოდვათა შემსუბუქება, სულის განკურნება, სიმძიმისგან გათავისუფლება.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შინაგანი დისკოფორტია ნარკოტიკების მოხმარების მიზეზი?**

— დიახ, უმეტესწილად ასეა!.. ადამიანს სურს, გაექცეს მტანჯველ სინდისის ქენჯნას და იპოვოს ფანტასტიკური სამყარო, სადაც არც საზრუნავია და არც წუხილი. სამწუხაროდ, ნარკომანი თავის სულს ყიდის, მარადიულ სასუფეველს „ოცნების ვარდისფერ სასახლეზე“ ცვლის, ცხოვრებისეულ ბრძოლასა და ჭიდილს გაურბის, განზე დგომა ურჩევნია, მაგრამ სულის ცხონებისთვის ბრძოლაა საჭირო. ამას ვერსად გავექცევით.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბალკანური ომები კარსაა მომდგარი

**კოსოვო დღეს არის, საქართველო ხვალ — ეს თემა „საქართველო და მსოფლიოში“ არა ერთხელ გაშუქებულა, მაგრამ ჩვენი ბოლო პუბლიკაციიდან დღემდე საკმაო დრო გავიდა, კოსოვოს პრობლემამაც მეორე რიგში გადაიწია. რა ხდება დღეს კოსოვოში და მის ირგვლივ?**



ერთ-ერთმა ამერიკელმა უმაღლესი რანგის ჩინოვნიკმა სულ ახლახან განაცხადა, რომ **მსოფლიო ბალკანეთისა და სამხრეთ კავკასიის ომების საშიშროების წინაშე დგას**. ეს განცხადება, რომელიც აშშ სადაზვერვო სამსახურის სკრუპულოზური დაკვირვებისა და ვითარების შესწავლის ანალიტიკას ეფუძნება, უნდა ვივარაუდოთ, საფუძვლიანია და, მაშასადამე, ყურადღება მისაქცევია.

უმთავრესი დასკვნა, რომელსაც ექსპერტები გვთავაზობენ, დამაფიქრებელია: **ბალკანეთის ახალი ომები კარსაა მომდგარი.**

ამ დასკვნას ამყარებს პრიშტინას ხელისუფლების განცხადებები, რომლებიდანაც იკვეთება, რომ კოსოვოელი ალბანელი სეპარატისტების გეგმა — აშშ-სა და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩაახშონ სერბების წინააღმდეგობა — სულ უფრო რეალურ კონტურებს იძენს. **ალბანელი ექსტრემისტები ძალოვანი ოპერაციისთვის ემზადებიან.**

მიმდინარე წლის 22 იანვარს კოსოვოს საკითხზე ჩატარებული გაეროს უშიშროების საბჭოს ღია სხდომა უპრეცედენტო სიმძაფრით გამოირჩა: წამყვანი სახელმწიფოები თითქოს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. გაეროს გენერალური მდივანი **პან გი მუნი,** აშშ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც მას მხარს უჭერდნენ, მოითხოვდნენ, მოქნილი ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით რეგიონულ და საერთაშორისო მექანიზმებსა და ფორუმებში კოსოვოს მონაწილეობის საკითხის განსაზღვრას. რუსეთმა და სერბეთმა კი ეს მოთხოვნა შეაფასეს, როგორც კოსოვოდან გაეროს გამოდევნისა და მხარის დამოუკიდებლობის სტატუსის ლეგიტიმიზაციის მცდელობა. პრობლემა ზუსტად იმ რაკურსში წარმოჩნდა, როგორადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო ორბიტაზე გასვლის საკითხი.

რა თქმა უნდა, — დამახასიათებელი თავისებურებებით.

საქმე ეხება **„ჩრდილოეთ კოსოვოს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის“** გეგმას, რომელიც მალულად მზადდებოდა და რომლის არსებობა შემთხვევით გაამჟღავნა **კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ.** გაირკვა, რომ ეს გეგმა საერთაშორისო წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადდა და მიზნად ისახავს „კოსოვოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას“. ძირითად ამოცანებად განსაზღვრულია ხელისუფლებისა და მართვის სერბული ორგანოების ლიკვიდაცია, რომლებიც ქალაქ კოსოვკამიტროვიცასა და მიმდებარე სერბულ თემებში შექმნილი იყო არჩევნების გზით.

ცარიელი ხელებით ასეთ ამოცანებს ვერ განახორციელებ, ამიტომაა, რომ **კოსოვოში განლაგებული ნატოს სამშვიდობო ძალები ალბანელებს შეიარაღებულ დახმარებას დაჰპირდნენ. ამ საკითხზე საბოლოოდ შეთანხმდნენ ევროპაში ნატოს სამხრეთი ფლანგის სარდლის, ადმირალ მარკ ფიტცჯერალდის პრიშტინაში ვიზიტის დროს.** ადმირალმა კოსოვოელი სერბების სახელისუფლო ორგანოები მოიხსენია, როგორც კოსოვოს „უსაფრთხოების საშიშროება“.







პრიშტინას გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოპერაციის საერთაშორისო მხარდაჭერას. ეს ამოცანა აშშ-სა და ევროკავშირს ეკისრება. ამერიკელებმა უნდა აღკვეთონ გაეროს უშიშროების საბჭოში ამ კონფლიქტთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღების მცდელობა რუსეთისა და სერბეთის მიერ. ბრიუსელს კი მოეთხოვება, კიდევ უფრო გააძლიეროს ზემოქმედება სერბეთის ხელმძღვანელობაზე, რათა მან მხარი არ დაუჭიროს თანამემამულეებს და კრიზისის მიმწიფებისთანავე სერბ მოხალისეებს ჩაუკეტოს ადმინისტრაციული საზღვარი კოსოვოსთან.

ამ ოპერაციის განხორციელებას აპრილში აპირებენ; მაინცდამაინც აპრილში იმიტომ, რომ სწორედ მაშინ გამოქვეყნდება გაეროს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ბუნდოვანი სარეკომენდაციო მოსაზრება კოსოვოს სტატუსისა და მხარის ჩრდილოეთში „მიტროვიცას მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ. ამ ადმინისტრაციული წარმონაქმნის ხელმძღვანელობაში მიიწვევენ ალბანელებს და მცირე რაოდენობით სერბებს, რომლებიც პრიშტინას ხელისუფლებასთან თანამშრომლობას დათანხმდებიან.

**პროდასავლური ორიენტაციის სერბი მოღვაწეებიც კი აღიარებენ, რომ პრიშტინას გეგმა, რომელიც ნატოსა და ევროკავშირის დახმარებით შეიქმნა, სერბებს კარგს არაფერს მოუტანს, უწინარეს ყოვლისა კი, იმათ, ვინც ჩრდილოეთ კოსოვოში ცხოვრობს.** დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ აღნიშნული გეგმის რეალიზაციას მხარეში ვითარების დესტაბილიზაცია მოჰყვება.

ვითარების დესტაბილიზაცია დიპლომატიური დოკუმენტების ენაზე ისეთ დაპირისპირებას ნიშნავს, რომელიც **ომის მაპროვოცირებელი ფაქტორია.**

სერბების წინააღმდეგობის დათრგუნვის სცენარი გაცილებით უფრო ფართო დონეზე შეიქმნა და დამუშავდა, ვიდრე თავად კოსოვოს საზღვრებია. მკვლევარები ყურადღებას მიაპყრობენ იმ გარემოებას, რომ **„თავისი ძირითადი პარამეტრებით (სწრაფი ძალისმიერი ოპერაცია ნატოსა და ევროკავშირის ფსევდომშვიდობისმყოფელთა მონაწილეობითა და საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიურ საფარქვეშ, მარიონეტული ადმინისტრაციის გამოყენება) გეგმა „ჩრდილოეთ კოსოვოს საკითხის საბოლოოდ მოგვარების“ იმ სცენარს შეესატყვისება, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შედგენილი ჰქონდა 2008 წელს სამხრეთ ოსეთში ჩასატარებელი სამხედრო ოპერაციისათვის. ხაზგასმით გამოჰყოფენ ორივე დოკუმენტში მითითებული საბოლოო მიზნის ანალოგიურობას (სააკაშვილის ბრძანებაში იგი ფორმულირებულია როგორც „კონსტიტუციური იურისდიქციის აღდგენა“).**

იხსენებენ იმასაც, რომ ანალოგიური სცენარი მოსინჯული იყო კრაინის სერბებთან ურთიერთობის გარკვევის დროს — 1995 წლის აგვისტოში. მაშინ ხორვატიამ სერბებს რეგულარული არმიით შეუტია, აშშ-მა და ევროკავშირმა კი ამ აგრესიას მხარი დაუჭირა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ამგვარი „სტრატეგიული გეგმების“ ავტორები არც კოსოვოელი „სტრატეგები“ არიან და არც მათი კოლეგები საქართველოში. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ აქ აშშ-ის ხელწერა ჩანს, რომელიც პოსტსოციალისტურ სივრცეში დამკვიდრებას არცუ ორიგინალური ხერხებითა და მეთოდებით ესწრაფვის.**

15 წლის წინათ რესპუბლიკა სერბეთის კრაინა სისხლში ჩაახშეს ისე, რომ პრაქტიკულად არავინ დახმარებია. იუგოსლავიის მაშინდელი ლიდერი სლობოდან მილოშევიჩი თავის კონკურენტებთან ბრძოლით იყო დაკავებული, ხოლო მოსკოვის ინტერესი მაშინ ბალკანეთზე არ ვრცელდებოდა.



როგორ განვითარდება მოვლენები ამჯერად, ძნელი სათქმელია, რადგან **არ გამორიცხავენ ბოსნიის ფრონტის წარმოქმნას,** რომლის გახსნითაც დაიმუქრა ხორვატიის პრეზიდენტი სტიპე მესიჩი დაკავებული პოსტის დატოვებისას. მან განაცხადა, რომ **ხორვატიის არმია განახორციელებს საომარ ოპერაციას ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი ჩაატარებს რეფერენდუმს თვითგამორკვევის საკითხზე კოსოვოს მაგალითისამებრ.**

ვარაუდობენ, რომ **უახლოეს პერიოდში მკვეთრად გამწვავდება სიტუაცია ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში,** სადაც სერბები თავიანთი კონსტიტუციური სტატუსის შენარჩუნების მიზნით რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ თებერვლის ბოლოს.

პირველი რეაქცია ამ მოსალოდნელ საშიშროებებზე გასაოცრად თავშეკავებულია. ბუნდოვანია რუსეთის პოზიციაც, თუმცა იგი სისხლხორცეულად უნდა იყოს დაინტერესებული ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესებით.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შექმნილ სიტუაციაში რუსეთმა მეტი ფხა უნდა გამოიჩინოს, რადგან არსებულ ვითარებაში აუტსაიდერის როლი არაფრის მომცემია. **დღის წესრიგში დგას ბალკანეთის ხალხების არა მხოლოდ ტერიტორიული, პოლიტიკური, ეთნოკულტურული და სხვა კომპენსაციების საკითხი, არამედ მათი, როგორც ეთნოსების, ყოფნა-არყოფნის პრობლემა.**

უკვე **საკამათო არ არის, რომ დასავლეთის კონსოლიდირებული კურსი მიმართულია ბალკანეთში სერბული და მართლმადიდებლური სასიცოცხლო სივრცის საბოლოოდ ლიკვიდაციისკენ.**

რატომ გვინდა, დავირწმუნოთ თავი, რომ პრობლემა, რომელიც დღეს ბალკანეთში დგას, გვერდს აუვლის საქართველოს?

კოსოვო ჩვენი ფხიზლად ყოფნისა და მაქსიმალური მობილიზების „მუდმივად მოქმედი“ მაგალითია.

უცხოური ძალებისათვის საკუთარი ქვეყნის ბედის მინდობა ყოველთვის როდი ნიშნავს გარანტირებულ მომავალს, უეჭველ აყვავებასა და ეროვნული მეობის შენარჩუნებას.

ეს იმ ანტისარაკეტო სისტემების გაშლასაც ეხება, რომლებზეც პოლონეთმა და ჩეხეთმა უარი თქვეს, სამაგიეროდ რუმინეთის ხელისუფლება სიამოვნებით დათანხმდა. ეს განაცხადა აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ **ფილიპ კროულიმ**. ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი — რაკეტები M-3 — რუმინეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მორიგეობას 2015 წლისთვის შეუდგება.

საოცარია, რომ XXI საუკუნეში არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ შესაძლებელია სიცრუის „სიმართლეში“ საზოგადოებრიობის დარწმუნება. რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ განაცხადა, რომ ასეთი სარაკეტო სისტემის რუმინეთის ტერიტორიაზე განლაგება თავდაცვითი მიზნების განსახორციელებელი ღონისძიებაა, მიმართულია არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ ირანის შემოტევის თავიდან ასაცილებლად.

სპეციალისტები ხუმრობენ, პრეზიდენტს ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა, რომ ამ ანტირაკეტებით შესაძლებელია ანტარქტიდის დაცვა სომალელი მეკობრეების დესანტისგან.

ჩვენი ხელისუფლებისთვის ჯერ არ მოუთხოვიათ აშშ დამცავი სარაკეტო ქოლგის გაშლა ქვეყნის თავზე, მაგრამ საქართველოს ტერიტორიისა და ჩვენი სასაზღვრო წყლების აშშ სამხედრო საჰაერო და საზღვაო ძალებისთვის სატრანზიტოდ შეთავაზება თაფლის იმ წვეთის როლს ხომ არ შეასრულებს, რომლისთვისაც ბაღდადიდან ვეღარ, მაგრამ თეირანიდან ბუზის ნაცვლად საშუალო რადიუსის რაკეტები მოფრინდება?

**უცხოური პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

# იალტა თუ დაძველდა, ახალს ვინ შემოგვთავაზებს?

**65 წლის წინათ, 1945 წლის 4-11 თებერვლის ყირიმში, კურორტ იალტის ლივადიის სასახლეში გაიმართა დიდი სამეულის — სსრ კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების — იოსებ სტალინის, ფრანკლინ დელანო რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის კონფერენცია, რომელმაც შეცვალა მსოფლიო.**



მოკავშირეებმა სწორედ აქ, იალტაში, პრაქტიკულად საბოლოოდ განსაზღვრეს ომისშემდგომი მოწყობის კოორდინატების სისტემა, რადგან წინა შეხვედრაზე თეირანში — 1943 წლის 28 ნოემბერი-1 დეკემბერი — ამ პრობლემაზე მსჯელობა ნაადრევი იყო: ომის ბედი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო, თუმცა გარდატეხა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ეჭვს არ იწვევდა.

სწორედ **აქ, იალტაში, ათეულობით წლების მანძილზე პირველად შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ სამი ქვეყნის ლიდერებს გადაეწყვიტა მთელი მსოფლიოს ბედი. ეს უნიკალური შანსი მათ სრულად გამოიყენეს.**

აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ **მსოფლიოს ბედის დამდგენი იყო სამი კოლოსი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწენი და არა ცვლილებათა ისტორიული ქარების მიერ მოტანილი წვრილფეხა მედროვენი.**

მათი გონიერების, ინტელექტისა და გლობალური აზროვნების შედეგი იყო, რომ იმ სახელმწიფოებრივი მოწყობის, სისტემების შეუთავსებლობის მიუხედავად, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, კურსი საერთო ინტერესებზე აიღეს, რომელთა განხორციელება მჭიდრო თანამშრომლობით შეიძლებოდა. კოალიციის კრიზისი შეიძლება გამოეწვია ნებისმიერ პრეტენზიას, ურთიერთდაპირისპირებას მეორეხარისხოვან საკითხებზე.

**იალტა მსოფლიოს გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების აღზევებად წარმოგვიდგება.**

სამწუხაროა, რომ დღეს ყირიმის კონფერენციის დროით გამოცდილი გადაწყვეტილებებისთვის ძირის გამოთხრას ცდილობენ პოლიტმემკვიდრენი დასავლეთის იმ ხელმძღვანელთა, რომელთაც ხელი მოაწერეს ისტორიულ დოკუმენტებს.

**იალტა სახელმძღვანელოა იმ უმწიფარი პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც ქვეყნის გადარჩენის გზებს მაინცდამაინც კონფრონტაციაში ეძებენ, დაპირისპირებასა და გამწვავებაში, რითაც ლოგიკურ შედეგს იმკიან — მარცხდებიან.**

მარცხდებიან თვითონ და ამარცხებენ თავიანთ ხალხსა და ქვეყანას. თქვენ მეტყვით, რომ სწორედ ამ თვისებით, თანაც მოჭარბებულად, გამოირჩევა საქართველოს პრეზიდენტი და მისი შემხედვარე მთელი ხელისუფლება?

ვერ შეგეკამათებით.

პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის გამოცდილებას, რაც საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაში გამოიხატა, აშშ-ის ხელმძღვანელობა დღესაც ითვალისწინებს და დაჟინებით ეძებს შეხების წერტილებს დღევანდელ რუსეთთან, მის ხელმძღვანელობასთან.

ჩვენ ვართ განსაკუთრებულად მამაცები და ხმალში ვიწვევთ მაინცდამაინც რუსეთს.

ასეა.

და ამ მხრივ არაფერი შეიცვლება მანამ, სანამ სენატორი მაკეინი იქნება საქართველოს მოძღვარი და მასწავლებელი, სანამ ჩვენი ლიდერები არ დაძლევენ უსაფუძვლო აკვიატებას და არ ირწმუნებენ, რომ კაცობრიობა 2003 წლამდეც ქმნიდა ისტორიას.

მათ შორის, — საქართველოც.

დავუბრუნდეთ იალტის კონფერენციას და გავარკვიოთ, კონკრეტულად რა საკითხებზე შეთანხმდა დიდი სამეული?

**პირველი. კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ მათი ურყევი მიზანია გერმანული მილიტარიზმისა და ნაციზმის განადგურება და გარანტიების შექმნა საიმისოდ, რომ „გერმანიას არასოდეს ექნეს მშვიდობის დარღვევის შესაძლებლობა".** ამიტომ გადაწყდა, რომ „განიარაღდეს და დაიშალოს გერმანიის შეიარაღებული ძალები და სამუდამოდ განადგურდეს გერმანიის გენერალური შტაბი", „ამოღებულ იქნას ან სრულად განადგურდეს სამხედრო მოწყობილობა, ლიკვიდირებულ იქნას ან კონტროლი დაუწესდეს მთელ გერმანულ მრეწველობას, რომელიც შეიძლება გამოიყენონ სამხედრო წარმოებისთვის; ომის ყველა დამნაშავე სწრაფად და სამართლიანად დაისაჯოს... აღიგავოს პირისაგან მიწისა ნაცისტური პარტია, ნაცისტური კანონები, ორგანიზაციები და დაწესებულებები; გერმანელი ხალხის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება, საზოგადოებრივი დაწესებულებები დაცული იქნას ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული გავლენისგან".

**დიდმა სამეულმა პირდაპირ განაცხადა, რომ ნაციზმისა და მილიტარიზმის ამოძირკვის შემდეგ გერმანელ ხალხს შეეძლება, დაიკავოს ღირსეული ადგილი ერთა თანამეგობრობაში.**

**მეორე. დადგინდა ახალი სახელმწიფო საზღვრები იმ ტერიტორიებზე, რომლებიც გაათავისუფლეს ჰიტლერელთა ოკუპაციისგან.** ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ძველი კი არ აღდგა, არამედ დადგინდა ახალი საზღვრები. 1919 წლის ვერსალის შეთანხმებიდან გასულმა პერიოდმა დაადასტურა, რომ ძველმა საზღვრებმა დროის გამოცდას ვერ გაუძლო.

უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხო პოლონეთს. სსრკ-პოლონეთის საზღვარი „კერზონის ხაზზე" გავიდა და მოკავშირეები დათანხმდნენ ამ ახალ კონფიგურაციას. საინტერესოა უინსტონ ჩერჩილის ამასთან დაკავშირებული პოზიცია და არგუმენტები. მისი მტკიცებით, **ასეთი გადაწყვეტილება „ეფუძნება არა ძალას, არამედ სამართლიანობას, თუ გავითვალისწინებთ იმ ტანჯვა-წამებას, რაც რუსეთმა გერმანელებისგან თავისი ტერიტორიის დაცვისას გადაიტანა, მის უდიდეს გმირობას გერმანელების განდევნისა და პოლონეთის გათავისუფლების დროს".**

დიდი კამათი გამოიწვია საბჭოთა წინადადებებმა პოლონეთის დასავლეთის საზღვრებთან დაკავშირებით. სტალინმა შესთავაზა ამ ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვნად გაზრდა გერმანიის მიწების ხარჯზე. ჩერჩილი არ დაეთანხმა: „პოლონეთი მეტისმეტად ბევრს მიიღებს". მას რუზველტმა დაუჭირა მხარი. აშშ და დიდი ბრიტანეთი პოლონეთის გაძლიერების მაინცდამაინც დიდი მომხრეები არ იყვნენ, რადგან ამ დროისთვის ეს ქვეყანა საბჭოთა არმიას უკვე გათავისუფლებული ჰყავდა და იქ პროსაბჭოთა განწყობილება მკვიდრდებოდა. მაგრამ დაპირისპირება მოკავშირეთა შორის განეიტრალდა იმით, რომ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მომავალი კონფერენციისთვის გადაიდო.

**გერმანიის ტერიტორიის საკითხიც, ბუნებრივია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აქაც აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, მაინც გადაწყდა მისი საოკუპაციო ზონებად დაყოფა. სტალინი, როგორც ცნობილია, მხარს უჭერდა გერმანიის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნებას. მაგრამ იგი იძულებული გახდა, მოკავშირეებისთვის დაეთმო.**

სამაგიეროდ, საბჭოთა ლიდერმა არ დაუთმო მათ იუგოსლავია. მით უფრო, რომ თვითონ სცნო დიდი ბრიტანეთისა და ამერიკელების კონტროლის უფლება იტალიასა და საბერძნეთზე. მართალია, იუგოსლაველ კომუნისტთა ხელმძღვანელი იოსიპ გროზ ტიტო ბოლომდე არ ეთანხმებოდა სტალინს, იძულებული შეიქმნა, უკან დაეხია. თუმცა მათ შორის წინააღმდეგობამ მაინც იჩინა თავი, მაგრამ ეს კონფლიქტი იალტის გადაწყვეტილებას უკვე არ უკავშირდებოდა.

იალტაში მხარეთა შორის მიღწეული კომპრომისის დედააზრი ასეთია: **აღმოსავლეთ ევროპა სსრ კავშირის გავლენის ზონაში მოექცა, დასავლეთ ევროპა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონი ინგლის-ამერიკის გავლენის სფეროში დარჩა.**

**მესამე. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად ერთობლივად გაილაშქრებდნენ იაპონიის წინააღმდეგ.** როგორც კი მიიღეს სტალინის თანხმობა წითელი არმიის შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შესახებ, რუზველტმა და ჩერჩილმა დაუდასტურეს იოსებ ბესარიონის ძეს, რომ მოსკოვს დაუბრუნდებოდა სამხრეთი სახალინი და კურილიის კუნძულები, რომლებიც რუსეთმა 1904-1905 წლებში იაპონიასთან ომის დროს დაკარგა.

**მეოთხე. იალტაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა იდეოლოგია და დაიწყო პრაქტიკული რეალიზაცია ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის იდეის, რომელიც ჩაენაცვლებოდა ყავლგასულ ერთა ლიგას.**

**სწორედ ლივადიის სასახლეში მოლაპარაკების დროს დასახელდა გაეროს შექმნის თარიღი — 1945 წლის 25 აპრილი.**

ანალიტიკოსები ასკვნიან, **ანტიჰიტლერული კოალიციის წევრების საქმიანობა ყირიმის კონფერენციის პროცესში მთლიანობაში სწორი და გამართლებული იყო.** ეს დაადასტურა ისტორიულმა გამოცდილებამ: ბიპოლარულმა მსოფლიომ, რომლის წარმოქმნა განსაზღვრა იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა, მინიმუმ ნახევარი საუკუნის მანძილზე გაუძლო გამოცდას.

მსოფლიოს მოწყობის იალტა-პოსტდამის სისტემა საკმაოდ მყარი გამოდგა. მართალია, ორი გეოპოლიტიკური სისტემის დაპირისპირებული არსებობა ვერ ჩაითვლება საერთაშორისო ურთიერთობათა იდეალურ მოდელად, მაგრამ, რაც მთავარია, ეს არ არის ურთიერთგანადგურება. უპრიანია გავიხსენოთ, რა თქვა აშშ პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ბერლინის კედლის შესახებ, რომელიც ორი სისტემის დაპირისპირების, ეგებ, ყველაზე უფრო სახიერი მაგალითი იყო: „ეს არცთუ სასიამოვნო გადაწყვეტილებაა, მაგრამ კედელი, ეშმაკმა დალახვროს, უკეთესია, ვიდრე ომი".

კედელი აღარ არსებობს, მაგრამ, მართლაც დალახვროს ეშმაკმა, როგორ გარანტიას გვთავაზობენ დღეს ისეთს, ომი რომ არ იყოს?

იალტა დაძველდა.

მაშ, მოდით, მოვილაპარაკოთ მსოფლიო კოორდინატების ახალ სისტემაზე, სანამ საბოლოოდ დავანგრევდეთ 1945 წელს აგებულ შენობას, — გვეუბნებიან პოლიტოლოგები და ღირს დაფიქრებად ძლიერთა ამა ქვეყნისა ეს შეთავაზება.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

# მკვლელობის ლიცენზია

**2010 წლის 3 თებერვალს ამერიკული დაზვერვის მეთაურმა დენის ბლერმა ოფიციალურად აღიარა, რომ ტერორისტული ორგანიზაციების მხარეს გადასულ აშშ-ის მოქალაქეებს სპეცსამსახურების თანამშრომლები გაანადგურებენ. ეს იძულებითი პასუხი იყო გაზეთ „The Washington Post"-ის მამხილებელ პუბლიკაციაზე, რომელშიც ეწერა, რომ ცსს-სა და აშშ-ის ჯარის სპეციალური ოპერაციების მეთაურების „შავ სიაში" სამი ამერიკელი მოხვდა.**

სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდების შერბილების ობამასეული დაპირებების ფონზე ამ განცხადებამ საზოგადოება გარკვეულწილად დააბნია, პოლიტიკოსებს კი არც თუ შორეული წარსული გაახსენა.

2001 წელს ცსს-მ და პერუს სამხედრო საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს კერძო თვითმფრინავი, რომლითაც, ამერიკული სპეცსამსახურების ინფორმაციით, კონტრაბანდული ტვირთი, ნარკოტიკები გადაჰქონდათ. ოპერაციის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ თვითმფრინავი პერუში მომუშავე მისიონერების ოჯახს ეკუთვნოდა. მასში ნარკოტიკების ნაცვლად ცსს-ის მიერ თვითმფრინავის დაცხრილვის შედეგად გარდაცვლილი ვერონიკა ბაუერსისა და მისი შვიდი თვის შვილის გვამები აღმოაჩინეს.

ახალი „შავი სიის" შესაბამისად, სპეცსამსახურების სამიზნედ, პირველ რიგში, სავარაუდოდ, იმამი ანვარ ალ-ავლაკი იქცევა. ის აშშ-ის მოქალაქეა, მაგრამ იემენში ცხოვრობს და თავის რადიკალურ შეხედულებებს სულაც არ მალავს. ალ-ავლაკმა ისლამის თვალთახედვიდან მისაღებად გამოაცხადა მაიორ ნიდალ ჰასანის ქმედება, როდესაც ამ უკანასკნელმა ამერიკულ სამხედრო ბაზაზე თავის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნა, 30 მათგანი დაჭრა, 13 კი სიცოცხლეს გამოასალმა. ისიც ცნობილია, რომ იმამს „ალ-ქაიდას" წარმომადგენლებთან ხშირი კონტაქტი აქვს და თავადაც საერთაშორისო ტერორისტული ქსელის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ასე რომ, იმამი ნამდვილად იქნება იმ ამერიკელთა სიაში, რომელთა განადგურებაზეც ბლერი ღიად საუბრობს.

მოკლედ, თუ ამერიკის მოქალაქე თავისი შეხედულებებით ან ქმედებით საფრთხის ქვეშ აყენებს სხვა ამერიკელთა სიცოცხლეს ან იმ ორგანიზაციის წევრია, რომელიც ამერიკის უსაფრთხოებას ემუქრება, ცსს ან რომელიმე სხვა სპეცსამსახური მას გაანადგურებს და ყველა შვებით ამოისუნთქავს.

„არ მინდა, ჩვენი საქმიანობის შორიდან შემფასებლებმა ჩათვალონ, რომ არაფრად ვაგდებთ ამერიკელთა პირად უსაფრთხოებას. დაზვერვის მიერ დაგეგმილი ნებისმიერი სპეცოპერაცია, რომელიც ჩვენი თანამოქალაქის განადგურებას შეიცავს, სანქცირებული უნდა იყოს ზემდგომი ინსტანციების მხრიდან. ამგვარი ქმედებისთვის ჩვენ სპეციალურ ნებართვას ვითხოვთ", — დაამშვიდა ბლერმა ამერიკელები, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, ვინ უნდა გასცეს ეს „სპეციალური ნებართვა". როგორც ჩანს, შესაძლოა თავად უმაღლეს მთავარსარდალსაც გულისხმობდეს.

ჯორჯ ბუშ უმცროსის პერიოდში სპეცსამსახურებს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლებები ჰქონდათ. მაშინ ეჭვმიტანილი ამერიკის სამგზის მოქალაქეც რომ ყოფილიყო, მის გასანადგურებლად „სპეციალური ნებართვა" არავის სჭირდებოდა. მშვიდობისათვის ნობელის პრემიის ლაურეატს ამ მხრივ მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს.

10 — 16 თებერვალი, 2010 წელი. №5 (48)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ტურა კარლოსი — პროფესია ტერორისტი



**ის ბავშვობიდან სიძულვილის ატმოსფეროში იზრდებოდა, მოწიფული კი მთელ პლანეტას ატერორებდა. ტურა კარლოსი მოუხელთებელი გახლდათ და სხვადასხვა დროსა და ადგილას სხვადასხვა სახელი ერქვა: კარლოს ანდრე მარტინეს ტორესი, ჰექტორ ლუგო დიუპონი, სენონ მარია კლარკი, ადოლფ ხოსე მიულერ ბერნალი, ფლიკ რამირესი, გლენ გებჰარდი და აჰმედ ადილ ფავაზი. მისი ნამდვილი სახელი კი ილიჩ რამირეს სანჩესია, თუმცა მთელი მსოფლიო მას ტურა კარლოსის სახელით იცნობს.**



ეს პირსისხლიანი მკვლელი, რომელიც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს დასცინოდა, 1949 წელს ვენესუელაში დაიბადა. მამამისი ლენინსა და სტალინს აღმერთებდა და მხოლოდ ერთი დასაზუთხი გაკვეთილის სწამდა, რომელსაც სახელად მსოფლიო რევოლუცია ერქვა. ამიტომ ჯერ კიდევ მოზარდობისას კარლოსმა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საპატივცემულოდ მეორე სახელი — ილიჩი მიიღო და მამის შეხედულებები შეისისხლხორცა.

როცა კარლოსს 17 წელი შეუსრულდა, მამამისმა ის კუბაში, ტერორისტთა მოსამზადებელ ბანაკში გაგზავნა. ჰავანის მიდამოებში მდებარე ბანაკში კარლოსი მიზანმიმართული აფეთქებების მეთოდიკას, ხელჩართული ბრძოლის ხელოვნებას და შეიარაღების სახეობებს ეუფლებოდა. მალე ის შეიარაღების სფეროში ექსპერტად და ბრწყინვალე მსროლელად იქცა, ცხოვრების მიმართ სრული გულგრილობა გამოიმუშავა, რაც მის „პროფესიას" სავსებით შეესაბამებოდა. 1969 წელს კარლოსი მოსკოვში, პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში, უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა. **ეს უმაღლესი სასწავლებელი დასავლეთში მსოფლიო ტერორიზმის აკადემიად მიაჩნდათ.** ამ „აკადემიიდან" აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში არაერთი „რევოლუციონერი" გაემგზავრა, რომლებიც საზოგადოების გარდაქმნას მარქსისტულ-ლენინური დოქტრინის მიხედვით ლამობდნენ. პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტში ახალი სასიკვდილო ცოდნით შეიარაღებულმა კარლოსმა მამას წერილი მისწერა: „მზად ვარ იმისათვის, რაც უნდა ვაკეთო. მადლობელი ვარ, რომ სწორ გზაზე დამაყენე."

## პრემიერა მსოფლიო ტერორიზმის სცენაზე

პირველი ტერორისტული აქტი კარლოსმა 1970 წლის 21 თებერვალს განახორციელა, როცა ციურიხიდან თელ-ავივში მიმავალ შვეიცარიულ თვითმფრინავში ბომბი დადო. აფრენიდან ორი წუთის შემდეგ საბარგო განყოფილებაში ბომბი აფეთქდა, ხანძარი გაჩნდა და თვითმფრინავი დაილუპა. ტერორისტულმა აქტმა 200 კაცის სიცოცხლე შეიწირა, თუმცა ტურამ საკუთარ თავში ტერორისტული ოპერაციების ორგანიზების ნიჭი მაშინ აღმოაჩინა, როცა 1972 წელს ისრაელში, ლოდის აეროპორტში „დიდ სამიზნედ" მონათლული სისხლიანი სასაკლაო დაგეგმა და მოაწყო.

მოსკოვში დამყარებული კონტაქტების წყალობით, კარლოსმა იაპონური ტერორისტული ორგანიზაციიდან — „წითელი არმია" — კოძო ოკამოტო დაიქირავა. ოკამოტო და მისი ორი თანამოაზრე რომიდან ისრაელში ფრანგული ავიაკომპანიის თვითმფრინავით ჩაფრინდნენ. იქ კი ოკამოტომ და მისმა თანამეინახეებმა: რაკეში ოკუდეირამ და იოშუიკი იასუდამ ჩემოდნები გახსნეს და უდანაშაულო ხალხს ცეცხლი დაუშინეს. ერთ ტერორისტს ყუმბარა ხელში აუფეთქდა, მეორე კი პოლიციელმა მოკლა. ოკამოტო, რომელსაც გადარჩენის იმედი არ ჰქონდა, საექსპლუატაციო სამსახურის თანამშრომელმა წააქცია, როცა მან ავტომატი თვითმფრინავისკენ მიმართა. იმ დღეს, 30 მაისს აეროპორტში 24 კაცი დაიღუპა, კიდევ ოთხი მიყენებული ჭრილობებით ჰოსპიტალში გარდაიცვალა, ხოლო 26 დაიჭრა. **ეს მსოფლიო ტერორიზმის სცენაზე ტურას გამოჩენის გრანდიოზული პრემიერა იყო**. „ღონისძიების" ორგანიზებისა და წარმატებით ჩატარებისთვის მას ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს. მისი სახელი, რომელიც შარლ დე გოლზე მონადირე მკვლელის შესახებ დაწერილი ფრედერიკ ფორსაიტის წიგნიდან — „ტურის დღე" იქნა აღებული, ტერორისტულ წრეებში ცნობილი შეიქნა, როგორც საქმის ბოლომდე მიმყვანი კაცის სახელი.

მოკლე ხანში კარლოსის ყურადღება ინგლისში ცნობილმა ებრაელმა აქტივისტმა ჯოზეფ სიეფმა მიიქცია, რომელიც მაღაზიების ქსელის — „მაქს და სპენსერის" მფლობელი გახლდათ. თუმცა ტურამ ეს თავდასხმა წარუმატებლად განახორციელა. აი, როგორ აღწერს მას თავად კარლოსი: „მანქანა ლორდის სახლთან გავაჩერე. შემდეგ ზარი დავრეკე და შვეიცარს ვუბრძანე, პატრონისთვის დაეძახა. მან ბრძანება შეასრულა და გული წაუვიდა. როცა ლორდი სიეფი სააბაზანო ოთახიდან გამოვიდა, ჩემი ძველი „ბერეტას" პისტოლეტიდან ვესროლე. ტყვიამ ზედა ტუჩში გაუარა. ჩვეულებრივ, სამ ტყვიას ვახლი ხოლმე ცხვირის გარშემო, რადგან ეს უეჭველ სიკვდილს ნიშნავს. მაგრამ იმჯერად სამიდან მხოლოდ ერთი ტყვია მოვარტყი. ლორდ სიეფი გადარჩა და გადავწყვიტე, ბედი კიდევ ერთხელ მეცადა, მაგრამ, სანამ შესაფერის იარაღს ვეძებდი, ის ბერმუდის კუნძულებზე გაემგზავრა."



კარლოსი და მისი ადვოკატი იზაბელა

1974 წელს ტერორისტი ჰოლანდიაში ჩავიდა და თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად კვლავ იაპონური „წითელი არმიის" ფანატიკოსებს მიმართა. ტერორისტებმა საფრანგეთის ელჩი და მისი თანამშრომლები მძევლებად აიყვანეს. სანამ კარლოსი მოლაპარაკებებს აწარმოებდა პარიზის ციხეში მყოფი „წითელი არმიის" ერთ-ერთი ტერორისტის გასათავისუფლებლად, იმის დასამტკიცებლად, რომ არ ხუმრობდა, პარიზის ცენტრში, ჟერმენ-დეპრეს ქუჩაზე მდებარე აფთიაქს ბომბი ესროლა, რის შედეგადაც ორი კაცი დაიღუპა, 30 კი — დაიჭრა. არაბული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში კარლოსმა განაცხადა: „საფრანგეთის ხელისუფლება პანიკამ შეიპყრო. გათავისუფლებული ტერორისტი ჰოლანდიაში „ბოინგ-707"-ით გაამგზავრეს. ოპერაცია წარმატებით დასრულდა." კარლოსი მკვეხარა იყო...

## მოუხელთებელი

1975 წლის 27 ივნისს ლიბანელმა ინფორმატორმა მიშელ მურკაბელმა, რომელიც ერთი ხანობა კარლოსის მეკავშირე იყო ახლო აღმოსავლეთში, საფრანგეთის სპეცსამსახურების ორი აგენტი: 34 წლის ჟან დონატინი და 54 წლის რაიმონდ დუსი პარიზის ცენტრში, ტურის აპარტამენტებში მიიყვანა. იმ დროს კარლოსთან ორი ვენესუელელი და ერთიც სტუდენტი გოგონა იმყოფებოდნენ. ტურამ პისტოლეტი ამოიღო და ჯერ დონატინს საფეთქელში ესროლა, შემდეგ კი სიცოცხლეს გამოასალმა დუსიც. ამის დანახვაზე მურკაბელმა სახეზე ხელები აიფარა — მან იცოდა, რომ განწირული იყო. ტურამ მას ტყვია შუბლში დაახალა.

კარლოსი ლონდონში გაიქცა და თავი მომხიბლავი ნადი ტაბონის სახლს შეაფარა. ამ დროს პოლიცია მის სახლს ჩხრეკდა ჰერფორდ როუდზე, სადაც საბრძოლო მასალების საწყობსა და იარაღით გაძეძგილ ჩემოდანთან ერთად ტურის მიერ შედგენილი სიკვდილმისჯილთა სიაც აღმოაჩინა. მასში ირიცხებოდნენ ლორდი და ლედი საინსბერები, სერ კეიტი ჯოზეფი, სერ ბერნარ დელფონტი და სახელგანთქმული მევიოლინე იეგუდი მენუჰინი.

**პალესტინელებთან მუშაობისას კარლოსმა დაგეგმა და განახორციელა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერორისტული აქცია: თავს დაესხა ვენაში შეკრებილ ნავთობის ექსპორტიორთა და ქვეყანამწარმოებელთა დელეგატებს. აღნიშნულ ფორუმზე ნავთობის ფასებზე უნდა ემსჯელათ. სხდომას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან 81 დელეგატი ესწრებოდა. თავდასხმის ძირითადი მიზანი მომავალი ოპერაციებისთვის ფულის შოვნა იყო. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის შეკრების მეორე დღეს კარლოსი ბაადერ-მაინჰოფის ბანდის ორ წევრთან, ორ პალესტინელსა და ერთ ლიბანელთან ერთად სხდომათა დარბაზში შეიჭრა.** ტერორისტებმა სამი კაცი მოკლეს, მათ შორის, ლიბიელი დელეგატიც. ეს კი შეცდომა იყო, რადგან კარლოსისთვის იარაღის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი ლიბია იყო.

**ტერორისტთა ბანდამ მძევლად აიყვანა რამდენიმე ათეული დელეგატი, რომელთა შორის იყვნენ საუდის არაბეთის ნავთობის მრეწველობის მინისტრი და ირანის შინაგან საქმეთა მინისტრი**. კარლოსმა ასეთი პირობა წამოაყენა: ფული და უსაფრთხო გაფრენა ავსტრიიდან მძევალი დელეგატების სანაცვლოდ. 41 დელეგატის გათავისუფლების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ კარლოსს საშუალება მისცა, დანარჩენ დელეგატებთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. ისინი ჯერ ალჟირში, იქიდან კი ლიბიაში გაფრინდნენ. 50 მლნ დოლარის გამოსასყიდის მიღების შემდეგ კარლოსმა მძევლები უდაბნოში დატოვა.



**როცა ტერორისტმა თვალი დახუჭა, მისმა მცველებმა ჰონორარი გადაითვალეს და პალატაში პოლიციელები შეუშვეს, რომლებმაც მძინარე კარლოსს ხელბორკილები დაადეს, შემდეგ კი საფრანგეთის სამთავრობო თვითმფრინავით საიდუმლოდ ჩაიყვანეს პარიზში და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.**

## როცა ტურას ეძინა...

1982 წელს, როცა ისრაელის ჯარები ბეირუთში შეიჭრნენ, კარლოსმა ჰესბოლას ფანატიკოსებს სამსახური შესთავაზა. უკანასკნელ ცნობილ ოპერაციად კი 1991 წელს სპარსეთის ყურეში, ომის დაწყების წინ ჩატარებული აქცია იქცა. ოფიციალური წყაროების ცნობით, **კარლოსი ბაღდადში სადამ ჰუსეინმა იხმო და მთელ მსოფლიოში ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქციების დაგეგმვა სთხოვა იმ შემთხვევისთვის, თუ დასავლეთი ერაყის ქუვეითში შეჭრას ძალისმიერი მეთოდებით წინ აღუდგებოდა. ოპერაციის ორგანიზებისთვის კარლოსს 10 მლნ დოლარი შესთავაზეს**, მაგრამ სირიისა და სხვა არაბული ქვეყნების ზეწოლამ ტურა იძულებული გახადა, ჰუსეინის წინადადებაზე უარი ეთქვა. ამის საკომპენსაციოდ მან 1 მლნ დოლარი მიიღო და გაუჩინარდა.

ამერიკული პრესის ცნობით, **არაბ ბიზნესმენთა ჯგუფი მზად იყო, რამდენიმე მილიონი დოლარი გადაეხადა იმისათვის, ვინც კარლოსს მოკლავდა.** საერთაშორისო ტერორიზმის საკითხების ექსპერტმა დევიდ ფანელმა ვაშინგტონში განაცხადა: „კარლოსის გასანადგურებლად უმაღლესი კლასის პროფესიონალია საჭირო. მას მდიდარი გამოცდილება აქვს, თანაც იმდენად ცბიერი, ფრთხილი და ჭკვიანია, რომ არ დაუშვებს, კვალში ჩაუდგნენ და მოკლან. თუ საფრთხეს იყნოსავს, მაშინვე გაუჩინარდება..."

1994 წლის აგვისტოში სუდანის დედაქალაქ ხართუმში ერთ-ერთი კლინიკის ექიმებმა ტურა კარლოსს უწყინარი ტკივილგამაყუჩებელი გაუკეთეს, საინიექციო სითხე საძილე პრეპარატს შეიცავდა. როცა ტერორისტმა თვალი დახუჭა, მისმა მცველებმა ჰონორარი გადაითვალეს და პალატაში პოლიციელები შეუშვეს, რომლებმაც მძინარე კარლოსს ხელბორკილები დაადეს. შემდეგ ის საფრანგეთის სამთავრობო თვითმფრინავით საიდუმლოდ ჩაიყვანეს პარიზში და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 2004 წელს ციხეში რამირესმა ისლამი მიიღო და ავტობიოგრაფიული რომანიც გამოსცა. ახლა 60 წლის ტურა ფრანგულ კინოკომპანიას უჩივის, რომელიც მის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს. „ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, კარლოსი ფილმის საბოლოო ვერსიის შექმნაში მონაწილეობას მოითხოვს...

მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყოველწლიურად მსოფლიოში რვა მილიონი დეფექტიანი ბავშვი იბადება



ყოველწლიურად მსოფლიოში დაბადებულ ბავშვებს შორის 8 მილიონ ახალშობილს სერიოზული გენეტიკური დეფექტი აქვს.

„ეს მსოფლიოში დაბადებულ ბავშვთა 6 პროცენტს შეადგენს", — განაცხადეს ამერიკის საქველმოქმედო ორგანიზაციის „მარჩ ოფ დაიმსის" წარმომადგენლებმა. კვლევა 193 ქვეყანაში ჩატარდა. ამ დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზი კი არის ის, რომ ორსულობის დროს დედის ორგანიზმში ხშირად ხვდება მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ჩანასახზე უარყოფითად მოქმედებს.

# ტელევიზორის ხანგრძლივად ყურება დაუშვებელია



ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ტელევიზორის ხანგრძლივი დროით ყურება შეიძლება მოულოდნელი და უცაბედი სიკვდილის მიზეზი გახდეს.

ეს, ძირითადად, ეხება გულსისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ ადამიანებს. ასეთი პიროვნებისათვის თუნდაც 1 საათის გატარება ტელეეკრანთან 18 პროცენტით ზრდის რისკს (კიბოთი დაავადებულთათვის 9 პროცენტით, სხვებისთვის საშუალოდ 11 პროცენტით). ამდენად, ქრონიკულად დაავადებულებმა უნდა გაითვალისწინონ ეს საშიშროება.

# პოპულარული ანტიდეპრესანტები პაციენტების უმეტესობას არ შველის



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პოპულარული ანტიდეპრესანტები, რომელთაც დღეს მთელ მსოფლიოში აქტიურად გამოიყენებენ, პაციენტთა ნახევარზე მეტს არ შველის! ამიტომ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ ტიპის პრეპარატების დანიშვნა უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალური და არა აღიარებული და ცნობილი მიდგომით.

# შოკოლადი ვაჟებს უფრო უყვართ, ვიდრე გოგონებს



მოზარდი ბიჭები კოფეინის შემცველ პროდუქტებს უფრო ეტანებიან, ვიდრე მათი თანატოლი გოგონები.

მეცნიერთა აზრით, ეს გამოწვეულია სქესთა სხვაობით, რადგან ფიქრობენ, რომ კოფეინის მიმართ მგრძნობელობა ვაჟებს უფრო დიდი აქვთ, ვიდრე გოგონებს, რაც შემდგომ ასაკშიც ვლინდება.

# ყავა და ჩაი დიაბეტის გაჩენის რისკს ამცირებს



ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჩაისა და ყავის მიღება შაქრიანი დიაბეტის გაჩენის რისკს ამცირებს.

მკვლევართა აზრით, ამ კვლევის შემდეგ შეიძლება შეიქმნას დიაბეტის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატი, რომელიც ამ პროდუქტების ექსტრატზე იქნება დამზადებული.

# წონაში დაკლების დროს შეიძლება ადამიანი გალოთდეს



შვედმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შიმშილის ჰორმონე, რომელიც ღიზიანდება წონაში დაკლების დროს, ადამიანში აჩენს ალკოჰოლის მოთხოვნილებას; ამდენად, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს აღმოჩენა შეიძლება გახდეს ალკოჰოლიზმის მკურნალობის ახალი მიდგომის მაჩვენებელი.

# ღორის ფილტვი შეიძლება ადამიანს გადაუნერგონ



ავსტრალიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია ღორის ფილტვის გადანერგვა დაავადებული ადამიანისათვის. ცდების შედეგად დამტკიცდა, რომ გადანერგვის შემდეგ ღორის ფილტვი ადამიანის ორგანიზმს კარგად შეეთვისა და ჩვეულებრივ განაგრძო მუშაობა.

# ფილტვის კიბოს დიაგნოზს სუნის მიხედვით დაადგენენ



ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ, დასვან ფილტვის კიბოს დიაგნოზი — სუნით! მათი კვლევებით დადგინდა, რომ ჯანმრთელი და ფილტვის კიბოთი დაავადებული ადამიანის შარდის სუნი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ გარკვეული რეაქტივების საშუალებით, წუთებში შეიძლება ამ დიაგნოზის დასმა და 50 შემთხვევიდან 47-ის შემთხვევაში ასე დასმული დიაგნოზი უტყუარია.

# ანტიდეპრესანტების მიღება ორსულთათვის დაუშვებელია



ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ პოპულარული ანტიდეპრესანტების მიღება ორსულობის დროს დაუშვებელია, რადგანაც მშობიარობის შემდეგ ასეთ დედებს ძუძუთი კვება უძნელდებათ, ანუ ლაქტაცია უმცირდებათ.

# ფრიადოსან მოსწავლეებს ბიპოლარული მოშლილობა აქვთ



დიდი ბრიტანეთისა და შვეციის მეცნიერთა მიერ ჩატარდა კვლევები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ მოსწავლეები რომლებიც, ძირითადად, ფრიადოსნები არიან, უმეტეს შემთხვევაში ბიპოლარული მოშლილობით იტანჯებიან, საშუალო ნიშნებზე დაკმაყოფილებულ მოსწავლეებთან შედარებით. ცდები ჩაატარეს შვეციის 714 ათას მოსწავლეზე, რომელთა უმეტესობა სერიოზულ მკურნალობას ექვემდებარებოდა.

# სუიციდის (თვითმკვლელობის) მიზეზი ხშირად გენის მუტაციაა



საერთაშორისო კვლევების ცენტრის მეცნიერთა მიერ დადგინდა, რომ უმეტესწილად სუიციდის მიზეზი ადამიანებში ხდება გენის მუტაციის გამო, რომელიც კოდირებულია ცილის რეცეპტორზე და პასუხისმგებელია ნერვული უჯრედის განვითარებაზე. ამ მუტაციის გენის მატარებელი ადამიანები 4,5-ჯერ უფრო ხშირად ამთავრებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით, ვიდრე სხვა ადამიანები.

# ზიმბაბვეში მოსახლეობის ნახევარზე მეტ მოზარდს შიდსი აქვს



ინგლისელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ზიმბაბვეს რესპუბლიკის მოსახლეობაში მოზარდთა 50 პროცენტზე მეტს შიდსი აქვთ. მათ შეისწავლეს 3 ათასზე მეტი მოზარდის ჯანმრთელობა რომელთა უმეტესობას ეს მძიმე დიაგნოზი აღმოაჩნდა. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს შედეგები ბოლო 10-15 წელია რაც ასე დამძიმდა, რაც ადრე არ აღინიშნებოდა ამ ქვეყანაში. მათ მიერ შესწავლილ იქნა 10-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები.

# ბავშვთა წონაში მომატების მიზეზი გენეტიკურია



ბრიტანელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ბავშვთა ასაკში წონის მომატება გენეტიკური დარღვევით არის გამოწვეული. კერძოდ, მათ შეადარეს ჯანმრთელი და მსუქანი ბავშვის დნმ და აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელთ აკლიათ მეთექვსმეტე ქრომოსომის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია SH2B1-გენთან. მეცნიერთა აზრით, ეს გენი პასუხისმგებელია წონის რეგულაციასა და სისხლში შაქრის დონეზე. ეს აღმოჩენა მეცნიერებს საშუალებას მისცემს, რომ შემდგომში კვლევები ჩატარდეს ახალი პრეპარატის შექმნის მიზნით, რათა უახლოეს პერიოდში დაძლეულ იქნას ეს დაავადება.

# გელი შიდსის წინააღმდეგ



აფრიკაში, თექვსმეტი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანების მიერ დაიწყო მასშტაბური კვლევები ვაგინალური გელის საშუალებით შიდსის დასამარცხებლად. ეს გახლავთ ანტიმიკრობული გელი, რომელიც პილოტური პროგრამით ხორციელდება და მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ის იქნება უფრო ეფექტური საშუალება, რომელიც აქამდე გამოუყენებიათ ამ დაავადების დასამარცხებლად.

# შეიქმნა ახალი ხელოვნური გულის სარქველი



ამერიკელმა ქირურგებმა შექმნეს ახალი, ხელოვნური გულის სარქველი, რომელიც გულში ჩაიდგმება სპეციალური კათეტერის საშუალებით და ასევე საშუალებას მისცემს მეცნიერებს ღია ოპერაციის გარეშე ჩაატარონ დაზოგვითი ოპერაციები. ეს მეთოდი ყველაზე უფრო უკეთესი იქნება ყველა აქამდე არსებულ მეთოდთან შედარებით იმიტომ, რომ ის შეიძლება ახალდაბადებულ ჩვილებსაც გაუკეთდეს.

გვერდი მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# სამშვილდე

## ქვიის ხრამი

**ამ ადგილებს, თუ არ ვცდები, მოდიმნახეს ციხიდან ნახიდურ-ქოლაგირამდე (დღევანდელ ცურტავამდე), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „ყოველ სამშვილდედ“ მოიხსენიებს. მისი ოდინდელი ცენტრი „ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვიან სამშვილდე“, ლეონტი მროველის თქმით, ეთნარქ ქართლოსის აშენებულია. როცა ქართლოსის შემდეგ ქვეყანა მისმა შთამომავლებმა დაინაწილეს, ყოველი სამშვილდე, კიდევ უფრო დიდ მიწებთან ერთად, წილად ხვდა გაჩიოს. ამის შემდეგ ეს „ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთაოდ და ქალაქი, არამედ იყო 83-ე მეფის სვიმონისამდე ქალაქი“. ეს სიტყვები უკვე ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის.**


ტეტრალიტი

ერთხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ „ციხე ორბისა“ სამშვილდე კი არ იყო, არამედ ამჟამინდელი ორბეთის ციხე, რომელიც ალგეთ-ზირბითის ხეობაშია. მაგრამ ლეონტი მროველს და მის მომდევნო ისტორიკოსებს შეუძლებელია ძველისძველი ორბის ციხის ზუსტი მდებარეობა არ ცოდნოდათ. სავარაუდო უფრო ისაა, რომ სწორედ სამშვილდე-ორბის ციხე-ქალაქის დროებითი დაკარგვის შემდეგ (IX საუკუნიდან 1110 წლამდე), გადაიტანეს ეს ტოპონიმი მისმა ძველმა მფლობელებმა აღმოსავლეთით — ალგეთ-ზირბითის ხეობაში.

* * *

თავდაპირველად სოფელ სამშვილდეში შევდივართ, რომელიც ჭივჭავის მარცხენა სანაპიროზეა. მოზრდილ დასახლებაში მხოლოდ სომხები ცხოვრობენ. სოფლის ცენტრში ახალაღდგენილი ეკლესია და წყაროა. საყდარი ისეა შეკეთებული თუ გადაკეთებული, რომ ასაკს ვერ დაუდგენ. წყაროსთან შავტუხა, ტალიკ-ტალიკი ბიჭები დგანან. იქვე ურიკაში შებმული სახედარი დგას. ახალგაზრდები უნდოდ გვესალმებიან, მაგრამ საუბრის გასაბმელად არც ჩვენ ვიდებთ თავს. ციხესიმაგრე აქედან სამხრეთ-დასავლეთით, ხევგაღმაა აღმართული. როგორც უკვე ითქვა, იგი უძველესი დროიდან არსებობს, აი, სოფელი კი გაცილებით ახალია.

* * *

ამ ადგილებში სომხობა პირველად ძვ. წ. აღ.-ის II საუკუნეში გამოჩნდა, როცა მათმა მთავარსარდალმა ბივრიტმა გუგარეთი (იგივე ქვემო ქართლი და ჯავახეთის ნაწილი) წაგვართვა, მეორედ — X საუკუნის დასაწყისში, როცა სომხებმა კვლავ ისარგებლეს მომენტით და გუგარეთი (გუგარენა, გუგარქი) ანისის სამეფოში აღმოჩნდა. უფრო მეტიც — X საუკუნის ბოლოს სამშვილდე მცირე სომხური სამეფოს ტაშირ-ბორაგერტის დედაქალაქიც კი შეიქნა, რის გამოც მისი მეფე დავითი სამშვილდარის ტიტულსაც კი ფლობდა. 1064 წელს სომხებს ტაშირ-ძირაგერტის ცენტრი სამშვილდიდან სამხრეთით, ასევე ტრადიციულ ქართულ მიწაზე არსებულ ლორეს ციხესიმაგრეში გადააქვთ. 1065 წელს სამშვილდეს ბაგრატ IV იბრუნებს. მაგრამ ეს გამარჯვება დროებითია, რადგან მალე თურქ-სელჩუკები შემოდიან.

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი თავის „საქართველოს საზღვრებში“ წერს, **„ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. თუმცა, მართალია, თავიანთ მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შექმნეს** (თავად სამშვილდეზე ეს ნაკლებად ითქმის — გ. ქ.)... **მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო. საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულიად უცნობი იყო და მხოლოდ X საუკუნითგან მოყოლებული გვხვდება... საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი იგი მარტო ქართულად და ქართულ მწერლობაში ინახებოდა, სომხები და სომხური მწერლობა პირიქით ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებენ“.**


სამშვილდის სიონი

1110 წელს დავით აღმაშენებელმა ამ „გაუგებრობას“ წერტილი დაუსვა და თურქ-სელჩუკთაგან გამოხსნილი ძველი გუგარეთი, თავისი ლორე-ტაშირით, საქართველოს დაუბრუნა სამუდამოდ (მისი ნაწილი მხოლოდ 1921 წლის შემდეგ დავკარგეთ).

ზემოთ ნახსენებ ეპოქებში ამ ქართულ ტერიტორიებზე, მათ შორის სამშვილდის სანახებშიც, ქართველების გვერდით, ბუნებრივია, სომხებიც დამკვიდრდნენ, ამას გარდა თვით სომხეთში მცხოვრებ, მტრისგან შევიწროებულ სომხობასაც, ქართველთა იმედად სულ აქეთ ეჭირა თვალი, აქ ეძებდა და პოულობდა იგი თავშესაფარს.

მაგრამ ის სომხები, ქართველებთან ერთად, XV-XVIII საუკუნეებში ლამის ერთიანად გაწყდნენ მომხვდურებთან ბრძოლაში. ერეკლე მეფის დროს და მოგვიანებითაც საქართველოში სომეხთა შემოხიზვნამ სხვა ხასიათი მიიღო. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ამ დროს სომხები ორმაგ კავშირს იჭერდნენ: **„ერთის მხრით, საქართველოსთან მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან — საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ხოლმე ვითარცა დევნილნი და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდნენ იმავე დროს; მეორე მხრით კი, იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს აკეთებდნენ“.** ეს ორმაგი თამაში განსაკუთრებით 1827-29 წლების შემდეგ გახდა საცნაური, როცა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი რუსთა მიერ ოსმალეთიდან და სპარსეთიდან ჩამოსახლებულმა სომხებმა აავსეს... და აი, ახლა ეს სომხები ჩუმად აპარებენ მზერას ჩვენკენ. მათ არ მოწონთ, რომ საქართველოს სახელმწიფოში არსებულ ამ უძველეს ქართულ ციხე-ქალაქს ასე ხშირად სტუმრობენ ჭეშმარიტი პატრონები. ერთი ჩვენცა გვკითხონ ზოგი რამ...

* * *

ხევს გადავდივართ და გზაჯვარედინზე მარცხნივ ვუხვევთ. ეს უკვე სამშვილდის კომპლექსის დიდი ქუჩაა, რომელიც, ვინ იცის, როდის გაჭრეს და მოაქციეს ლოდოვან სალტეებში. აქ არც პირველად ვარ და არც — მეორედ, მაგრამ ასე მგონია, ეს ზღაპრულ-ბიბლიური სამყარო, თითქოს, ახლაღა აღმოვაჩინე.

შიდაციხემდე რამდენიმე ნაგებობა და ნანგრევია. გზის მარცხენა მხარეს აღმართულია პერანგშემოძარცული მცირე დარბაზული საყდარი, რომელსაც ერთადერთი, სამხრეთის, კარი ისე მოშლია, რომ თაღიან კარიბჭეს დამსგავსებია, არადა, XX საუკუნის დასაწყისში, როცა აქ თაყაიშვილს უმოგზაურია, ეკლესიას არათუ პერანგის ქვები, არამედ კარის თავზე ამოკვეთილი მხედრული წარწერაც ჰქონია: **„ნებითა ღვთისაითა, ბრძანებითა მეფისა ვახტანგისათა და ხელისა პყრობითა თანამეცხედრისა მისისა, დედუფლის ელენესითა, მე მისმა გამზრდელმა ზილიხან აღვაშენე საყდარი ესე წმიდისა გიორგისა სახსრად სულისა ჩემისა. ვინც წაიკითხოთ, ლოცვა ყავთ ჩემ ცოდვილისათვის ქორონიკონსა ტნი“** — ე.ი. 1672 წ.


„წმიდა გიორგი“

წარწერაში ნახსენები ვახტანგ მეფე ვახტანგ V-შაჰნავაზია, ხოლო მისი მეუღლე ელენე საისტორიო წყაროებისათვის უცნობია. შაჰნავაზის პირველი ცოლი ყაფლანიშვილების ოჯახის წარმომადგენელი იყო, უკანასკნელი ცოლი მარიამი კი — როსტომ მეფის ქვრივი. როგორც ჩანს, წარწერაში ნახსენები ელენე შაჰნავაზის მეორე ცოლი გახლდათ. ეს წარწერა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ შაჰ-აბასის მიერ განადგურებული ქვემო ქართლის აღდგენა სწორედ შაჰნავაზს დაუწყია.

ამ ეკლესიიდან აღმოსავლეთით ერთგან გზა გაფართოებულია და ნაპირში ქვის სვეტი დგას. ეს ალაგი ქალაქის ერთ-ერთ შესასვლელსა და კარიბჭისწინა მოედანს წააგავს. ოდნავ მოშორებით, ხელმარჯვნივ, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმართულია დარბაზული საყდარი, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. უხეშად გათლილი ქვით ნაგებ ამ ტაძარს დღესაც აქტიურად იყენებს სოფელ სამშვილდის სომხობა — იქვე მდგარ ე. წ. „ნატვრის ხეზე“ ახალთახალი, ჭრელაჭრულა საკადრისებია შებნეული. ტაძარი მოსახლეობის მიერ პრიმიტულად არის აღდგენილი და გადახურული. მაგრამ აქ მთავარია ტაძრის აგების საბაბი და შორს გამიზნული ჩანაფიქრი. როგორც ითქვა, სამშვილდე ქართლოსიანთა ერთ-ერთი უძველესი ბუდეა, სადაც დღემდე შემორჩენილია ქრისტიანობამდელი ცხოვრების აშკარა ნაშთები.

ასე მაგალითად, ნაქალაქარის სამხრეთ მიჯნაზე, ზედ ხრამის პირზე არის ტეტრალიტი — სამი, ერთმანეთზე შემოდგმული, უშველებელი და უფორმო სამისნო ლოდი, რომელსაც ლევან მედიქსეთბეგი ზოდიაქოს ერთ-ერთ ნიშანთან — „მშვილდოსანთან“ აკავშირებს. იგი ამბობს, რომ ქალაქსაც ამიტომ ეწოდა სამშვილდეო (?..). მეორე, ასეთივე თვალსაჩინო წარმართული ძეგლი, დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლის მონოლითური მენჰირი (ქვა-საზოვარი) აღმართულია სწორედ ღვთისმშობლის ეკლესიის შიგნით. მართებულად თუ ვიტყვით, ეკლესიაა აგებული ამ მენჰირის გარშემო. ეს კიდევ არაფერი — მენჰირზე უზარმაზარი ასოებით ამოკვეთილია სომხური წარწერა. ხედავთ, რა ჩაუფიქრებიათ? — რაკი ქვაზე სომხური წარწერაა, მაშასადამე ქვაც სომხურია, ხოლო რაკი ქვა წარმართულია, მაშასადამე ამ ადგილებში, მთლად უძველეს ხანაში, სომხებს უცხოვრიათ... გაუთვითცნობიერებელი მნახველი, რა თქმა უნდა, იმას არ იკითხავს, წარწერა როდინდელია. მარი ბროსემ, რომელმაც ეს წარწერა წაიკითხა, იგი 1221 წლით დაათარიღა. მასში მოხსენიებულნი არიან თავადთა თავადები, ანუ ერისთავთ-ერისთავები ვარდო და ზაქარიაო. ისინი მხარგრძელთა იმ გვარეულებისა და სახლის ჩამომავალნი უნდა იყვნენ, რომელთაც თამარის ეპოქაში ლორე-ტაშირი გადაეცათ სამართავად. როგორც ჩანს, ამ მონოფიზიტ ანუ გასომხებულ ქურთებს მდგომარეობით უსარგებლიათ და საქმე სომხურად გაუჩარხავთ.

ეკლესიიდან 250-300 მეტრში გალავნის ფრაგმენტებია, მერე კი შიდაციხის კარიბჭეც გამოჩნდება. ეს დედაციხის ყველაზე უკეთ შემორჩენილი კედელია და, თუ წარმოვიდგენთ, რომ მთელი დასახლება ამ სიმაღლე გალავნითა და მასში ჩადგმული კოშკებით იქნებოდა გამაგრებული, მაშინ თვალწინ ძალიან სერიოზული ქალაქი დაგვეხატება, ისეთი როგორებიც იყო არმაზ-ბაგინეთი, წუნდა, ოძრხე, არტანუჯი, ციხე-გოჯი და სხვ.

მთავარი კარიბჭიდან აღმოსავლეთით რომ პირველი ეკლესია დგას, IX საუკუნის პირველი ნახევრის ნაგებობა უნდა იყოს. სამწუხაროა, რომ ამ სამნავიან ბაზილიკას წარწერა შემორჩენილი არ აქვს. საყდარი ახალი აღდგენილია.

სამშვილდის მთავარი ტაძრის „სიონის“ ნანგრევები აქედან აღმოსავლეთით ასიოდ მეტრში დგას. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადს მთელ გაყოლებაზე, დაახლოებით 28 მეტრზე, დედამიწიდან 1,5 მეტრის სიმაღლეზე მიუყვება ქართული ასომთავრული წარწერა, რომლის ერთი მესამედი, სამწუხაროდ, აღარ იკითხება.

შემორჩენილი წარწერიდან კი ფრაგმენტულად ასე მოგვესმის წინაპრის ხმა: **„აღეშენა შეწევნითა ქრისტესითა კაცთმოყვარებითა საყოფელი ესე წმიდისა ღმრთისმშობელისაი სალოცველად... ქრისტე შეიწყალენ ნათესავით პიტიახშნი... წელსა მეოცესა მეფობისა კონსტანტინეისა დაიდვა საძირკველი ხელითა მათითა... იწყო ამის სტოვის შენებაი ვარაზ-ბაკურ, შეისუენა და მისა უკან იოვანე იწრაფდის. აესრულა იგიცა... იქმნა სრულად აღშენებაი წმიდისა ამა ეკლესიისაი და სტოვათა წელსა მესამესა ლეონ მეფისა დღესა ენკენიასა. იყო სატფურებაი 3 დღე დიდითა კრებითა განშუენებად...“**

გიორგი ჩუბინაშვილის, სარგის კაკაბაძის, ლევან მუსხელიშვილისა და ნიკო ჩუბინაშვილის ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაზუსტდა, რომ წარწერაში დასახელებული ორი მეფე VIII საუკუნის ბიზანტიის მმართველები კონსტანტინე V კოპრონიმე და ლეონ IV ხაზარი არიან. **ამრიგად, სამშვილდის „სიონის“ მშენებლობა დაწყებულა 759 წელს და დასრულებულა 777 წელს. ეს ის პერიოდია, როცა პიტიახშთა ხსოვნა კიდევ არსებობდა.**

სამშვილდის „სიონი“ ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ეპოქის ბოლო წლების სანიმუშო ძეგლია. მისი სივრცობრივ-ფუნქციური და კონსტრუქციული გადაწყვეტა, ქვის პერანგის სისუფთავე და უბრალოება, კალატოზის დინჯი ხელი და ოსტატობა სწორედ ამ ეპოქაზე მიგვანიშნებს. სამწუხაროდ, აღმოსავლეთ სარკმლის თავსართების გარდა სხვა რელიეფები შემორჩენილი აღარ არის. ირკვევა, რომ ტაძარი გუმბათიანი ყოფილა და, წრომის მსგავსად, ოთხ დამოუკიდებელ სვეტს ეყრდნობოდა. ყურადღებას იქცევს სადიაკვნოსა და სამკვეთლოს ოთახების გადახურვა, მათი კამარების ვარსკვლავისებრი შეკიდული ფორმა.

საყდარს დასავლეთ მონაკვეთში პატრონიკე ექნებოდა, ალბათ. აპრილის მზიანი დღეა. დიდი ტაძრის კედელთან ამოსულ ტყემალს ხასხასა ქოჩორში ობლად ჩაწნული თეთრი ყვავილი უბრწყინავს.

ნუთუ ეს არის სამშვილდის ერთადერთი იმედი?..

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

**გენერალ ტოტლებენის სახელი დღემდე აღძრავს ქართველ ისტორიკოსთა სამართლიან გულისწყრომას. ჩვენში ის ღალატისა და ორპირობის სინონიმად არის აღიარებული. მკითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ ხსენებული მწერალი თავის დროზე თვით რუსეთის ხელისუფლების მიერვე ყოფილა შერისხული. მის შესახებ არსებული ცნობებიდან ირკვევა, რომ გრაფი გოტლიბ-ჰენრიხ ტოტლებენი (1710-1773 წწ.) საქსონური წარმომავლობისა ყოფილა. იმპერატრიცა ელისაბედის დროს ის რუსეთის სამსახურში შევიდა, მონაწილეობდა შვიდწლიან ომში და სახელი გაითქვა ბერლინის ასაღებად გამართულ ბრძოლაში. ეკატერინე მეორეს მმართველობისას ტოტლებენი პოლიტიკური მოტივით სამართალში იქნა მიცემული. მას ჩამოართვეს ყველა ჩინი და წოდება და გადაასახლეს ციმბირში. მოგვიანებით, კავკასიაში განლაგებული რუსული არმიის სამსახურში ყოფნისას, ხელისუფლებამ ის შეიწყალა, მაგრამ კვლავ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში ტოტლებეში ყოველმხრივ ცდილობდა, სხვისთვის გადაებრალებინა თავისი წარუმატებლობანი. მაგალითად, ახალციხის ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო ის ერეკლე მეორეს ადანაშაულებდა; ასევე იქცეოდა იმერეთის მეფის — სოლომონ პირველის მიმართაც. ამის თაობაზე ეკატერინე მეორე თავის ერთ ქვეშევრდომს (პანინს) წერდა: „ვფიქრობ, რომ მან (ტოტლებენმა) შეიძლება საქართველოში ჩვენი საქმეები გააფუჭოსო“. საგულისხმოა, რომ იმპერატორის კარზე ტოტლებენს აშკარა ღალატშიც დაედო ბრალი, რის გამოც იგი საბოლოოდ გაიწვიეს საქართველოდან.**



იმერეთის სამეფო ტახტზე ასულ სოლომონ პირველს ენერგიული ბრძოლა მოუხდა ოსმალო დამპყრობლებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მეფემ სცადა რუსეთის მთავრობისაგან დახმარების მიღება. 1764 წელს მან თხოვნით მიმართა ალექსანდრე ბაქარის ძეს, რათა მას რუსეთის იმპერატორთან ეშუამდგომლა. 1766 წელს კი, როცა თურქები იმერეთში შემოიჭრნენ და სოლომონ მეფემ თავი მოდინახეს ციხეს შეაფარა, მან ყიზლარის კომენდანტს აცნობა, რომ სრული დამარცხების შემთხვევაში რუსეთს გაემგზავრებოდა. მეფე მას სთხოვდა, რომ ეკატერინე მეორეს პასუხი ეცნობებინა ქართველი არქიმანდრიტის გრიგოლის მეშვეობით, რომელიც მაშინ ოსეთში მისიონერად იყო. გარკვეული დროის შემდეგ თვით არქიმანდრიტი გრიგოლიც გაემგზავრა ყიზლარში სოლომონის თხოვნით, რომ რუსეთის მთავრობას მისთვის თურქეთის ხელისუფალთა წინაშე ეშუამდგომლა.

ეკატერინე მეორეს მთავრობამ კონსტანტინეპოლელ რეზიდენტ ა. ობრესკოვისგან სათანადო ინფორმაცია მიიღო თურქ ხელისუფალთა დამოკიდებულებაზე იმერეთის სამეფოსადმი. ობრესკოვმა შეატყობინა, რომ თურქეთის მთავრობა შეშფოთებული იყო იმერეთთან ბრძოლის წარუმატებლობით: საკუთარ ძალთა რიცხობრივი სიჭარბის მიუხედავად, თურქეთმა სიამოვნებით მიიღო ერეკლე მეორეს შუამავლობა სოლომონ პირველთან. თურქები დათანხმდნენ სოლომონ წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე, მხოლოდ ერთი პირობით, რომ იმერეთის მეფეს ძველებურად ეხადა ხარკი, ე.ი. ყოველწლიურად 60 ასული გაეგზავნა. თავის მხრივ, თურქეთი იმერეთს ქვეშევრდომად კი არა, სულთნის პროტექტორატის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ გამოაცხადებდა. რუსეთის რეზიდენტი ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ თურქებს განსაკუთრებით ეშინოდათ საქართველოს საქმეებში რუსეთის ჩარევისა და თანხმობა განაცხადეს ერეკლე მეორესა და იმერეთის მეფის კავშირზე.

მიუხედავად თურქეთთან დაზავებისა, სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ იმერეთისათვის აუცილებელი იყო თურქი დამპყრობლებისაგან საბოლოოდ თავის დახსნა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ამიტომ იყო, რომ 1768 წლის ივნისში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებისას რუსეთში განსაკუთრებული რწმუნებით გაიგზავნა ქუთაისელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე. როცა ეკატერინე მეორეს კარზე იმერეთის ელჩის ჩამოსვლა გაიგეს, სათანადო განკარგულება გასცეს, რომ ელჩი სასწრაფოდ პეტერბურგს გაეგზავნათ. მიტროპოლიტ მაქსიმეს ელჩობის წევრი არქიმანდრიტი ყიზლარიდან უკან გააბრუნეს და თან გააყოლეს პორუჩიკი ქობულაშვილი (ხვაბულოვი).

ხვაბულოვს ევალებოდა იმერეთში არსებული ვითარების გარკვევა და სოლომონთან მოლაპარაკება. საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ ყიზლარის კომენდანტისადმი გაცემულ განკარგულებაში ეწერა, რომ ახლა თურქეთთან დაწყებული ომის პირობებში ქუთაისის მიტროპოლიტის ჩამოსვლა დროული იყო.

სოლომონ პირველი ეკატერინე მეორეს სახელზე გაგზავნილ სიგელში რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებასა და სამხედრო თუ სხვა მატერიალურ დახმარებას მოითხოვდა. მეფე აღნიშნავდა, რომ თორმეტი წელია, რაც თურქებს ებრძვის. ამ ხნის განმავლობაში თურქები შვიდჯერ შემოიჭრნენ მის ქვეყანაში და მუდამ დამარცხებული გარბოდნენ.

ეკატერინე მეორეს მთავრობა რუსეთ-თურქეთის ომში მიზნად ისახავდა შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობასა და იქ თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას. რუსეთს თურქეთთან ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას თურქეთის ბატონობის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ბალკანელ და კავკასიელ ქრისტიანებს, რომ იგი „იძულებულია“, ებრძოლოს თურქეთს „ქრისტეს სარწმუნოებისათვის“. უფრო მოგვიანებით, ეკატერინე II დიდი კმაყოფილების გრძნობით სწერდა ვოლტერს, რომ მან თურქეთს ოთხივე მხრიდან შეუტია: დუნაიდან, ყირიმიდან, მორეიდან და საქართველოდან. ამგვარად, რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის ძალები კავკასიაში შეებოჭა. როცა ეკატერინე მეორეს კარზე თურქეთის წინააღმდეგ საქართველოს მონაწილეობის საკითხს იხილავდნენ, რწმენა გამოთქვეს, რომ იმერეთის მეფე ამ ბრძოლაში ჩაებმებოდა, მაგრამ ერეკლე მეორეს მონაწილეობას საეჭვოდ თვლიდნენ: ქართლ-კახეთის სამეფო თურქეთზე დამოკიდებული არ იყო და, რუსი პოლიტიკოსების აზრით, ერეკლენ არ მოისურვებდა თურქეთთან განხეთქილებას.

1769 წლის მარტში ყიზლარიდან სოლომონ პირველთან დაბრუნდა არქიმანდრიტი, რომელსაც პორუჩიკი ქობულაშვილიც ახლდა. სოლომონმა განუცხადა მას, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დამხმარე ჯარს მიიღებდა. თავისი მხრიდან ის ოცი ათასი კაცის გამოყვანას კისრულობდა. სოლომონ პირველმა კანცლერ ნ. პანინისაგან მიღებული წერილი ერეკლე მეორეს გაუგზავნა, ხოლო 26 მარტს თვითონ ქობულაშვილი გაემგზავრა თბილისს.

ერეკლემ სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება: მან გაითვალისწინა ის, რომ რუსეთი თურქეთს უკვე ეომებოდა, ხოლო ირანი, მისი აზრით, ოსმალეთის დასუსტებისა და მის ხარჯზე ქართლ-კახეთის გაძლიერების წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო. ფორმალური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ირანი, მართალია, ერეკლეს თავის ვასალად თვლიდა, მაგრამ ოსმალეთის წინაშე ყოველთვის როდი აგებდა პასუხს „გურჯისტანის ვალის“ მოქმედებაზე. სუსტი ირანისათვის ამ დროს წაყრუების პოზიცია უფრო მომგებიანი იყო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთის წინააღმდეგ ყველა ქართული სამეფოს გაერთიანებული გამოსვლისათვის პირობების მომზადებას.

ქართლ-კახეთის მეფემაც ომში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. სოლომონ პირველი ომში ჩაება. ის ფიქრობდა, რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები, დაებრუნებინა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა საქართველოდან ოსმალო დამპყრობლები.

ერეკლე მეორე იმედოვნებდა, რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარ-ბელაქანი და აღეკვეთა ლეკთა თარეში.

1769 წლის 21 მაისს თბილისში სოლომონ პირველი ჩამოვიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ ხვაბულოვს კონკრეტული წინადადებები წაუყენეს და პეტერბურგში ელჩების გაგზავნა გადაწყვიტეს.

ერეკლე ა. ანდრონიკაშვილს აგზავნიდა, სოლომონი კი — დ. კვინიხიძეს. უკვე გაჩაღებული რუსეთ-თურქეთის ომის ფონზე პეტერბურგში თავისი დიპლომატიური საქმიანობა გაშალა მიტროპოლიტმა მაქსიმემ. ის ეკატერინე მეორეს მთავრობას სათანადო ინფორმაციას აწვდიდა და იმერეთში რუსეთის ჯარის გაგზავნას ითხოვდა.

ამის შემდეგ ეკატერინე მეორეს მთავრობამ გადაწყვიტა იმერეთში ოთხასკაციანი სამხედრო რაზმისა და ზარბაზნების გამოგზავნა, ამასთან ერთად, საგარეო საქმეთა კოლეგიამ გადაწყვიტა, საქართველოში გამოეგზავნა თავისი ოფიციალური წარმომადგენელი თავადი ანტონ მოურავოვი, რომელიც ვახტანგ მეექვსის დროს რუსეთში გადასახლებული თარხანმოურავების შთამომავალი იყო.

1769 წლის აგვისტოში ყიზლარიდან და მოზდოკიდან საქართველოსაკენ გამოემართნენ სპეციალურად შერჩეული სამხედრო ნაწილები 480 კაცის შემადგენლობით. აგვისტოს დამლევს ასკაციანი ავანგარდი ტოტლებენის მეთაურობით დარიალის გზით აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდა. გენერალმა დაუყოვნებლივ აცნობა ერეკლე მეორეს თავისი ჩამოსვლა, რუსეთის ჯარის გავლის ნებართვა ითხოვა და პირადი შეხვედრა შესთავაზა.




# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორია ბრიტანული ჯოჯოხეთი?

**ბრიტანელების უმეტესობას ჯოჯოხეთი უამრავი ბავშვის წივილ-კივილით გაყრუებული თვითმფრინავით დაუსრულებელ ფრენად წარმოუდგენია.**



გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ ადამიანს ჯოჯოხეთში ერთადერთი რამის გაკეთება — სატელევიზიო რეალითიშოუების ყურება შეუძლია. იქაური უცვლელი საკვები კი ლაბა-სხმული გველთევზაა. ამ თვითმფრინავში უკანა რიგში აუცილებლად უნდა ეძინოს მთავრობის მეთაურს — გორდონ ბრაუნს, ხოლო წინა რიგში — უცნობი მამაკაცი უნდა ხვრინავდეს.

ბრიტანელების უმეტესობამ თავიანთი წარმოსახვის ჯოჯოხეთურ თვითმფრინავში სავარძლებზე განათავსა სხვა ცნობილი ადამიანებიც, მათ შორის მომღერლები, მსახიობები, ტელეწამყვანები, დევიდ ბეკჰემის მეუღლე ვიქტორია და აშშ-ის ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც კი.

# ვინ ასწავლის პანდას ჩინურს?

**ჩინური პროვინცია სიჩუანის პანდების შესწავლისა და გამრავლების ცენტრმა გამოაცხადა, რომ ეძებს მოხალისეს, რომელიც დიდ პანდა მეი ლინს ჩინურ ენას შეასწავლის.**



პანდა დაბადებიდანვე აშშ-ში ცხოვრობდა და ამიტომ ჩინურად უმარტივეს ბრძანებებსაც კი ვერ გაიგებს. მასწავლებლის ამოცანა ასეთია: პირველ რიგში მეი ლინს სიჩუანურ დიალექტზე გაცემული ბრძანებების მიხედვით უნდა ასწავლოს ვოლიერიდან გამოსვლა და შესვლა. მოხალისეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, უნდა იცოდეს ჩინური და ინგლისური ენები, ავადმყოფობის ისტორიაში არ უნდა ეწეროს არც ერთი ინფექციური დაავადება. ჩინური კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყნიდან დიდი პანდის სამუდამოდ გაყვანა აკრძალულია. შესწავლის ან შეჯვარების მიზნით გაყვანილი ყველა პანდა, თავის შთამომავლობასთან ერთად, ჩინეთში უნდა დაბრუნდეს. 2006 წელს აშშ-ში დაბადებული მეი ლინიც სწორედ ამ კანონის შესაბამისად გადასახლდება ჩინეთში. მისთვის მეწყვილეს კი მთელი ჩინეთი არჩევს ინტერნეტით ხმის მიცემის მეთოდით.

# როგორ ვიძიოთ შური ცოლზე?



**შვედეთის მოქალაქემ ყოფილ მეუღლეს უსასტიკესი მეთოდით გადაუხადა სამაგიერო — მის ბინაში რამდენიმე ათეული თაგვი გაუშვა. ქალს საშიშლად ეშინოდა მღრღნელებისა და ექსქმარმაც ამით ისარგებლა.**

იგი დილაადრიან მივიდა ყოფილი მეუღლის სახლთან და კარის ღრიჭოდან თაგვები სახლში შეუშვა. დილით გაღვიძებისთანავე მან მთელს სახლში მიმოფანტულ თავისი შიშის ობიექტებს მოჰკრა თვალი. ქალმა პოლიციაში დარეკვა კი მოახერხა, მაგრამ იმდენად ძლიერი სტრესი განიცადა, რომ ჰოსპიტალიზება დასჭირდა.

მის სახლში 19 თაგვი დაიჭირეს და ვეტერინარულ სამსახურს გადასცეს. მეოცე დაკავებული ქალის ქმარყოფილი გახლდათ, მაგრამ მას ბრალდება ცოლის კი არა, თაგვების მიმართ სასტიკი მოპყრობის მუხლით წაუყენეს.

# ამერიკელები ყარაბაღისთვის ომს იწყებენ

**კავკასიაში რუსული დიპლომატიის მიღწევები ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ვაშინგტონმა რეგიონიდან რუსეთის განდევნისთვის რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.**



ჯერ კიდევ 2010 წლის 25 იანვარს ცხადი გახდა, რომ რუსეთმა მთიანი ყარაბაღის საკითხის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში პირველ წარმატებებს მიაღწია. ამ დღეს სოჭში რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერების შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი სურვილი — მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ სადაო საკითხი და მდგომარეობის სამართლებრივი დარეგულირების რეჟიმზე გადავიდნენ.

**რუსეთის უმთავრესი მიღწევა იმ სიტუაციის ლიკვიდირება იყო, რომლის ფარგლებშიც ქვეყნები განუწყვეტლივ ემუქრებოდნენ ერთმანეთს ყარაბაღის ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციით.**

მაგრამ ამერიკას სომხეთის ნატოს წევრ თურქეთთან დაახლოებასა და ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციასთან დაკავშირებით საკუთარი, აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვს. ამიტომაც უმალ ამოქმედდა სტრატეგიული ამერიკული ქსელი.

**სოჭის შეხვედრის შემდეგ ცსს-ს მიერ ანგაჟირებულმა ანალიტიკურ-სადაზვერვო ორგანიზაცია „Stratfor"-ის ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ „მთიან ყარაბაღში მდგომარეობა შესაძლოა ზესახელმწიფოების კონტროლს აღარ დაემორჩილოს".** გასაგებია, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელსაც შეუძლია განაცხადოს, რომ მთელ მსოფლიოზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს და ამით ყველაფერი ფარსად აქციოს. ამდენად, ზემოხსენებული ამერიკული ცენტრიც „ზესახელმწიფოდ" აშშ-ს მოიაზრებდა და ისიც ცხადია, რომ ყარაბაღზე ამერიკული კონტროლის დაკარგვა რუსეთის მიერ სომხეთისა და აზერბაიჯანის დაახლოებაში გამოიხატა.

**უფრო მეტიც, ამერიკელი სპეციალისტები დაუფარავ წაქეზებაზეც გადავიდნენ და განაცხადეს, რომ დღეს, 5-10 წლისწინანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, სომხეთიც არ გამორიცხავს საომარი მოქმედებების დაწყებას.** ამრიგად, ამერიკელები სომხებისა და სომხური პოლიტიკური ელიტის გარეშე საერთაშორისო დონის განცხადებებს აკეთებენ, არადა, როგორც ცნობილია, სწორედ მესამე მხარის ამგვარი „ჩანართები" იწვევენ ხოლმე მდგომარეობის ესკალაციას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება ცხელ წერტილებად იქცეს.

**3 თებერვალს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა დენის ბლერმა დაადასტურა, რომ კავკასიაში მდგომარეობა იძაბება და მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომია მოსალოდნელი.** გარდა ამისა, გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს „გაესაუბრება". თითქოს ალიევი და სარქსიანი ვაშინგტონში კონსულტაციისათვის გამოძახებული იუშენკო და სააკაშვილი იყვნენ. ასეა თუ ისე, ჯეიმს სტეინბერგს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, კავკასიაში ვიზიტი სასწრაფოდ გამოუწერეს — რუსეთის, როგორც რეგიონალური ზესახელმწიფოს სტატუსი სასწრაფოდ უნდა ჩანაცვლდეს რეგიონზე ამერიკული გავლენით. ზემოხსენებულმა ბლერმა კი გახსნილად განაცხადა, რომ კავკასიაში პრობლემა მედვედევის (ალბათ, ხელისუფლებას გულისხმობდა) მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნების „რუსეთის პრივილეგირებული ინტერესის ზონად" გამოცხადებამ წარმოშვა. მისივე თქმით, ეს რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობებს შეარყევს. ასე იმსხვრევა „გადატვირთვისა" და „ურთიერთობის დათბობის" ილუზიები.

**ამერიკულ შეძახილებს რეგიონში დაპირისპირების ესკალაცია მართლაც მოჰყვა.** მედია ისეა აჭრელებული ორივე მხარის ოფიციალური პირების უზომოდ გაბერილი საბრალდებო განცხადებებით, რომ უკვე ძნელი გასარკვევია, ვინ ისროლა პირველმა ან საერთოდ ისროლა თუ არა ვინმემ. მთავარია, რომ სკანდალისთვის მიზეზი უკვე არის, სროლებზე ინფორმაციები მხოლოდ პრესაში არ ჟღერს და **ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, ვისთვისაა ამგვარი მდგომარეობა რეალურად მომგებიანი.**

# ობამამ უსამა კარადიდან გამოიღო

**აშშ-ში, სადაც ეკონომიკური მდგომარეობა ვერა და ვერ დასტაბილურდა, პრეზიდენტის ავტორიტეტი კი განუწყვეტლივ ეცემა, მოსახლეობის ნეგატიური ემოციების სხვა თემაზე გადატანისა და სენატისაგან საჭირო რაოდენობით ფულის გამოძალვისათვის ჯადოქრებზე ნადირობის მორიგ ეტაპს იწყებენ.**



გასაგებია, რომ მტრის ძირითად ხატად, რომლის ამუშავებაც წარმატებულად შეიძლება, კვლავაც „ალ-ქაიდა" რჩება. ჰოდა, ტრადიციულად გაისმა ინფორმაცია, რომ „ალ-ქაიდა" უახლოეს თვეებში აშშ-ის წინააღმდეგ ახალ ტერაქტს განახორციელებს. „ეს გარდაუვალია," — ირწმუნებიან ამერიკული სპეცსამსახურები. ამგვარი მოსაზრება გამოთქვეს აშშ-ის საკვანძო სპეცსამსახურების, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელებმა. თანაც გამოთქვეს აშშ-ის სენატის სპეციალური სადაზვერვო კომიტეტის ქვეყნის უშიშროებისათვის შექმნილ საფრთხეთა განხილვის ყოველწლიურ სხდომაზე.

**ექსპერტთა აზრით, ტერორისტები შეტევას განახორციელებენ აშშ-ის კონტინენტურ ნაწილზე, ეს შესაძლოა მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია იყოს და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ამერიკელი სპეციალისტების მტკიცებით, „ალ-ქაიდას" ბოევიკების მომზადებისა და გადაბირების შესაძლებლობები კვლავაც საკმარისზე მეტად აქვს. აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის — დენის ბლერის თქმით, სპეცსამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ „ალ-ქაიდამ" „აშშ-ში ოპერაციის ჩასატარებლად პაკისტანში წარმატებით მოამზადა ერთი ბოევიკი ნაჯიბულა ზაზი".**

ეს 24 წლის ავღანელი გასული წლის შემოდგომაზე, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მორიგ წლისთავზე, ნიუ იორკის ასაფეთქებლად მზადების ბრალდებით დააკავეს. დენის ბლერის თქმით, ახლა აშშ-ის კომპეტენტური ორგანოების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს „ალ-ქაიდას გეგმები და შესაძლებლობები არაბეთის ნახევარკუნძულზე".

სწორედ „ალ-ქაიდაა" პასუხისმგებელი 25 დეკემბერს ამერიკული სამგზავრო ლაინერის აფეთქების მცდელობაზე, თუმცა, როგორც ეროვნული დაზვერვის დირექტორი ირწმუნება, თვითმფრინავის უსაფრთხოების სისტემაში ყველა ჩავარდნა დადგენილი და ლიკვიდირებულია.

თავად ამ ინცინდენტის გმირი ნიგერიელი უმარ ფარუკ აბდულ მუტალაბი, ამერიკელი ჟურნალისტების ინფორმაციით, საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან. დაკითხვაზე დაკავებულმა აღიარა, რომ ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას" მითითებებით მოქმედებდა, ინსტრუქტაჟი კი იემენში გაიარა.

აბდულ მუტალაბი, რომელიც ამსტერდამიდან დეტროიტისაკენ მფრინავ „Ო-330"-ში ბომბის აფეთქებას ცდილობდა, „ხალისიანად საუბრობდა" გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებთან, რომლებმაც საავადმყოფოში მოინახულეს. გარდა ამისა, ნიგერიიდან აშშ-ში ჩაფრინდნენ „ვერშემდგარი ტერორისტის" ნათესავები, რომლებმაც, როგორც წყარო ირწმუნება, „შეძლეს მისი დარწმუნება, სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან კონტაქტზე დათანხმებულიყო".

**როგორც თეთრი სახლის პრესმდივანი რობერტ გიბსი აცხადებდა, უმარ ფარუკ აბდულ მუტალაბი ზუსტად ასრულებდა ნათესავების თხოვნას და სპეცსამსახურებს მნიშვნელოვან ინფორმაციებს აწვდიდა.** ამ ისტორიაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თვითმფრინავზე ტერაქტის მცდელობის გამო ამერიკის პრეზიდენტის მიერ სპეცსამსახურების მისამართით გამოთქმული კრიტიკა. ბარაკ ობამამ აღიარა, რომ შემთხვევამდე 4 კვირით ადრე უმარ ფარუკ აბდულ მუტალაბი ამერიკული დაზვერვის მოხსენებებში ფიგურირებდა, როგორც „ალ-ქაიდასა" და იემენთან დაკავშირებული პირი. მიუხედავად ამისა, 2008 წელს მის სახელზე გაცემული ამერიკის ტერიტორიაზე შესასვლელი ვიზა არავის გაუუქმებია.

ასეთ დაუდევრობას ვინ დაუშვებდა, თუ ყველაფერი სცენარის მიხედვით არ ხდებოდა? როგორც ცნობილია, მასებზე ზემოქმედება ფაქიზი საქმეა და განსაკუთრებულ გულმოდგინებას საჭიროებს.

**მართალია, ობამა თავის წინამორბედზე დახვეწილად მოქმედებს, მაგრამ მიზნები იგივე აქვს — ენერგორესურსებზე საკუთარი კონტროლის დაწესება. აშშ-ის ახლანდელ მეთაურს განსაკუთრებულ ძალისხმევად უჯდება ქვეყნის რეალური პოლიტიკის დემოკრატიული ღირებულებებით შენიღბვა და ყველაფერი ნეგატიურის ტერორისტებზე გადაბრალება.**

„ვერშემდგარი ტერაქტის" შემდეგ ბრიტანეთმა და აშშ-მ გადაწყვიტეს, ერთობლივად დააფინანსონ იემენის პოლიციის ახალი კონტრტერორისტული სამმართველო. იემენის საგარეო საქმეთა მინისტრი აბუ ბაკრ ალ-კირბი, რომელიც თავიდან აცხადებდა, რომ „ალ-ქაიდას" ობიექტების დაბომბვისათვის იემენს ამერიკის საჰაერო ძალების დახმარება არ სჭირდება, ახლა უკვე აღიარებს, რომ იემენის ჯარისთვის ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ტექნიკური მხარდაჭერა და ინფორმაციული დახმარება აუცილებელია.

# სააკაშვილი გეორგინების პრეზიდენტი ვერ იქნება

**ლიტვამ საქართველოს უარი უთხრა უპერსპექტივო თხოვნაზე, მიეღო ამ ქვეყნის ახალი სახელწოდება. ეკონომიურმა ლიტველებმა გადაიანგარიშეს, რომ, მიუხედავად ყოფილი მეგობრის — მიხეილ სააკაშვილის ფხუკიანობისა, გაცილებით იაფი და იოლი იქნება, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.**



შეგახსენებთ, ჯერ კიდევ 1 დეკემბერს გამართული შეხვედრისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თავის ლიტველ კოლეგას — ვიგაუდას უშაცკასს სთხოვა, საქართველოს რუსულად ნუღარ მოიხსენიებთო. საუბარი იყო „Грузия“-ს „Georgia“-თი ჩანაცვლებაზე, სიტყვიერ თხოვნას კი მალე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ოფიციალური მიმართვაც მოჰყვა. თხოვნა იმით იყო მოტივირებული, რომ „Georgia“-ს ისტორიული წარმომავლობა აქვს (თანაც აშშ-ის ერთ-ერთი შტატის სახელთან მსგავსება, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლებას გულს უჩუყებს), „Грузия“-ს კი — სლავური.

სხვათაშორის, **როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, „Georgia“ სულაც არაა საქართველოს ისტორიული სახელწოდება. ეს ქართული ან მართლმადიდებლური კი არა, ბერძნული სახელია. რაც შეეხება „Грузия“-ს, მისი რუსული ან სლავური წარმომავლობაც საეჭვოა. ოფიციალური ვერსიის მიხედვით, აღმოსავლეთში ამ ხალხს გურზებს ან გურჯებს უწოდებდნენ, ეტიმოლოგია ცნობილი არაა. სწორედ ამ სახელწოდებიდან წარმოიშვა რუსეთში სიტყვა გურზინი, რაც შემდეგ ბგერათა გადანაცვლებით გრუზინად იქცა.**

შედეგად, ნახევარი ევროპა ფუძედ „გრუზ“-ს იყენებს, მეორე ნახევარი კი — „გეორგ“-ს. ამასთანავე, ევროპასა და მთელ მსოფლიოშიც არ მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც საქართველოს „საქართველო“-დ — ქვეყნის ოფიციალური სახელით მოიხსენიებს.

ამის მიუხედავად, საქართველოს ზემოხსენებული თხოვნა ლიტველებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა: ქართველებმა ოფიციალური წერილის გაგზავნამდე არა ერთხელ გამოთქვეს ანალოგიური სურვილი.

ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიამ გადაწყვიტა, უარი ეთქვა საქართველოსთვის ამ ქვეყნის დასახელების „Georgia“-ად გადაკეთებაზე.

ლიტვის სახელმწიფო ენის კომისიას არც კი უმსჯელია აღნიშნულ საკითხზე. წევრებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ წინააღმდეგნი არიან. კომისიის თავმჯდომარემ, ფილოლოგმა ირენა სმეტონენემ განაცხადა, რომ „Грузия“-ც „Georgia“-ც და ის ვარიანტებიც, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანა იყენებს, ქვეყნის ტრადიციული სახელწოდებაა და ისეთ უცნაურ საქმეზე, როგორიც ტრადიციული სახელწოდების შეცვლაა, არავინ დათანხმდება“. მისივე თქმით, **შეუძლებელია შეიცვალოს ხალხში ისეთი მცნებები, როგორიცაა „грузинский язык“, „грузин“. „რომც შეგვეცვალა სახელწოდება, რას ვუწოდებდით ამ ქვეყნის ხალხს, მათ სახელს როგორღა გადავაკეთებდით?“ — იკითხა სმეტონენემ.**

**ლიტველებისაგან განსხვავებით, სახელის შეცვლის საკითხზე ჯერ კიდევ ფიქრობენ ფრთხილი იაპონელები.** ტოკიოს საქართველოს ხელისუფლებამ სახელის შეცვლის თხოვნით ჯერ კიდევ გასული წლის მარტში მიმართა. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საკითხი ჯერ არაა გადაწყვეტილი. „ჯერ მხოლოდ ვფიქრობთ იმაზე, რა რეაქცია უნდა გვქონდეს აღნიშნულ საკითხზე“, — განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა. **ძალიან გაუგრძელდა ფიქრი ისრაელს, რომელსაც ანალოგიური თხოვნით საქართველომ ჯერ კიდევ 2005 წელს მიმართა. თუ ვინმე ღვთისნიერმა არ იშვილა, „Грузия“-ს, როგორც ჩანს, კიდევ დიდი ხნით მოუწევს ამ სახელთან შეგუება.**

# ვის აუფეთქდა პირში სიგარეტი?

**ინდონეზიაში თამბაქოს კომპანია „Nojorono Tobacco Indonesia“-მ საკუთარ თავზე აიღო იმ მამაკაცის მკურნალობის ხარჯები, რომელსაც პირში სიგარეტი აუფეთქდა. 31 წლის ანდი სუსანტომ სიგარეტის აფეთქების შედეგად 6 კბილი დაკარგა.**



გარდა ამისა, მას სახეზე 50-ზე მეტი ნაკერი დასჭირდა. ანდი მოტოციკლეტით სამსახურში მიდიოდა, როცა ნახევრად მოწეული სიგარეტი პირში აუფეთქდა.

ინდონეზიელი ირწმუნება, რომ სიგარეტის ამ ღერს რაიმე განსაკუთრებული გემო, სუნი ან შეხედულება არ ჰქონია, აფეთქებისას კი პირში სხვა არაფერი ედო. პოლიციამ მისი სანთებელიდან მოტოციკლეტის ბენზინის ავზამდე ყველაფერი გადაქექა და საეჭვოს ვერაფერს მიაგნო.

მოკლედ, თამბაქოს კომპანიის წარმომადგენლებს მხოლოდ მკურნალობის ხარჯების კი არა, დაახლოებით 520 დოლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდაც მოუხდათ. ენდი სუსანტო ირწმუნება, რომ სიგარეტს ახლოს აღარ გაეკარება.

# როგორ გავუმკლავდეთ ზვიგენს?



**ახალი ზელანდიის მკვიდრ 14 წლის გოგონას ზვიგენები დაესხნენ თავს. როგორც ლიდიას დედა ამბობს, გოგონა სერფინგის მსგავსი სპორტის საწყლოსნო სახეობით ბოდიბორდინგით იყო დაკავებული, როდესაც მოულოდნელად თეძოზე ზვიგენი ჩააფრინდა.**



მაგრამ გოგონა არ დაიბნა, ბოდიბორდინგის დაფა მოიმარჯვა და იმდენ ხანს ურტყა მტაცებელს თავში, სანამ ამ უკანასკნელმა თავს არ უშვela და გოგონას არ გაეცალა. მსხვერპლი სერიოზულ დაზიანებებს თავისი ჰიდროკოსტიუმის წყალობით გადაურჩა, სიკვდილს კი — მხოლოდ საკუთარი მოხერხებულობის წყალობით. როგორც ლიდიას ახლომახლო მყოფი ძმა ირწმუნება, მტაცებელი დაახლოებით მეტრ-ნახევრის სიგრძის იყო.

# საშინელი აღიარება: იეზუიტები სოდომიტებად იქცნენ

**გერმანიის კათოლიკური სკოლები პედოფილიასთან დაკავშირებულ მორიგ სკანდალში გაეხვივნენ. 1975-დან 1983 წლამდე პერიოდში ბერლინის ცნობილი გიმნაზია „Canisius-Kolleg“-ის ყოფილი მოსწავლეებიდან 20 ორი მასწავლებლის მსხვერპლი გახდა.**

აღნიშნული ფაქტი ახლა აღიარა გერმანიის იეზუიტთა ორდენის განყოფილების ხელმძღვანელმა შტეფან დარტმანმა, რომელსაც 70-80-იან წლებში აღნიშნული სასწავლო დაწესებულება ეკუთვნოდა. ასევე აღიარებულია ჰამბურგის ინტერნატში მომხდარი სამი და სანკტ-ბლაზიენის სკოლაში მომხდარი ორი შემთხვევაც. იმავე წყაროს ცნობით, არქივებში აღმოჩენილია მინიშნებები, რომ 1990 წლამდე მსგავსი მდგომარეობა იყო იეზუიტთა ორდენის გიოტინგენის, ჰილდესჰაიმის, ჩილესა და ესპანეთის სკოლებში.

დარტმანის აღიარებით, ორდენის ხელმძღვანელობა ცდილობდა, კონფიდენციალობის დაცვით გამკლავებოდა აღნიშნულ პრობლემას; ამით კი მან ფაქტიურად აღიარა, რომ ხელმძღვანელობა დანაშაულის ფაქტებს მალავდა.

**მოსწავლეებზე ძალადობაში ეჭვმიტანილთაგან ერთ-ერთი, „Canisius-Kolleg“-ის 69 წლის მასწავლებელი პეტერ რ. 1 თებერვალს უკვალოდ გაუჩინარდა; მეორემ, იმავე სკოლის მასწავლებელმა — 65 წლის მღვდელმა ვოლფგანგ შ.-მ. რომელიც უკვე, დიდი ხანია, გერმანიაში აღარ ცხოვრობს, ჩილედან გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში აღიარა, რომ ნამდვილად ძალადობდა მოსწავლეებზე მრავალი წლის მანძილზე. ეს უკანასკნელი „Canisius-Kolleg“-დან წასვლის შემდეგ მრავალ სკოლაში ასწავლიდა, შესაბამისად, ახლა ამ სკოლების ხელმძღვანელები თავიანთ ყოფილ მოსწავლეთა შორისაც ეძებენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ.**

დაახლოებით ერთი წლის წინათ ანალოგიური სკანდალი ირლანდიაშიც აგორდა. მაშინ ვატიკანმა სექსუალური ძალადობის შემთხვევათა შემსწავლელი კომისიის წევრებს (იმ მოტივით, რომ ოფიციალური მოთხოვნა „შესაბამისი დიპლომატიური არხებით არ იყო გაგზავნილი“) ინფორმაციის მიწოდებაზე უარი უთხრა. ბრალი ედება ირლანდიის პოლიციასაც, რომელიც ფლობდა ინფორმაციას ბავშვების გაუპატიურების თაობაზე, მაგრამ ძალადობის აღსაკვეთად არაფერი გაუკეთებია. მომხდართან დაკავშირებული ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, **1975-2004 წლებში, კათოლიკე მღვდელთა მიერ ბავშვებზე ძალადობის გამო ბოდიშს იხდიდნენ თავად ირლანდიის კათოლიკური ეკლესიის მეთაური შონ ბრეიდიცა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც.**

მსგავსი შემთხვევები საკმარისზე მეტია, კათოლიკური ეკლესიის შემწყნარებლობა მოძალადე პედერასტების მიმართ კი — განუზომელი. 2002 წელს აშშ-ში, დალასში მოძალადე მღვდელთათვის სასჯელის დასაწესებლად ამერიკელი კათოლიკე ეპისკოპოსების სამდღიანი კონფერენცია გაიმართა. 300-მდე დელეგატი უმკაცრესი ზომების გატარების მოთხოვნით მიმდინარე უწყვეტი აქციების ფონზე მსჯელობდა. აბსოლუტური შეუწყნარებლობის პოლიტიკა მაინც ვერ დააწესეს — ვატიკანი უმალ უარყოფსო. დადგინდა: ამჟამად ან წარსულში ბავშვებზე მოძალადე მღვდლებს მსხვერპლთან კონტაქტი აეკრძალებათ. მათ შეუძლიათ, პედოფილობის მიუხედავად, კვლავაც იმსახურონ კათოლიკურ ეკლესიაში, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებენ ღვთისმსახურებაში და არ ატარებენ მღვდლის სამოსს.

კათოლიკე მღვდლების მიერ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტებიდან უძველესი 1950 წლითაა დათარიღებული. 2002 წელს გაზეთმა „Boston Glob“-მა ამ საკითხს წერილების სერია მიუძღვნა. **ორგანიზაცია „ეპისკოპოსთა პასუხისგებისთვის“ მონაცემების მიხედვით, კათოლიკე მღვდელთა მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 14 ათასს აღწევს, პედოფილიაში ბრალდებულ მღვდელთა რაოდენობამ კი 5 ათასს გადააჭარბა. კათოლიკური ეკლესიის მიერ მსხვერპლთათვის სასამართლოს მიერ დაწესებული ან სასამართლოს გარეშე საქმის მოგვარებისთვის გადახდილი კომპენსაციის საერთო მოცულობამ 2,2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**

2008 წელს აშშ-ში ვიზიტით მყოფ რომის პაპს ბენედიქტ XVI-ს თავად მოუხდა ბოდიშების მოხდა მის დაქვემდებარებაში მყოფი პედერასტებისა და პედოფილების გამო. პაპი შეხვდა ბავშვობაში მოძალადე კათოლიკე მღვდელთა მსხვერპლთ. პაპმა შეხვედრაზე მისული ექვსივე დაზარალებულისთვის მოძებნა თანაგრძნობის სიტყვები. ამ ვიზიტისას მან საკმარისზე მეტი ისაუბრა აშშ-ში ბოლო ექვსი წლის მანძილზე მიმდინარე პედოფილურ სკანდალსა და კათოლიკე მღვდელთა მიერ ბავშვების გარყვნის თითქმის ყოველდღიურ ფაქტებზე. მაგრამ საქმეზე არავინ გადასულა. არც პაპი. კათოლიკური დაწესებულებებიდან სექსუალური ძალადობის დემონის განდევნა არავის უცდია. სკანდალი სკანდალად დარჩა, მდგომარეობა — უცვლელად.

# ვინ გადმოვარდა პონიდან?

**პოლოს საქველმოქმედო ტურნირის მსვლელობისას ბრიტანეთის პრინცი გარი პონიდან გადმოვარდა და ამის გამო ორგანიზატორებმა ლამის 48 ათასი დოლარის შემოწირულობა დაკარგეს.**





უცნობმა ბიზნესმენმა განაცხადა, რომ სწორედ ამ თანხას გაიღებდა შემოწირულობის სახით, თუ პრინცი თამაშისას არც ერთხელ არ გადმოვარდებოდა პონიდან. მაგრამ პრინცის პონის მინდორზე ფეხი გაუცურდა და პრინციც მიწაზე მოისროლა. უზომოდ განაწყენებული პრინცი ირწმუნებოდა, რომ ის კი არა, მისი ცხენი დაეცა და კეთილმა ბიზნესმენმაც, გაითვალისწინა რა გარემოებები, შემოწირულობა მაინც გაიღო. ბარბადოსის ტურნირზე ლესოტოს მოშიმშილე ბავშვების დასახმარებლად ნახევარ-მილიონამდე ფუნტი სტერლინგი შეგროვდა.

10 — 16 თებერვალი, 2010 წელი. №5 (48)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## საოცრებათა მინი-ენციკლოპედია

# ხვრელი, სადაც ეშმაკი ბინადრობს

**„ეშმაკის ხვრელი“ — ასე უწოდებენ ადგილობრივი მკვიდრნი უნიკალურ წარმონაქმნს, რომელიც აშშ-ში, ნევადის შტატში, უკაცრიელ ადგილას მდებარეობს.**



ეს ხვრელი მიწაშია, საიდანაც, ლეგენდის თანახმად, ჩვენს სამყაროში დროდადრო მიწისქვეშა სული შემოიჭრება და ბოროტ საოცრებებს სჩადის. ხვრელის ზომები ზედაპირზე არცთუ დიდია — 9/12 მ.; გრუნტის წყლებამდე მანძილი („ეშმაკის ხვრელის“ ფსკერზე ტბაა, სადაც იშვიათი ჯიშის თევზები ბინადრობენ) კი 120 მ-ს აღწევს. ხვრელის ნამდვილი სიღრმე ყველასთვის უცნობია. გამორიცხული არაა, რომ პლანეტის წიაღში ის კოლის სახელგანთქმულ ზეღრმა ჭაბურღილზე უფრო ღრმად აღწევდეს, რადგან გეოლოგების თქმით, ხვრელი ორ ტექტონურ ფილას შორის გაჩენილი ჭრილია. ხოლო ბინადრობს თუ არა იქ ეშმაკი, მეცნიერებს ნაკლებად ანაღვლებთ.

# უცნობი სიგნალები

**იდუმალი ეფექტი (რადიოექო) მკვლევარებმა: შტერმერმა და ვან დერ პოლმა 1928 წელს აღმოაჩინეს.**



ცაში გაშვებული რადიოსიგნალები უკან რადიოექოდ ბრუნდებოდა, თითქოს რაღაც სხეული მათ სხვადასხვა პერიოდულობით აირეკლავდა. უცხო ცივილიზაციათა სპეციალისტმა რ. ბრეისუელმა ივარაუდა, რომ ამ მოვლენის მიზეზი უცხოპლანეტური ზონდი იყო, რომელიც მალულად ერტყმოდა დედამიწას. შემდგომმა გამოკვლევებმა ვერც უარყო და ვერც დაადასტურა მისი თვალსაზრისი. რადიოექოს ბუნება მეცნიერებმა დღემდე ვერ გაშიფრეს.

# ფრანკენშტეინის მემკვიდრე და უკვდავების ელექსირი

## შეშლილი მეცნიერის შოუ

**ამ ადგილამდე დარმშტატიდან ავტომანქანით 5 კმ-ის სავალი გზაა, რომელიც გვერდს უვლის ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან აქ განთავსებულ ამერიკელთა სამხედრო ბაზასა და მასელის კარიერს, რომელიც ერთადერთი ადგილია ევროპაში, სადაც გათხრებისას დინოზავრთა ნეშტი აღმოაჩინეს. სულ მაღლა, საიდანაც ულრანი ტყეებისა და რეინის დაბლობის არაჩვეულებრივი ხედი იშლება, ფრანკენშტეინის იდუმალი და საზარელი ციხესიმაგრის ნანგრევები შემორჩენილა; მონსტრისა, რომელიც უკვდავების გასაღების ძიებაში საფლავებს თხრიდა და მეხის მეშვეობით გვამებს აცოცხლებდა.**







უძველესი ციხესიმაგრის ნანგრევებში, გადმოცემის თანახმად, დღემდე დაძრწის ამ უდიდესი ალქიმიკოსის აჩრდილი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ სავსემთვარეობისას, ციხე-კოშკის სახურავზე მოჩანს ან დერეფანში თავისი ლაბორატორიისკენ მიეშურება. ამბობენ, რომ ნანგრევებში, მის გარდა, 80 ვამპირი, ალქაჯი, ურჩხული, მაქცია და სხვა უწმინდურები ბინადრობენ.

**პირველად ეს ციხესიმაგრე ჟამთააღწერილობაში 1252 წელს მოიხსენიება. ის იმ ადგილების მფლობელმა კონრად რაიც ფონ ბროიბერგმა ააგო. XIV საუკუნეში კი ციხე-კოშკი ფრანკენშტეინების გვარის მფლობელობაში გადავიდა.**

მატიანე მოწმობს, რომ იმ შორეულ დროს ფრანკენშტეინები რაინდები იყვნენ. მემკვიდრეები სულ დაობდნენ იმაზე, თუ ვის დარჩებოდა ციხესიმაგრე. სიტყვა „ფრანკენშტეინი“ ქართულად „ფრანკების ქვას“ ნიშნავს. V საუკუნეში ფრანკებმა გალების მიწები დაიპყრეს, რომლებიც იმხანად რომის იმპერიის ქვეშევრდომები იყვნენ. თანამედროვე გერმანიის სამხრეთ-დასავლეთით, იმ ადგილის შორიახლო, სადაც ახლა დარმშტატი მდებარეობს, უძველესი რომაული ქვის სამტეხლო იყო. იმ დროს ფრანკენშტეინები სულაც არ ინტერესდებოდნენ მაგიითა და მეცნიერებით და სრულებით ჩვეულებრივი რაინდები იყვნენ, რომლებიც თავიანთ ციხესიმაგრეს არავის უთმობდნენ. 1670 წელს მათ ბარონის წოდება მიიღეს. XVIII საუკუნეში კი ამ ციხე-კოშკში ჰოსპიტალი და სამხედრო სატუსაღო გაიხსნა.

ამ კოშკის ისტორიას მჭიდროდ უკავშირდება XVI საუკუნის ერთი ძალზე ცნობილი ფიგურა — სახელგანთქმული მეცნიერი, თეოლოგი, ალქიმიკოსი და ექიმი იოჰან კონრად დიპელ ფონ... ფრანკენშტეინი! ის ამ ციხესიმაგრეში დაიბადა 1673 წელს და ცხოვრების ნაწილიც აქვე გაატარა. ახალგაზრდობაში იოჰან კონრადი დანიის სამეფო კარზე დიპლომატად მუშაობდა, თუმცა მოკლე ხანში სიკვდილი მიუსაჯეს, შემდეგ კი შეიწყალეს და მისსავე ციხე-კოშკში შინაპატიმრობა მიუსაჯეს. დიპელმაც სწორედ მაშინ მოკიდა ხელი სამეცნიერო ექსპერიმენტებს. გერმანული მეცნიერების ისტორიაში ის ბევრი მიღწევითა და აღმოჩენით შევიდა, თუმცა ახალგაზრდობისას ერთ-ერთი წარუმატებელი ალქიმიური ექსპერიმენტისას კინაღამ მიწასთან გაასწორა ციხესიმაგრე. დიპელი მაშინ ასაფეთქებელ ნივთიერებად ნიტროგლიცერინის გამოყენებას ლამობდა და დოზებსაც გულასმით არჩევდა, მაგრამ გამოცდილების უქონლობამ მარცხი განაცდევინა — აფეთქებისას ერთი კოშკურა დაინგრა, თავად დიპელი კი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა.

**დიპელს ქიმიის სფეროშიც ჰქონდა აღმოჩენები. მას ბერლინური ლაჟვარდის — წითლად დაწინწკლული, საზარელი ელფერის მქონე მუქი ლურჯი საღებავის მამად მიიჩნევენ. საღებავის დამზადების შეკვეთა დიპელმა საღებავების მანუფაქტურის მფლობელ დისბახისგან მიიღო. თითქმის 20 წლის განმავლობაში ეს რეცეპტი საიდუმლოდ ინახებოდა, შემდეგ კი გამოამზეურეს. დიპელი ხშირად ასრულებდა მეწარმეთა შეკვეთებს და თავსაც ამით ირჩენდა, თუმცა თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ ალქიმიკოსს მაინც ახალგაზრდობის ელექსირის შექმნა მიაჩნდა.** რა ხერხს აღარ მიმართა მეცნიერმა ამისათვის! ელექსირის დასამზადებლად მას ძვლები, თმა და სისხლი ესაჭიროებოდა, ამ ინგრედიენტების საშოვნელად კი მეცნიერი ადგილობრივ სასაფლაოზე საფლავებს თხრიდა და გვამების ექსჰუმაციას ახდენდა. ანატომიაში მის მრავალრიცხოვან შრომებში ადგილი ჰქონდა ისეთ ექსპერიმენტებსაც, როგორიცაა ადამიანის სხეულის ნაწილების ადუღება უზარმაზარ ვარცლში, ხელოვნური არსების შექმნის მიზნით, და ასევე, ერთი სხეულიდან მეორეში სულის გადანერგვა ძაბრის, შლანგისა და მის მიერვე შექმნილი საცხის მეშვეობით. ასეთი ექსპერიმენტები მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, სანამ ერთ დღესაც დიპელი უკვალოდ არ გაუჩინარდა. **დღეს ზოგიერთ გერმანულ ისტორიულ ქრონიკაშიც წააწყდებით მონათხრობს იმის შესახებ, რომ ვინმე კონრად დიპელ ფონ ფრანკენშტეინმა უკვდავების საიდუმლოს სანაცვლოდ სული ეშმაკს მიჰყიდა...**

მიიჩნევა, რომ დიპელი მერი შელის რომანის — „ფრანკენშტეინის“ მთავარი გმირის პროტოტიპია.

ასევე, მიიჩნევა, რომ ავად თუ კარგად, ჯერ კიდევ იმ შორეულ დროში ალქიმიკოსმა ადამიანთა კლონირებას დაუდო სათავე...

# ფილადელფიური ექსპერიმენტი

**ოფიციალურად მას პროექტი „ცისარტყელა“ ეწოდებოდა და ის უჩინარი ხომალდების შექმნის საიდუმლო მცდელობა იყო. დიახაც, უჩინარის! ვინაიდან ამერიკელებს თავიანთი ხომალდების შესანიღბი აღჭურვილობა ესაჭიროებოდათ.**

ექსპერიმენტი 1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ხომალდ „ელდრიჯზე“ ჩაატარეს. მეცნიერებს სურდათ, გემი რადარებისთვის უხილავად ექციათ, მაგრამ ის ვიზუალურად გაუჩინარდა! გაოგნებულმა მკვლევარებმა ექსპერიმენტი შეაჩერეს. შედეგად, დონეთაშორის გარდამავალი პროცესი არაკონტროლირებადი შეიქნა. ოთხი საათის განმავლობაში გემი უჩინარი იყო და, როცა გამოჩნდა, ეკიპაჟის ზოგიერთი წევრი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხომალდის ლითონის კორპუსზე შეზრდილი, ზოგიც — უკვალოდ გამქრალი აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენები ხან დემატერიალიზდებოდნენ, ხანაც — მატერიალიზდებოდნენ. ყველა გადარჩენილი სავსებით დეზორიენტირებული იყო. ექსპერიმენტის დასაწყისში გუნდის ორი წევრი წყალში გადახტა იმ იმედით, რომ ნაპირამდე მიცურავდა. გამოცურეს კიდეც, ოღონდ ფილადელფიაში კი არა, ლონგ-აილენდში ამოყვეს თავი და ისიც, 1983 წლის 12 აგვისტოს, როცა მონტოუნის პროექტი (ოფიციალური სახელწოდება „პროექტი „ფენიქსი“) ხორციელდებოდა. როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს განხორციელებულ ამ პროექტებს რაღაც აკავშირებდა... ესენი ძმები — დუნკან და ედვარდ კამერონები იყვნენ.

**1943 წელს ექსპერიმენტს ფენომენალური და იდუმალი მეცნიერი ნიკოლა ტესლა ხელმძღვანელობდა. მან ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გააკეთა რამდენიმე აღმოჩენა, რომლებიც ზედმიწევნით უსწრებდა წინ იმ დროის თეორეტიკულ ბაზას. უწინარესად, მან აღმოაჩინა მდგარი ტალღები და ზედაბალი სიხშირე, რომელსაც „ტესლას ეფექტი“ ეწოდა.** ამ ექსპერიმენტებმა საფუძველი დაუდო ELF-კავშირის სფეროში ყველა თანამედროვე გამოკვლევას. ELF ტალღების ტაქიონური ველის შექმნისას და ადამიანისკენ მისი მიმართვისას ტვინში ელექტრონული ფუნქციები ირღვევა, რაც სერიოზულ დაზიანებებს იწვევს ცნობიერებაში. ირღვევა ასევე, ნევროლოგიური და ფიზიოლოგიური ფუნქციებიც. შედეგად, ადამიანი ძალზე იოლად ექვემდებარება შთაგონებას. სსრკ-ში ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ამის საფუძველზე შეიქმნა იარაღი კრიპტონიმით KBLF, რომელიც 40 მეგაჰერცის სიხშირეს იყენებს 3000 კმ-ზე...





ნიკოლა ტესლა

**1931 წელს ტესლამ კოლორადო სპრანგსის პოლიგონზე თავისი „მყარი მდგომარეობის კონვერტერი“ გამოსცადა, რომელიც სივრცის ტაქიონური ველის ამოუწურავ ენერგიას ელექტროენერგიად გარდაქმნიდა.** ბურთისოდენა ხელსაწყო იმდენ ენერგიას გამოიმუშავებდა, რაც დღეს სავსებით საკმარისია თანამედროვე საცხოვრებელი მიკრორაიონის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად. მიუხედავად წარმატებული გამოცდებისა, უცნობი მიზეზით პროექტების დაფინანსება შეწყდა, კოლორადო სპრანგსის საცდელი პოლიგონი განადგურდა, ხოლო პროექტები მკაცრად გასაიდუმლოვდა. თუმცა ტესლას მემკვიდრეობა დღემდე მოსვენებას არ აძლევს თანამედროვეობას.

აღნიშნულ სფეროში ყველაზე ცნობილი ავტორიტეტები აშშ-ის არმიის პოლკოვნიკი, ფიზიკოსი თომას ე. ვერდენი და ამერიკელი ფიზიკოსები: სიდნეი გურვიტცი და გაი ობელენსკი იყვნენ. ეს უკანასკნელნი მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ ისრაელის თავდაცვაზე. 1969 წელს გურვიტცმა მოახდინა ტესლას იარაღის კონსტრუირება, რომელიც 300 მ-მდე რადიუსში მკვეთრად ზრდიდა ან ამცირებდა რკინის შემცველი ნაერთების გრავიტაციულ დაჩქარებას.

**დღეს ამგვარ იარაღთა შესაძლებლობანი მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, შესაძლებელია გარკვეულ მანძილზე ნაგებობების ნგრევის გამოწვევა, აუცილებელი ობიექტების თვითნებური აფეთქება, გარკვეულ ტერიტორიაზე ადამიანების დახოცვა ანდა მოწინააღმდეგის ჯარების იძულება, წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდნენ. სხვათაშორის, სწორედ ეს ბოლო ვარიანტი გამოიყენეს ამერიკელებმა სადამ ჰუსეინის ჯარებთან ბრძოლისას. თუმცა ყველა ეს აღმოჩენა ტესლას მიერ 1943 წელს ჩატარებულმა ფილადელფიურმა ექსპერიმენტმა თავისი მნიშვნელობით აშკარად დაჩრდილა.**

ექსპერიმენტატორებმა დონეთა შორისსივრცეში ხვრელი გაკეთეს და შექმნეს ენერგეტიკული ველები, რომლებიც გარკვეული სიჩქარით ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავდა. ჩვენს დონეზე ენერგიები სინათლის სიჩქარის ცხრა მეათედით ბრუნავენ. ბრუნვის სიჩქარისა და შემადგენელი გარმონიკების სიხშირის შეცვლით შესაძლებელია სივრცეთაშორის დონეებზე გადაადგილება. ამ ენერგეტიკულ კაფსულას მერკაბა ეწოდება. დონეთაშორის გადასვლისას სივრცე წითელ ბურუსად გადაიქცევა და მფრინავი თეფშის ფორმას იღებს. შემდეგ თეფშის ფერები იცვლება და ფერთა ყველა გამას გაივლის, ბოლოს კი თვალისმომჭრელი სითეთრით იფეთქებს და თანდათან ჩაქრება.

თუმცა იმდროინდელი და დღევანდელი მეცნიერებაც მზად არ არის ასეთი სერიოზული პროცესების სამართავად. ეს, ალბათ, ჩინებულად ესმოდათ მათაც, ვინც კაცობრიობას ხსენებული ტექნოლოგია აჩუქა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გადამწვარი ნანგრევები

**გასული საუკუნის 20-იან წლებში ინდოელ მეცნიერთა: რ. საჰნისა და რ. ბანარჯის ექსპედიცია ინდის დელტისკენ გაემართა იმ ტაძრის ნანგრევების აღმოსაჩენად, რომელიც უძველეს ღვთაება — „მოხუც შივას" ეკუთვნოდა.**



**ტაძარი ჰოს ხალხების ბევრ ლეგენდაში მოიხსენიებოდა, რომელთა სამფლობელოები უძველეს ხანაში ჩრდილოელი მაჰარაჯების ტერიტორიებს ემიჯნებოდა. მითებში მოთხრობილი იყო „ზეციურ ოქროს მთებზე, რომლებიც ტაძრის მიწისქვეშეთში ინახებოდა." ექსპედიცია ტაძარს ეძებდა და მის ნაცვლად 1922 წელს მდინარე ინდის ერთ-ერთ კუნძულზე მთელ ქალაქს — ჰარაპების ცივილიზაციის ცენტრს გადააწყდა. მას მოჰენჯო-დარო უწოდეს, რაც „მიცვალებულთა გორაკს" ნიშნავს.**

ქალაქი თვალს სჭრიდა თავისი დიდებულებით. აქ იყო მრავალსართულიან სახლთა მთელი კვარტლები, საიმპერატორო სასახლეები, უზარმაზარი ბრინჯაოსა და რკინის ქანდაკებები; იყო ხიდებიც, ბარებიც, პარკებიც, ეზოებიცა და ჭებიც, საპირფარეშოიანი ორ და ერთსართულიანი სახლებიც. მეფის სასახლეში წყალგაყვანილობასაც კი მიაგნეს, რომელიც ჰიდრავლიკის კანონის აღმოჩენამდე სამ-ნახევარი ათასი წლის წინ შეექმნათ. ქალაქს გარს ერტყა უზარმაზარი ქვის კედელი. **მეცნიერთა გაკვირვება გამოიწვია დიდი ბიბლიოთეკა-საცავების გათხრებმაც, სადაც დაცული იყო პიქტოგრამებიანი სტეარინის ფირფიტები, რომელთა გაშიფვრა დღემდე ვერ მოხერხდა. ამ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა, სავარაუდოდ, 80.000-ს შეადგენდა, რაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV საუკუნისთვის ძალიან ბევრია. მოჰენჯო-დარო 4.500 წლის წინათ დაარსებული და 1000 წლის შემდეგ განადგურებული უძველესი პროტოინდური ცივილიზაციის ცენტრი აღმოჩნდა.**

მყისვე დაიბადა კითხვა: როგორ დაინგრა ეს დიდი ქალაქი და სად გაქრნენ მისი მოსახლენი? ნანგრევებში ნაპოვნი ადამიანთა და ცხოველთა ჩონჩხები არცთუ მრავალრიცხოვანი იყო, იარაღის ნაშთები და ძარცვის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ნათელი იყო — კატასტროფა მოულოდნელად მოხდა და მცირე ხანს გაგრძელდა. ნაპოვნია ერთმანეთს შეწებებული უზარმაზარი თიხის ნაჭრები და მწვანე შუშის პლასტებად ქცეული ქვიშა. როგორც ჩანს, თიხა და ქვიშა მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით ჯერ გალღვა და შემდეგ გაქვავდა. ამ ნიმუშების ანალიზმა აჩვენა, რომ დნობა 1500-გრადუსიან ტემპერატურაზე მოხდა. სხვათა შორის, მწვანე შუშის ასეთივე პლასტები წარმოიშობოდა ნევადის უდაბნოში (აშშ) ყოველი ბირთვული აფეთქების შემდეგ... სავარაუდოდ, მდინარე ინდის დაბლობის დამპყრობლები ატომურ ენერგიას ფლობდნენ. ასეთი ვარაუდი კატეგორიულად ეწინააღმდეგება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების წარმოდგენებს ან იქნებ, „მაჰაბჰარატა" მართლაცდა, ასტრავიდიასთან დაკავშირებულ რეალურ ფაქტებს აღწერს?



**მოჰენჯო-დაროს გადამწვარი ნანგრევები ერთადერთი ადგილი როდია, რომელიც „ღვთიური ცეცხლის" მსხვერპლი შეიქნა.** რატომაა, რომ ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქის — ხატუსასას ნანგრევები იმაზე მეტადაა დაფერფლილი, ვიდრე ეს ჩვეულებრივი ხანძრის დროს ხდება? რატომაა, რომ ირლანდიის ციხესიმაგრეების: დუნდალკისა და ეკოსის გრანიტის კედლებს ასეთივე უცნაური დნობის კვალი ეტყობა? დაბოლოს, ბორსიპში, ბაბილონის მახლობლად მდებარე ტაძრის კოშკის ნანგრევები (მათი სიმაღლე 46 მეტრია) შიგნიდანაც და გარედანაც მდნარია.

„ღმერთების იარაღის" შესახებ, ჩვეულებრივ, ოთხი ვარაუდი გამოითქვა:

ლეგენდები ასტრავიდიის შესახებ პოეტური გამონაგონია;

ეს ლეგენდები დაფუძნებულია რომელიღაც უძველესი იარაღის „არასტანდარტული" სახეობის შესახებ არსებულ ცნობებზე. ასეთი იარაღის წარმოების ტექნოლოგია საიდუმლოდ ინახებოდა, ხოლო მისი გამოყენების ეფექტი ჩვენს წინაპრებზე იმაზე ნაკლებ შთაბეჭდილებას როდი ახდენდა, რაც ჩვენზე ჰიროსიმას ტრაგედიამ მოახდინა;

**შესაძლოა, ინდოეთის ტერიტორიაზე უძველეს დროში არსებობდა მაღალგანვითარებული ცივილიზაცია, რომელიც გარკვეული კატაკლიზმების შედეგად დაიღუპა. „მაჰაბჰარატის" ავტორებს სწორედ ამ ცივილიზაციისგან გადაეცათ ლეგენდა ასტრავიდიის შესახებ;**

**შესაძლოა, ოდესღაც დედამიწასა და სხვა დასახლებულ პლანეტებს შორის არსებობდა კონტაქტი, რომლის შედეგადაც ჩვენს პლანეტაზე უცხოპლანეტური ტექნიკის (მათ შორის, სამხედრო იარაღისაც) ნიმუშები მოხვდა. ეს ნიმუშები უძველესი ომების დროს ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენეს.**

ამ ვარაუდთაგან პირველი ორი მტკიცებულებებს არ საჭიროებს, მომდევნო ორს საკმარისი „სამხილები" მოეპოვება, ხოლო დანარჩენი — მეცნიერების საქმეა...

# 2009 წლის ყველაზე ძვირადღირებული ნივთები

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული დუბაის შადრევანი (217 მლნ დოლარი) მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის — Burj Dubai-ის მახლობლად მდებარეობს. შადრევნის წყლის ნაკადის სიმაღლე 152 მ-ს აღწევს და 50 ფერადი პროექტორისა და 6600 ფარნის სინათლით ფერადდება.**



ყველაზე ძვირადღირებული ტელეფონი — iPhone 3GS SUPREME-ა (3.15 მლნ დოლარი). მისი კორპუსი 22-კარატიანი ოქროთია დაფარული და 68-კარატიანი 136 ბრილიანტითაა მოოჭვილი. მის უკანა მხარეზე კომპანია Apple-ის ლოგოტიპი თითოკარატიანი 53 ბრილიანტითაა შესრულებული, ხოლო მთავარ ღილაკს 7.1-კარატიანი ბრილიანტი ამშვენებს.

ყველაზე ძვირადღირებული ავტომანქანა Bugatti Veyron Fbg par Hermes-ია (2.37 მლნ დოლარი). ის 1001-ცხენისძალიანი ძრავითაა აღჭურვილი და საათში 400 კმ-ს ავითარებს.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სახლი Manor-ია (150 მლნ დოლარი), რომელიც კალიფორნიის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რაიონში — ჰოლმბი-ჰილზში მდებარეობს.

ოტელის ყველაზე ძვირადღირებული ნომერი (65 ათასი დოლარი დღე-ღამეში) — სამეფო პენტჰაუსი, ჟენევაშია. მას ტყვიაგაუმტარი კედლები და ფანჯრები აქვს.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ჯიბის საათი — Patek Phiippe Calibre-ა (5 მლნ დოლარი). მისი კორპუსი 18-კარატიანი ყვითელი ოქროთია დამზადებული და 1.1 კგ-ს იწონის. ეს საათი არა მარტო ყველაზე ძვირადღირებული, არამედ ყველაზე რთულმექანიზმიანიცაა მსოფლიოში.

ყველაზე ძვირფასი კოსტიუმი დიზაინერ ალექსანდრე ამოსუს შექმნილია (103 ათასი დოლარი). ის ბრილიანტებითა და ოქროს ძაფებითაა დამშვენებული. კოსტიუმის შექმნას 80 საათი, 25 მ ქსოვილი, 5 ათასი გვირისტულა და რამდენიმე მეტრი ოქროს ძაფი დასჭირდა. მას ბრილიანტებით მოოჭვილი 18-კარატიანი ოქროს ღილები აქვს.

ყველაზე ძვირად ღირებული კალამი Aurora Diamante Pen-ია (1.5 მლნ დოლარი). ეს ერთადერთი 30-კარატიანი პლატინის კალამია მსოფლიოში, რომელიც ბრილიანტებითაა მოოჭვილი, თავსახურს კი 3-კარატიანი ბრილიანტი ამშვენებს.


Bugatti Veyron Fbg par Hermes

# საოცრებათა მინი-ენციკლოპედია

## მილერის კოლბა

**თუ ალქიმიკოსთა მიერ ჩატარებულ სამუშაოებს არ ჩავთვლით, რომლებიც კოლბაში ხელოვნური ცოცხალი არსების გამოყვანას ცდილობდნენ, პირველი, ნამდვილად მეცნიერული, ექსპერიმენტი ამ სფეროში 50-იან წლებში ამერიკელმა სტუდენტმა-ქიმიკოსმა სტენლი მილერმა ჩაატარა.**



მან ივარაუდა, რომ დედამიწის ატმოსფეროში სიცოცხლე რთული მოლეკულების სინთეზით წარმოიშვა ჭექა-ქუხილის დროს. სტენლიმ დიდი მინის ბურთი წყლით, მეთანით, წყალბადით, ამიაკით აავსო და ამ გარემოში ელექტრული მუხტი გაატარა. მალე „პირველყოფილი ოკეანე" მეწამულად შეიფერა წარმოქმნილი ბიომოლეკულებისა და ამინომჟავების წყალობით, რომლებიც ცილების სამშენებლო მასალას წარმოადგენენ.

## გარინდული ქანქარა



**უცნაურ მოვლენა, რომელსაც „პარიზის საიდუმლოება" უწოდეს, საფრანგეთის დედაქალაქში 1902 წლის 29 დეკემბრის ღამეს 1 საათსა და 05 წუთზე დააფიქსირეს — ყველა სახლში ერთდროულად გაჩერდა კედლის ქანქარიანი საათები, ხოლო ადამიანებმა თავბრუსხვევა და გულისრევა იგრძნეს.**

პარიზის მეტეოროლოგიური სადგურის დირექტორმა განაცხადა, რომ არავითარ ატმოსფერულ ანომალიას, რომელიც მსგავსი მოვლენის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, ადგილი არ ჰქონია. ნიადაგის რყევა არც სეისმოლოგებს დაუფიქსირებიათ. საგულისხმოა, რომ იმ ღამეს მხოლოდ ქანქარიანი მექანიზმები გაჩერდა, ხოლო ზამბარიან საათებს არაფერი არ მოსვლია.

## ჰოუფის ბრილიანტი

**დიდებული ლურჯი ალმასი (Hope — „იმედი") სახელგანთქმულია იმით, რომ ყველა მისი მფლობელი ტრაგიკულ გარემოებებში დაიღუპა.**



თურქეთის სულთანი აბდულა ჰამიდი მოკლეს;

თავადი ივან კანიტოვიცკი მოკლეს;

შიმონ მონტარიდესი ცოლშვილთან ერთად უფსკრულში გადაიჩეხა;

მის ეველინ მაკლინი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, ძალადობის ყოველგვარი კვალის გარეშე. ის 20 წლის იყო;

ჟან კოლემ თავი მოიკლა.

ზემონათქვამი საფუძვლად დაედო მითქმა-მოთქმას სასიკვდილო წყევლის შესახებ, რომელიც ძვირფას ქვას თან სდევდა. ამჟამად ჰოუფის ალმასი ვაშინგტონში, სმიტსონის ინსტიტუტში ინახება და კონკრეტული მფლობელი არ ჰყავს, რამაც, შესაძლოა, სიკვდილის ჯაჭვი გაწყვიტა...

## „ამოყირავებული სამყარო"

**ეს საოცარი პარკია, რომელიც იაპონიაში, გიფუს პრეფექტურაში არქიტექტორმა სიუსაკუ არაკავამ შექმნა.**



პარკის მთელ ტერიტორიაზე ყველაფერი გადახრილი და მოღრეცილია, ხოლო ხელოვნური ხეებისა და ნაგებობების განსხვავებული მასშტაბები ისე „არღვევს" პერსპექტივას, რომ ადამიანი წონასწორობას კარგავს. უნიკალური ნაგებობა დიდი პოპულარობით სარგებლობს — წელიწადში პარკს 140.000-მდე ტურისტი სტუმრობს. თუმცა დამთვალიერებელთა უმეტესობას ვესტიბულარულმა აპარატმა ისე უმტყუნა, რომ წაიქცა და ფეხი მოიტეხა. „ამოყირავებული სამყარო" თვალსაჩინო მაგლითია იმისა, თუ რამდენად არასანდოა ჩვენი გრძნობები უცხო და უჩვეულო გარემოში.

# ამბავი გალაპნულ ვირისა...

**იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი — ჩვენი მწყალობელი. ღმერთი — ზეცაში! შაშვი — ხის ტოტზე! ქობულეთის „პლიაჟზე კი, პატარა ჩოჩორი მზეს ეფიცხებოდა! თვალი ბათუმისკენ გაურბოდა. თავში ფიქრი მოსდიოდა.**



**პატარა ჩოჩორის ფიქრები:**
**„ასლანის „გარაჟში“ ვიქნები?!“...**
**წამოიზარდა ჩოჩორი,**
**წამოეზარდა ქოჩორი,**
**ბათუმს გაუდგა გზად,**
**ბედის საძებრად მზად...**

მოკლედ, ჩავიდა ჩოჩორი ბათუმს, გაეცნო ასლან ბაბუს. „გარაჟის“ თავს შეჰყროყინა ერთგულება. „გარაჟში“ ადგილიც მიუჩინეს და начались рабочие будни...

ჩოჩორი იზრდებოდა, ვირდებოდა და ასლან ბაბუს აღმართზეც ნელ-თბილად მიიწევდა წინ. უეცრად, откуда ни возьмись, появилась черная кошка! კატამ ასლან ბაბუსა და მწვანე მელაკუდას შორის გაირბინა. მწვანე მელაკუდა თეთრი მელას აღზრდილი და უსაყვარლესი შვილი გახლდათ. თბილისში დიდი ძალა ჰქონდა, მაგრამ აჭარაში დასაყდენი აკლდა და აი, ჩვენი, უკვე ჩოჩორ-ვირი, თავისი ცხოვრების პირველ „გმირობას“ სჩადის: ასლან ბაბუსთვის ალთქმულ ერთგულებას არღვევს და მწვანე მელაკუდას სთავაზობს: „მე მომაჯექი ზურგზე, ერთგულ ტვირთმზიდად გეყოლებიო“... და დაადგა ჩვენი ჩოჩორ-ვირი თბილისის აღმართს, ოფლშიც გაილვარა და (მწვანე მელაკუდას მეოხებით) ჯერ რიგით დეპუტატობას, შემდეგ — კომიტეტს, ბოლოს კი „портфель“-საც გამოჰკრა ჩლიქი. დრო გავიდა, მწვანე მელაკუდა უკვე დიდი მელაა! არც ჩოჩორი ჩამორჩა — სრულად გავირდა, გამდიდრდა და კბილებიც გამოაჩინა...

ნათქვამია: „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. ჰოდა, ორ მელას შორის დაპირისპირებაც დაიწყო. ჩვენმა ვირმა, - „портфель“-ს ვერ დავთმობო და მწვანე მელას უღალატა. თეთრს შეჰფიცა: „შენი ვარო“. მწვანეს ეწყინა, გაბრაზდა, მაგრამ არ შეიმჩნია. ვირს არ გაებუტა. თავს ინუგეშებდა და ვიწრო წრეში ამბობდა: „ჩემი ვირია, ჩემი ერთგული, განზრახ დავტოვე თეთრ მელასთანო“. ვირი კი მისი ერთგული აღარ იყო: ხან კბილებს კრეჭდა, ხან ჩლიქებს აბაკუნებდა, ხანაც კვლავ ემეგობრებოდა მწვანე მელას. მოკლედ, ყინულის მოედანზე ბალანსს ინარჩუნებდა, მაგრამ უჭირდა, ხომ, იცით: ჩლიქი ყინულზე სრიალებს... ერთ მშვენიერ დღესაც თეთრმა მელამ „გარაჟიდან“ დაითხოვა. ბევრს დღესაც ჰგონია, რომ ჩვენი ვირი მწვანე მელას დაუბრუნდა, მაგრამ ამაოდ... ვირმა თეთრი მელას კარზე მოპოვებული ნადავლით ბიზნესის აწყობა მოასწრო, ბანკიც შექმნა და ნადავლს ახლა საქართველოს მოსახლეობაზე, სესხის სახით, გასცემდა. პროცენტსაც იღებდა, კიდეც მდიდრდებოდა და მწვანე მელას ორბიტაზე ნელ-თბილად (უფრო სწორად კი, ნელ-ცივად) ტრიალებდა.

დრო კვლავ გადიოდა. მწვანე მელა და ხუთოსანი დუჩე ვარდებით დარბოდნენ და „ბუნტავშჩიკობდნენ“, თეთრი მელაც დაღალეს და აიძულეს „გარაჟი“ გადაეაბარებინა. А наш ишак, тут как тут! დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენი გმირის ცხოვრებაში. ვერ ვიტყვით, რომ იოლი, რადგან ძნელია ბალანსის დაცვა ხუთოსან დუჩესა და მწვანე მელას შორის. მითუმეტეს, როცა დუჩეს ბრაზიანი, ოქროს მიულერი უმშვენებს გვერდს. ერთხელ მიულერი ისე გაუბრაზდა ჩვენს ვირს, რომ კინაღამ სპეცრაზმი გაუგზავნა და ზოლიანი „პამპერს-ტრუსიკი“ ამოაცვა, მაგრამ, ხომ, გსმენიათ: „ვირი თუ შიშს იგრძნობს, ცხენსაც გაასწრებსო“. გაქროლდა ჩვენი ვირი მწვანე მელასთან, ერთად გაქროლდნენ დუჩესთან და გამოჰვედრეს ჩვენი გმირის დანდობა. ამ ვედრებისას ვირმა ძლიერ გამოიჩინა თავი. იმდენი ეფიცა დუჩეს: „შენი ვარ, ერთგული, ტვირთმზიდიო“, ისე გაისაპნა ქოჩორიც და კუდიც და ისე მოხიბლა დუჩეს გული, რომ ყველასათვის ცნობილი და შავ-ბნელი ისტორიის შემდეგ, „გარაჟში“ მწვანე მელას ადგილსაც დაეპატრონა.

**ეჰა, მოვიდა ჟამი დიადი,**
**ვირმა ჩაიცვა ლომისა ქურქი,**
**ხან მენავთობეს გააძრო ტყავი,**
**ხან ჟურნალისტებს წაართვა არხი,**
**ხანაც მოვაჭრეს დაუბა მკლავი!**
**ყველგან წილშია!**
**გაბრაზდა ხალხი,**
**ველარ გაუძლო ბორკილის ზიდვას,**
**მაგრამ ქუჩაში გასული კაცი**
**გალახა დუჩემ და ჩვენმა ვირმა.**

2007 წლის 7 ნოემბერი — „დუბინკებით“ შეურაცხყოფილი ადამიანები! 8 ნოემბერი — საგანგებო მდგომარეობა, რომელსაც ვირის ჩლიქმა დაასვა ბეჭედი! ხალხი არ ნებდება. ამ საქმეს ჯერ ვირი ეწირება (იგი სტოვებს „გარაჟს“), შემდეგ —დუჩე! თუმცა დროებით, მალე ისევ მობრუნდება...

დრო ისევ გადის. ჩვენი ვირი, ძალზედ გამდიდრებული, ფშვინავს, ადგილს ველარ ჰპოულობს:

**უცხო ქვეყანას დაადგა თვალი...**
**იქ „გარაჟია“, ამბობენ, კარგი!**
**მაგრამ იმ „გარაჟს“ ჰპატრონობს ვეფხვი,**
**ვეფხვი ციმბირის, „ნაბერლინარე“!**
**იქ ვერ ილომებს გამცემი ვირი**
**და ბედაურად ასაღებს თავსა...**
**„ფუ, იმ ქვეყანას, ბედაურობენ ვირები საცა!“...**

**ირმა ინაშვილი**








## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
## ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებს და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტური კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**

## უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (Y, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ მიკროელემენტებით პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

საქართველო და მსოფლიო

**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

პოლიტიკა | ეკონომიკა | საზოგადოება | ადამიანის უფლებები | ისტორია | გამოძიება | დაიჯესტი | დიალოგი | PDF | TV online

**http://www.geworld.net**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net